

ქ ა რ თ უ ლ ი

სწორებებზე

საშინჯი სასკედიკანელო

პირველი წიგნი

შედგენილი

პ. გეიგარიძის-სიერ



გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან



თბილისი

სტამბა მ. დ. როტინოვისა.

1888.

Дозволено Цензурою, 16 Марта 1888 года Тифлисѣ.

Типографія М. Д. Рогиніанца въ Тифлисѣ.

პირველის წიგნის სარკმელი.

გ ა ს ა გ ნ ე ბ ი (შესავალი)

1. საგანი.
2. საგანი მოკიდებითი და განყენებითი.
3. საგანი სულდგმული და უსულა.
4. საგნის გეზადი და არგეზადი, ანუ არსებითი და შემთხვევითი ეითარება.
5. საგნის ნიშნეულება.
6. ცნება საგანზედ.
7. გნება რაღა სიტყვა.
7. განსაზღვრება.
8. წარმოდგენილება, ანუ მსახველობა საგანზედ.
9. ცნებათა გამომთქმელნი საშკალებანი.
10. სიტყვა, როგორც საუკეთესო ცნებათა გამომთქმელი საშკალება.
11. სიტყვის სათვარძი ჯდამიანის გონებითს წარმატებაში.
12. სხვაობა სიტყვასა და ლიტონს გამოძახილს ჯორის.
13. უნაწევრო და ნაწევროვანი ბგერა.
14. მეტყველობის ნიჭი.
15. ბგერათა ენა.
16. ფიქრი და მსჯელობა.

17. მსჯელობის განუყრელნი კუთნილებანი.
18. მოქმედება იგივე კითხრება.
19. წინადადება.
20. წინადადების წევრნი: საუბნი, სახედომი და
მაერთი.
21. მაერთის გამოუკლებლობა (ქართულს) წინადადებაში.
22. პირველხარისხოვანნი წინადადების წევრნი.
23. მეორე ხარისხოვანნი წევრნი, ანუ განმარტე-
ბითი სიტყვები.
24. განსაზღვრებითი სიტყვები.
25. სიმეტნე.
26. დამატებითი სიტყვები.
27. გარემოებითი სიტყვები.—ადგილის გარემოება.
28. დროების გარემოება.
29. მიზეზის გარემოება.
30. მიზნის, ანუ მისწრაფების გარემოება.
31. სახეობის გარემოება.
- * 32. მიმართობა.
33. თვითმეტყველი და საყურსი სიტყვები.
34. ფრაზა და წუბილსიტყვაობა.
35. ლექსიკონი.
36. ლექსიკონურის და სასაუბრო სიტყვების ურთი-
ერთთან შედარება.
37. გრამატიკა.
38. გრამატიკის დასწავლის საჭიროება.
39. განსაკუთრებული სასუკეკელი ქართულის ენის მეცნი-
ერულათ გამოკვლევაში.
40. გრამატიკოსის მოვალეობა.
41. გრამატიკის ორს ნაწილად განყოფა.

სიტყვათა წარმოება ანუ ეთიმოლოგია.

42. სიტყვის ბგერითი ანაგეზობა.
43. ქართული ანბანი და ბგერათა რიცხვი.
44. ქართულის ანბანის სრულება.
45. ბგერანი გეარისამებრ.
46. ე. წ. მეტი ასოები.
47. ბგერანი წარმომდინარებისამებრ.
48. ბგერანი შინაგანის თვისებისამებრ.
49. მარცვალი და სიტყვა.
50. სიტყვის დამარცვლვა.
51. მონათესავე ასოები და ფონეტიკა ქართულ სიტყვებში.
52. ფონეტიკური უსასურობა.
53. მეგრულის, სვანური და ჭანური ენასსმუღების, ანუ დიალექტების შესახებ.
54. ნაწევრობითი სიტყვის ანაგეზობა.-ფესო.
55. თავსართი.
56. ნაბოლარი: ჩასართი და საკვეცი.
57. ფუძე.
58. სიტყვის ნიშნეულება.
59. სიტყვები წარმოებისამებრ: დასაბამითნი და წარმოებითნი.
60. წარმოებითი სიტყვების შესახებ.
61. სიტყვები ნაკვეთისამებრ: მარტივი და რთული.
62. სიტყვების შერთულება.
63. სიტყვები ცნებისამებრ და მათი განყენებულება.
64. სიტყვები შეცულობისამებრ.-მონათესავენი.
64. თანასახელობითნი.

65. სახელწიარნი.
66. მოარაკებიტნი.
67. ძელოდესმნი.
68. ადგილობიტნი.
69. ახალთწულნი, სხეაგნებურნი და შემოღებულნი.
70. შემონაყარნი და მოდურნი.
71. სამეტყველო ნაწილები.
72. არსებითი სახელი.
73. დართვითი სახელი.
74. რიცხვითი სახელი.
75. ნაცვალსახელი.
76. ზმნა.
77. მიმღეობა.
78. ზმნიზედი.
79. თანდებული.
80. კავშირი.
81. კრთომა.
82. ცვალებადი და უცვალი სამეტყველო ნაწილები.

კერძოობითი განხილვა.

83. არსებითი სახელები გვარისამებრ. ზოგადნი.
84. განკუთნითი.
85. მკონობიტნი.
86. არსებითი სახელები საგანთ საზომოებისამებრ.
87. სახელარსებითის თანამყოლნი.
88. გრამატიკური რიცხვი.
89. რიცხვნაკლი სახელები.

90. ბრუნვები.-სახელობითი.
91. ნათესაობითი.
92. მიცემითი.
93. მოთხრობითი.
94. მოქმედებითი.
95. გადაქმნითი.
96. წოდებითი.
97. ბრუნვათა მავითარი ნიშნები.
98. კანკლედობა და მისი სქემა.
99. სქემის განმარტება.
100. ნათესაობითის, მოქმედებითი და წოდებითი ბრუნვის მეორენაირნი საკვეცნი მხოლოდობითს რიცხვში.
101. მრავლობითის რიცხვის პირველნაირთ საკვეცთა განმარტება.
102. იმავე რიცხვის მეორენაირთ საკვეცთა განმარტება.
103. სამის ერთსაკვეციანი ბრუნვის გარჩევა.
104. მთელის და მოკვეთილი ბრუნვის ხმარება მრავლობითს რიცხვში.
105. სახელზიართა კანკლედობა.
106. კანკლედობის ნიმუშები.
107. გრამატიკური ნათესავი.
108. სახელარსებითი როგორც წინადადების წევრი.

დარწოვითი სახელი.

109. სახელდართვითნი გვარისამებრ.-ვითარებითნი.
110. კუთნილებითნი.
111. დამოკიდებითნი.

112. უკანასკნელთა ჩასართნი, ანუ სუფიქსები.
113. შედარების ხარისხნი.
114. დებულებითი ხარისხი.
115. შეწონებითი ხარისხი.
116. აღმატებითი ხარისხი.
117. სახელდართვითა კანკლედობა, ცალკე.
118. მათი არსებითი სახელებთან შეთანხმება ბრუნვებში და არა რიცხვში.
119. შეთანხმების წესი მოქმედებითს და გადაქმნითს ბრუნვაში.
120. სრულიადი შეთანხმება-ბრუნვებსა და რიცხვებშიაც.
121. ღარვითი სახელების გარკვევა.
122. მრავლობითის რიცხვის მეორენაირთ საკვეცთა ხმარება.
123. ფონეტიკური სპობა ბრუნვათა შეთანხმებაში.
124. შეთანხმება რამდენისამე დართვითი სახელისა ერთს არსებითთან და-პირიქით-რამდენისამე არსებითი სახელისა ერთს დართვითთან.
125. მოჩვენებული ბრუნვებში შეუთანხმებლობა.
126. სახელდართვითი როგორც წინადადების წევრი.

რიცხვითი სახელი.

127. რიცხვითი სახელები გვარისამებრ.-რაოდენობითნი.
128. წესებითნი.
129. ზოგლებითნი.

130. მკონობითნი.

131. დასლუპითნი, განწალუითნი, განზომითნი და გამწაჟლებითნი.

132. რიცხვითი სახელები განარსებისამებრ.

133. რიცხვითი სახელები ანაგებობისამებრ.

134. რიცხვითი სახელების თანამყოლნი ' და არს. სახელთან შეთანხმება.

135. მხოლოდითის და მრავლობითის რიცხვის ხმა-რება.

136. რიცხვითი სახელები როგორც წინადადების წევრნი.

ნაცვალსახელი.

137. ნაცვალსახელები გვარისამებრ.-პიროვნებითნი.

138. ჩვენებითნი.

139. უკუნქცევითნი.

140. კუთნილებითნი.

141. კითხვითნი და კვლავმოღებითნი.

142. უმეშაობითნი.

143. დამოკიდებითნი.

144. უკუთქმითნი.

145. საზღერებითნი.

146. ნაცვალსახელთა თანამყოლნი.

147. პიროვნებითთა უბრუნველობა.

148. ჩვენებითთა კანკლედობა და მათი შემოკლება.

149. კითხვითთა კანკლედობა.

150. უმეშაობითთა კანკლედობა.

151. უკუთქმითა და დანარჩენთ ნაცვალსახელთა კანკლედობა და არსებითი სახელთან შეთანხმება.

152. ნაცვალსახელი როგორც წინადადების წევრი.

153. ისტორიის სიტუაციის ზმნა.
154. ზმნანი გეარისამებრ. შემოქმედებითი.
155. სსმითგადასვლითი და ორსსმითგადასვლითი.
156. ენებითი ზმნა.
157. თვითენებითი ზმნა.
158. სსმითგადმოსვლითი და ორსსმითგადმოსვლითი.
159. უმეშაობითი ზმნა: ხატშემოქმედებითი და
ხატენებითი.
160. მწეობითი ზმნა.
161. ერთის გეარის ზმნის მეორისად გადაქცევა.
162. ზმნის თანამყოლნი.
163. პირი.
164. რიცხვი.
165. ერთის რიცხვის მეორით დამაგიჟება.
166. დრონი.-აწმყო.
167. ნამყო დრონი.-ქმნილოუსრული.
168. ქმნილი სრული.
169. ქმნილოდესუსრული.
170. ქმნილოდესრული.
- შ. უკანასკნელთ ორ დროთა საკვეცის შესახებ.
171. მყოფადი: სრული და უსრული.
172. ზმნის სახარი.
173. ჩინებითი სახარი.
174. საიქვეი სახარი.
175. საწადისი სახარი.
176. გაელოენითი სახარი.
177. უჩინო სახარის შესახებ.

178. ზმნის სახე.
179. გაუთაებელი სახე.
180. გამთავე სახე
181. ერთგზობითი სახე.
182. მრავალგზობითი სახე.
183. მიმოხრილობა.
184. მიმოხრის მავითარებელი ნიშნები მხოლობითს რიცხვში.
185. იგეთივე ნიშნები მრავლობითის რიცხვში.
186. მიმოხრის გაწყობა.
187. ნაცვალსახელის გამოშვება.
188. ზმნანი მიმოხრისამებრ: კანონიერნი და უკანონონი.
189. კანონიერთა მიმოხრა.
190. უკანონოთა მიმოხრა.
191. ზმნანი მდევართამებრ.
192. ზმნანი პირისამებრ: პიროვანი, უპიროვნო და პირნაკლი.
193. პირნაკლთა ეითარება.
194. რიცხვნაკლი, სახელნაკლი და დრონაკლი ზმნები.
195. ქართული ზმნის ფორმათა სიუხვე.
196. ზმნა როგორც წინადადების წევრი.

მიმღეობა.

197. მიმღეობა გვარისამებრ.
198. მიმღეობის დრონი.

199. მიმღეობის შემოკლება.

200. კანკლედობა და არსებითი სახელთან შეთან-
ხმება.

201. მიმღეობა როგორც წინადადების წევრი.

ზმნიზედი.

202. ზმნიზედნი გვარისამებრ.-ადგილობითნი.

203. ვითარებითნი.

204. ღროებითნი.

205. განზრახვითნი.

206. წართქმითნი.

207. უკუთქმითნი.

208. მიზეზებითნი.

209. ცვალებითის ბრუნვის ზმნიზედისგან განრჩევა.

210. ზმნიზედნი როგორც წინადადების წევრნი.

თანდებული.

211. თანდებულნი გვარისამებრ: წინამძღოლნი და
მიმყოლნი.

212. უკანასკნელთა სმაჟება.

კავშირი.

213. კავშირნი გვარისამებრ.-გადაბმითნი.

214. პირობითნი.

215. შედარებითნი.

216. მიდევნებითნი.

217. განმარტებითნი.

218. გარემჴომობითნი.

შ. კაცშირის, თანდებულის და კრთომის სათევენი წინა-
დადებაში.

კ რ თ ო მ ი.

219. კრთომთა წარმომდინარება.

220. კრთომნი გვარისამებრ.

221. პირუტყვთა კრთომნი.

222, უსულო საგანთა კრთომნი.

223. ხმაბაძვითი სიტყვები.

224. ორიოდ სიტყვა ენის წარმომდინარებაზე.

225. ეთიმოლოგიურის აღლევის მაგალითი.



პირობითი განმარტება.

„სწორმეტეველების“ წიგნებში მაგალითების ბოლოს მიწერილია თავ-თავი ასოები და დაქარაგმებული სიტყვები. ამით აღინიშნებიან შემდეგნი ძველი და ახალი მწერალნი, სა-ერო და სასულიერო მჭევრმეტეველნი, წიგნების სახელები და სხ.

- ი. შ. იოანე შავთელი.
- მ. ხ. მოსე ხონელი.
- ს. თ. სარგის თმოგველი.
- შ. რ. შოთა რუსთველი.
- გ. ჩ. ჩახრუსაძე.
- ა. ი. არსენი იყალთოელი.
- გ. მ. გიორგი მთაწმინდელი.
- ი. ზ. იოანე პეტრიწი, ფილროსოფოსი.
- ს-ს. ო. საბა-სულხან ორბელიანი.
- დ. გ. დავით გურამიშვილი.
- თ. მ. თეიმურაზ მეფე.
- ა. მ. არჩილ მეფე.
- გ. მ. კასტანგ მეფე რჯულისმდებელი.
- ს. ლ. სოლომონ ლეონიძე (მსჯელი).
- ს. დ. სოლომონ დოდაშვილი.
- ბ. გ. ბესარიონ გაბაშვილი, (ბესიგი).
- გ. ფ. გოდერძი ფირალოვი.
- დ. ჩ. დავით ჩხეიძე.
- ნ. ბ. ნიკოლოზ ბარათაშვილი.
- გ. ო. გრიგოლ ორბელიანი.

- კ. თ. ვახტანგ ორბელიანი.
ბ. ე. გიორგი ერისთავი.
ა. ფ. ანტონ ფურცელაძე.
ა. ც. აკჰსენტი ცაგარელი.
ნ. ნ. ნიკო ნიკოლაძე.
დ. ე. დავით ერისთავი.
რ. ე. რაფიელ ერისთავი.
მ. გ. მამია გურიელი.
ნ. დ. ნიკო დადიანი.
ა. წ. აკაკი წერეთელი.
ბ. ე. გაბრიელ ეპისკოპოსი.
ბ. ბ. გრიგოლ კოლხიძე.
ი. გ. იაკობ გოგებაშვილი.
ი. ჭ. ილია ჭავჭავაძე.
ი. მ. ივანე მაჩაბელი.
ს. ლ. სალხურო ლექსი.
ბ. წ. გიორგი წერეთელი.
ანდ. ანდაზა.
ნ. ლ. ნიკო ლომიური.
გამ. გამოცანა.
სახ. სახარება.
დავ. დავითნი.
ი. გ. გაზეთი „ივერია“.
მ. წ. გაზეთი „მწყემსი“.
რ. ა. რაჟდენ აღისუბნელი.
ბ. ბაჩანა.
გ. ფ. გაჟა ფშაველა.
და მ. და მისთანანი.
და სს. და სსკანი.
ე. წ. ესრეთ წოდებული.
-

ზ ა ს ა ზ ნ ე ბ ი.

1. შოველივე ის, რისაც ჩვენ ჩვენის გრძნობის საშუალებით მიმოღება და ცნობა შეგვიძლია, ან კიდევ გონებით წარმოდგენა და მიგნება-არის საგანი.

2. საგნები ორგვარია: ა) ისინი, რომელნიც იცნობებიან ჩვენის გარეგანი გრძნობებით (ან მხედველობა მოკიდება, ან მსმენელობა, ან რამდენიმე გრძნობა ერთად, ან ყველა ხუთივე), როგორც მაგალითათ: ხე, ქვა, ვაშლი, ფრინველი... ესენი არიან მოკიდებითი (ხლე-ბული, გრძნობითი) საგნები. ბ) თუ საგანი ჩვენთ გარეგან გრძნობათაგან მოუკიდველია და მხოლოდ გონებაში გამოსახატავი და მით მისაწდომი, მაშინ იგი, საგანი იწოდების განყენებითად, მაგ. სიყვარული, სიძულილი, სიხარული, ძმობა, მტრობა, ერთობა, კაცობა, მყუდროება, სიკეთე, სიტურფე და მისთანანი.

შეგადაშიგ კი რომ გასინჯო, განეყენებითი საგანსაც იგივე გრძნობითი და მოკიდვითი საფუძველი და დასაბამი აქვს.

3. სიღული, ანუ სსუელუბრივი საგნები კიდევ ორ კვა-რათ იხსენება: მათ, რომელთაც თავისის ნებით ადგილის მოცვლა შეუძლიათ, ექპასით სუღდგმულ საგნებსა, ადამიანები, პირუტყვები, ფრინველები. ამათი წინააღმდეგის თავისუბის მექა-ნი საგნები არიან უსუღონი: სე, ტყე, ზღასი, ფიცარი.

უსილაჲი ანუ უსხეულო საგნებიც ორგეჲრად წარმოსადგენია, ე. ი. სუღიერად: ღმერთი, ანგელოზი, ეშმაკი, ქაჯი, დევი, ჭიშკა, ალი..... გონებითად: აზრი, სული, სინიდიისი, ზნეობა, სასოება, წყევალ და მისთ.

4. საგანს ჩვენ ვიცნობთ მაშინ, როცა ვიცით მისი ვითარება. საგანს აქვს ორგეჲრი ვითარება ა) ის, რომელს გარეშე საგანი ჩვენს გონებაში ეერ წარმოგვიდგენია, ურომლისოთ საგანი არ არსებობს და არ საგნობს, ესეთი ვითარება არის არსებითი ბ) პირიქით, ის ვითარება, რაც მიუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს ამათუ იმ საგნის გასაცნობელათ, რასაც საგნის ბუნებასთან კავშირი არა აქვსრა და არც არა გაველენა სხვას, მის არსებითს ვითარებაზე, - ესეთი ვითარება არის შემთხვევითი. მაგალითით განვმარტოთ:

სახლი ჩვენს გონებაში წარმოგვიდგენია ისეთ საგნად, რომელიც დამყარებულია საძირკელებზე, ზედ ამოყვანილია კედლები, საცა დატანებულია კარ-ფანჯრები, ზემოდამ ფარავს სახურავი... და დანიშნულია ჩვენად, ადამიანების, საცხოვრებლად. - აქ ჩამონუსხულია არსებითნი ვითარებანი ერთი საგნისა, რომელსაც სახლი გვიქვია.

ახლა ასე ვიგულოთ: რომელსამე სახლს კედლები, შეღებილი აქვს, ფანჯრებში ფერადი მინები უყენია, სახურავზე მოწყობილი აქვს მეხთამრიდი და სხ. და სხ. ეგენი ზომ ყველა სახლებს არ აქვს და მით შეადგენენ ერთის რომელისამე სახლის შემთხვევითთ ვითარებათა.

მეორე მაგალითი:

ხე საგანია ისეთი, ძირ-ფესვები რო მიწაში უდგას, ზედ ღერო აქვს დამაგრებული, ღეროზე ტოტები, მათ ზედ ფოთლები და სხ. უამათოთ ხე არ ხეობს და ჩვენც

მაზედ ნამდვილი გაგება არა გვაქვს,—არსებითი ვითარება. ახლა წარმოვიდგინოთ, ხეზე, ჩიტს ბუდე უდგას, ანუ მას, ხეს სურთ შემოკრობია... ეს ამისთანა რამეები ათასში ერთს ხეს თუ კირს და რომ არ ჰქონდეს, ეს ვერც იმ ხის ცნობას დაგვიშლის და ვერც საერთოთ ხეებისასა,— შემთხვევითი ვითარება.

5. საგნის განკერძოებულს ვითარებას რასმე, რომელი-თაც მას ერთ საგანს გარჩევთ სხვების მისი მსგავსისა და გვარისაგან—ჰქია საგნის ნიშნულობა, მაგ. ფრთა, ფრინველის ნიშნულობა.

6. თუ რომელსამე საგანს ჩვენს გრძნობებზე უმოქმედნია, თუ ამ საგნის სახე და ვითარება (შინაგანი, თუ გარეგანი) ჩვენს გონებას დაჩნევია, მას შემდეგ ჩვენ ამ საგანზე გვაქვს ცნება, ე. ი. ვიცნობთ მას.

ცნებისაგან განიჩქევს სიტყვა მცნება, რომელიც ჰქვია ჭეუღად მოცემულს და სახელმძღვანელოთ ნამცნევ აზრებს, მაგ. მცნებანი მოსესნი, სახარების მცნებანი, და სს.

7 თუ გვინდა საგანზე ნამდვილი და უტყუარი ცნება გვქონდეს, უნდა კარგათ შევიცნოთ და შევიტყოთ იმ საგნის არსებითნი ვითარებანი, რომელთაც შეცვლა ან გამოტოვება არ შესაძლოა, ისე, როგორც შემთხვევითის ვითარებისა.

რომ ვამბობთ ხოლმე: განსაზღვრე ესა და ეს სასულიო, მაშინ მართლა სიტყვა კი არ ისაზღვრის, არამედ თვით მისგან აღნიშნული საგანი; გადმოიშლებს მისი არსებითნი ვითარებანი,—ისსება საგანი. ცნების არსებითის ვითარებათა შემოკლება არის განსაზღვრის პირველი ნაყოფი.

8. საგნების რიცხვი ქვეყანაზე აუარებელია. თვით თეულს ჩვენგანს მრავალს მათგანზედ აქვს ცნებები. მა-რამა, რაერთიც ცნება საგნებზე ჩვენ გვაქვს, ყველა ყოველს წუთს ერთგვარათ ნათლათ არ იხატვის ჩვენს გონე-

ბაში: ამ წუთს ერთი ცნება გვაქვს გონებაში წინ წამო-
ყენებული, იმ წუთს მეორე და ასე რიგათ. როცა რო-
მელსამე ცნებას ერთდროულათ უპირველესი ადგილი
უკავია ჩვენს გონებაში, მაშინ ჩვენ ვამბობთ—ამაღამ
საგანზე გვაქვსო წარმოდგენილება, ანუ მხატვე-
ლობა ე. ი. მისი არსებითი ეთარებათა ერთჯამიერი რამ
განმსკერეთელობა. მაგ. მე მაქვს ცნება მრავალგვარს
მანქანაზე, მარამ ამ წუთს ვფიქრობ, მხოლოდ სახერ-
ხავს მანქანაზე; რაკი ერთხელეე გამიცენია, ამ წუთს
რომ დამკირდა მისი მოგონება, ერთბაშად აღდგა ჩემს
თავში ეს მანქანა თავისის არსებითი ეთარებებით და
ნიშნეულობით, რითაც იგი სხვაობს სხვა მანქანათაგან.

9. ერთი წარმოდგენილება წუთშივე მეორე ცნებას აღ-
ძრავს და ასაღს წარმოდგენილებას გამოიწვევს, (დამოკიდებუ-
ლობის ძალით), მეორე მესამეს და სხ. და მით შესდგების
მსჯელობა და საუბარი (იხ. მ. 15). ეს წარმოდგენილობის
ნიჭი პატარაობიდანვე ჩვევია ჩვენს გონებასა. მარამ პირველ
და პირველ ბუნდეთ გვაქვს აღნიშნული გონებაში და, რა-
ერთიც ზრდაში შევდივართ, იმდენათ ცნებები, თუ წარმო-
დგენილებანი საგნებზე, ე. ი. ცოდნა, ირკვევა და სახიერდება
გონებაში. თვით წარმოდგენილებანი უცვალელები არ რჩება;
გონების გაშლილობის თანაბრათ, შეიძლება საგანს აღმოუჩნდეს
სხვა უფრო არსებითი ვითარება; ამ ვითარებას შეიძლება გი-
დეკ სხვა თავისი ვითარება მოეხას და სხ. რაინცა შეადგენენ
საგნის შეცულობას. ამ სახით ჩვენი თავდაპირველი წარმო-
დგენილება საგანზე მდიდრდება, ივსება და ცხადდება. ამასთან-
ავე ჩვენ შინაგანის ძალისა გამო ბუნებრივათ გვიჩნდება მო-
თხოვნილება—ამ წარმოდგენილებათა გარეგანი ნიშნები, მოკი-
დვითი სახე, მივსცეთ და მით ისინი სხვებს ვამცნოთ...

როცა რამდენიმე წარმოდგენილება თავს იჩენს ჩვენს

გონებაში, ისინი მრავალგვარათ გამოიხატებიან და გამოითქმინან გარეგანათ. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი გულისხმადები გამოვავნოთ გარეთათ მუნჯურათ, სსეულის შესაბამისის მოძრაობით; შეგვიძლია დახატვით რაზედმე შევატუოზინოთ სხვას ჩვენი გულის პასუხი; ისიც შეგვიძლია—მუსიკალურის სახილბით წარმოვაჩინოთ ჩვენი წარმოდგენილება... ასე რომ ზოგჯერ მუნჯურათ უფრო მჭკვრათ გამოითქმის ცნება, ზოგჯერ მხატვრობით, ზოგჯერ მუსიკალურის ხმებით და სიმღერა გალობით. მარამ

10. ცნების გარეგანათ გამოსათქმელათ ყველაზე უფრო ხელწამოსაკრავი, ცხადი და საუკეთესო საშეალება არის სიტყვა.

11. „სიტყვა არის გარეგანი ნიშანი, სამოსელი ჩვენის ცნებებისა, თუ წარმოდგენილებათა. იგი არის უპირველესი იარაღი ადამიანის გონების გაშლილობისა, არა მხოლოდ კაცად—კაცისა, არამედ მთელის კაცობრიობისა. მარამ იმ დროსკე გონება არის უმეტესათ სიტყვის გაკლენის შედეგი. ჭკვა-გონება და სიტყვა მჭიდროთ არიან ერთმანერთთან შეკავშირებული და განუწყვეტელი ზედმოქმედება აქვთ ერთმანერთზე აღზრდის დროსა. სიტყვა არა თუ ასრის გამოსთქმის, ამასთანავე აღძრავს კიდევ ასაღს აზრსა.“

ესიტყვა (ენა) არის გამომხატველი ერის გონებითის მუშაობისა და ამიტომ ადამიანის ისტორიაში ენას უნდა ეძლეოდეს ერთობ დიდი მნიშვნელობა, თუ იგი, ენა, კი არის იმდენათ დამუშავებული, რომ აზრების და გრძნობათა გამომეტყველება შეუძლია. სიტყვის მეოხებით ჩვენ სიყრმიდაშევი მოკიდებული აღვილათ ვითვისესთ წინათაობათაგან გამოარკვეულს, აუარებელ ცნებებს. (ცოდნას) და ერთბაშათ კდგებით ჩვენის დროის და მიდამოს მოთხოვნილებათა სარისხსე, დონეზე. სიტყვების საშვალბით ჩვენ პატარაობითვე თითქმის

უნებურათ ვსწავლობთ მრავალ საგანს, რომელთ გამოკვლევაში და ძიებაში გარჯილან და დამშვრალან ჩვენი წინაპრები ათასის წლების განმავლობაში. ჩვენ სიურპიდანვე ვსარგებლობთ სიტყვებით, ამა მზა მზარეულის ნიშნებით, რომელთაშიც არიან შეპყრობილნი საუგუნეთაგან გამომუშავებული აზრებელი. მოკიდვითი და განუგნებითი ცნებები ცხოვრებასა და მეცნიერებაში სასმარებელნი. ამით მოკლეს დროში ვხდებით მეუფელად იმ გონებითის და ზნეობითი განძისა, რომელსაც ჩვენ მარტონი ჩვენი საკუთარი ძალების ამარა თავისდღეში გერ შევიძენდით.“

„მსოფლოთ სიტყვის საშვალებით სდება კერძო კაცის გონებითი სამკვიდრო საზოგადოებისად და საერთო თვითულის კაცისად. მსოფლოდ სიტყვით შესაძლოა ადამიანებმა თავიანთი გულის ჰესუსი ერთმანერთს ამცნონ და აგრძნონ, შეუფარდონ ერთმანერთს მოპირისპირე სანუგეველები (ინტერესები). მსოფლოდ სიტყვის საშვალებით შესაძლოა ადამიანების ერთმანერთთან მოზიარობა საერთო საქმეებში, განსასიერება და განკარგება საზოგადო და სახელმწიფო სასამართლოთა, საბჭოთა, რევულ-კანონთა და წეს-წყობილებათა...“

„რაც ენას, სიტყვას დაუწვია, ის ყოველივე დაუძთავრებია მწერლობას. ენა აკავშირებს ერთმანერთთან მსოფლოთ თანამედროვე თაობას, წერა კი ეველა თაობათა ყოველის დროისას და თითქმის მთელის ქვეყნისას. წერით წარსულის გონებითი განძი სდების სამკვიდროდ აწმეოსა და ამ ორისავე სამკვიდრო საუსუქედ მომავლისა.— ენა და წერა არიან გონების ფრთები...“

ასეთის დიდის შესედულებისანი არიან ენათმეცნიერები მეტყველობის ნიჭზე, სიტყვაზე. განა რა არი სიტყვა?

12. შოველს ადამიანის პირით ამოძახილს სიტყვა არ ეთქმის. სიტყვა მკაცრათ განიზრჩევის არათუ პირუ-

ტყეის, ან სხვა ბუნებაში გაგონილის გამოძახილისაგან; არამედ თვით იმ. ბგერათაგანაც კი, რომელთაშიაც ხშირათ გამოიხატვის ადამიანის სული. სულის მდგომარეობას გამოსთქვამს ხოლმე ბევრი სხვაგვარი ბგერაცა, რომელნიც ადამიანის მკერდიდამ აღმოიტყველვის, მაგ. სიცილში, ტირილში, გოდებაში, ოხერაში და მისთანებში. ეს გაურკვეველი ბგერება ყველას კარგათ ესმის თუ რის გამომთქმელია. მასში პირდაპირ გამოგარეეებელია ჩვენი შინაგანი გრძნობა. სიტყვებში კი: სიცილი. ტირილი და მისთ. გრძნობა როდი იხატვის, არამედ ჩვენი აზრი ამ გრძნობაზე. სიტყვას კი შეადგენს კანონიერათ დანაკეთებულნი და გარკვევით გამოთქმული ბგერანი, რომელთაშიაც იხატვის ჩვენი გრძნობები, აზრები და წადილები სხვისდა გადასაცემად, შესატყობინებლათ. მაგალითად ბგერანი; ჩი, ბ, ტ, ი, ზედზედ წარმოთქმულნი შეადგენენ სიტყვას (ჩიტი), მთელის ცნების გამომჟღავნებელს.

13. სიტყვა ყოველთვის შესდგების გარკვეულთ და მკაფიოთ გამოთქმულ ბგერათაგან, რომელთაც ეწოდებისთ ნაწევროვანი, გასარჩევათ ყოველი სხვა ბგერისაგან, რომელსაც ვეძახით უნაწევროს, ანუ საზოგადო ბგერას. პირველნი დაიწერებიან კიდეცა და მითაც სხვაობენ მეორეთაგან.

14. ნაწევროვანის ბგერებით მომადლებულნი ეართ მხოლოდ ჩვენ ადამიანები და მეტყველობის ნიჭი შეადგენს განკუთნილს რასმე თვისებას, რითაც ჩვენ ასე თვალსაჩინოთ ევრჩევით ყველა სხვა ცხოველებსა.

15. ცხოველებსაც კი შეუძლიათ გამოსთქონ გასეჯანათ რამდენიმე თვისი საცნაური და ბუნებითნი მოთხოვნილებანი არა მარტო სსუელის მიმოძვრით, არამედ გამოძახილთაც

რითმე, რომელსაც მეცნიერნი ბგერათა ენად იტყვიან და ჩვენ ქართველებს გვიჩვენებენ — „არ უთქმელთა არ ვარგა არ ზირუტევი ვარ მძმუნავი“ შ. რ. ჩმუნვა თავისის გაურკვევლობით ჭკავს ჩვილის, ენა აუდგმელის ყრმის გამოძახილებს რასმე. იგი არის გაჭიანურებული, გაბმული, ანუ მრავალჯერ განმეორებული ერთი და იგივე ბგერება.

გარნა ფრინველები შორის არიან ისეთნიცა (მაგ. ერთ კვარი ჩხიკვი, შოშია, თუთიყუში), რომელთაც არა ნაკლებადამიანისა ესეგრესებათ რამდენისამე სიტყვის კაფიოთ, ადამიანით, გამოთქმა. ეს წარმოდგების იმიტგან, რომ ამ ფრინველებს შორის შინამო რამდენათმე მიუგავთ ადამიანისას და მით თვითო-ორორა სიტყვას წაბაძვით წამოისვრიან ხოლმე. წაბაძვით მეთქი, იმიტომ, რომ ფრინველს სიტყვის მნიშვნელობა სრულიადც არ გაეგება და მხოლოდ მექანიკურათ ქვევრივით, რაც ჩასძახებია, მასვე ამოიძახის. ბგერისა და მეტყველობის დანაწევრებულობას ჩვენ, ადამიანებზე მოაქვთ ალბეკდილება უფრო მათში შეცვლის ცნებებითა და წარმოდგენილებით, ვინემ თვით ბგერებით, რომელნიც ჭაერს არსევენ. მხოლოდ ეს გარემოება ნაწერის (თუ ნაბეჭდის) თვალყურების დროს უფრო ცხადი წარმოსადგენია.

შ. ქართველებს ოდითვე ადამიანი ცხოველისაგან განურჩევიათ უფრო მეტვევლობის ნიჭითა. ცხოველებს მეორე ნაირათ უწოდებს ზირუტევადა, ხოლო თავისთავს ზირმეტყველად.

16 როცა ჩვენ ვფიქრობთ რაზედმე, მაშინ რამდენსამე ცნებას, ერთათ ვაყენებთ და მით იმდენსავე, მათგან აღნიშნულ საგნებს ერთმანერთთან ვადარებთ. ასეთს გონების მუშაობას, რომელშიაც შინაგანათ ისახვის ერთი გამთავე აზრი საგანზე — ვეძახით მსჯელობასა, მაგ. ზბუღბუღი მგალობელი ფრინველია“ და სხ.

შ. ჩვილს ერმას თავდაპირველათ მსჯელობა არ აქვს, აქვს მხოლოდ მისი ნასასი და ყოველი პირობა მისდა გამოჩინებისად. მერე თანდათან ერკვევა წარმოდგენილებანი სსვა და სსვა საგანზე, უგროვდება თავში მასალა საგანთ შედარებისათვის, მსჯელობისათვის (იხ. მ. 9).

17. მსჯელობისთვის მიუცილებლათ საჭიროა-იყოს აღებული რამე საგანი, საგანს დაემისებოდეს ან ჩამოერთმეოდეს რამე ეითარება და მით გამოიხატოს მისი საგნის, ურთიერთობა სხვა საგნებთან, მაგ. ძალლი ყუფს, კედელი თეთრია, ხატი კილია... ძალლი თუ ყუფს, მაშასადამე არის ღრო, როცა იგი არა ყუფს და არი საგნები, რომელნიც არა ყუფენ და სხ.

18. ვითარება საგანს რასმე გარეშე წარმოუდგენელია. როცა ვამბობთ: ყუფსო—მაშინვე კითხვა იხადება: ვინ? რა? მართალია სიტყვით „ყუფს“ ისატება მოქმედება. მარამა მოქმედებაც იგივე საგნის ვითარება არის. ეს იმიტომ რომ მსჯელობანი: ძალლი ყუფს, მერცხალი ჭიკჭიკობს, მამა წერს.. შეიძლება ასე გადასსვადეს: ძალლი მყუფარე არის, მერცხალი მოჭიკჭიკეა, მამა მწერალი არის.. აქ ცხადათ ჩანს საგნის ვითარება: ძალლი ს ა გ ა ნ ი ა, მყუფარი-ვ ი თ ა რ ე ბ ა, არის მათი მ ა ე რ თ ი, ე. ი. მაჩვენებელი საგნის და ვითარების და მოკიდებულობისა ერთმანერთთან და სსვებთან (იხ. ზმნის მიმხრის მაკითხარი ნიშნები მ. 86).

19 თუ ჩვენი რამ მსჯელობა ცნებათა შესაბამისი სიტყვებით გამოვსთქვით ისე, რომ მით ერთი ზოგადი აზრი გამოიხატა—გამოვა წინადადება, ე. ი. სხვების გონების (ან ჩვენისავე: ხედვით წერაში, სმენით, თავისთავად, ლაპარაკში და სხ.) წინაშე დადება და წარმოჩენა იმ ფიქრისა, ანუ მსჯელობისა, რაც ჩვენში იფარებოდა. ერთი სიტყვით წინადადება არის მსჯელობის შედეგი სიტყვე-

ბით გამომთქმელი, ანუ მსჯელობის გამოსათქმელად შესაბამისი სიტყვების შეერთება, მაგ. „ათჯერ გზომე, ერთხელ მოსკერა“, „აჲი კაცი აღდგომასაც ავია“ (ანდ.)

20. უბნობა, ღაპარაკი იგივე მსჯელობაა, მხოლოდ სიტყვებით ხორც შესხმული და მსჯელობა იგივე ღაპარაკია უსიტყვოდ. ამიტომაც ქართულს ენაში ხშირათ შესვდები სიტყვებს: ღაპარაკი, გულის-მსიტყველობა, სჯა, ზრახვა, ფიქრი ერთისა და მისგე მნიშვნელობით; ესენი ისეთივე თან სახელეზია (სინონიმები), როგორნიც არიან ვთქოთ: ხედვა, ჭკრეტვა, ცქერა, მზერა, ანუ კიდევ სმენა და ურის გდება და სხ. ეს თანაშნიშნელოვანება არის დაფუძნებული შინაგანს, სულიერ კანონებზე: ცნება და სიტყვა, მსჯელობა და უბნობა თითქმის ერთს და მასვე დროს ჩნდებიან ჩვენს გონებაში და სამეტყველო ორგანებში. ჩვენ ისე ხშირათ ვღაპარაკობთ, ან სხვისი საუბარი გვესმის, ვწერთ, გვითხულობთ, რომე თვითონ შეცულობა (შინაარსი) ჩვენ მიერ სმარებული სიტყვებისა, ე. ი. ცნებები, საგნები თითქო სადღაც მივიწყებული გვაქვს და თითქო მარტოკა სიტყვებით, ფრაზებით, არა თუ ვღაპარაკობთ, ვფიქრობთ კიდევცა, მსჯელობით (ის. მ. 11.) მსჯელობისა და ღაპარაკის დროს ჩვენ იმდენი დრო აღარა გვრჩება, რომ თვით საგნები მათის გითარებუიანათ მარადწამ გონებაში განვიახლოთ. (ამიტომაც არის რომ განსაზღვრება სიტყვისა არის იგივე საგნის, ცნების განსაზღვრება). რაც უფრო გონებაშილია კაცო, რაც უფრო ბეგრი უფიქრია და ფიქრობს, ღაპარაკობს, სჯის, მით უფრო ნაკლები ადგილი უტყრია მის თავში თვით საგნებს, ცნებებს, მისთვის საგმარ სიტყვების წარმოდგენილებს, მას გაერთდაიგივებული აქვს სიტყვა და საგანი. ვთქოთ ჩვენ ღაპარაკში, თუ ფიქრში დაგვეჭირდა სასმარად სიტყვა ხე. ამ წუთს ჩვენს გონებაში ისახება არა საგანი, არა ცნება ხე, არამედ სიტყვა ხე თავისებურად გადაქმნილ-ღაპარაკ-

რამდენი სწორი წარმოდგენილობით. თუ კაცი მწიგნობარად არი, მაშინ უნებურად გონებაში ისტყება ამა თუ იმა სიტყვის წყრილობითი ნიშნები, ასოები, მაგ. ს კ, ასე რომ სწორად ასოებითაცკი ვფიქრობთ, არა თუ სიტყვებითა. თუ საჭიროება არის, რომ ფიქრი გარკვა ხანს შევაყენოთ რომელსამე სიტყვაზე, მაშინ კი თვით ცნება, თვით საგანი აღდგება და გადიშლება გონებაში თავისის ვითარებებითურთ.

შ. რაკი ზოგადი ცნებები და აზრები სორც შესხმულია სიტყვებით და მოკლეთ გამოთქმული, ამიტომ არის მსჯელობა ეგრე სარწმუნო და გასაგებად მისაწდომელი. უამისოდ შეუძლებელი იქმნებადა ჩვენთვის გამოგვესტა გონებაში რთული და განყენებული ცნებები, დაგვეგარებინა ისინი მესხიერებაში და საჭიროებისამებრ წინ წამოგვეყენებინა.

21. როგორც მსჯელობაში არის აღებული საგანი და მას შეეთქმის, ანუ მოაკლდების რამე ვითარება, ეგრეთვე წინადადებაში (მსჯელობის გარეგან სამოსელში) არის ერთი ისეთი სიტყვა, რომლითაც აღინიშნის (უბნობის) ლაპარაკის მიზნში, საგანი და მსჯელობის საფუძველი. მეორე სიტყვა არის ისეთი. რომელიც მიგვახედნს და შეგვასმენს თუ, რა ვითარება მიეკუთნა, ანუ ჩამოერთვა საგანს და რა აზრია აგებული მსჯელობის საფუძველზე. პირველ სიტყვას წინადადებაში ეწოდების საუბნი, ანუ ქვემდებარე, ხოლო მეორეს სახედომი, ანუ შესმენილი.

წინადადებაში მიუცილებლათ დგას მესამე სიტყვა, რომელიც საუბნსა და სახედომს ერთმანერთზე დამოკიდებს და აკავშირებს. ამას ქვია მაერთი. მაგალითად წინადადებაში „კაცი არი მოკვდავი“ სიტყვა კაცი საუბნია, მოკვდავი-სახედომი, არის-მაერთი.

22. უცხო ენებში ტყერთი უფრო სწორად გამოშვებულია და მხოლოდ იგულებების წინადადებაში. ქართულში კი

მისი გამოშვება შეუძლებელია. იქ, სადა მართი გამოშვებული გვგონია, ნამდვილათ შეცულის სასჯდომში, რომელიც გარდა თავისის პირდაპირის მნიშვნელობისა, თან იზავებს მართსაც. მაგ. ფრაზაში: „შენ დგესარ“-შენ არის საუბნი, დგომა-სასჯდომი, სარ-მართი. მეორე ფრაზაში „იქ ვთეს“-მე საუბნი, თესვა-სასჯდომი, გარ-მართი (ის. მ. 86) ერთი სიტყვით წინადადებაში უნდა იყოს სამი სიტყვა მინცა (ცალკე მდგარი სიტყვა წინადადებას კერ შეადგენს, რათგან იგი ქეშმარიტებას კერ გამოსთქმს.): საუბნი, სასჯდომი და მართი, მარამა რაკი ეს უკანასკნელი უმეტეს ნაწილათ შექსულია სასჯდომში, ამიტომ.

23. საუბნი და სახედომი არიან წინადადების თაეი და თაეი ნაწილები, ანუ პირველ ხარისხოვანნი წევრნი.

საუბნი მოგვიგებს კითხვებზე: ვინ? რა? ვის? რამ? მაგ. ბიძა მოვიდა, მძას ძინავს, წყაღმა დახრჩო და სს.

სასჯდომი მოგვიგებს კითხვებზე: რას შერება (საგანი)? როგორია? რა ემართება მას? რა არის იგი, მაგ. ძაღლი ჭყეფს, ზამთარში ბუჩებსას ძინავს, მინდორი ამწყანებულა, მთერაღობა ბიწიერება და სს.

საუბნისთვის კითხვა დაისმის სასჯდომთან, სასჯდომისთვის კი საუბნთან, მაგ. ვინ თქვა ეს?-მძამ თქვა ეს. რა ქმნა მძამ?-მძა წავიდა.

24. რაკი პირველ-ხარისხოვანნი წევრნი არიან წინადადებაში, ცხადია უნდა იყვნენ მეორე ხარისხოვანნიცა და ზშირად არიან კიდეცა. ეს უკანასკნელნი, როცა დგანან წინადადებაში, აერცვლებენ მას, ხსნიან და მარტავენ საუბნს, ან სახედომს, ან კიდევ ერთმანერთს. ამიტომ ეს მეორე ხარისხოვანნი წევრნი სხვანაირათ იწო-

დებიან განმარტებითად, ანუ ამხსნელ სიტყვებად. ესენი არიან:

25. ა) განსაზღვრებითი სიტყვა-ანუ სადათ-განსაზღვრება-მიეჩემების საგანის სახელს, წინადადების რომელს წევრადაც უნდა იყოს იგი, სახელი და მოგვიგებს ერთერთს ამ კითხვაზე: როგორი, ვითარი? რომელი? რამდენი? მერამდენე? ვისი?, მაგ. „მოცლილი კაცი კურ-ღლელს ურმით სდევსო“, „ასი დამკარ და ერთი მართალი მათქმევინეო“, „გაუთლელი ჯობს აღმასი გათლილსა ფირუზანასა“, „აფისა კაი ნუ გინდა, ნურც მისი გამოსაგები“ ანდ.

26. ბ) თუ განმსაზღვრელი სიტყვა სახელი, რომელიც, შესთანხმებია თავისს მსაზღვრელს ბრუნვასა და რიცხვში და განცალკევებული კია მისგან, ასეთს განსაზღვრებას ჭეია სიმეტრეა, მაგ. „იგი, უებრო, ქუშთ ჯდა, ელვისა მსგავსად შეენოდა, „შ.რ.“ სად გელნი, ფე რით ზურმუხტნი, ნაზათა ამწვანდებიან“, „სსკა საქართველო სად არის, რომელი გუთსე ქვეუნისა აგ. ო.“ არწივი, ფრინველთა მეფე, ეთერში წრეებს ავლებდა, ძირს გელსედ თავისს საკბილს, უმანკო ბატკანს, არჩევდა.“ ს.ს. სიმეტრე ზოგჯერ ორკეცია, მაგ.“ მე, რუსთველი სელოებით, ვიქმ საქმეს, ამაღარო“ შ. რ. ე. ი. მე, რუსთველი სელოებით (სიგიჟით) ამათი (მისის გმირებას) დარი, ვიქმ საქმესო.

27. გ) დამატებითი სიტყვა, ანუ მოკლეთ-დამატება,-არის განმმარტებელი დამატებადი სიტყვისა და გამოსთქომს თავისს დამოკიდებულობას მისგან-მოგვიგებს კითხვებზე: რა? რას? რით? რად? რაზედ?-მაგ. „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვია“, „ძალღსა ცემდენ, რძალს ასმენდენო“, „ერთმანერთისა ცქერითა სახლი აივსო მტერითა“, ასეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო“ ანდ.

28. დ) გარემოებითი სიტყვები, ანუ სადა-
გარემოება, არის ზუთი: ადგილის, დროის, მიზნის, მიზ-
ნის და სახეობისა.

ადგილის გარემოება გვიჩვენებს მოქმედების
ასპარეზს, სადაობას და ამისთვის მოგვიგებს კითხვე-
ბზე: სად? საიდან? საითკენ? სიღრმე?-, მამასახლისის შინ
არ უშვებდენ (და ის იძახდა), ფარხმალი თაროზე შე-
მინახეთო“ (ანდ.) „მალდიდანა წამოვიდა კაბა-კუბა
პრელოსანი, სულ იმასა დაედევნა ქვეითი და ცხენო-
სანი“ (გამოც.)... (კამბეჩს) „ლაფში ჩაფლული ურე-
მი შინ მიტანილი ეგონა“ „ბაღდათს ვირი კიტრა-
თაო, ჯორი უნდა საგძლათაო“ „ტყუილის მთქმელს
ტყუილის კარებამდე სდიე“ ანდ.

29. დროების გარემოება-გვისახელებს იმ დროს
და წუთს, როცა წარმოებს ესა და ეს მოქმედება და მით
მოგვიგებს კითხვებზე: როდის? რაზანს? რა ჟამს? „ორ შა-
ფათობით აშენდა ციხე ქალაქი კლდეზედა“, „ვინც
კვირა-უქმე შეგაბას, ხელი შეახმეს კლაფზედა“ ხ. ს.
„დილას ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლათ
იქცევი“, „აი კაცი, აღდგომასაც აეია“ ანდ.

30. მიზნის გარემოება-გვიჩვენებს საფუძველს,
რამანც გამოიწვია რომელიმე მოქმედება, ანუ რომელი
საშუალებით წარმოებს იგი, მოგვიგებს კითხვაზე: რის-
გამო? რათ? რატომ? „მათითა (დევების) ლახტის ცე-
მითა ქვეყანა შეირყეოდა“, „წვეული აღარ დაბრუნდა
კვლავ ზევე უკუწვევითა“, „ანუ თავს კლდეთა ჩაფი-
ქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა“, „თავი მოვიკალ უზომო
სიყვარულითა შენითა“ შ. რ.

31. მიზნის გარემოება-გვიჩვენებს იმ განზრა-
ხვას და მოლოდინს, რომლის გულისთვისაც წარმოებს

მოქმედება, ანუ იმ შედეგს, რომელიც მოსდევს ამა, თუ იმა მოქმედებას.-მიზნის გარემოება მოგვიგებს კითხვაზე: რისთვის? რის გულისთვის?-, მივდივარ სანუკეარათა წმინდა ელემის ბაღშია“, „ღმერთი ღიღათ გაისარჯა ჩვენის გამოსახვისათვის, ახლო ახლო დაგვა-სახლა ერთმანერთის ნახვისათვის“, „სანადიროთ გამოვიდენ ამირან და ძმანი მისნი“ ხ. ს. „თუმც უნდოდით გასაყრელათ, პირველ ერთგან არ შეგეყრიდათ“, „ლილხასხნილი საამბობლათ დაჯდა, მხარნი ამოყარნა“, „აწ ენა მინდა გამოთქმად გული და ხელოვანება“, „...ლექსი კარგია სანადიმოთ, სამღერლათ, საშეკოთ, სალალობით, ამხანაგთა სართე-ველად“ შ. რ.

32. სახეობის გარემოება-გვიჩვენებს მოქმედების სახეს, სურათს, ანუ რაობას ვითარებითს, თუ რაოდენობითს და მოგვიგებს კითხვაზე: როგორ, ვითარ? რანაირათ? რამდენათ.-„ცისკარმან აღმოსავლეთი ეარდისა ფერათ შეღება“, „აენთენ ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი“, „ოჰ რაღამა ზათ იღვიძებს ბუნება მიძინებულის“, „სადა (სამშობლოში) შევხარით ლაქვარდათ ცისა კამარას მორთულსა, მაზედ მავალსა ხელმწიფებრ მზეს ბრწყინვით განსხივებულსა“, სად მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი „გ. ო.“ ზიზლით შეხედა თვის ტოლებს. დაუყოვნებლივ აფარდა „(ლამურა). წ. „ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასათ ზდილობა“ შ. რ.

33. მ) მიმართობითი სიტყვები, ანუ-სადათ-მიმართობა-დგას წინადადებაში გაცალკევებულათ სხვათ წევრთაგან და აღნიშნავს პირს ანუ ნივთს, რომლისადმი არის მიქცეული საუბარი,—„ღმერთო, ეინ მიწედეს შენგან

ქმნილს მის (ბუნების) ფერ უთვალაჲ შეენებას“, „ჰე მამულო სასურველო, ეინ გახსენოს, რო მის გული არათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?“, „ჰე არსისა შემოქმედო, შენგან არის ყოელიჟერი“, „შენმცა მრისხაჲ მოწყალო, თუ ტყვილათ მოგეფერი“ თ. 2-ე. „ჰე, ბიჭებო, დატრიალდით, ჰოოპუნა, ჰოოპუნა!“, „გაელესოთ, ძმებო, ნამგალი: პური შეგექმნია სამკალი“ „ჰა, ბატონებო, გვიყურეთ, ოფლში რა რიგათ მოეცურეთ.“ ა. წ. „მოეწერა მზისა შუქსა: ნუ დაიხნევ, ლომო, წყლულსა“, „ფატმან სწერს (ნესტან დარეჯანს): აჰ მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო! შენთა შორს მყოფთა ყოველთა დამწეელო, ამაზრზენაო, სიტყვა მქვერო და წყლიანო, ტურფაო, ღამაზ-ენაო, ბროლო და ღაღო ოროვე ეწლავ ერთგან შენათხზენაო!“ „პირ მზე (ნესტან დარეჯანი) ესწერ: აჰ ხათუნო. დედისა მჯობო დედაო.“ შ. რ.

34. შველა წინადადების ნაწილები, რანიც შეადგენენ მისს არსებითს კუთნილებას და აქეთ თავანთი სახელწოდება, ე. ი. საუბნი, სახელომი, განსაზღვრება, დამატება, გარემოებანი, სიმეტნე, და მიმართობა—წოდებიან (წინადადებაში) თვითმეტყველ სიტყვებად. დანარჩენ წვრილმან სიტყვებსკი, რომელნიც უსახელოთ დგანან წინადადებაში და ჰრსა სდებენ სხვა და სხვა ელფერს-ჰქვიათ საყურსი, ანუ მისახმარი სიტყვები. აი ამ უკანასკნელთ მაგალითები: „ჰოოპუნა, აეხე, აეხე! ბიკო ჩემი მკაცა ნახე!“, „ჰოპ, ჰოპ, ჰერი, ჰერი! ჩუ! გამოხტა აგერ წყერი“ აკაკი. „შემოირბედა წყლის პირპირ, მას (ფრიდონს) თურმე წყლული სტკიოდა“, „რა ისარნი დაელივნეს, მონანი ყე მოართმიდენ“, „მაგრამ გითხრობ პირველ ხეალმე სენი მე. მკირს რაცა კი-

რად“, „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი“, „მზემან მეტი რაღა გიყო, აჰა ბნელი გაგიტენე“. შ. რ.

35. ერთის წინადადებით გამოთქმის მხოლოდ ერთი აზრი და თუ რამდენსამე წინადადებას ერთმანერთზე გადავბამთ, ისე რომა მათში ერთი ზოგადი აზრია გატარებული და მრავალი დაწვრილებითი აზრები მისს დამტკიცებას, განმარტებას ემსახურებიან, მაშინ გამოვა საუბარი, ამბავი, მოთხრობა, თხზულება, ერთი სიტყვით წეობილ-სიტყვაობა.

წინააღმდეგ წეობილსიტყვაობისა, დაუკავშირებლად წართმეულთ წინადადებათა ქვეანთ ფრაზები, რომელთაც შესვდები საანბნას და უცხო ენათა სასწავლ-წიგნებში.

36. საუბარში (და წერაში) ჩვენ ვხმარობთ აუარებელ სიტყვებს. რაც კი რამ სიტყვა ხელთ აქვს რომლისამე ენას, ყველა ისინი რომ ერთათ შეგროვილათ ეიგულოთ გამოვა იმ ენის ლექსიკონი, ანუ ქართულათ სიტყვისკონა. ეთქოთ ქართულს ენას სახმარებლათ აბადია ორმოცი ათასი სიტყვა. ესენი ერთათ თავწაყრილნი შეადგენენ ქართულს ლექსიკონსა.

37. ქართულს ლექსიკონების შესადგენათ უღვაწით ადრევე: ჰატრს ვისმე თეფიფეს, საბა-სულხან ორბელიანს და დღეს მასედ მოღვაწეობენ წარჩინებული ქართველი მწერალი რაფიელ ერისთავი და მეცნიერი დ. ჩუბინოვი. ამ უკანასკნელის ბოლონდელი ნაღვაწი ამ ხანათ გამოვიდა საბეჭდავიდან და შეადგენს ქართულის მწიგნობრობის. განსს, როგორც გვიჩვენებს თვით წიგნის სახელი: „საუნჯე ენისა“.

მარამა ვერ დიდი საცადი მართებს ქართველობას, რაითა შეიდგინოს და აღბეჭდეს ისრეთი ვრცელი ლექსიკონი, რომ გორიც აქვთ დაწინაურებულს ევროპიის ერებს: ფრანგებს, ინგლისელებს და გერმანიელებს. რაც უფრო განათლებულთა

ური, მით უფრო ადრე ცდილობს მისის ენის სიტყვები, რამდენათაც კი შეიძლება, უკელა ერთად შემოკრიბოს და გამოწვლილვითის განმარტებით საყოველთაო სასმარებლად გასაღოს. მათ ადრევე შეგნებული აქვთ, რომ სიტყვების განმარტება, იგივე საგნების განმარტებაა, ე. ი. ცოდნა. უმისოთ შეუძლებელია არ მოსდეს ის ცნებების არეკვ დაარეკვა, რაც დღეს სუფიკს ქართულს ლიტერატურაში, სიტყვების გაუგებრობისა გამო.

38, ზოგიერთის ენის ლექსიკონი ადვილი რამ შესადგენია. არიან ისეთი მთიელი და ნადირკაცთა ერები, რომელთაც ლექსიკონი რამდენსამე ასს სიტყვას არ ადებამტება. მათ არც მწიგნობრობა რამ აქვთ, არცარა ანხანი. რაც უფრო გაუნათლებელია რომელიმე ერი, მით მისი ლექსიკონი უღარიბესია, ე. ი. არ გააჩნია სიტყვები საჭირო ცნებების (მეტადრე განუცნებული ცნებების) გამოსათქმელათ. (კერძო კაციც რომ ავიღოთ, ისიც იკრება: რაც უფრო გაუნათლებელია კაცად-კაცადი, მით უფრო მის ჰიარადი ლექსიკონი ღარიბია). უბრალოს მხვანელ-მთესველის ლექსიკონი სამას სიტყვას მნელათ თუ რადესმე გადებამტება.

რადცა შეესება კერძოთ ქართულს ენას, იგი თავისის ლექსიკონის სიმდიდრით არა ენას არ ჩამოუვარდება. მისი ძირითადი სიტყვები ისრეთი დაქნილი და დამუშავებული რამ არის, რომ მათგან უკელა ენაზე ადვილათ კეთდება წარმოებითი და განუენებითი სიტყვები. ეთიმოლოგიის განხილვა ამაში საკმარად გვარწმუნებს. ცალცალკე სიტყვების დაკვირვებამ გიდეკ იმას გვეუბნება, რომ არა უოვედს ენას აქვს ასეთი იშვიათი ცნებათა შესაბამისი და ღრმა სიტყვები. ავიღოთ მაგალითები ზღვა, - ამ სიტყვის გამოღებაში სამეტყველო ორგანები ისეთნაირათ იშლება, ისეთის ბგერით თავდება და ისე ინახება, როგორც თვით საგანი, ზღვა არის გადაშლლი რამ

ფართობებს; ცა-მოიცივლი ქვეშეთისა; ქვესქელი და ზესქელი; მიცვალებული-ბუნებით შეცვლილი და არა მოსპობილი; მეუღლე, ცოლი-ცალი; მამაკაცი, დედაკაცი-ე. ი. ორივე კაცი და არა სხვა და სხვა რამ, ხოლოდ ერთი მამარი, მეორე მდედრი; მდინარე დედა მიწა; ქალი-შვილი, ვაჟი-შვილი; დედაენა; ძინი, ანუ ძილი-ორგანისმოსგან შექენა, შემოკრება, მღვიმრებაში და-ნაკლისი საცხოვარი ნაწილებისა (ა. წ.) მრავალი ამისთანა და ხმაბამკითი სიტყვები, მაგ. ფრინველი (ფრირ) ტრედი (ტრრ) ჩხიკვი, დუდილი, ჩანჩქარი, ბაყაყი და სს. თითქო თავის-თავათ, წარმოთქმისათანავე გვამცნევენ თუ, რა საგნების აღ-მნიშვნელნი არიან ისინი.

39. ღაწერილს, თუ დაბეჭდილს ლექსიკონს რომ თვალი გადაავლო, ნახავ, რომ შიგ სიტყვები დალაგებულია ანბანის რიგზე და დასაბამითს ფორმაზე და არა იმ წესით, რა წესითაც ჩვენ ვამრავალფერებთ და ვაწყობთ საუბარში. ლექსიკონში მაგალითად, წერია: ჩიტი. საუბარში ჩვენ ვამბობთ: ხან-ჩიტი, ხან-ჩიტმა, ხან-ჩიტები; მუშაობა-ემუშაობდი, ვიმუშავებ და სს. ერთი სიტყვით სიტყვა-პასუხში ერთი და იგივე სიტყვა სხვა და სხვა ფორმას იღებს, თავ-ბოლოს იცვლის შესაბამად იმისა თუ, როგორი საგანთა შორის ურთიერთობა გვსურს გამოვხატოთ. ამიტომაც ჩვენ რომ რომლისამე ენის ლექსიკონი კიდევ გავიზებპიროთ, მით ჩვენ იმ ენაზე ვერ ვილაპარაკებთ. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ თუ, რომელი გვარის სიტყვა რა და რა ცვლილების მექანიკა და რა წესით ეთავსება იგი სხვა სიტყვებს... ერთი სიტყვით-უნდა ვიცოდეთ, რაში მდგომარეობს სწორმეტყველობა, რომლის პირველდაწყებითს წესებს და ფორმებს გვასწავლის ჩვენ, ე. წ. გრამატიკა.

40. გრამატიკა ბერძნული თქმა.-გრამმა ნიშნავს

ასოს, გრამმატა-ასოებს, გრამმატიკა-გამოდის ასოთ დასმა... ასოთ წერა, მწერლობა, მთხველობა, ანუ როგორც დღეს ეს სიტყვა გვეხმის-ენის პირველდაწყებითი წესების სწავლა.

ეს არის ამ სიტყვის ძირეული მნიშვნელობა. მარამა ძველი ბერძნებიც ამ სიტყვას აძლევდნენ უფრო ფართო შეცულობას იგი იზურობდა მთელს თანამედროვე საზოგადოებას, რომელიც უოკელს რიგინათ აღზრდილ უმაწილ კაცს უნდა მიეღო. ამიტომაც ძველი ბერძნები გრამატიკოსად უწოდებდნენ ისრეთს კაცს, რომელსაც დღეს ჩვენ განათლებული, ნასწავლი კაცი გვიჩვენებ. ჩვენს დროში გრამატიკას თავისი განსაზღვრული წრე აქვს და ზედმიწევნითი დანიშნულება. და თუ ეს ბერძნული სიტყვა დღეს მიღებული უოკელს ენაზე, ეს მხოლოდ გარდმოცემითაა, რაკი გრამატიკა პირველათ (ისე როგორც დღეს ეს ცნება გაგვეგება) დაწერილა ბერძნულის ენისა. თუმცა ახალმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ გრამატიკური ფორმების შემუშავება ბევრით ადრე ბერძნებზე დაუწეიათ აზიაშავე, საიდანაც ბერძნებს თავიანთი განათლება გადმოუტანიათ.

41. რამდენიც ენაა ქვეყანაზე, იმდენს თავთავისი გრამატიკა აქვს, იმდენი თავისებური კანონები და ფორმები, (რომელნიც ხშირათ მეორისასაც ეთანხმებიან). ამიტომ გისაც სურს რომელსამე ენაზე კანონიერათ ლაპარაკი, მან უთუოთ პირველათ იმ ენის გრამატიკა უნდა გაიცნოს (თეორიულათ, თუ პრაქტიკულად). ზოგნი უარყოფენ ამ ჭეშმარიტებას და გვიმტყვიებენ, რომ გრამატიკის განგებ დასწავლა მეტი შრომანა, მეტადრე დედა-ენის გრამატიკისაო. მაგალითად, ამბობენ ისინი, ქართული კაცი თავის დღეში არ იტყვის „რატი მოდიანო“, „კაცმა იუო“ და სს. თუნდ გრამატიკის სასულიც არ გაეგონოსო.

ასე შეწრულათ რომ გასინჯო, ეს შეხედულება უტყუვრით მოგეჩვენება. მართლაც დიდებულს გომერს და სხვას ძველ კლასიკებს რომ თავიანთი უკვდავი ქმნილებანი დაუთხზავთ, მაშინ გრამატიკის სსენებაც არ ყოფილა (თუძცა ესეც საეჭვოა, როგორც ზევით მოვისსენიეთ). ბერძნულის ენის დასისტემებული გრამატიკა დაწერილა, ზგერ გვიანრელე, დიონოსი ფრაკიელს ვისმე, — ისიც ბერძნებისთვის სომ არა, არამედ რომაელებისთვის ბერძნულის ენის გასაცნობათ. (მას შემდეგ რა ერთიც გრამატიკა დაწერილა დღეის აქამომდე, ყველა მის ყალბზეს გამოტრილი). რალა შორს მივდივართ: თვით ქართულს კლასიკებს, რუსთველს და სხვებს, რომ უწერიათ, არც მაშინ ყოფილა ქართული გრამატიკა დათსზული სრულად. მარამა ყველა სომ გომერი და რუსთველი არაა. თუ ჩაუდგები კილში მათაც კი აღმოუჩენს კაცი ზოგზოგს წვრილმან შეცთომებს ენის წინააღმდეგ; თვითეული სომ მათსავით დაღალული არ იქმნება წიგნების კიოხვაში, რომ უთეორიოდ პრაკტიკურად შეითვისოს ენის კანონები. ეს ერთი. მეორეც ისა, რომ თვითეული ენა და მწიგნობრობა, როგორც მთელი ცხოვრება, თავისს ისტორიულ მიმდინარებაში სშირათ ვარდება უცსოთა გავლენას ქვეშე და მით თავისს უყსრობას და თავისმიეორობას (რითაც იგი არის განათლებული უცსოთათვის სანუეგველი) კარგავს და მახინჯდება. ამის ცსადს მაგალითს წარმოგვიდგენს ახლო წარსული საუკუნოები. მაშინდელს ქართულ მწერლობას (როგორც მთელს ეოფა ცხოვრებას) და ენას მეტეჭებივით აჩნევია სპარსული წარმყენელი გავლენა (ყარამანისი, დავრიშიანი, ვარშაყიანი და მისთ). ეს ამ გვარს წიგნებს დიდი სიფრთხილით უნდა წაკითხვა, რათ იფქლთან დვარპლიც არ შეეთვისოს მოსწავლე ახალგაზდობას. თუ მაშინდელის მწერლობის გავლენისა და თუ მერმინდელის გამო, ამ საუკუნის ქართული მწერლობაც ერთობ დამახინჯებულია

(ენის მხრით). თითქმის არ გვეგულება ქართული მწერალი, რომ კანონიერის ქართულთა წერდეს. ეს სენი დასჩემებიათ თვით წაჩინებულს მწერლებსაც კი. ხოლო რაიცა შეეხება ლიტონის მწერლებს, რამდენი ფრანზა აქეთ, იმდენი ორი სამი შეტომა. ან კიდევ ქართულს გარდა თუ სხვა ენა არ იცი, გერ გაგიგია, რის თქმა უნდა მწერალს: ატუო, რომ საიდამდაც გადმოტანჯულია და ეგებ იმით მისვდე. თუ სწორმეტყველობის განონები ადრითვე არ შეკითვისებია როგორმე, მწერალს ისე შეუძლია დაიჩემოს ენის წინააღმდეგ ცთომას არ ვიქმო, როგორც რომ სხეულით ავო არ გავსდებიო.

გარნა უბირველესი მნიშვნელობა სწორმეტყველობის განონების შეთვისებისა არის პედაგოგიური, გონებით აღმზრდელობითი. რაკი ენა არის მხოლოდ გარეგანი სამოსი აზრის და ერის გონების მუშაობისა, ამიტომ მისის, ენის, სწავლის დროს, მოსწავლე იუნჯებს და იგნებს აზროვნობის წესებსაცა. გრამატიკურს ფორმებში იგი აძლევს თავის თავს შინაგანათ (და პირველ და პირველ შეუგნებლათაც) მსჯელობის წესებისას და მით გარჯიშობს და იწვრთნება მისი გონება.

დასასრულ ისიც კი უნდა აღვნიშნოთ, რომა მარტოკა ერთს ენაზე მოლაპარაკე კაცო ჩვენს დროს დიდზე ვერ გასტანს. მან უცხო ენებიც სომ უნდა ისწავლოს (სკოლებში ეგ აუცილებელია) და ამ საქმეს ერთი ასათ აადვილებს წინასწარი და ადრეული შეთვისება დედა ენის გრამატიკური ფორმებისა. შემდეგში უცხო ენების სწავლის დროს მოსწავლეს მკაცრათ ეჭდეკა მესხიერებაში მსგავსება და განსხვავება ორს ენას შორის და ეს აფისიზლებს მისს გონებასა. ამით დაცულ იქმნება ის საანანო პედაგოგიური ტექნიკა, რომელიც ჩაგკმდისის უადვილიდან ძნელზე და ცნობილიდან უცნობელზე გადაბიჯებასა.

ეს კი არ არის დასავიწყარი, რომ მარტოკა გრამატიკუ-

რის ფორმების შეთვისება ენას ვერ შეგასწავლის. ამისათვის საჭიროა სამაგალითო მწერლების კითხვა და გადაკითხვა, ცოცხალი საუბრის დაკვირვება, საკუთარი კარგეობა და სხ. და სხ.

ერთს დადებულ მწერალს უთქომს: „აეშვს წელიწადს შემიძლია ეველა ევროპიული ენები დავისწავლო, მარაჲ ფრანგულის ენის დასწავლას საფლავის კარამდე ვერ მოუწიებია“. განა ფრანგული ენა ეგრე მნელია? სულაც არა, პირიქით იგი ეველსე ადვილია. იმ ბრძენმა კი ამით გამოთქვა, რომ უცხო ენაზე (მისი სამშობლო ენა ფრანგული იყო) ცოტა რამ რომ შეეგშალოს, ეს ისე დასაძახისი არაა, როგორც დედა-ენაზე ნაცთომების ქმნა, უცხო ენაზე რაკი ერთ ნაირათ განონიერათ შეგიძლია გამოთქო შენი აზრი, ესეც საკმაო, დედა ენაზე კი მრავალფერად და მრავალსახეთ გამოთქმა საჭიროა. ამიტომ ამა უკანასკნელის მრავალგერძოთ და ღრმით შესწავლა საკადებულისთვის, მეტადრე მოასპარეზე პირისთვის, მწერლისთვის ხომ რად.

42. ქართულის ენის მეცნიერულათ დამუშავება მეტად სასარგებლოა თვით ენათა მეცნიერებისათვის და სანუკველი რამ უნდა იუოს ევროპიის განათლებულის ნაწილისათვის. ეს ენა ძველის ძველთაგანი ენაა, სამიათას წელზე მეტია, რაც მასედ ისტორიული ერი: (ქართველები) მოუბნობს. ორი ათასი წელია თითქმის, რაც მასედ საკმაოდ აღსული მწიგნობრობა მომდინარეობს, და დღესაც ამ ერს ამ მწიგნობრობას და ამ ენას თავისი ისტორიული მსვლელობა, ასე თუ ისე, არ შეუწყვეტია, ცოცხლებს თვით ამ ენაზე მოუბარი ერი, მკვიდრობს ისეთს (ტოფოგრაფიულს) ყელში, რომელზედაც მიმოღვნა აზიას და ევროპას შუა ოდითგან გაჩაღებული დღესაც არ შეწყვეტილა, აზიის ერთა და ერდოთა გადმოსასვლებითი და უოველგვარი მოძრაობითი ტალღები აქ კავკასიის ქედის კვარცხლბუკიან (საიესურთან, საქართველოსა და მის მიდა-

მოში) დახეთქებულან. და თუ მრავალჯერ ეს ბუნებითი საბრ-
კმელი გადულასვით მათ და ევროპიას მოსდებიან, მარამა იქ
ევროპაში მათი კვალი უგევი აგვიღია და ისინიც გაეევროპიე-
ლებულან. აქ სულ სხვაა. აქ ყოველივე მეცნიერებითი სამეუფო-
ხელუხლებელია და გამოცანას შეადგენს. მათ შორის ენაცა.
და რადგან ენა და მწიგნობრობა არის გამომეტყველებელი ერის
კითარებისა და სარკეა მისის ყოფა-ცხოვრების, ამიტომ ქარ-
თულს ენას და მის ფორმებს (სხვა სახსოვრები იქით იყოს),
რა თქმა უნდა ზედ დაანდებოდა ბევრი რამ მეცნიერებისთ-
ვის სელსაყრელი, მის სამეუფოში მრავალ საიტკთა განმარ-
ტებული და წეგდიადის ფარდის ამსდელი.

43. გრამატიკა საერთოდ არ არის მეცნიერული შრომა
და რა თქმა უნდა, ვერც „სწორმეტყველების“ წიგნაკებს შე-
სწამებს ვინმე მაგ საჩიელსა. ეს წიგნაკებიც ერთი იმათთაგა-
ნია, რომელთაც უცდიანთ მოსწავლეთათვის გაადვილებინათ
მართლ-უბნობის უსაჭიროების კანონების შეგნება. მარამა თუ ამ
კანონების შემდგენელმა არ კი უნდა შესუთოს და შესესტოს
ენა თავისის კანონმდებლობით. პირიქით მან უნდა ფრთა
შეასხას მას და გაუკვლიოს ბუნებრივი გზები მისი, ენის,
გამაზავლებელი და გამანატიფებელი. ამას მიაღწევს გრამატიკი
მაშინ, როცა იგი დაუკვირდება უკვლავად უწინ ცოცხალ საუ-
ბარს, დაბიონთა მოუბნობას, წარჩინებლის მწერლების ნამოქ-
მედარს... და იმათიგან გამოყვანილს კანონებს წარუდგენს
უგანვე ერსა: აჰა შენნი შენთაგანაო! წინააღმდეგ ამის თუ
გრამატიკი კანონების გამოგონებას გამოევიდა და იგი მისცა
ახალგაზდობას სახელმძღვანელოთ, მაშინ რა მოხდება? ის,
რომ მის ტიპიკონს ეურს აავლებენ და თუ ვისმე დაჰმალეს
მათით ხელთმძღვანელობა, ენა გახევდება, გამკვანდება, აუკმე-
ხობა მოერევა! მძიმე წუბილება მიეცემა და ბევრათ დაბლა
დადგება იმ დაბიურს, ხალხურ ენა-კილოზე, რომელიც არის

უცხოველესი და უმკვარშესეველესი, ვინემ მკაცრათ გრამატიკურად სელდასმელი...

თუ სიტყვებს სამარადისოთ დაეცვათ თავიანთი თავდაპირველი მნიშვნელობა და გარეგანი სასე, ენას ისტორია აღარ ექმნებოდა და ენათ მეცნიერებაც აღარ განდებოდა. მარამა ენის ბუნება (როგორც ეკელაფრის ქვეყანაზე) ცვალებად, ზრდა, რომლის კანონების გამოძიება და გამოწველილვა მაგდენათ გრამატიკის საქმე არაა, რამდენათ თვით ენათ მეცნიერებისა, რომელიც ამის გულისთვის რამდენსამე ტოტად განიყოფის: ლინგვისტიკა, ფილოლოგია, ფონოლოგია, ფონეტიკა და სხ. რაც უნდა ცვლილება მოსდეს რომელსამე ენაში, ჭეშმარიტი მისი გრამატიკა მანისც ერთიან უოველთვის (წერელმანებს გარდა. ის. სინტაქსის ბოლოს).

44. როგორც უოველი გრამატიკა, იგივე ქართულიცა შეიცავს ორს ნაწილს. პირველი მისი ნაწილი განიხილავს ცალცალკე სიტყვებს, გვიჩვენებს თუ რომელი სიტყვა როგორ და საიდან წარმოშობილა, რა ფორმაზე დგას და რა და რა ნაირი ცვლილება შეუძლია მიიღოს სხვა და სხვა შემთხვევაში აზრის და ცნების შესაბამისად. ერთი სიტყვით რომელი სიტყვა როგორ წარმოშობს, მით ამ პირველს ნაწილს ქვია სიტყვათა წარმოება, ანუ (ბერძნულათ) ეტიმოლოგია.

მეორე ნაწილი განიხილავს სიტყვების ერთმანერთთან გადახმის და შეთანხმების წესებს, რათა გამოვიდეს კანონიერათ და წყობილი წინადადება. ერთის თქმით სიტყვები წინადადებაში და წინადადებანი ერთმანერთთან როგორ უნდა შეკავშირდეს და შეითხვას. აქედამ ამ მეორე ნაწილს დარქმევია სიტყვათა თხზულება, ანუ (ბერძნულათ) სინტაქსი.

მოჭრით რომ გამოვსთქათ:— ეტიმოლოგია სიტყვებისგან ამხადებს მასალას, რომელსაც სინტაქსი სმარობს წინადადებათა ასაშენებლათ და გასაწყობათ.

სიტუატა წარმოება

(ეთიმოლოგია).

45. პირველყოფილი ენა, როგორც ჰგონებენ ენათ მეცნიერნი, ყოფილა გროვა სმა ბაძეითა ბგერათა, რაღაც მსგავსი მოჩქარების გაღობისა. თვით ბგერანი პირველ და პირველ ცოტანი ყოფილან რიცხვით და მათი ნაკლებობა აღიკსებოდა სხეულის მიმოძვრათაგან. რასაც მაშინ ბგერათ უფრო ფართო სასმარობა ჰქონია ვინემ ასლანდელს (შემუშავებულს) ენებში. (ამის აშკარა მაგალითს დღესაც წარმოგვიდგენს ნადირ ხალსნი და ჩვილი ერმები.) მრავალთა საუკუნეთა განმავლობაში ეს ბგერები თან და თან გარკვეულან, დამკაფიოებულან და მით სიტყვებიც დასახიერებულან. ახლა (ე. ი. მთლად ისტორიულს დრო-ყამში), თვითეულს ცოტადანათ დამუშავებულს ენაში მკაცრათ შესაძლოა გარნიო-რომელი სიტყვა რამდენის ბგერის შემცველია. მაგალითათ: სიტყვა კაცი აკებულა ოთხი სხვა და სხვა ბგერისგან: კ, ა, ც, ი, რომელნიც მოჩქარებით და გადაბით რომ გამოვსთქოთ, უფრო, ვინემ დასაბამითი ენა გამოვსთქმიდა, გამოვა ნაწევროვანი სიტყვა კ ა ც ი.

46. სხვა და სხვას ენას სახმარებლათ სხვა და სხვა ბგერათა რიცხვი აქვს: ზოგს ოცი, ზოგს ოც და ათი, ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები. ქართულს ენას აქვს ოც და ცამეტი ბგერა (ასო-წერაში) და თუ დაეუმატეთ ე. წ. მეტი ასოებიცა, მაშინ გამოვა ოც და ცხრამეტი ბგერა, რაიცა შეადგენს სრულს ქართულ ანბანს.

47. ქართულის ენისთანა სრული და მარტივი ანბანი, როგორც მოწმობენ ენათ მეცნიერნი, არა ენას არ აქვს. რაც კი რამ ნაწევროვანი ბგერა კი შეუძლია გაიღოს ადამიანის სამეტყველო ორგანოებს, ყველა ის ბგერანი იპოება ქართულს ანბანში, თვითო სასუდ, სადათ და ძალდაუტანებლევ გამოსათქმელნი. ეს ანბანი ასლი ზედ გამოჭრილია ქართულს ენაზედ; ამასთანავე არ არის ისეთი ენა, რომელსაც იგი არ მოერგოს. აქ არ გჭირდება ორისა და სამი ასოს ერთმანერთში შეცმა, რათა იმათგან ერთი შვათაგანი გამოვიდეს, მნელ გამოსათქმელი და საქმის გამაჭირვებელი, მეტადრე უცხოთათვის... ზოგნი უმეცარნი მეცნიერნი მხოლოდ ერთს წუნსა სდებენ ქართულს ანბანსა, სახელდობრ: მასში ურევიაო „შირკელუოფილი“, „აზიურნი“ ბგერები, რომელნიც კეთილს სმოკანს ენას არ შეუკენისო, მაგ. წ, ჭ, ჯ, ყ, მარამა სხვანი, უფრო სანდო მეცნიერნი ამას ამბობენ: ა) ზოგი ამ ასოთაგანი (ჟ. ძ.) იმყოფებიან თვით უნარსარეს ევროპიულ ენებში. ბ) თუკი ბუნებაში კი გვესმის ესეთი ბგერები, რატომ უნას არ უნდა ჭონდეს იგინი, მეტადრე სმაბავითს სიტყვებში. როგორნიც არიან, მაგ. ბაჟაუი, ყიყინი, ყვავი, ყოარანი, ერანტალი, ჭრიჭინა, წიწილა, წიაჭი, ყრიალი, ყიპყიპი, წიწკინი და სს. ესეთი სიტყვები უმჭევრმეტყველესნი არიან, მინეი ამათი დამდარი სიტყვები ზოგს ევროპიულ ენებში. გ) რა სმაც ერს არ უჭირს გამოსათქმელათ და ისე ემარჯვება და ედვილება, როგორც სხვები, ის სმა და ის ბგერა ისეთივე კეთილსმეორი; როგორც ყოველი სხვა ბგერა „სმა ერისა სმა ღუთისაო“ გვამცნებს ანდაზა და ჭკმძარიტია. ეს იმიტომ რომ სმენასა და გამოთქმას შუა შინაგანი ბუნებრივი გავშირია და რაც გამოსათქმელათ ადვილია, იგი გასაგანათაც საძიოა. უცხო ეური აქ უადგილო დაიფასებულა. მანდა მანც ასო ე ქართულში ისმარების უფრო იმ სიტყვებში, რომელნიც

სსკა ჯიურის ენებითგან (უადვილთ) შემოსულან, მაგ. ყარა-
ული, ყალბი, ყაირათი, ყისმათი, ეულფი, ყალანი, ყასიდათ,
ყონალი, და სს. თუ წმინდა ქართულში ისმარების, ესეთი სი-
ტყეები ერთონ ცოტას და იმ ცოტაშიც, საცა სმარებითი სი-
ტყვა არაა და შესაძლოა, ქართული ესა ცდილობს, (აღბათ
ევროპიულის ენების ზედგავლენით) ეს საყანყრატე ასო შეს-
ცვალოს სსკა. მის მონათესავე ასოზე, მაგ. კურდგული. კა-
სანი, კაზნეგი, კიჟინა, ეშსი, ბრჭკალი კალამი, კლორტი, კამასი,
კოჩალი, კუნწი, კივილი და სს. ამათ ეველას კ და ს ს ნაცვლათ
ქონდათ უ.

48. ქართული ასანნი სამ გვარია: ა) სმოკანნი-არან
ისინი, რომელთ გამოთქმა გავრძელებით შეიძლება და ხმით
იგალობების: აააა..ოოოოო...უუუ...ეეე...იიიიი ეს ი, ა, ე, ო
და უ მანამდის შეიძლება გაგებულდეს, სანამ სულთქმის მოზრუ-
ნება მოგვინდება... ბ) თანსმოკანნი, ანუ უსმონი-არან
ის ასოები, რომელნიც გამოითქმის ბგერებით, ანუ ენის და
სსკათ სამეტყველო ორგანოთა მიმოხებით, ესენი არიან: ბ, გ,
დ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ, ნ, პ, რ, ს, ტ, ფ, ქ, ღ, ყ, შ,
ჩ, ც, ძ, ჭ, ს, ჟ., (ჯ, ჭ,) ამათი გავრძელება ხმით მოუ-
ხერხებელია, დაწყებისათანავე, წყდების და მკაფიოთ გამოით-
ქმის მხოლოდ ხმოვან ასოებთან დასმით. გ) სხვგინნი
გამოიღებიან მიმოძვრით რითმე პირის შინამოსი, სადაც ამ-
დროს მოხდების მშვიდგარება რაზე, სულთქმე. ესენი არიან:
(ქ, ჭ, დ, ჯ, მ.).

49. ეს ოთხი ასო ჭ, დ, ჯ, მ და ზეგითი ორი ჯ და
ჭ განსრას არიან ფარსილუბში ჩასსმულნი იმიტომ, რომ ისინი
ასალ მწერლობაში თითქმის აღარ ისმარებიან, რისთვისაც
დაერქოთ მეტი ასოები. თითქმის მეტი იმიტომ, რომ
დღესაც აქა იქა მოიპოების მათი მოსარჩლე ქართველები. ესე-
ნი უსამართლოთ ცნობენ ხალხის მწერლების მიერ ამ მეტი

ასოების უარყოფას და ქართლის ანაწილგან განდევნას შემდეგთ მოსაზრებათა გამო: ეს ორხმოვანი ასოები ენას ამსუშუბებს, მშვინვარებას აძლევენ და აწარწარებს, უსპობს სიმკვასეს. მაგალითად: სიტყვა ჩვენ უნდა დაიწეროს არა ეგრე, არამედ უნბრუთი (უ) და წ-თი. მაშინ მსოფლად გამოადისოის მშტვენვარე სმა, რომელიც ამ სიტყვის ბუნებაა, ე. ი. ჩუწნ, ესუწნ, თქუწნ, თქუწს, აჩუწნეს.

ფ. ს. სმარობენ იქა, საცა მარცვალნი ნასვერდების. ი თუ, დასწერე, მაშინ გამოადის მთელი მარცვალი, რასაც სიტყვა (და ლექსი რითმა) არ გუობს, მაგ. ვამე იერთხელ ესა სთქვა: ვამეო, სსვათ არას მოუბრია“ შ. რ. აქ ფ. ს. ნაცვლათ, რომ ი დასო, შაირის რითმა დაირლევას.

გარეშე ამისა ფ. არის სათემო ასო. ქართლის ზოგ სოფლებში ფ-თი ათავებენ ყოველ სახელს, რომელიც ი-ით არ თავდება, არამედ ერთ ერთი სსვა სმოვანის ასოთი, მაგ. დაფ, მამაფ, კიბეფ, რეფო, მოქმედებაფ. ესრეთი დაბოლოება ბოთქო აკეთილზმირებს სიტყვას, მეტადრე მაშინ, როცა წინადადება ამ სიტყვით თავდება და ხმის გაშვება საჭირო.

ჯ. ს. სმარობენ იქ, საცა ვ და ი ერთთ სვდებიან სიტყვაში და მათგან შემდგარი მარცვალი შტკენით რითმე გამოითიქმის და არც მთლათ ვ ჩანს და არც მთლათ ი, მაგ, ნაძვ, ვთქვ, თქვს.

ზ. ს. აქვს ალაგი მსოფლად ერთს კართომაში, რომლითაც გამოითქმის ღღადებითი მიმართვა ერთის შირისა მეორისადში, მაგ. ვ: უფალო, ვ: ყოვლადსახიერო. დღეს ამის მაგივრათ სწერენ სამას ასოს ჭოი, თუ რამ დასჭირდათ. კ. ი სმარება მსოფლად იმ სიტყვაში, რომელიც ადამიანის სსუელის ნაწილს აღინიშნავს-სელსა-გასაწყვათ მეორე ერთ ხმოვანი სიტყვის ხელი-საგან, რომელიც ნიშნავს გიუსა, გადარეულს.

ფ-შეუღლიათ წარსულ საუკუნეში გამოასათქმელათ იმ უც-

ხო სიტყვებისა, რომელთაშიც მაგარი სასტკენი ბგერა ურე-
ვია მაგ. *წაგტია, ტიგურა, ტორმა, ტიზიოლოგია* და სხ.

ერთი ქართველი გრამატიკა ამბობს, რომ ეს „მეტია სო-
ები ძველის ძველს ქართულ ანბანში არ იყო და შემდეგ
შემოუღიათ ანგარიშის გულისათვის, რათა სათვალავი მიე-
ყვანათ ათი ათასამდე, რომელიც ე-თი გამოითქმის.

ეს შესედულება პატივცემულის ჰეროფესორისა შემცდარი
უნდა იყოს; იმიტომ რომ ამ ასოებს ამისგან მეტი დანიშ-
ნულება რომ არ ქონდათ, მაშინ მიმატებული იქნებოდნენ ან-
ბანის ბოლოს, როცა სათვალავში ნიშნები შემოაკლდებოდათ.
ისინი კი აქა-იქა სხედან ანბანში არევით და აღნიშნავენ: *ტ-
რვას, ღ სამოცს, ფ-ხუთასს, გ-შვიდიათასს*. ძველის ძველათვე
ქართველები საანგარიშოთ ხმარობდნენ (უსამართლოთ ე. წ.)
არაჲულ ციფირებს და იძულებულნი არ იყვნენო კიდევ ასლი
ნიშნები შემოეღოთ სათვალავისათვის.

ეს „მეტია სოები“ თავდაპირველათ არ ყოფილან ქარ-
თულს ანბანში და თანისთან შემოუღიათ იმ მიზეზის გამო,
რის გამოც წარსულ საუკუნეში შემოიღეს ასო *წ*, ყოველ სა-
ჭიროებას გარეშე. — „ქართლის ცხოვრება“ ამბობს, რომ ჯდრე
ქართველთა ქონდათ ენა ქართულიო და მერე შემოერიათ ენა
„მორთულიო“, ე, ი, უცხო სიტყვები შემოერია წმინდას ქარ-
თულს უცხო ქვეყნების ასლი ზედგავლენით და მიმოსვლით,
აი ამ უცხო სიტყვების გამოსათქმელათ თანისთან შემოუ-
ღიათ ქართველებს ეს მეტი ასოები სსვა და სხვა ერთგან, თუ
ფინიკიელთა, თუ სსვათგან. ამიტომ არის რომ ეს მეტი ასოე-
ბი იმ თავითვე რეკავში ყოფილან და დღესაც არიან. მარამა-
მათ შემოდგომთ და ასლანდელთ მათთ მომხრეთა დავიწყნიათ-
შემდეგი მოსაზრება:

ასო არის მხოლოდ ჰეროფითი ნიშანი, იგი თავისთავათ
არ ღაპარგობს და კერ გიჩვენებს ასე თუ ისე გამოთქმით.

კანონების დადგინება აქ უქმია. უგეგ არსებული ქართული ასო-
ები სრულად საკმარისნი არიან ქართულ ბგერათა გამოსაღე-
ზად. ქართველი კაცი თავის დღეში არ იტყვის სიტყვას, მაგ.
ჩვენ ისე მაგრათ, რომ გამოვიდეს შანჭრაქელი ჩვენ. კ და
ე თავისთავათ მშენიერებენ, რაკი მათ წინ და უკან არ უსხედსთ
მაგარი და მკვასე ბგერები; არამედ რბილი და შიშინი. ასეთ-
ნივე თავისთავათ მშტკინვარ-ნაზნი არიან სიტყვები: ქვა, თქვა,
თვისი, ნაპი, სჳართველო, თქვესკენ, მსთვად და სხ. ერთი
სიტყვით მჳ მეტი ბარგია ქართულის ანბანისათვის. ასოები ა,
ჳ და ჳ ამისისავე თვისებისანი არიან. ავიღოთ ა.

ორ, სამ და ოთხ მარცლოვან სიტყვებში პირველი მარ-
ცვალი სხვებზე უფრო გრძელია ქართულს ენაში. სიტყვებში
კაიბე, გაი, და სხ. როცა ამ ასოს ხმარობენ, ჰირველი მარ-
ცვალი არათუ გრძელია, არამედ მაღალიცა, რაკი იგი არის
კ რ თ ო მ ი და მასსადამე შეღალადებით წარმოსატქმელი. ამის-
შემდეგი მარცვალი ი-ისე თავისთავათ კნინდება და ნელდე-
ბა, რო მას მოელი მარცვალი აღარ ეთქმის (რო მით ლექსში
რითმის წეობილება დაირღვეს). თუ მანდა მაინც, სცა ასეთი
შემოკლება და განელება უნდა მარცვალს, იქ, მეტი არ იქმნე-
ბა, წერაში მიღებულ-იქმნეს ასამადლი ნიშანი (¹), რომელიც
ი-ის წინა ხმოვანს დაესხმის; სოლო სიტყვა ჰასუსში ესრეთი
შემოკლება თავისთავათ გამოდის: არავინ არ იტყვის კაიბეო და
სხ. ა არ არის საჭირო არც როგორც სათემო ასო. რა სა-
ჭიროა ხმოვანს ასოს კიდევ ცალხმოვანი მიუერთოთ და კიძა-
ზოთ, ჳჳჳჳ, დრკუჳ, კალოჳ, ქურდოჳჳჳ, ეგებ ათასში ერთს
ქართველს ემარჯებოდეს ესა და რა საყოველთაოთ მისაღებია.
ნაპი, ა კ და ი-ს ნაცვლად მხოლოდ წერის გამაძნელებელია,
მეტი არაფერი. განა განსვავება სიტყვებ შორის; თვისი და
თჳსი, ნაპი და ნაპჳ. გამაძნელებს ამ ნიშნით, (რომელიც არ-
სებობს მხოლოდ თჳსი თვისი) და არა იმ მშტკინვარის ბგე-

რებით, რაიცა ამ სიტყვაში უნებურათ გამოდის? ეს კითხვა უნდა გადაწყდეს ურთაბრუნებელად და არა თვალთა სედეით, არა წერილობითის, არამედ ბგერითის გამოხატულებით. ერთი თუ მეტი მიმოძვრა არი საჭირო სამეტყველო ორგანებისა ამა, თუ იმა ბგერის გამოსაღებათ. თუ მაგალითათ ითხოვს ორს მიმოძვრას, რომელიც ოდნავ გაგრძელებული, გამოიღებს ორს ბგერას ვ და ი-სა. არა თუ ორი ბგერა, არამედ გარეგანის ნიშნებით მთელი სიტყვა, მთელი ფრაზა და მთელი საუბარი შეიძლება დაიწეროს, როგორც წერდნენ ძველათ, მაგ. ეგვიპტელნი, იეროგლიფებით. მაგრამ რა გასდა.

ჟ: თავისში შეიცავს სამს ბგერას ჯ, ი და ი-ს და რაკი შეძახებით გამოითქმის, ამიტომ ერთის მარცვლის ო-ს მეტი არ-ჩანს საგრძნობლათ. აქ იგივე ითქმის რაც ჯ-ს შესახებ ითქო და ამიტომ ჟ: ც მეტი პარგია ქართულის ანბანისათვის.

ასო ჯ კიდევ უფროა ზღერე განსდევნელია და დრო მო-ჭმული. ალბათ ოდესმე პირველყოფილს ქართულ ენაში იყო ასეთი რამ ბგერა, რომელსაც გერც თუ ს გამოსთქმინდა და გერც თუ ჯ, ასეთი ბგერა დღესაც გვეხმის სკანდინავიის ენაში და შეიძლება ზღერევე ყველა ქართველები ხმარობდნენ. შემდეგში როცა ქართული ენა ასე გამოემუშავებულა და დასუფთავებულა ეს ფანერატოს გადაღმიელი ბგერა ზევით ამოსულა და ჯ-ით და ხ-ათ ქცეულა. მარამ ვინმე ძველთა შუაშეს ქართველს დანა-ნებია მთლათ არ აქარდესო ეს ასო და ისევე წაუბრუნებია ფან-ერატოში, ე. ი. ანბანშივე. მარამ რაკი იგი ანბანს ზღერე ეგუ-ებოდა და მეტი იყო, ამიტომ მისთვის მიუღებოდა დასწინ-ლება, რომ დაიწეროს იმ სიტყვაში, რომელიც არის სინონი-მი ადამიანის ასოს (სელის) სახელისა, დღეს ეს ხელიც არქა-იზმობა და მის მაგივრათ ვხმარობთ; ჯასელებული, გიჟი, უცები, შლეგი, გადარეული და სხ.

რაიცა შეეხება ასოს ფ. ეს ისეთი რამ ნადალუგია ქარ-

თუღს ენაზე, ნაძაღადევი და ამიტომ ქართულს ერს ახათ
 ეავს იგი განდევნილი. საღსს აქვს თავისი ჯღღო და მან
 ბუნებითად უწყის შემდეგი ჭეშმარიტება. არაუისთვის საკალ-
 დებულა არაა უცხო კნის მართლწერა თავისს ენაში დაიცვას
 და უცხოთ ბერათა გამოთქმით სამეტყველო ორგანები შეი-
 წესოს. ეოგულს ენას უცხო სიტყვა თავის დონესე მოუავს
 და არი პირიქით თავის ენას სსვისაზე არ გამოსტრის,
 თავის ბუნებას არ დამასინჯებს და თავისებურ ელფერს არ
 იკარგავს. მასდამასინჯ არც ისე სახარბილო რამ ბგერა არის
 ეგ ფ. იგი არა სააზნო ბგერა და კეთილშობილური სიტყვა-
 ჰასუსის შესატყვისი. მისის გამოთქმის წამს ბაკეთა საზიდნი
 (მუსკულაბი) ძალზე იჭიმებიან, ბაკები მაგრდებიან, სიალფე-
 რეს კარგვერ და ღიბრდებიან; ზევეთი ბაკე უნდა წინ წი-
 შვირო, ქვევითი უნდა დაჭმუჭნით წინაკბილებს მიაბვინო და
 ისე დასტევისო, რომლის დროსაც შეიძლება დორბლის წინ-
 წკლებიც მოხვდეს შენს ასლო მდგომს მესობულსა. ეს რა
 საკვირეულია გერაფერი თავაზიანობა და არც სასიამოვნოა
 პირისასის დაღმუჭა. ქართულის კაცის ზრდილობა და სახიე-
 რება ძველიდამევე ნაქება, მისი სააზნო ენა თავისს საკუთარს
 ასოს გისაც (რომელიც თითქმის ფ-საებრ გამოითქმის) არ
 გუობს (ის. მ. 53) და რა თქმა უნდა, ასეთს უცხო ბგერას
 როგორიც ფ არის ვერ შეიტკობობდა. ეს სომ ეგრე და
 ზოგნი ქართული, მოადური მწერლები მასინც გაიძასიან: ფა-
 კტი, გრაფი და სს., თუმცა იციან, რომ ენა გაურუენალი
 ქართული ამბობს: ფაკტი, გრაფი, ფილოსოფი, ფორმა,
 ფიგურა, ფრიდერიკო, ფასონი, ფლურანი, ჰაიულ-გონი,
 სეფრა, სიგეროიდი, ჰეგროდიტა და სს.

ამა მოსაზრებითა ძალით ერთხელა და სამედამოთ საჭი-
 როა განიდევნოს სმარებითგან მართლა და „მეტი ასოები“
 და უცხო ენათა სასწავლო წიგნებში თუ დაწიება—ეგ არ

არის მანდამინტ სათაკილო, გარსა რათგანტ ამა ჰმეტის ასო-
ების“ საქმე ჯერ ქართულს მწიგნობრობას არ გადაწყვეტია
და არცა რომელსაჲ კერძო პირს აქვს ამის გადაწყვეტის ნება,
ამიტომი ანაზნის განსილვაში ისინი უნდა მოექცეს.

47. მახედვით იმისა, თუ რომელი სამეტყველო
ორგანო უმეტესს მონაწილობას იღებს ამა თუ იმა ბგე-
რის გამოთქმაში, ბგერანი არიან:

- ა) ბაგისმიერნი: ბ, მ, პ, ფ, ვ, ჯ, უ,
- ბ) ხორხისმიერნი: გ, კ, ქ, ხ, ყ, ჰ, ა, ე, კ.
- გ) ენისმიერნი: რ, ლ, ნ, ო.
- დ) კბილისმიერნი: ტ, დ, თ, წ, ც, ძ, ს, ზ,
- ე) სასისმიერნი: ჩ, შ, ჟ, ჳ, ი.

48. ამავე ასოებს რომ შინაგანი თვისება გავუსი-
ჯოთ, ვნახეთ, რომ ერთი და იგივე ორგანი ორის მონა-
თესავე არის გამოთქმაში სხვა და სხვა სიმკირსნეშია,
მაგ. ყ-ის გამოღებაში ხორხის მონაწილობა უმეტესია
ვინემ კისაში. ამიტომაჲ იგივე ბგერანი თვისებისამებრ
ასე არიან განყოფილნი:

- ა) მტკნარნი—ლ, რ, ნ.
- ბ) ბუნდოვანნი—ბ, მ.
- გ) მყარნი ანუ მაგარნი—გ, ყ, ჯ, დ, ძ.
- დ) რბილნი—ქ, ზ, ლ, ქ, ჰ, კ, ჯ, ც, ჰ.
- ე) ზომიერნი—კ, ჳ, ფ, ხ, ვ.
- ვ) წენიკნი—პ, წ.
- ზ) მოკლენი—ე, თ, ტ, ე, უ.
- ც) ბრძელნი—ა, ი, ო.
- თ) სისინა—ს, ც.
- ი) შიშინა—შ, ჩ.

49. თუ თანხმოვანს ბგერას, მაგ. ბ-ს მიუვმატეთ
ხმოვანი, მაგ. ა და ორივე ზედიზედ გამოვთქვით, თითქო

ერთის ბაგეთა მიმოძვრით—გამოვა—მარცვალ ბა. მარცვალ შესდგების ხან ერთის ბგერისაგან, ხან რამდენისგანმე, რომელთაგან ერთი უთუოთ ხმოვანია, ამ სახით მარცვალ არის სიტყვაც (ქვა, სმა, ხე, ცა) და სიტყვის ნაწილიც (კა—ცი, სა—ხე) ერთის გაწყებით გამოთქმული; ანუ სხვებრ: ერთის მარცვლისგან. ანუ რამდენისამე შესაბამისის მარცვლის გადაბმით გამოდის სიტყვა რომლისამე ცნების შემცველი. (ხოლო სიტყვათა ესრეთისავე გადაბმით გამოისახვის წინადადება სრულის აზრის მექონი). მარცვლების რაოდენობისა-მებრ სიტყვები არიან: ერთ მარცვლოვანნი (ხე, ბრმა, მწე), ორ მარცვლოვანნი (ბი-ძა, ცი-ხე) სამმარცვლოვანნი (კე-დე-ლი) და სხ.

50. მრავალმარცვლოვანნი სიტყვის მარცვლებად დაწილადება ადვილი-თუ ერთი უსმო ასო ორს სმოვან შუა ზის, მაშინ მარცვლი იწყება თანსმოვნითა, მაგ. გუ-შინ, წე-ღან. თუ ზედიზედ დგანან (სმოვანნი, გინა თანსმოვანნი), მაშინ ერთი მათგანი წინამარცვლისა და მეორე შემდეგისა, მაგ. სა-ა-მუ-რი, მარ-ტი, ეს წესი სიტყვის ფესოს ორი აზღვევს, მაგ. სა-ხლი, მო-კლე, და-ბრკო-ლე-სა, და-ბრძნი-ლი. ეს განონი მწერალმა უნდა იგულისხმოს წერის დროს, რათა ან მარცვლი, ან ფესო არ განწყალოს სიტყვის ერთის მერით-გან მეორეზე გადატანისას.

51. ენის კეთილ თუ ავ სმოვანება დამოკიდებულია მზედ მოუბარის ერის თვითებითს სასიათზე, მისს ისტორიაზე, ჰავაზე და საერთოთ გარესკნელს ბუნებაზე. იქ, საცა ბუნება ზომიერია, ჰავა კეთილშეზავებულია... ენაც მტკბარია და ყურისთვის საღმო თუ ამასთანავე ეს ენა მწიგნობრულათაც დამუშავებულია. აქ ძიელათ შესვდები მანჭრეჭელათ და მკვასხეთ გამოსათქმელს ბგერებს და სიტყვებს, რაც ხშირია მისფრ-

ბუნებიერს ჭეივნებში. საქართველოს ბუნება ზომიერია და ქართული ენაც არა ნაკლები სამიათასის წლის ნამუშევარია და ამიტომ ეს ენა მდგნე და კეთილსმიერია. მგვასეთ გამოთქმა სიტყვებს არ შეეძინა და თავისუფლათ და ნაზათ მისი ბუნებაა.

თვითუფლის ენის ერთს წუნთაგანს შეადგენს რამდენისა-მე უხმო ბგერის ერთათ თავწაყრა, (სომხურს ენაში მაგალითად, ასეთი სიტყვები მრავალია) ქართულს ენასაც აქვს რამდენიმე ამისთანა სიტყვა და ეს კი მის წუნს შეადგენს, მაგ. მებრკე ბრწყინვა, დრკუ, ბრძნული, ფრცქვნა, მრქალი, ჩრჩილი, ბრჯკე, დრკუ, დრტვინვა, შეძრწუნება, კრჩხა, წვრთხა, ბრყვილი, ბრძვილი, ბრგვილი, ჭრტინვა, წვლვა... ასეთი სიტყვები უერთა სმენას გერ აამებენ და სამეტყველო ორგანოებს აფერხებენ. ამგვარ შემთხვევაში ყოველი სახიერი ენა და გამოიანი მწერალი ცდილობს შეანელოს სიტყვები: ა) სმოგანების ჩამატებით; კარხა, წურთხა, ელისობელი, ხობრები, ჩეენები. ბ) სადაც ჩამატება შეუძლო არის, იქ გვერდს უვლიან ამისთანა ტლანქ სიტყვებს და ცნებებს აღნიშვნენ თანსახელობითი სიტყვებითა. ისიც უაღაგო არ იქნება მოვისსენოთ, რომ ამისთანა სიტყვები თვით სახიობრივს და მსუბუქს ენებშიაც კი მოიპოვება, როგორც მაგ. სპარსულში, ფარანგულში, იტალიურში. სახიობრივს, კეთილსმიერ ენებად ითვლებიან ისინი, რომელთ სიტყვებში უხმო ბგერები ინთქმიან სმოგანებისგან. ეს უკანასკნელში შუაში უხსდებიან მათ, წინაუძღვიან მათ, თან მისდევენ, აზავებენ წინამარცვლებს უკანაებთან. ამას შერებისან არა მხოლოდ სმოგანების შემწეობით, არამედ რბილთა ბგერათა დახმარებითაც. მტანარი და რბილი ასოები (რ, ლ, ნ, ზ. უ, ს, ღ, ჯ, კ) ზოგიერთს ენებში სმოგანების მაგიერობას სწევენ, ე. ი. მათით მარცვალი ისახება უსმოხთან შეერთებით, რათგან ისინი რაღაც შუათანანი არიან უსმოსა და სმოგანს შორის.

ამ გზით ენა მუდმივს მოიძრობაშია, სიტყვები თანახმად იღესება, სატიფდება, მოკლდება და კეთილსმდიურდება, თუმცა ცნება იგივე რჩება. ამას ქვია ფონეტიკა (ბერძნული სიტყვაა: ხმათ-მასწავლელობა, სიტყვის გარეგანის მხრის მიება).-სიტყვის გარეგანს მხარეს, ე. ი. ბგერებსა და ასოებს ფონეტიკური მხარე ქვია, სოლო შინაგანსა, ე. ი. შინაშენელობას, მისს შინელობას—ლოგიკური მხარე.

სიტყვების ფონეტიკა სამრიგია: ა) ან ერთიანი ბგერანი მეორეებად იცვლებიან; ბ) ან სიტყვაში საერთვის სახლი ბგერა, და ან გ) სიტყვისგან გამოითიშვის რომელიმე ბგერა.

პირველი ამთაგანი, ანუ ფონეტიკური ცვლილება დაფუძნებულია ასოების ნათესაობაზე. (მოხატესავედ ითვლებიან ბგერანი თვისებისა და გამოღების ადგილისამებრ, მაგ. მ და ბ, ზ და ს, შ და ს, კ და ე და სს.) ფონეტიკურად ნაცვალები სიტყვა უფრო დაბილებულია და კეთილსახმიერი, ვინემ ფონეტიკურად შეუსებული, დალოსილი. ფონეტიკურათ იცვლებიან 1, მ, ბ, დ, მაგ. ქაღმანი-ქაღანნი, მაქლონი—ბოქლონი, მრუდი—ბრუდი; 2) პანი—პირად, მაგ. ბილწი—პილწი, ბრჭალი—ბრჭკალი, 3) ღასი რედ. მაგ. ლელწამი—ლერწამი, დანაშული—დანაშური, ქოლგა—ქორგა, ბელწი—ბერწი, ლბილი—რბილი, 4) ყარანი, განი—კანად, ან ქანად, მაგ. გურკა—კურკა, ყიყინა—კიყინა, ჩირგვი—ჩიჭვი, ბოუინი—ბოკინი, ყიყინი—კიკინი, ყივილი—კივილი, 5) კანი-ქანად, მაგ. საკვეთი—საკვთი—საქვთი, 6) სანი—შინად, მაგ. ფოსტა—ფომტა, სკოლა—შკოლა, ტასტი—ტაშტი, უხესთაეს—უხეშთაესი, ზესთა—ზეშთა, სინჯვა—შინჯვა.

7) ასო ვინი, როგორც მნელგამოსათქმი და ჰირის საზიდთა დამწესებული ერთობ გულის აზანს ქართულ ენას და იმიტომ მეტად სშირათ ცვლის მას სხვა ბგერებზე: ფ, მ, ბ—ზე. აი ამის მაგალითები, რომელთაშიც პირველნი მეორე-

ებდა იცვლებიან (და უნდა შეიცვალონცა): თეზი—თეზი, ვასილი—ბასილი, ვასო—ბასა (მეგრულათ) ვარცხნა—ბარცხნა, აჰმარა—აჰმარა, სავარცხელი—საბარცხელი, სავსე—სამსე, სეკდა—სესდა, სავსი—საფსი, ნავთი—ნაფთი, მსგეესი—მსგეესი, სანუგვარი-სანუგვარი, კითამ-მითამ, ვინემ-მინემ, ვარსკვლავი-მარსკვლავი, ხედავთ-ხედამთ, სვავს-სვამს, ნავსი-ნამსი, სავსე-სამსე, თეზი-თეფი, 8) თუმც კ-სთან მახვდენ სმოგანება, ე, ი, მანინ იგინი ღარსივე ერთად გადადიან ან ო-დ, ან უ-დ, ამის მაგალითები აუარებელია და რამდენიმე მაინც უნდა მოვიყვანოთ: კვამლი-გომლი, ფარნავაზი-ფარნაოზი, ლევანი-ლეონ, გედეკან-გედეკონ, ცვატე-ცოტე, ცვატა-ცოტა, გვიმრა-გუმრა, კვიმატი-კუმატი, წვიმა-წუმა, ხვიმირა-ხუმირა, ლეზვი-ლეზო, ყვირალი-ყურმალი, ლერწვი-ლერწო, ფესვი-ფესო, ფერსვი-ფერსო, დიკვანი—დიკვანი, კვიპაროზი,—კუპაროზი, ესეკვა-ესოვა, წვება-წობა, თვალი-თოლი (ხეურათ, მეგრულათ) ყვავილი-ჟოილი, ცხვარი-ცხორი, მთიელათ და რაკი ც-შ-ს აძი-ტომ შსური-მეგრულათ, ცხვარი-ცხური, გამოკვანძა-გამოკონძა, ღვიმელი-ღუმელი, ტვიფარი-ტუიფარი, ხვარბალი-ხორბალი, სსვი-მის-სსომის, თვარემ-თარემ, მკვასე-მკუსე-გუსე, ყველაფერი-ყოლაფერი. ყველა-ყოლა-ყოლე, ყველამცა-ყოლამცა, (შ. რ.) ბეწვი-ბეწო, დასვა-დასო, დაწვა-დაწო, დაარქვა-დაარქო, თქვა-თქო. გამარჯვება-გამარჯობა, ცოდვა-ცოდო, გვალვა-გოალვა, ყვარანი-ჟორანი, ხვალდე-სოლდე სავკირველი-სავურელი, ხვამლდი-ხომალდი, ხვანთქარი-ხონთქარი, ცვანცვალ-ცუნცული, რაკვარ-როგორ, რაკვართუ (შ. რ.)—როგორთუ, გვარჯილ-გორჯილ, ცეკვა-ცეკო, მარტვა-მარტო, შეთი-შოთი, მაქვა-მაქო, მრქვა-მრქო, გვიმრა-გუმრა, დიდვაძი-დილოძი, დაყვავება-დაჟოვება, ზიდილი-ზიდული, ჭამილი-ჭამული, დასუნთქილი-დასუნთქელი, დაჟოვანი-დაჟოვანი, დაჟიქილი-დაჟიქელი, მოკვლილი-

შოკდელი, სენალი-სნული, დაკრედი-დაკრული, ბაკშვი-ბოში
 (იმერლებმა, კაისანია, ეს სიტყვა ასე გააფონეტიკეს ბოშა-
 ბოშასი, ბოშასა სულ სხვა-ციგანი) სვა-სო, იცვა-იცო, მო-
 წვა-მოწო, გაჰვეა-გაჰყო, იევა-იეო, იეკას-იეოს, იეგან-იეონ,
 სემილი-სმელი, სვარზაკი-სოარზაკი, გვინი-გუნი, ნასვილი-ნახუ-
 ლი, სარშვილი-სარშელი, აზუტვილი-აზუტული, ძარცვილი-
 ძარცული. ციქვილი-ციქული, გაწევილი-გაწეული თვარემ-თორემ,
 ჭვა-გლილი-ქოლვილი-ქოლილი, სიტყვა-თქმა (ტ-თ, ყ-ქ) ფონე-
 ტიკური სპონის ძლით სიტყვას გამოაკლდების ერთი ან ორი
 ზეგონს ისეთი, რომელნიც სიტყვას ამძიმებს მხოლოდ და სხვას
 კი არას უკეთებს არას, მისის მოსპობით სიტყვა მსუბუქდება
 და ნაწინარდება. ამატომაც შემდეგი პირველი სიტყვები მეო-
 რეებზე უნდა შეიცვალონ იქაც, საცა ჯერ ფონეტიკის სხივი
 არ შესულა: გეფხვის-ტყაოსანი-გეფხისტყაოსანი, ჰატიკოსანი.
 ჰატიკოსანი, იმუშავოს-იმუშაოს, საუუდარი-საუდარი, (უუდე,
 დასაუუდებელი, ბინა-მეგრულად სასლსა ქვიან), ღერო-ერთი-მე-
 ტი, ღერმეთი-ღმერთი, მეურნეობა-მეურნობა, ამაოება-ამაობა,
 მდგომარეობა-მდგომარება, ღიღ-კიღო-ღირკიღო, კოღო-მღი-
 ღა-კოკომღიღა, კედლის-ტილა-გეტეტილა, იერსი-იესი, სვი-
 მონისძე-სიმონისძე, გიორგისძე-გიორგიძე, განცალკევება-გაცალ-
 კება, ტუუვილი-ტუუილი, უგუნური-უგუნური, სვინიდისი-სინი-
 დისი, პეტქვი-მეთქი, თქვა-თქო, მეუფე-მეფე, ცალკე-ცალკე-
 ცალკცალკე, მაინც და მაინც-მანდამაინც, ჭიანჭველა-ჭინჭველა,
 ბჭის-კარბაჭისკარი-ჭიშკარი, დიდროვანი-დიდრონი, დედისდა-
 დეიდა, მამისდა მამიდა, დიდიდედა-დიდედა, არკი-აკი, კარგი-
 კაი-კი, ატუევილებს-ატუევებს, წარუგალი-წარუალი, შეიწრო-
 ვოს-შეიწროს, ამავეები-ამები, რაოდენი-რამოდენი-რამდენი,
 ორთქლით მაკალი-ორთქლ-მაკალი, მაგრამა-მარამა-მარა, საკმე-
 ველი-საკმელი, ჰა-ისასსე-პირისასსე, თუმც-თუცა, ათერთმეტი-
 თერთმეტი, გაზვიად-გაზვი (თ. II) მაჭნის-მაჭნს-მაქს, მაქ,

პეტაჲ-პეტაჲ, (აგ), აწერაჲ-აწერ, ერეცსაჲ-ერეცს, წამომეჲ-
წამომეჲ, მოდი-მო, წადი-წა, ათ-ცსრაჲ-ცსრაჲ, ათც-
მეტი-ცამეტი, თვით—ითქმის-თვითქმის-ითქმის. თავანთი-
თავანთი, მიისობას-მიის, მოისობას-მოის, გრამმატიკა-გრამ-
ტიკა, ეკელესია-ეკელესია, სასლთხუცესი-სასლთხუცესი, შესედე-შე-
სე, იშვიათი-იშვითი, კაჲშანი-კეჲშანი, დაბრძანდი-დაბრძანდი, მ-
ტადრე მოკლდება რომლისაჲ ქვეყნელის სასელი, ეგუბ სმ-
რის სსენებისა გამო მკ. ქვათათისი-ქუთათისი, ქუთათისი,
ქუთათისელი-ქუთათელი, თფილისელი-თფილელი, კასეთელი-კა-
სელი-კასი, იმერეთელი-იმერელი-იმერი, აბსახეთელი-აბსახელი,
ახსაჲი, სვანეთელი-სვანელი-სვანი რუისელი-რუელი-მროველი,
მეგრისელი-მეგრელი-მეგრი, (ეგრისი-სამეგრელო) არგვეთელი-
მარგველი.

ზოგ სიტყვას ბოლო-მარცვლი მთლათ ესპობის, მეტ-
დრე ლექსში, თუ სამკიცნოა: მომეცი-მომე, წადი-წა, მოდი-
მო, უჲარესი-უარე, უკეთესი-უკეთე, გაიქეცი-გაიქე, სიზრქელ-
სიზრქე, სითხელე-სითხე, მოთხელა-მოთხო, მასლავს-მასხს.
(დავითნი).

მონათესავე სიტყვები მეუფე და მეფე, დედაკაცი და
დიადი პატარა და პაწა, აღდგომა და ადგომა, აღვიდა და
ავიდა, მოვალს და მოვა და მისთ. სხვაობენ ერთმანერთისა-
გან მხოლოდ ცნებათა ვითარების სარისხით, განყენებულობით
თუ მოკიდულობით, მაგ. ადგომა-ვიტყვით ყოველ შემთხვე-
ვაში ხოლო აღდგომა გერძოში. დიდის გეამოვნების ადგო-
მაზე: აღდგომა ქრისტესი და მისთ. დიდი მაგ. სახლი, დიადი
იალბუზი, გმირობა და მისთ. აქ ცნებათა სხვაობას აჩენს
ფონეტიკური სპობა, თუ უსპობელეობა.

ფონეტიკური ჩართვაც ბერისა აგრეთვე აკეთილხშიერებს
სიტყვას. იქ, საცა ერთს ენას უჭირს გადასვლა ერთის ბგ-
რითგან მეორეზე ერთგვარობისა, თუ უკანასკნელის სიმკერის

გამო, ჩაერთვის წინ მტკნარი, თუ რბილი ბგერა ასე ვთქვით, მოსაშვალედ, ენის იკუმოსაკიდებლათ და სიტყვის დამსაზღებლათ. ამის ძალით ნაცვლად შემდეგის პირველი სიტყვებისა ვამბობთ მეორეებსა: სბოები-სბორები, ხეგები-სეგნები, ჭყელიტი-ჭყელიტი, კამეწი-კამეჩები, სხს-სარსა, ადგილი-არდგილი, აჭამდის-აჭანამდის, (შ. რ.), მიდორი-მინდორი, სიმიდი-სიმიდი, კუ-რკუ, დაღლიდი-დაღალული, ვიცსლი-ვერცსლი, რვაპეტი-თვამეტი, ცუდი-ცუდდი, აგური-ანგური...

52. ფონეტიკურს ენის ვითარებას, როგორც ჩანს, აქვს თავისი წესები, რომელსაც ძლიერ სიფრთხილით უნდა მოჰყოლას, რათა „აზრ შემოკლდეს ქართული, არ იქმნას სიტყვაგდირობა“ (შ. რ.) და „ენას უემესობა არ შემოერიოს“ (დ. ყ.) ამაში საჭიროა უწარჩინებულესის მწერლებისადმი, თორემ მოსდების ისეთი ზღვირუესმელობა, როგორიც მოსდით ზოგიერთს ვაკე-იმერეთის და ქართლის გლეხებს და ჩოგჯერ მწერლებსაც კი. პირველთაგან სშირათ გესმის ასეთნაირათ დასასიწრებული სიტყვები: ცესლი, მარტალეი, აქსეი, მეგედი, სიმიდეი, მამიეი და სს. ნაცვლად სიტყვებისა: სიმიდი, ცესსლი, მარტოკა, აჭა (ნა), მოგედი, მამია... მეორეთა, ე. ი. ზღმოსავლეთის ქართველთაგან სშირათ გესმის: შემომსედეი, მასწავლეი, გააკეთეი... ნაცვლად იმის, რომ თქონ: შემომსედეი, მასწავლეი, გააკეთეი; მათ ავიწყდებათ, რომ ეს ეეი არის დაბოლოება ზოგის უმეშაობითი ზმნებისა: წამეეი, დაწეეი და მისთ. ეს მაგდენი არაარისრა. მსოლოდ სიტყვა საჭიროებას გარეშე მძიმდება-გრიქლდება. ცუდი ის არის, რომა ზოგჯერ ცნებებსაც რეკენ, თვით მწერლებიცა. ნაცვლად იმისა, რომ თქონ; იწყება, დგას, გთსოვსთ, გქონდესთ, გპრასავსთ, კარები და სს. ისინი ამბობენ: იწყობა, დგა, გთსოვთ, გქონდეთ, გპრასავოთ, კარებები და მისთ., თუმცა, როგორ არ იცინან. რომ იწყობა ნიშნავს ღაგდება ს, დგა-იდგა-ს, გთსოვთ-ჩვენ თქვენს წინა-

შე მთხოვნელისგან, გძრახავ-ჩვენ, თქვენი მძრახველი ვართ, გარებები, ასუ უკეთ კარენი-რამდენსამე ორმაგს გარს ნიშნავს და სხ.

თუმცა ასო-ს, სშირათ სმარებელი, მეტათ უსიამოვნოა და არ ითმენს მას ქართული ენა, მაგრამ, თუ უმისოთ ცნებები ერთმანერთში ირევა, გამოშვება უგანონია. თუნდა ცნებებიც არ ირეოდეს ასე სატყეების დამსინჯება, როგორც ქართული გლეხები ამასინჯებენ, ნამეტანია: ქრიტი, კოტანტილე, ტეფანე, ამითენ, ოტატი, ჰრიტავი, ტარჩინა, ფოტიფული და სხ. ზემოთ ჩამოთვლილ გვარათ სიტყვების დაკვართვა არის ფონეტიკური უმიგვანობა, რომელიც წარმოსდგების იმისგან, რომ ერი, მდაბიონი მოკლებულია დიდსახობით სეფობის, მაქადაგებელთა და მწიგნობრობის განმანათლებელ სიტყვასა.

53. ამ გარემოებას და დიდსახობით გაცდგეებს თვისტომის ერისგან უმწვერვალეს ფონეტიკურ უმგვანობამდე მიუყვანია მეგრულთა და სვანთა ჰირში (თუმცა მათში სშირია ქართულის ენის მცოდნენი უმშვენიერესადც ვინემ თვით ქართლ-კახეთ-იმერეთში.) რომ მეგრული და სვანური არიან იგივე ქართული ენა, ამას ცხადათ ამტკიცებს სიტყვების ფესვები და მრავალის უსაჭიროეს სიტყვების ერთ და იგივეობა. თუმცა ეთიმოლოგიურად დღეს პირველი შესედეით გარჯათ სსვანებენ ერთმანერთისგან ქართული ენა და მისი ენასხმულები მეგრული და სვანური, მარამა ენათ მეცნიერებამ უკვე დაამტკიცა, რომ ეთიმოლოგიური და ფლექსიური სსვანობა არაფერ შუაში არიან, როცა ორის ენის ერთობაზე, თუ თვითებით ცდგეობაზედ არის ლაპარაკი, ამისი უსარწმუნოესი საფუძველი არის სიტყვების ფესვები, რომელნიც ჯლევის და განსილევის დროს უნდა მოიყვანო თვით უმარტივეს ფორმამდე. რომ შეგაფარდოთ ერთმანერთს დედა-ქართული და მეგრული და სვანური სიტყვები-აღმოჩნდება შემდეგნი ჭეშმარიტებანი:

1, მეგრულნი ბეგრანი, როგორც ნარნარს გარესკნელ ბუნებაში ნაზარდნი უფრო დანაზებულინი არიან, ვინემ სვანურნი. ეს უკანასკნელნი, როგორც მძაფრის ბუნების ნაშენი, უფრო ტლანქნი არიან. მაგ. ბეგრა ყ და ლ (ეჭადე, ქობა (ლ) (ჟ) მეგრულში ჯდარც კი ჩანან, სვანურში კი უფრო დაქობიტებულიან. დედა ქართული სიტყვების ბეგრანი ამ შემთხვევაში შუა სარისსე დგანან მეგრელსა და სვანურ შუა.

2, ერთი სიტყვაც არაა მეგრულსა და სვანურ ენასსმღებში (დიალექტებში), რომ ქართული არ იყოს: ანა მივიწყებული უიციობისგამო, ანა აპქაიზმოდ ქცეული. ამიტომ არის რომ ძველი ქართული ენა, კოქოთ საღვთო-საეკლესიო წიგნების, მეგრელს უფრო ესმის, ვინემ სსვა ქართველს.

3) მეგრულში და სვანურში სშირია, რომ საგნის ერთის ნაწილის სასელი არის გადატანილი მთელ საგანზე, რომლის ნამდვილი სსეული მივიწყებულია, მაგ. დისა, (მიწა-თისა), კუჩხი (ფეხი-ფეხის ნაწილი), ეჭადე (სასლი-ერთგვარი თავის მისაუყუდებელი, ბინა, ღიმენა, ნავთ სადგური) კოჩი-(კაცი-გოჩი ქართულათ ველურს კაცს გვიქვია, ჰირველუოფილს მდგომარეობისა) და სს. ნუთუ ასეთნაირათ სიტყვების დამცირება იმას არ მოასწავებს, რომ თემი განათლებას დიდით ჩამორჩეობა და შემოსსტობია მიმომსედველობა.

4) მეტნიერულათ შესწავლან და გამოკვლევა მეგრულისა და სვანურისა იქმნება იგივე ქართულის ენის შემუშავება.

54. ფონეტიკურის მოხილვისგან რამდენადმე უკვე ჩანს სიტყვის გარეგანი აგებულობა. ყოველ სიტყვაში შეხედები ორიოდეს უცვალებელ ბეგრას. მონათესავე სიტყვებში რომ უცვალებელნი ბეგრანი რჩებიან, ამათ ჰქვიათ ფესო. იგიარის სიტყვის თესლი და ნასახი. ცნება-საგანზედ არის შეცული თვით ამ ფესოში. ასეთი სახელწოდება მიკერძოიათ უცვალებელს ბეგრებს სიტყვებში მსგავსებისაგამო, მცენარის ფესვისა და სიტყვების

მდგნე ბგერებს შორის. როგორც მცენარის ფესოზედ იზრდება ღერო, რტოები, ტოტები, ფოთლები, აგრეთვე სიტყვის ფესოზედ ცენდებიან სიტყვები, მაგ. სიტყვაში კაცი ფესო არის კაც. ამ ფესვისგან განარსებულან სიტყვები: საკაცი, კაცური, დაკაცება, განკაცებული, კაცობრივი, კაცრიელი, უკაცური, არკაცური, დედაკაცური, და სხ. ავიღოთ მეორე ფესვი ფრ. ამისაგან გასახიერებულან: ფრინველი, ფრენა, საფრინველე, ფრთოვანი, ფრთელი, ფრთა. აღფრთოვნება, შეფრთვნა, მფრენი და სხ. ფესოზე კეთ აშენებულან სიტყვები: სიკეთე, მოკეთე, ვაკეთე, სიკეთიანი, უკეთური, სასიკეთო, დაკეთება და სხ.

ამაღენათაც სიტყვები ფონეტიკურის მხით გვანან ერთმანერთს, იმაღენათვე მათგან აღნიშნული ცნებები ენათესავებიან, კმსგავსებიან ერთმანერთს.

55. ფესვების (ანუ ცნებების) ერთმანერთისგან დამოკიდებულებას გვიჩვენებს ეს სიტყვის ნაწილები. რომელნიც ეზაეებიან ფესოს თავს და ბოლოს. ფესოს რომ წინა უძღვის იმ მარცვალს ჰქვია თავსართი (ანუ პრეფიქსი) მაგ. სიტყვებში: სა-სწორ-ი, აღ-დგომა, გა-კეთება, მარცვლები სა, აღ, გა არიან თავსართი. თავსართი ზოგჯერ ორ-სამ-მარცლოვანიც არის, მაგ. მიმო-დაყოფვა, გარე-შე მოწერა და სხ. სიტყვის ფესოს რაც ხმები მოსდევს, იმათ ქვიათ ნაბოლოვარი. იგი არის ორგვარი საკვეცი და ჩასართი.

56. სიტყვის ცვალებადი, ბოლომარცვალნი იწოდების საკვეცად, ან ფლექსიად. მაგ. კაცი-ი, კაცი-სა და სხ. თუ ახალი სიტყვის გამოსახვა გვინდა ერთსა და მასვე ფესვზე, უნდა ფესვსა და საკვეცს შუა ჩავაყენოთ სხვა მარცვალნი, ან ბგერა რამ, რომელსაც ქვია

ჩასართი, ანუ სუფიქსი, ანუ კიდე მაწარმოებელი მაგ. სიტყვებში: კაცურ-ი, სოფლ-ელ-ი ბგერები (ასოები) კაცობა-ი, მარცვლები: ურ, ელ, ობ, არიან ჩასართნი, საკვეცი მოსდევს ჩასართსა და გვიჩვენებს სიტყვების (ფესების, ცნებების) დამოკიდებულებას და ურთიერთობას; იგი ცვლის სიტყვის ფორმებს (კანკლედობით და მიმოხრით) ცნების შეუხებლათ და შეუცვლელათ, ერთი სიტყვით ჩასართი არის უცვალი სიტყვის ნაბოლოვარი, ხოლო საკვეცი ცვალებადი. პირველი გვიჩვენებს სამეტყველო ნაწილებსა, ხოლო მეორე მათს ურთიერთობას.

57. სიტყვის ცვალების დროს, იცვლების ხოლოთ მიწი დაბოლოება, დანარჩენი სიტყვის ნაწილი უცვლელათ შთება. ამ უცვალებელ სიტყვის ნაწილს ქვია ფუძე, ანუ თემა, მაგ. საგმირ-ო მოსახლ-ე, მოსახლ-ისა. აქ სიტყვის ნაწილები: საგმირ, მოსახლ, არიან, ფუძენი სიტყვისა სახლი და მოსახლე. ერთის სიტყვით ფუძეს სიტყვისას შეადგენენ ერთათ: თავსართი, ფესო და ჩასართი. ფუძეს ზოგჯერ შეადგენს მარტო ფესვიცა მაგ, კაც-ი, მიწ-ა, კატ-ა. აქ ნაწილები: კაც, მიწ, კატ, ფესონიც არიან და ფუძეცა.

ზოგჯერ კი ფესვი და ჩასართი ერთათ შეადგენენ ფუძესა, მაგ. მიწურ-ი გმირულ-ი. აქ ი და ი არიან საკვეცი, და დანარჩენნი კი ფუძენი.

ფესო ერთუფროსათ შესდგების უხმო ბგერათაგან, ფუძე კი ხმოვანთაგან.

თავსართი და ჩასართი აქვთ წარმოებულ სიტყვებს, საკვეცი კი ხოლოთ ცვალებათა.

58. ცვალება სიტყვაში არის ერთი ან ორი ისეთი ბგერა, რომელიც მკაცრათ განასწავს ერთ სიტყვას მეორის

მისი მსტაცისგან და ასისათუბს მას, ამას ქვია სიტყვის ნიშნეულება. იგი მოკლევადის სიტყვას (ან თავში ან ბოლოში, ან კიდევ შუაში) მისის ფორმების მავითარებლათ, (სამეტყველო ნაწილების) თანამეოლთა მჩვენებლათ. სიტყვებში: კ-მუშაობ, ი-მუშავე, გი-წერ, წა-იკითხ-ე... ნიშნეულობანი არიან: კ, ი, გი, ი, იმიტომ, რომ პირველი მათგანი არი მიუცდილებელი კუთნილება ზმნის პირველის პირისა, მეორე-მეორისა, მესამე-მისამებითი ზმნის ამდაჲმ ფორმისა და სს.

59. სიტყვებს რომ წარმომდინარება გაეუჩხრიკოთ, ენახეთ, რომ ზოგი მათგანი შესდგების ხოლოთ ფესვისა და საკვეცისაგან: ზოგი სიტყვა კი განრსდების ჩასართის ჩაყენებით ფესვსა და საკვეცს შუა, ან თავსართის მობმით. პირველგვარ სიტყვებს ეწოდებათ ძირითადი ანუ დასაბამითნი, თუ პირველსახეობითი სიტყვები, მაგ. პურ-ი, გმირ-ი. წყალ-ი. თევზ-ი, კაცი-მეორგვარ სიტყვებს ჰქვიათ წარმოებითნი, მაგ. საპურე, გმირული, მოთეთრო, საწყლე, საგმირო, სოფლელი, განკაცებული.

60. თვითეულს ენას წარმოებითი სიტყვები ბევრათ უმეტესი აქვს, ვინემ პირითადნი (მეტადრე თუ ენა მწიგნობრულათ დამუშავებულია) რაგინდ ენა მდიდარი იყოს მას მხელათ თუ სუთასსედ მეტი პირითადი სიტყვა მოეპოვება (ზმნების შესადგენათ). როგორც ერთის თესლისგან ისახვის მრავალმარცლოვანი თავთავი, ეგრეთვე ერთი სიტყვის ფესვისგან ბარტულის მრავალი სხვადასხვა მნიშვნელოვანი სიტყვა. რაც უფრო ბევრი სიტყვა წარმოეს ერთი პირითგან, მით უფრო ენა მდიდარია და დამუშავებული, აღსული, პირითადი სიტყვების სიმრავლე ენის სიკეთეს ვერ მოწმობს იმდენათ, რამდენათაც წარმოებითთა სიუსვე და ფერადსახეობა. ამასი ქართულს ენას ენა ვერ მოუგებს (იხ. მ. 63.) ავიდოთ დასაბ-

მითი სიტყვა ცნება. ამის ფესვზედ ამცენებულან: მეცნიერება, მცნება, უცნობი, საცნაური, შემეცნება, საცნაურობა, უცნაური, მეცარი, უმეცრება, უვიცი, მცოდნე, ცნობიერი, გამოცანა, მეცნაობა, ცნობადი და სს.

61. ერთის ფესვის შემცველ სიტყვას (პირველსახეობითი იყოს ეგ სიტყვა, გინა წარმოებითი) ეწოდების მარტივი, მაგ. დღე, კეთილი, გმირი, გული, კაცი.

თუ სიტყვაში ორი ან მეტი ფესვია, მაშინ იგი არის რთული: მკვერმეტყველი, კეთილმსახური, ბოროტმოქმედი, სახლთხუცესი, კარისკაცი, მართლუყუნქცეული, მრჩობლსმით — გადასელითი, მაღალღვთისმეტყველი, დედაკაცი, მამაკაცი, ქალიშვილი, ვაჟიშვილი და სს.

როდესაც ორი თუ სამი ცნება გადაჭეულია ერთად, მაშინ სიტყვაც ორის თუ სამი ძირისგან შემდგარი შეერთებულია წერაშია და ერთ სიტყვად ქცეული, ამიტომ მათ შორის საჭირო აღარაა მკერთი ნიშანი, ანუ ხაზწყნიკა (—). მიუხედავად ამ წერისა დღესაც მრავალნი მწერალნი წერენ: კეფესის-ტყაოსანი, წინა-სიტყვაობა, კეთილ-საიმედო. ეს უკანონოა და უნებურუნება ზირველმოფლობისაკენ, ასე რომ გავსინჯოთ თითქმის ყოველი სიტყვა რთულია. თუ იმის ეშინიანთ სიტყვა გრძელია, ეს ტყუილი შიშია; იმ სიგრძე სიტყვა ჭართულში არ იქმნება, რამ სიგძეებიც გერმანიულს ენაშია. ერთსელა და სამუდამოთ უნდა მოისპოს ეს გადაზმა და იწერებოდეს: ვეფესისტყაოსანი, ნათელთებუზა, შიარსიტყვა, წინა-სიტყვაობა, ღმერთმამაკაცი და სს. როდესაც ორი ცნებაა სიტყვებში და ორი არსებითი სახელი, მაშინ კი უნდა შუაში ხაზწყნიკა, მაგ. თევზ-კაცა, ჯორ-ცხენა, ქალ-ბიჭა. აქ ისიც არის და ისიცაო, ამას ნიშნავს მკერთი და მაშინ უკანასკნელ სახელს არსებითს თავისი სმოკანი ბგერა ეცვლების ა-ზედ, ხოლო ზირველს მთლათ ესპობის თავისი ფლექსია.

62. ცნების (თუ საგნის) მიხედვით, სიტყვა-სახელი არის ორგვარი: მოკიდებითი და განყენებითი. ვარდი მოკიდებითი სახელია, ხოლო ვარლობა-განყენებითი. კაცი-მოკიდებითი, კიცობა-განყენებითი, შავი-მოკიდებითი, სოშავე-განყენებითი და სხ.

მართო ქართულის ენის თვითუბითი თვისება და ღირსება ის გარემოება, რომ ყოველს მოკიდებითი სახელს აქვს თავისი განყენებითი. თვითუბლი ენა ცდილობს მიადწიოს ამ აღსულობას, მარამ არა ყოველს ენას და ყოველთვის უსერსდება გამოგონება ახალსაღის განყენებითი სსეულებსა. მოკიდებითი სახელი, ასე ვთქოთ, არის დასახელება თვით საგნისა, ხოლო განყენებითი უფრო საგნის გითარებისა. და რათგან განყენებითი უფრო ძნელი გასაკება, ვინემ მოკიდებითი, რათგან მათ მიერ აღნიშნული რჩეები უფრო გონებით მისაწდომია, ვინემ (გარეგანის) გრძნობებითა და რათგან საგნების გამოძიებას უნდა საგრძლივი გონებითი ძეშობა და გამოცდილობა, —აქედან მეტქი უნდა დაისკვნას ის, რომ ერი მრავალის განყენებითი სიტყვების მექონი, სულიერათ დიდათ გითარებულა. ესრეთი ენა არის მეტათ მმარჯული ფილოსოფიური-ისტორიულის მეცნიერებისათვის. ქართულს ენას ამ ღირსებას გერვინ მოაქლებს.

63. ჩვენ პატარაობითვე ისე უნებურათ და უსარჯლავათ გვაქვს შეთვისებული სიტყვები, რომ ასე გვგონია ყოვლისვე ჩვენ მიერ ნახმარი სიტყვის შინაგანი მადა და ცნება კარგათ გვაქვს შეგნებული; სიტყვები რომ ვიცით, ასე გვგონია საგნებიც და მათნი გითარებასიც ვიცითო. ამიტომ დიდობაზედაც სშირათ მოგვდის სიტყვების წარამარა სმარება; ჩვენ გვინდა ერთი აღნიშნოთ და მეორე კი გამოდის. თანამედროვეს ქართულ მწერლობას რომ თვალი გადაავლო, აუარებელს შესვადები ასე წარამართ ნახმარ სიტყვებს. მოვიყვანოთ ორიოდე

მაგალითი: ვიღაცას მონდომნია, რომ რუსული სიტყვა стремление ქართულად გადმოეთარგმნა და ამისათვის გამოუგონია უწმაწური სიტყვა „ლტოლვილება“ ქართულს ენას აქესკი ამის მსგავსი სიტყვა „სივლტოლა“ და იგი ნიშნავს იმას, რომ რასმე განერიდება, შორდება სისწრაფით. ქართულს მწერლობაში კი უოგელს ბიჯზე შესვდები ასეთს ფრანგებს: ახალგაზდობა ელტვის განათლებასა და სს. მწერალს უნდა თქვას, რომ განათლებისაკენ მიისწრაფის, მიდრეკილება, მიზიდულება, სწრაფა, მოსწრაფება... აქესო და უკმოქცევეკი გამოდის, ე. ი. ერიდება, გაურბის განათლებასო. ეგ სიტყვა ძველს მწერლობაში ათასგან არის ნახმარი თავისის სინამდვილით. რაღა ძველს ახალშეაცვი: „მსელი არის მარტოობა სულისა, მას ელტვიან სიამენი სოფლისა“ ნ. ბ. ე. ი. გაურბიან მარტოობას, მარტოობაში სიამე არ არისო. მეორე სიტყვა: ბეჩავს ქართველ მწერალს გაუგონია, რომ რუსული სიტყვა варить ქართულად ითარგმნის სარშვად. ახლა თუ უნდა თქოს: სტომაქი ინელებს, ანუ იქარვებს საჭმელსო, მის ნაცვლად სმარობს: გუჭი ინელებსო. ერთი რომ გუჭი არ ინელებს საჭმელს, არამედ მთელი სტომაქი, (ეს ბერძნული სიტყვა სინამდვილისათვის არი შემოდებული ძველადვე.) რომელშიაც წარმოებს ქიმიკურათ ზავება. მეორე სარშავსო, რა სიტყვაა? განა სტომაქი სორცის სასარშავი სიავი არის? თვით რუსთა ფიზიოლოგები, როცა უნდათ ეს ცნება აღნიშნონ, სიტყვასთან переварить ფრსილდება უსხმენ ფრანგულ სიტყვას (digeres),-იციან, რომ переварить და ნამდვილად არ აღნიშვნის სტომაქის მოქმედებას, საღსი იტყვის: „მუცელი მეწვის (ანუ მტვივა) შიმშილითაო“. ბეჩავი ქართველი მწერალი საიდამლაც თარგმნის: „გუჭი მეწვის შიმშილითაო.“ რომელი ერთი ჩამოკეთალოთ. მომავალი კრიტიკი ჩვენ თანამედროვე მწერლობას დაარქმევს სსვათა შორის „ქართულის ენის მქენჯნავს სასა“—ს.

აი ამისთვის სხვათა შორის, საჭიროა მოკლეთ განკუ-
ხილეთ სიტყვებს მათი შინაგანი მნიშვნელობა.

მართს ძირკვზედ აღმოცენებულ სიტყვებს რამდენიც
უნდა იყოს ისინი, ეწოდებათ მონათესავე სიტყვები.
ამის მაგალითები ზეერთაც იყო (54 და 59 მ.) აქაც
მოვიყვანათ. ავიღოთ ფესო ტყ. ამისგან განარსებულან
სიტყვა, უტყვი, მეტყველი, სამეტყველო, სიტყვიერება,
უსიტყვო, (მჭევრ) მეტყველება, (ღვთის) მეტყველება,
მოტყუება და სხ.

64. მართი და იგივე საგანი სხვა და სხვა ქვეყნის
და სხვა და სხვა ბუნების შეილთა (აღამიანებს) გრძნო-
ბა გონებას სხვა და სხვა ნაირათ დაჩნევიან. აქ ძვეს
საფუძველი სხვა და სხვა ერის განარსებისა. რა ეს, თვით
ერთისა და მისვე საზოგადოებათა კრების, ერის შეილება-
ზედაც სხვა და სხვა მხრით უმოქმედნია ერთსა და მასვე
საგანსა, ამიტომაც ხშირათ ერთსა და მასვე საგანს, თუ
მოვლენას სხვა და სხვა სახელი მიუღია ერთსა და მასვე
ენაში. აი ამისთანა სიტყვები: სეტყვა-კოხი, თხუნელა-
მუღო, როდინი-ქვიჯა-ფილთა, კუკური-კვირტი, ბორბა-
ლა-ობობა, აბლაბუდა-ბანდლი, ბადახში-ლალი, გობი-ხონი,
(თაბახი სპარსულია), გეჯი-ფარცლი, ბოცოარი-ბაჭია, დე-
კეული-უშობელა, კრავი-ბატკანი-ტარიგი, ასეთი-ფეგეთი
ამისთანა, ვერძი-ერკემალი, ცულდი-ნაჯახი, ღვდელი-ხუ-
ცესი, საყდარი-ტაძარი-ეკკლესია, ყურება-ცქერა-მზერა-
ჭერეტა, ჰუნე-ცხენი, და სხ. აგეთ სიტყვებს, ერთისა და
მისივე ცნების შემცველთ ეწოდებათ თანასახელო-
ბითნი, თანასახელნი, ანუ სინონიმები.

მათ რომ გაუსინჯო ეთიმოლოგია და განარსების სა-
თავე, ნახავ რომ ჰერწმინდათ რომ ერთსა და მასვე ცნებას
რამ შეიცავდეს, ასეთი რწი სიტყვა მხელი მოსაპოვებელია.

ერთი სიტყვა ერთის მხრით წარმოგვიდგინებს საგანსა, მეორე-მეორის მხრითა; ერთი შინაგანს თვისებას გვიჩვენებს, მეორე-გარეგანს ვითარებას, ერთი წარმოშობას, მეორე დანიშნულებას საგნისას; თვითვეულის სხვა სხვა ელფერი აძევს და ორივე, თუ სამივე კი ერთს ცნებას, მოვლენას გვიხატავს.

65. ძვინად სინონიმებისა, თუ ერთი სიტყვით ორი თუ მეტი სხვა და სხვა ცნება აღინიშნების, ამისთანა სიტყვებს ჰქვიათ სახელწიარნი, ანუ ანონიმები და ამონიმები. თვალი გვიქვია მხედველობის ორგანოსაც, ერთს ურმის კუთნილებასაც, მზის პირისპირ მცხინვარებასაც; სერი-მცირე რამ ნადიმჰამასაც ნიშნავს, აღმართის წვეროსაც, ბორცვსაც; ხელი-სხეულის ნაწილი, გიჟი, ერთი ტანისამოსის გაწყობილება; თოფი-ცეცხლთამტყორცი აბჯარი, გაუჭრელი დახეული ქსოვილი და სხ.

სიტყვები ისე უნდა დალაგდეს წინადადებაში (იხ. მეორე წიგნი), რომ ცნებები არ აირიოს. სახელწიარნი ხშირათ ხდებიან აზრის გაუგებრობის და ორჭოფობის მიზეზად.

რამდენათაც თანსახელების სიუხვე მოწმობს ერის გონების სიღრმევს და მისს ნაირნაირ დაკვირვებას, იმდენათვე სახელწიარნი ამუღავნებენ მისს, ერთს, გონებით სიდუნეს და ენის სიღარიბესა. მართლადობა მოითხოვს აღინიშნოს ის მოვლენა, რომ აღმოსავლეთის ქართველები უფრო ბევრ სახელწიარს ეწეობიან (და ცოტა თანსახელებს), ვინემ დასავლეთისანი. ჩქარბუნებიერს დასავლეთის ქართველს არა სცადია, (თუმცა-რა „სწორმეტყველების“ პასუხია—სასიკეთოს არას მუშაობს.) იმდენი დრო არა აქვს-მეთქი ერთი სიტყვის გამოთქმით ორი და სამი წარმოდგენილება, ერთის ნაცვლათ აღიდგინოს თავში და მით გონება ზედ მოაცთინოს და შეაუფლოს უოველ საჭიროებას გარეშე. დასავლეთის ქართველი, აღმოსავლეთის ქართველივით, არ იტყვის, მაგალითათ: რძალი

იქ, საცა ბიცოლა უნდა; ბიძა იქ, საცა ჯიშადა (მამისდის. თუ დედის დის ქმარი) უნდა; სიმამრი იქ, საცა მამამთილი (რძელის ქმრის მამა) უნდა: სასელი და სახლები იქ—საცა სასელო და სასელოები უნდა ითქვას: წვერი იქ, საცა წვერო უნდა, საქონელი (ყოლაფერი, რაც იმექონების, რუსულათ რომ товары и скот) იქ, საცა პირუტყვია (ანუ დაბიურათ ზურ-ტყვი); ძროხის ხორცი იქ, საცა სვადგის ხორცია (ეგებ სა-რისაა, ან კამეჩის); სელის სელსახოცი იქ, საცა სელსახოცია და ცხვირის სელსახოცი იქ, საცა ცხვირსახოცია; ნერგი იქ, საცა მხოლოდ ტირითუა; ზარი (გლოვის ხმა) იქ, საცა ზარი უნდა, წყობა—იქ, საცა წყება უნდა; გასადება იქ, საცა მორჩენა, განკურნება, გამართლება უნდა; დაუგდე იქ, საცა დატო-ვება უნდა; პატივი იქ, საცა ნაკება, ნეხვი, სასუქი უნდა; გასა-დები იქ, საცა კლიტე უნდა და კლიტე იქ, საცა ბოქლონი უნდა; მანეთი (ყოველი წერიალა თუელი) იქ, საცა მანათი, რუბლი უნდა; დანა იქ, საცა ჯაყვა უნდა; სტაქანი იქ, საცა ჭიქა უნდა ითქვას და სს. და სს. თვითთელი საგნის ვითა-რების, ხარისხის, როდენობის და სხვა გარემოებისთვის, რაც კი შეიძლება, უნდაწადათ და ცალცალკე იმექონებოდეს და იხმარებოდეს შესამსგავსი სასელწოდება და საგულსმით და საყოყმანოთ საქმე არ გახადოს. იმერმა ეს ჰსინიური პროცესი ადღოთი იცის და ამერი ამას ბუნებითადვე არ დას-დეგს, დროს არ მომჭირნობს, არ ჩქარობს.

ნნ. ყველა ენებს და მათ შორის ქართულსაც ჭირთ ერთი თვისება, რომლისა გამო სიტყვა იხმარების არა თავისი საკუთარის და ჩვეულებრივის მნიშვნელობით, არა-მედ განსაკუთრებულის რითმე მნიშვნელობითა. ორს (თუ მეტს) სხვა და სხვა საგანს ან მოვლინებას რომე-ლისამე თავისის ვითარებით, მხრით აღამიანზე ერთნაირი დანაჩენობა მოუხდენია. ამისგამო აღამიანს ხშირათ

სულდგმული საგნების ვითარება უსულოთათვის დაუმისებია და გრძნობითისა გონებისათვის. ამით ენა თითქო ცდილობს უფრო თვალსაჩინოთ დაგვანახოს (ცნობილით უცნობელი) მოვლინება, თუ საგანი. ჩვენ ხშირათ ეამბობთ: ქვის გული, ენატყბილი, გონებამყვითრი, აზრმა გამიელვა თავშიო, მწუხრის ზეწარი, გულის ყუდე, სულის ნავთსადგური, აღვირუსხმული ენა, ენადაუზრომელი, აზრი დანერგული და სხ.... თუმცა ვიცით რომ ქვის გული არ მომხდარა და არც ენა წყალივით დამზრალიყოს. ამ გვარ სიტყვებს ქართულათ ქვია მოარაკებითი, ანუ ჩამოკრული სიტყვები, ევროპულათ კი მეტაფორა, ტროპი და სხ.

მოაზრებებით სიტყვის მასალა მომდინარეობს ძველისძველის დროთგან, როცა კაცობრიობა (თუ ერი), გონების შლილობით დაბაღს სარისსზე მდგარა. რაც უფრო გონებაშლილია კაცი, მით მას უფრო ემარჯვება განყენებითათ მსჯელობა და ნაკლებათ ესაჭიროება მოკიდვითი წარმოდგენები და სიტყვები. განათლებულის პირისთვის მეტად მოსაწყენია ზედანზედი მეტაფორები. მდაბიონისთვის კი მოსდენილია, მაგრამ მის უურთასმენასაც კი წყისს გადაჭიმული ჩამოკრული ან ზიოდაზიო სიტყვათა წყობილება, ერთი უწარჩინებულესი თანაპარი ქართველი მწერალი, თავის უსატილოს მჭკვრემეტყველებასთან ერთათ, ხშირათ გვახმევს სოღმე ასეთს მეტაფორებს: საჭმის თირკმელები, გონების ბაზარი და მისთ. აქ უნებლიეთ მოსაგონარია ერთის გამოჩინებულის მქადაგებლის შემთხვევა. ერთსელ იგი საღსს უქადაგებდა, კგონებ, სეოლის გასსნის თაობასე და ფულის გამოღებაზე მიდგა საჭმე. ანუ დაიზარებთო მაგ. მცირე წვლილს, ეუბნებოდა მქადაგებელი, მე სსვა წყაროსაც აღმოგიჩენთო“ საღსმა შებღავლა: ნეტა წყაროს აღმოგიჩენდე, თორე ვინ ოსერი ათის მაგდენის გა-

მოდებს შეუდრეკება. იმ სოფელში წყალი მეტათ ძვირობს და მიტომ მჭადაკებელს სელასალი განმარტება დასჭირდა, რომ აქ სასიძელ წყალზე არ იყო ღაჰარაკი. არამედ საშვალეაზე. სასსარზე.

67. როგორც ყოველი სულდგმული, როგორც ყოველი მცენარე ჩნდება, იზრდება, მოწიფულდება, ბერდება და ბოლოს კედება კიდესა, ანუ უკეთ ვთქოთ, არ კი კედება, იცვლება (ქართული სიტყვა გარდაცვალება შეუდარებელია) ერთიანათ, რათა „სიკვდილით ბადოს ცხოვრება“ ახალი და გადაქმნილი თვითება, აგრეთვე ცვალებადია ენაცა. ცხოვრების მომდინარების და ჩვენთ წარმოდგენილებათა ცვლილების დაგვარ, საუკუნეთა განმავლობაში მრავალი სიტყვა იცვლების ენაში, ხმარებიდამ გამოდის და მათ ნაცვლათ სხვა ახალი, (უფრო ხშირათ) მოხდენილი სიტყვები შემოდის ენაში. პირველგვარ სიტყვებს ეწოდებათ ძველო დესმნი, ანუ დრომოკმული სიტყვები, ევროპიულათ არქაიზმონი. ასეთი სიტყვებია: კელობა-კოჭლობა, სიყმილი-შიმშილი, თხიერი-ტიკორა, ნეფხეა-ყინეა, მცონარება-ზარმაცობა, ძარუმე-ბრმა, როკვა-ცეკვა, ჰუნე-ცხენი და მრავალი სხვანი. თუმცა ძველოდესში სიტყვები აღარ იხმარებიან თანამედროვეს, ცოცხალ ენაში, მარამა ისინიც ზოგჯერ საჭიროა ისტორიულს და პოეზიურს თხზულებებში ძველის მდგმოების და ისტორიულის პირების დასახასიათებლათ.

დიდი სიფრთხილე მართებს მწერალს, რათა უვიცობისგან არ გაჰყოს ენიდამ ისეთი სიტყვები, რომელთა სამაგიერო აღარ რჩება. აქაო-და ჩემი ნაცნობები გერ მისვდებიან და ნაცვლათ ძლიერი სიტყვებისა ახლის აღნაქვსობის სახელით. მწერალმა არ უნდა შემოათრიოს უმარჯულო და საიდამლაც გადმოტანჯული უკმესი სიტყვები, როგორც დღეს არის ქარ-

თულ მწერლობაში. ეგებ ზეწრულს მწერალს ზოგი სიტყვა ძველადესში ეგონოს, მას მისი შეცულობა არ შეეგნოს, მაშა ღრმა მწერლისთვის საჭიროა რთულთა და მაღალზრაცან თხზულებათა წერაში, იქ საცა ჩვეულებრივი საყოველთაო ენა შეესაფერია. დიდ შეცდომად სთვლიან ენათმეცნიერნი ასეთს გაღარიბებას ლექსიკონისას, საიდანაც მრავალი ზოგადი სიტყვა არქაიზმოს სასელით მიუგდიათ და მათდა ნაცვლათ შემოულიათ ცალკანათ ცნების აღმნიშვნელი ახლათ გამომცხვარი სიტყვები, რომელიც ერის გულს ეურჩება.

68. თუ ერთისა და მისივე ერის სხვა და სხვა ოქმს ერთმანერთში ხშირი მიმოსვლა არ აქვთ და თვითეული განმხოლოებით ცხოვრებას, ამ დროს ერთს მათგანში იფარვის ისეთი სიტყვები, რომელიც მეორისთვის უცხოა. ასეთს არა სამთელსურო სიტყვებს ეთქმის აღგილობითნი, ანუ სათემო სიტყვები. პაროცინციალიზმო ეწოდებოდა. ძალიან ცოტა ქართველობამ იცის, თუ რა არის: გობი, ხონო, ვარცლი, თაბახი, ყოყოლი (ქათმის მამალი) ღვეძელი, ლანძილი, ჭიჭილაკი, კალანდა, ცვრევა, თაგოთაგოობა, ბობოლან და სხ. სათემო სიტყვებს უფრო ხშირათ შეხედები ზომისმეტყველებაში: კასრი, კოდი, ჩანახი, კოკა, ჩაფი, გოზაური, ჩარექი, ბათმანი და სხ. სათემო სიტყვები საჭიროა მდგომარეობითს მწერლობაში, მარამა იქვე უნდა განიმარტოს ყოველი სიტყვის მნიშვნელობა.

ახლანდელს ქართულს მწერლობაში ერთობ გასშირდა ენა-გილოთი წერა, მითომ და სასაღსო პოეზიის სასელით, იმთემის შვილი უნდა იყო, რომ ეს ნაწერები გაიგო. დანარჩენს ქართველებს იგი არ ესმის; ისე დაკვართულია ენა, რომ არავითარს ენის კანონებს არ ექვემდებარება და ხშირათ აზრიც ორგოფდება და ირღვევა. ამას ჩადიან ზოგნი ახალ მწერალ-

ნი მაშინ, როცა თავისი საკუთარს ნაწარმოებსა სწერენ, საღ-
ხურს როცა აგრობენ და ბეჭდენ, მაშინ სომ სელშეუხებლათ
უნდა დაიწეროს; მაგრამ როცა სასაღსო და საეროს სწერ,
მაშინ პროვინციალიზმის სასელი აქვს. აქ უნდა იწერებოდეს
საერთო ქართულის ენაგილობით და საფუძვლათ უნდა იყოს
ქართლის მცხოვრებთა სიტყვა-მასუხი (იმ პირობით კი, რომ
გამკვეთელ იქმნეს ის სპარსულ-სომხური სიტყვები, რომელიც
ქართლში ბევრია, მაგ. უაირათი, ხარდალი, უისმატი, მურაზი,
უასიდათ და მისთ.) ქართლს უნდა მიეცეს უპირატესობა ა)
იმიტომ, რომ აქაური ენა უფრო ზოგადია დანარჩენის ქარ-
თველებისთვის, ვინემ სხვაგანებური; უფრო მდგნა და მკვიდრი.
ბ) იმიტომ, ქართლებების სასიათი უფრო გამომუშავებულ-
გამოჭდილია, ვინემ სხვა ქართვლების და გ) იმიტომ, რომ
ქართლები ბევრათ უფრო დამსახურებულნი არიან, ვინემ
სხვა ქართვლთ თემები. იმათადენი სისხლი არავის დაუღვრია
სარწმუნოების და მამულის დასაცვლათ. მთელი საქართვლოს
ბედი სისხლიანის „კალთით უტარებით“ და მისი ისტორია
რის წვით და დაგვით აქამომდე მოუტანიათ.

69. რამდენათაც უცხო ქვეყნების განათლება წინ
მიდის, რამდენი ახალი გამოგონება და აღმოჩენაა-ერთი
სიტყვით რამდენი ახალი ცნება იზადება, იმდენივე ახალი
სიტყვა-(ტერმინი) შემოაქვთ. ამათი შემოუღებლობა მიუ-
ცილებელია სხვადასხვა ერისთავის, გამომგონებულის ერი-
სთვის ამისთანა სიტყვას ქვია ახალთხზული, ხოლო
სხვა ერებისთვის, რომელთაც ის სიტყვა მიუღიათ-ეწო-
დება სხვაგანებური, ანუ უცხო სიტყვა: ორსავე გვარ
სიტყვას კი ერთათ ქვიათ შემოღებულნი, (ნეოლო-
გიზმო ევროპიულათ). ახალთხზული სიტყვებია ქართულ-
ში: მიმართულება (ი. ჯ.) შინაარსი (გ. წ.). (თუმ-
ცა ეგ სიტყვა მეტია, ძველათ ამას ეძახდნენ შეცულო-

ბას, ეგ არ ცოდნია მწერალს და ახალი შეუთხზავს.)
ლიანდაგი (რკინის გზის), სათევარი (როლი) და მრ. სხ.

სხვაგნებური სიტყვები არიან ქართულში: ჩუ, ყავა, სამოვარი, პოლსაპოშკი, გაზეთი, თეატრი, ტელეგრაფი, გალენიზმო, ტელეფონი. მიკროფანი, ესტეტიკა, ალგებრა, ვაგონი, ლიპი, კორსეტი, ტურნური, ლოკომოტივი და მრ. სხ.

ნეოლოგიზმების შესახებ ევროპელებს ასეთი წესი აქვთ. დასჭირდებათ ტექნიკურის ტერმინის შემოღება, მაშინვე მიმართვენ ძველს, კლასიკურ ენებს, (რომლითაც მათი ენები სულ-დგმულობენ: ბერძნულიდამ, თუ ლათინურიდამ) ფესოს იჭიდავს ამოიღებენ, თავიანთის ენების ფორმებს მისცემენ და გამოდის ნეოლოგიზმო. მაგრამ ამ ბოლოს დროს გერმანელს მეცნიერებს ამ მიმართულებისთვის თავი დაუსწებიათ და სხვა გზისთვის მიუძღრათ. მათ დაუწვიათ ძველს გერმანიულს ენაში ეძიონ თერმინისთვის ფესო. ისინი დღეს ასე თურმე სჯიან: დედაენის ძირკვზე აღმოცენებული და თავისი საკუთარი საუნჯისგან ამოღებული სიტყვა უფრო ეთვისტომება ეურთაშემნას, უფრო გასაგებია უცხო ენათა უცოდნელისთვის და უფრო მალე შესავისებელია მოსწავლე ყრმათათვის, ვიდრე სხვაგნებური. ქართულში მწერლობამ ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა ათხოვოს. ძველი ქართული ენა არის ისეთი უღიკველი საუნჯე, რომლის მსგავსი არცერთს ევროპიულ ენას არ მოეპოვება. სიტყვები: ღიბერალური, გუმანური და მისთ. გამოუყვებია და გამოუშეყვებია რომელთა ცხოვრებას და ერთობ ცოტას ბანს აძლევს ახლანდელის თესლტომების ეროვნულს თვითცნობიერებას.

რამდენჯერ შეგროვილა ქართველი უმაწილკაცობა. სატექნიკო ტერმინების გამოსატყობელათ და აღსადგენათ კი არაოდეს. ყველას უნდა თავისის თავიდან გამოიგონოს

ასალი რამ, როცა რომ მსამზარეულო და მოსდენილი „ხუმირ-სა ქვეშე აწევია“. ძველი ქართული მწიგნობრობა მიუწოდებ-ლია უმადილკაცობისათვის. არც თვით მწერლები არიან გაცნო-ბილი მასთან და ამიტომ მთლათ ასალი ქართული მწერლობა თითქმის ჭეშმარიტად აშენებული. საგონებელია მომავალში გამო-ჩნდეს კრიტიკი, რომელიც ჩვენს მწერლობას კაბდოს მოსდებს და სულ ერთიან უარყოფს და იტყვის: „არავინ შთაასხის ღვი-ნო ასალი თსიერსა ძველსა“ და დამძალსაო. რაკი გარეგანი ფორმა მასინჯი ექმნება მწერლობას, მისი შინაარსიც ფუჭია, თუნდ კაი იყოს. მაგრამ რომ არც ეს შინაარსი დგას ჭეშმარ-იტი გზაზე. „რაც არ არის შობილი წარსულისგან, იგი ვერ იქმნება, მშობელი მომავლისა“ მხოლოდ ძველის წიგნების აღბეჭდვა და გამოსაქარება დაბადებს ასეთს კრიტიკს, რომე-ლიც ადვილათ შეისწავლის ძველს მწერლობას, ერთს მეორეზე დააფუძნებს და ერთს მეორისგან გამოიყვანს. მანამდის კი ნუ ვინ მოელის ასეთს კრიტიკს და ნურცარა სხვა მიზეზს ეძი-ებს, როგორც ამასწინათ ორმა საჩინო მწერალმა გამართეს ამასე პოლემიკა გაზეთს „ივერიაში“. ერთი ამტკიცებდა: კრი-ტიკი მიტომ არაგვევს, რომ ქართველებს კრიტიკური ნიჭი არა გვაქსო. (შემცდარობა. სრულიადი.) მეორე ეკამათებოდა: ნიჭი როგორ არა გვაქსო, მაგრამ განათლება გვაკლია, ზოგა-დი განათლება. განათლებაო, მაგრამ ბოლო კი აღარ გაატანა, განუმარტებინა, თუ როგორი განათლება. ბევრი იკამათეს ამ დარბაისელმა მწერლებმა და ჭეშმარიტება კი სულ უბრალო რაშიმე იყო და სასელდობ ის, რომ უმადილკაცობას, ძალიანაც რომ სურდეს, არ შეუძლია გაცნოს ძველს ქართულ მწი-გნობრობას და საზოგადოთ წარსულს, თვით უწარჩინებუ-ლესი თსულებიც კი არ არის აღბეჭდილი.

70. სხვაგნებურის და საპირობისათვის შემოღებუ-ლი სიტყვებისგან, რომელიც ასე ამდიდრებს ენას, მკაც-

რათ უნდა განიჩხეს ე. წ. შემოწაყარი და მოღური სიტყვები. პირველი სიტყვები ქვია ისეთებს, რომელნიც ყოველ საჭიროებას გარეშე შემოაქვთ ვილაც ვილაცებს უგუნურობის გამო, მაგ. ხარდალი, ყასიდათ, ყაირათი, ყონალი, ყალანი, ტუტუცი, ქნარი, პაპამა, მამამა, დამა, ბარიშნა, უჩიტელი, უჩენიკი, ნაჩალიკი, გალავა, პრისტავი და მისთ. ამისთანა სიტყვას ევროპიელნი ბარბარიზმოს ეტყვიან, მოღური სიტყვებიც იგივე ბარბარიზმია, მხოლოდ დასახიჩრებული, მაგ, სკუჩნაობა, კატაობა, დელიკატნობა, პრილევნობა, უჩენიკობა. ასეთი სიტყვებით საუბრის აჭრელება დიდი უზრდელობაა და შეურაცხება გამგონისათვის. ამით ორი ენა მახინჯდება: იგიც საიღამაც შემოუთრევიათ და იგიცა, სადაც შეუთრევიათ. ეს ბევრით უფრო სათაკილო და სამარცხვინოა, ვიდრე ის უმარჯული ნეოლოგიზმები და მონებრივით თარგმნული სიტყვის მასალა, რომლითაც საესეა ახალი ქართული მწერლობა. •

71. სრული (ქართული) ლექსიკონი შეიცავს, ეთქვით, ორმოციათას სიტყვას. განხილვის სიადვილის გულისათვის ეს სიტყვები მათის მნიშვნელობისამებრ ძველათვე გაურიგებიან ათს ჯგუფად, თვითეულ სიტყვათა ჯგუფს ქვია სამეტყველო, ანუ სასაუბრო ნაწილი, რათგანაც საუბარი შესდგების სიტყვებისგან. არაა ისეთი სიტყვა, რომ ერთ ამ ათ ჯგუფთაგანს არ ეკუთნოდეს. სხეულები თვითეულ ამ ჯგუფთაგანს ისეთი აქვთ, რომე დაახლოებით გვიჩვენებს მნიშვნელობას იმ სიტყვების, რომელიც ამა თუ იმა წყობას ეკუთვნის, ესენი ჯგუფები არიან:

72. ა) ყოველ საგანს აქვს მითვისებული სახელი, ანუ წოდება და რათგან საგნები არსებობენ ანუ თავათ,

ე. ი. ნამდვილათ, ანუ ჩვენს რწმენაში, ამიტომ ყველა საგნების სახელებს ქვიათ არსებითი სახელები. მაგ. კაცი, ხე, მთა; გონება, ფიქრი; ღმერთი, ანგილოზი; ეშმაკი, ქაჯი, დევი, კიშკა. ასეთი სიტყვები მოგვიგებენ კითხვებზე: ვინ? რა?

73. ბ) თვითმეული საგანი შეიცავს მრავალ სხვა და სხვა ნიშნებს, ე. ი. თვისებას, ვითარებას, კუთნილებას, რითაც იგი ირჩევის სხვა საგნებისგან და რითაც ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ, თუ როგორია საგანი თავისთავათ, ან როგორია სხვასთან მიმართობით—ზოგჯერ საგნები სხვაობენ ერთმანერთისგან ფერით და ეამბობთ: თეთრი, შავი; ზოგჯერ მოყვანილობით ერჩევიან ერთმანერთს და ეამბობთ: რგვალი, პრტყელი. წოწოლა; ზოგჯერ საზომობა და განფენილობა არ უგავსთ ერთმანერთს და ეამბობთ: დიდი, პატარა, გძელი, მაღალი; ზოგჯერ ლაზათი და სარგებლობა თუ მანებლობა აქვთ საგნებს არა ერთნაირათ და მაშინ ეამბობთ: კარგი, ცუდი, ლამაზი, მახინჯი; ზოგჯერ რა და ზოგჯერ რა. თვისება და ვითარება საგანს გარეშე არ ჰრსებობს, მასვე ერთვის და ამიტომ მათს მაჩვენებელ სიტყვებს ქვიათ გრამატიკურად დართვითი სახელები (ანუ ზედშესრულნი), მაგ. თეთრი, შავი, დიდი, ცუდი და მაგისტანები მოგვიგებენ კითხვებზე: როგორი, რისგანი, სადაური?

74. საგნების ანგარიშს, ან მათს ალაგს სათვალაეში რომ გვიჩვენებენ, ამისთანა სიტყვებს ქვიათ რიცხვითი სახელები. მაგ. ერთი, ასი, მეათე და სხ. ასეთი სახელები მოგვიგებენ კითხვებზე: რამდენი? მერამდენი?

75. სიტყვაპასუხის შესამოკლათ ხშირათ ეხმარობთ არსებითის და დართვითი სახელების მაგიერათ სხვა სიტყვებს, მაგ. აქ სხედუართ, ეთქოთ, ათი კაცი, პეტრე,

იენე და სხ. ყოველს სახელების ჩამოთვლის მაგიერათ ვამბობთ აქ ჩვენ სხედვართო და ერთი სიტყვა ათის მაგიერობას შერება. ასეთი სიტყვები არიან: ჩვენ, თქვენ, ისინი, მე, შენ, ჩემი, მათი და სხ. ამათ ქვიათ ნაცვალსახელები და სხვა სიტყვებისგან გამოიძნობიან იმავე კითხვებით, რითაც არსებითი და დართვითი სახელები: ვინ? რა? ვი-სი? სადაური?

76. საგნების მოქმედებას რომ გვიჩვენებს, მათს ცვლილებას, მათს სხვა და სხვა მდგომარებას, აგეთს სიტყვებს ქვიათ ზმნები. ზმნა მოგვიგებს კითხვაზე: რას შერება საგანი? რა ემართება მას? მაგ. ვაშენებ, ზის, ინგრევა.

77. როდესაც საგანს ეგვევ მოქმედება თუ მდგომარება ვითარებად მისცემია, თვისებათ მიუღია, ამის მაჩვენებელ სიტყვებს გვიქვია გრამატიკურათ მიმღეობა, რათგან მიმღეობა არის ზმნა ვითარებად ქცეული და რათგან ვითარების მაჩვენებელი სიტყვა იგივე დართვითი სახელია, ამიტომ მიმღეობა მოგვიგებს ასეთს კითხვებზე: რა ქმნილი? ვითარი? რის ქმნელი? მაგ. ამშენებელი, ასაშენი, ნამუშავეარი და სხ.

78. საგნის მოქმედება, თუ ცვლილება, ყოველთვის წარმოებს რომელსამე მიღმოებაში, სხვა და სხვა გარემოების ხელშეწყობით: ან ასრე სრულდება, ან ისე, ან ამაღაგას, ან იმ ალაგას, ან ამდროს, ან იმდროს, ან ამის გამო, ან იმისგამო, ან ერთსა, ან მრავალჯერ. ამეებს რომ გვიჩვენებს, ისეთ სიტყვებს ეწოდებათ ზმნი ზედები, მაგ. ჩქარა, ნელა, ძირს, გუშინ, ასჯერ და სხ. ასეთი სიტყვა აბეჯითებს წინადადებაში სახედომსა, თან დასდევს ზმნასა და მით დარქმევია ზმნიზედი.

79. ისეთი სიტყვები, რომელნიც თავისთავათ ცნე-

ბას ვერას გამოსთქმენ და თანეზაგებიან სხვა სიტყვებს, რათა გამოსთქონ საგანთა შორის დამოკიდებულება და მოქმედების მიმართულება—ასეთი სიტყვები გრამატიკაში იწოდებიან თანდებულებად, მაგ. სტოლ-ზედ, სახლ-ში, აღ-დგომა, წა-კითხვა და სხ.

80. იმ უცვალეზელ სიტყვებს, რომელთა საშუალებით ერთმანერიან ებმიან ცალცალკე სიტყვები, ან მთელი წინადადებები—ეწოდებათ კავშირნი, მაგ. და, კი, სულთ, არამედ, თუ და სხ.

81. როცა ჩვენი წინაგანი არსება აღელვებულია და ასე თუ ისე შემკრთალი, მაშინ ჩვენს გულზედ მოწოლილს კეთებითის გრძნობების მთელი სიტყვებით და წინადადებით გამოთქმას ვეღარ ვასწრებთ და ვეღარ ვახერხებთ და ჩვენის პირისგან უეცრათ აღმოიტყველების რაღაც თვითთა (ზოგჯერ ორ) მარცლოვანი სიტყვები—ამათ ქვიათ გრამატიკურათ საკრთომები, მაგ. ახ! ვიში! ოხ! ვაი! გლახ! და სხ.

82. ამ ათ სამეტეველო ნაწილთაგან პირველი ექვსი არიან ცვალეზადნი, რათგან ისინი თუ კანკლედობენ, თუ მიმოიხზვიან; ხოლო უკანასკნელნი ოთხნი არიან უცვალნი, რათგან მათ არც თავი ეცვლებათ, არც ბოლო, არც საშუალო.

კერძოპიტი განხილვა.

83, არსებითი სახელები არიან სამგვარნი.—ის სახელები, რომელნიც საზიარონი არიან რამდენისამე (ერთის გვარის ან ერთის სახის) საგნისთვის, იწოდებიან ზოგადებად, მაგ. მთა, ქალაქი, ქვა, მცენარე, მუხა, სათნობა და სხ.

უოკელი ზოგადი სასული არსებითი არის სახელზიარი (ამონიმი), კაცი პეტრეც არის და ნიკოლოზიცა, ქალაქი თფილისსაც ჭია და ქუთაისსაც, სოფელი მცხეთაც არის და გეგუთიცა.

84. ერთად ერთ საგანს რომ ჭია, ან კიდევ აღმნიშნის პირადობას რომ აღნიშნავს, ასეთი სახელიარსებითი იწოდების განკუთვნიტად. აღმნიშნის სახელები ყველა განკუთვნიტნი არიან, მაგ. შალვა, ფარნაოზი, ვახტანგი, ქეთევანი; ქვეყნის ნაწილები: ევროპა, აფრიკა; სახელმწიფოები: საფრანგეთი, რუსეთი, საბერძნეთი: სხვა და სხვა კაცთა სამკვიდრონი: საქართველო, მცხეთა, ინდოეთი; ქალაქის უბნები: სოლოლაკი, ორთაქალა, ბალახეთი; მდინარენი და ტბები: ალაზანი, რიონი, გოგჩის ტბა; ტყეები, მთები, და ხეობანი, ველები: აჯამეთი, დილომი, ულევნი, მტკვრის ხეობა, რიენის ხეობა, დარიელას ხევი; წიგნები და თხზულებანი: ვეფხისტყაოსანი, ამირანდარეჯანიანი, ქართლის ცხოვრება და სხ.

ადამიანთ თავდაპირველს მდგომარებაში თვით ზოგადნი სასელწოდებანიც განკუთვნილნი უოფილან და მათით აღინიშნებოდა თურმე წაღვალკე მოკიდებითი საგნები. ბოლოს და ბოლოს რამდენათაც ადამიანის გონება წარმატებაში შესულა, იმდენათ თანდათან სათვითაო სასელები გაზოგადებულან და მთელს გვარზე და ჯგუფზე გაგრცელებულან. ზოგადი ცნებების შესათვისებლათ ხომ უფრო გაშლილი გონებაა საჭირო, ვინემ სათვითათა და კერძოთათვის. ამითვე აისხნების ის გარემოება: ა), რომ ჩვილს ყრმას კერძო სასელი მთელს გვარზე გადააქვს. მან იცის ვთქოთ ერთის მდინარის სასელი, რომელსაც რიონი ჰქვია, იგივე უმარწვილი რო მტკვარზე, გინა აღაზანზე მიიყვანო, მათაც რიონს დარქმევს: რიონი აქაც უოფილაო. ბ) დაბოო სელს, რომელიც რასაკურგელია ერთ რიგათ უახლოვდების თავდაპირვანდელს ადამიანთ კრებას, ზოგადი სასელწოდება განკუთვნილად აუჩემებია და ამბობს; „ქალაქი“, (ე, ი, თფილისია, თუმცა დღეს იცის, რომ ქალაქია ქუთაისიც და გორიც) „მტკვარი“ (ზოგადი სასელია უოვლის მტკნარათ, თქორვით, მიმდინარე წელის ამრავისა. ის. ვისრამიანი), გორი, კოჯორი, სალსინო, ნერგი და სს.

განკუთვნილი სასელი, როცა პირადობას გვისახავს, მაშინაც კი ზოგადების, მაგ. კრესი-სათვითაო სასელია, მარა ეტყვიან პეირფას განმეულობით მდიდარსაცა; სოლომონი-ეტყვიან ბრძენს მიგნებულ მსაჯულსაც, არისტოდი-მტკიცე პატიოსნების მექონსა; სატანა-მთავარ მაცთურსა; გოლიათი-ბრგეობით და ტანოვნებით საკვირველს კაცსა; ფრანგი-ჰეკა გამჭრისსა; ინგლისი-შემძარბელობაში მდგარსა; ალემანიო-წესდარიგის და გამოწვლილვაში მომთმინესა; ქართველი-ბედოვლათს და სტუმართმოყვარესა; სომესი-გაუტნელს და ანგარიშის ჩამომკიდებელს; იმერელი-მზაკვარს და ამპიწს კაცს ეტყვიან; ჯიქი-შეუბრალებელს და მაქისს; ლეკი-ჯიქურათ. მოქმედსა და სს.

85. მართნაირის და ერთათ თავწაყრილი საგნების კრებას, გროვას რომ აღნიშნავს ისეთ ზოგად სახელს ქვია მკონობითი, ანუ მკონე სახელი არსებითი: ჯარი, ლაშქარი, ტყე, ხალხი, ფარა, კოლტი (ღორის) არეე, მაროწლე, ბღვუ (ფრინველთ), თაბუნი, ღუნდგო, გუნდი, სკა, კრებული და სხ.

86. ზოგს ენაში ზომამზე გადაჭარბებული საგნის სახელს ბოლოს ემატება სხვა დაბოლოება ჩვეულებრივ-ზე. ქართულს ენას ეს თვისება არ აქვს და ამისთვის ემატვის დართვითი სახელი დი (ა) დი. საზომოებამზე ნაკლები საგნების აღსანიშნავათ კი ჩვეულებრივ სახელებს ემატებათ დაბოლოებანი; კა, კი, ნა და სხ. სახლაკი, კაცუნა, ბიჭუნა, კვერცხუკა და სხ. ასეთ სახელებს ქვიათ კნინობითნი.

კნინობითი სახელები კიდევ ორად მიმოდაიყოფიან:

დამცირებითად, რომლითაც გამოიხატვის უგულებლობა, მაგ. კაცუნა, კვერცხუკა, ბიჭუნა, გიგუნა, ივანიკა, გოგოჩუა და სხ. მარიკელა, გოგიელა, კიკოლ(იკ)ა და სხ.

მოწლებითად, ანუ ალერსობითად, რომლითაც გამოიხატვის ალერსი, ლმობიერება და მუნებაზიარობა საგნისადმი: ვანო, კოტე, თამრო. ბაბო, ჩიტუნ(ი)ა, დათუნ(ი)ა, თაგუნ(ი)ა; დაიაე, ძამიაე. მამილო, დედილო და მისთ.

87. სახელარსებითს თანსდევს, სხვა და სხვა ცელილების და ფორმების მიღების დროს რამდენიმე კუთნილება, რომელთაც ეთქმისთ მისნი თანამყოლნი. (მღე-ვარნი, გარემოება) ესრეთი თანამყოლი არის სამი: რიცხვი, ბრუნვა და კანკლედობა.

88. გრამატიკაში რიცხვი გვიჩვენებს ან ერთ საგანს, ან მეტს რამდენიც უნდა იყოს საგანი, ე. ი. ბევრი, საგნების სიბევრის რომ გვიჩვენებს, ის რიცხვი იწოდების მრავლობითად (ხეები, მოქმედებანი); ხოლო საგნის სიერთის მაჩვენებელს რიცხვს ქვია მხოლოობითი (ხე, მოქმედება).

89. მრავლობითი რიცხვი არ აქვთ: ა) განკუთნით სახელარსებითებს: თფილისი, ივანე, რიონი. ბ) განკუთნით არსებითი სასულებს, რომელნიც აღგვინიშნენ სუდიერს რასმე თვისებას, ანუ სათნოებას, ანუ ბიწიერებას, მაგ. სიუყვარული (სიუყვარულები არ ითქმის), სიძულადი, სარწმუნოება, უსამართლობა და მართლიადობა, სიძრთლე და სიმტყუნე (თუმცა ლექსში ზოგჯერ სმარობენ: „და სტყვა: ღმერთო, სიძრთლენი შენნი ჩემთვის რათ ამრუდენ“ შ. რ.) გაზრდობა, იობა, ხეკება, კაცობა, სიბოროტე და სს. მხოლოობითი რიცხვი არ აქვთ მთელის გვაროვნობის აღმნიშვნელ სასულებს, მაგ. ბარათიანნი, ორბელიანნი და სს.

90. საუბარში ერთდაიგივე სახელი სხვადასხვა ფორმას, საკვეცს იკეთებს, მაგ. სიტყვა კაცი ჯრის მიხედვით იცვლების ასე: კაც-ი მოვიდა, კაც-ის მოყვანა, კაც-ს აქვს და სხ. თვითეულს ამ დაბოლოების ცვლილებას ქვია ბრუნვა.-ქართულს ენას აქვს შვიდი ბრუნვა. პირველი მათგანი არის სახელოობითი, ე. ი. ისა, რომელიც გვისახავს სახელის პირველი დაწყებით ფორმას დასახელებით და მარტივით; იცნობების კითხვებით: ვინ? რა? და ბოლოში უზის ერთერთი ხმოვანი ბგერა, მაგ. კაცი, ხე, პეტრე, დედა, კალო, ბუ. „კაცი არ ყველა სწორია“ შ. რ. პირველი სიტყვა დგას სახელობით ბრუნვაზე.

91. სახელის ცვლილება, რომელიც მოგვიგებს კი-

თხვანე: ეისი, რისი? გვიხატავს ბრუნვა ნათესაობითი; იგი გვიჩვენებს ერთი საგნის მეორისაგან დამოკიდებულებას, მათს ერთობას რაზე (და მით იგი სახელდართვითის მაგიერობას შერება). — მისი საკვეცი არის ისე (ის), სი, ს. მაგ. „კაისა ყიღვა ძვრათ ჯობს, არ დაშურება ფასისა“, „ფაფის შემინებულიდოს უბერავდაო“. ანდ.

92. მიცემითი ბრუნვა არის ერთი საგნის მეორესადმი მიმართულების ანუ მათის შემხებლობის რისამე მაჩვენებელი. ამისი მაფითარი საკვეცი არის სა(ს) და იგი მოგვიგებს კითხვებზე: ვის(ა), რას(ა)?, მაგ. „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩენია სულსა, გულსა“. შ. რ. „თხას თხა ურჩენია ათასს სულს ცხვარსაო“. ანდ.

93. მოთხოვრებითი ბრუნვა წარმოგიდგინებს მოქმედს პირს (ანუ ნივთს), თუ ვინ რასა იქმს. ამისი საკვეცია მან (მა, მი). „მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამაწყლოლა“. შ. რ. „ასეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩენზე მეტს იწველიდესო“. „მგელს მგლობა დერქეა, ტურამ ქეყანა დაქციაო“. ანდ.

94. როცა სახელი იცელების კითხვებზე: ვისით (ა)? რით (ა) და მით გვიჩვენებს, რომ ერთ საგანს მეორე აქვს თვისის მოქმედების იარაღად, მოსაშვალედ, მაშინ იგი (სახელი) დგას მოქმედებითს ბრუნვანე. — მისი საკვეცი არის, ითა (ით), თი, მაგ. „სხვისის ხელით ნარს მოგლეჯ: ეკლიანი ბალახი“. „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვია“. ანდ. „ყოველი პირი მიწისა შენ ხმლითა დაგიმონია“. შ. რ.

95. ბადაქმნითი, ანუ. ცვალებითი ბრუნვა გვიხატავს ერთი საგნის მეორენაირად გადაქცევას, საგნის არსებითი ვითარების შეცვლას. იგი მოგვიგებს კითხვანე რად? და ფლექსიაც მისი არის დ მაგ. „თუ კაცი კა-

ცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“. „დალოცეს და მეფეთ დასხეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა“. „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“ „ამად მიყვარს თავი მისი, (ვეფხვის) კაბად ჩემად მომინახავს“ შ. რ. (იხ. ზედიზმნა),

96. მოსაწოდებლად ვისიმე ანუ მიქცევის დროს ვისდამიმე რომ სახელს ვხმარობთ, იგი დგას წოდებითს ბრუნვაზე. ეს ბრუნვა ბოლოვლების ვით, ან ოთხი, მაგ. „ჰეი შენ ჩემო ტიკტორავ, რა ტყუილებს მიჰორავ“. ანდ. „ვეიმე ძმაო თარხანო, რა ჰკეაზე თხლათხარო“ „ლიტრას ეუბნებოდენ, კოკავ შენ გესმოდესო“ ანდ.

97. ბრუნვათა განმაშირგენებელნი საკვეცნი არიან იგივე (ჩვენებითი) ნაცვალსახელები, თუ შემოკლებული და თუ მთელად. — კაცი — (იგი) კაც-ისა — მისა, ის-მის, სა-მასა, ს-მას, მან, მად, — წოდებითი ბრუნვა თვით ამ ნაცვალსახელს არ აქვს.

98. ამ ბრუნვების დაბოლოებათამებრ სიტყვების ცვლილებას, მხოლოობითს და მრავლობითს რიცხვებში ქვია კანკლედობა.

ძართულს ენას აქვს მხოლოდ ერთი კანკლედობა, რომელიც ბრუნვათა მიხედვით შეიღწაირათ იცვლება. ამათ რომ ყველას კანკლედური სახე მივსცეთ, გამოვა შემდეგი კანკლედობის სქემა:

მხ. რიცხვი.

მრ. რიცხვი.

ბრ. სახ. ი; ა, ე, ო, უ.

ებ-ი; ნი.

ნათ. ისა, ის; სი, ს.

ებ-ისა, ის; თა, თ.

მიც. სა, ს.

ებ-სა, ს; თა, თ.

მოთ. მან, მა, მ.

ებ-მან, მა, თა, თ.

მოქ. ითა, ით; თი.	ებ-ითა, ით.
გად. ად.	ებ-ად.
წოდ. ო. ე.	ებ-ო, ნო.

99. არ არის ისეთი სახელი, რომ სახელობითს ბრუნვაში საკვეცად არ უჯდეს ერთერთი ხმოვანი ასო.

შ. ეს არის სამსრუთის ენების თვისება, რაცა დამოკიდებულია ჰაერზე, ბუნებაზე.

მარდაქმნითს ბრუნვას გარდა ყველა ბრუნვებს აქვს ორორ სამსამი საკვეცი, მთელი თუ მოკვეთილი, რომელთაგან თვითეულს თავთავისი ალაგი აქვს ხმარებაში. ამათი საერთო წესი ეს არის: თუ სიტყვა წინადადებაში ხმოვანით ბოლოვდება, მაშინ მას შემდეგი სიტყვა, თუ კანკლედობა გულობს, უხმოთი უნდა დაიწყოს, და პირიქით თუ უხმოთი თავდება, ხმოვანით უნდა დაიწყოს.

თუ წინადადება საკანკლედო სიტყვით ბოლოვდება, მაშინ ეს უკანასკნელი სრული საკვეცით თავდება. წინააღმდეგ ამისა თუ საკანკლედო სიტყვა წინადადების შუაშია მოქცეული, მაშინ მას კლებული საკვეცი აქვს. აი მაგალითები: „წასვლა სჯობს წამავეალისა, არ დაყოვნება ხანისა“; „თხის პატრონს თხის კუდიო.“ ანდ. „ისმინე სწავლის მძებნელო, მიყევ დავითის მცნებასა“ დ. გ.

თუ საკანკლედო სიტყვას წინადადებაში მოსდევს სიტყვა დაწყებული იმ ასოთი (ანუ მის მონათესავე ასოთი—სულერთია), რომლითაც პირველი თავდება, მაშინ ფონეტიკური სპობა არ მოქმედობს, თუნდ სიტყვა წინადადების შუაშიაც იჯდეს, მაგ. „ლეინოსა სმიდენ, არ ღოსა“ შ. რ. და არა ღეინოს სმიდენ, იმიტომ, რომ ორი ერთის და მისივე ასოს ზედწევდ გამოთქმა ენას

უჭირს. მეორე შემთხვევაში არ ითქმის „არღოს“ იმი-
ტომ. რომ წინადადება ამ სიტყვით მთავრდება და საჭი-
როა რომ დარჩეს ხმოვანი ასო (რომელიც ბაგებს შეწე-
ბილად არტოებს, სულის მოთქმის ღონეს გვაძლევს და
თან სხვა ფრაზის დაწყებას გვიაღვილებს).

ამ წესს ემორჩილება: არა მარტო ნათესაობითი
ბრუნვა, არამედ ყველა. აი თვითულისათვის მაგალი-
თები: „ძალსა სცემდენ, რძალს ასმენდნენ“ ანდ.;
„ღმერთმან ამცნო მოსესა.“ „ღმერთმა ნუ ქმნას ეგე
საქმე.“ „ცეცხლი დააგზო კეესითა.“ „ცეცხლით აოხრდა
უბანი“ იგი ცეცხლითა თბება და სხ. პირველ ფრაზაში
ორ მონათესავე ასოს ს და ც-ს შუა ა-ის გამოუშვებ-
ლობა საჭირო იყო მიცემითის ბრუნვისთვის. ამიტომაც
ზის მეორე ფრაზაში ორს ა-ს შუა ასო ნ, ანუ სრულის
მოთხრობითი ბრუნვის საკვეცი, რომელიც მესამე ფრა-
ზაში კი მეტი ბარგია და მოისპო. მეოთხეს ფრაზაში
სიტყვა „კეესითა“ დგას სრულს მოქმედებითს ბრუნვაზე,
რათგან მისით ფრაზა თავდება. მეხუთე ფრაზაში კი ეგ
საჭირო აღარ იყო, რაკი სიტყვის შემდეგ „ცეცხლით-“
იწყება მეორე სიტყვა ანით. მეექვსე ფრაზაში სიტყვა
„ცეცხლითა“ თუმცა შეაშია, მარა სრული საკვეციანია,
რათგან მას შემდეგი სიტყვა თანით იწყება—თბება.

შ. ქართლელები უფრო კარგათ სმარობენ მთელს
და მოკვეთილ ფლექსიებსა. ისინი, იმერლებივით, არ
ერიდებიან ბრუნვის სრულ საკვეცს, საცა რამდენიმე
უხმო ასო თავს იყრის და მით სრულად უმაშნო-
დება. იმერი იტყვის: „ამ-კაცს ვკითხოთ“, „ვედიდულობ ჰურ-
სა, რომელსაც...“ „სედა ქართველი“ იტყვის; „ამ-კაცსა
ვკითხოთ“ „ვედიდულობ ჰურსა, რომელიც...“ პირველი ცთება
და მეორე მართალია, მით რომ პირველს ფრაზაში თავს იყ-

რის ოთხი უსმო ასო (ც, ს, კ, ქ), რაც საუბარს ამკვანებს და თუ შუაში სმოვანს ა-ს არ გამოაკლებ საუბარი სუბუქდება. მეორეს ფრაზში, რაკი სიტყვით „ჰურს“ თავდება ერთი წინადადება და შემდეგიც უსმო ასოთი იწყება, უნდა ითქოს „ჰურსა“.

100. სქემიღამა სჩანს, რომ სამს ბრუნვას: ნათესაობითს, მოქმედებითს და წოდებითს ორორი ფლექსია აქეთ: პირველს ისა, მეორეს ითა და თი, ხოლო მესამეს ო და ე- თვითეულს მათგანს თავთაეის ალაგი აქეთ.

ა) ნათესაობითს ბრუნვაში ისა (შემოკლებით ის) უნდა: 1) ყოველ სიტყვას, რომელსაც სახელოობითში აქვს ბოლოდ ასო ი, მაგ. კაცი, კაცისა და სხ; 2) იმ სიტყვებს, რომელთაც ბოლოში აქეთ ე და ა და ამასთანავე ზოგადი სახელარსებითნი არიან, მაგ. კიბე-კიბისა, დედა-დედისა და სხ. და თუ განკუთნითი სახელები არიან, მაშინ უნდათ უთუოთ მეორე ნაირი ფლექსია სი, მაგ. ანა-ანნასი, შალვა-შალვასი, კოსტანტინე-კოსტანტინესი, პეტრე-პეტრესი, ქრისტე-ქრისტესი და მისთ.

შ. ამ წესიღამ გამოჩანის შეადგენენ მხოლოდ ორი სიტყვა: ბიძა, ძია და ყოველი რთული მონაგარი სიტყვები, მაგ. სარისთვალა, ქალბიჭა, შავბაღასა, ღორმუცელა, მუცელდმერთა, თავკოპალა, თავდიდა, ფეხუცა, ცხვირდიდა, შავთვალა... რომელნიც კანკლედობენ ასე: შავთვალასი, თავდიდასი და სს.

ეგრევე კანკლედობს ყოველი სიტყვა ონით და უნით დაბოლოებული, მაგ. კოლო-კოლოსი, ყრუ-ყრუსი, კალო-კალოსი, ბუ-ბუსი. და სხ.

შ. აქედან გამოჩანის შეადგენს მხოლოდ ერთი სიტყვა ღვინო, რომელიც პირველის ფორმის ფლექსიისამებრ კანკლედობს: ღვინო-ღვინისა და არა ღვინოსი.

შემოკლებით ფლექსიასი ედარება ს-სა და მით გავს მიცემითის ბრუნვის მოკვეთილს ფლექსიას ს. ეს აზრის მიხედვით გამოიცნობის, ე. ი. საკანკლედო სიტყვას თუ აქვს, სახელდართეითის და მსაზღვრელი სიტყვის მნიშვნელობა და წინ რომ დავუხსნათ, სასაზღვრე სიტყვას ბოლოში ს ექმნება, თუ არა მაგ. სახარება ქრისტესი=ქრისტეს სახარება, ქადაგება.იოანესი=იოანეს ქადაგება, ისტორია საქართველოსი=საქართველოს ისტორია, ძახილი ბუსი=ბუს ძახილი.-აქ ყველგან ნათესაობითი ბრუნვა მუშაობას.

ბ) მოქმედებითი ბრუნვა თავისი მეორენაირი ფლექსიით ექვემდებრება ყოველსავე იმა წესებს, რომელთაც მეორენაირი საკეცნიანი ნათესაობითი ბრუნვა, მაგ. ქრისტე-ქრისტესი-ქრისტეთი, ოქრო-ოქროსი-ოქროთი და სხ.

შ. ადრე, როცა სახვინის ასოს ა-ს ჯაღი ქონდა ქართულს ანბანში, ასე სწერდენ (თუ არ იტყოდენ): ისტორია საქართველოჲსა, მოციქულით პეტრეჲთა, მოყვითლჳა ოქროჲთა და სხ. ამ ფორმას დღეს აღარვინ ღაპარაკობს და თუ ვინმე წერს-თვით ნუბობას.

გ) ამ ორის ბრუნვის გავრცელებულია წოდებითს ბრუნვაზედაც ასე: ი-ზედ დაბოლოებული სიტყვები ო-ს თხოულობენ, მაგ. კაცი-კაცო, ხოლო დანარჩენ ასოებზე დაბოლოებულნი თხოულობენ ე-სა, მაგ. ხე-ხეე, დედა-დედაე, ძია-ძიაე, ოქრო-ოქროე, ცრუ-ცრუე და სხ.

ამ კანონს აქვს ერთი გამონაკლი, ე. ი. ის, რომ ადამიანთა სახელები, დაბოლოებული ი-ზედ, წოდებითს ბრუნვაში ამ ასოს მთლათ ისპობენ, მაგ. ნიკოლოზი-ნიკოლოზ! მარიამი-მარიამ! თუ ესევე სახელები წინაუსხედან გვარებს (ფამილებს) და წინადადებაში შეადგენენ ე. წ. სიმეტრეს, მაშინ სახელობითს ბრუნვაშიც კი ისპობენ ი-სა, მაგ. ვახ-

ტანგ მეფე, დაჯიოთ ღმრთეებელი, ღუარსაჲ წმიდა მოწამე და სხ.

101. მრ. რიცხვშია ცეცელა ბრუნვებს, ცვალებითს გარდა, ორორნაირი საკვეცი აქეთ (თავთაგანთის მოკვეთილებით.) და თვითეულს მათგანსაც მისმისი ალაგი აქეთ.

სახელობითის ბრუნვის პირველნაირი საკვეცი არის ებ, რომელიც უზის შვაში სუფიქსა და ფლექსიას, მაგ. ბალახი-ბალახ-ებ-ი. აგრეთვე არის შემდეგს ბრუნვებშიაცა. ბალახ-ებ-ისა, ბალახ-ებ-სა, ბალახ-ებ-მან, ბალახ-ებ-ითა, ბალახ-ებ-ად, ბალახ-ებ-ო.

ამ წესით კანკლედობს. ყოველი სახელი, დაბოლოებული ხმოვანს ასოებზე ი, ა და ეზედ, მაგ. კაცი, კაცებისა და სხ. კატა, კატებისა და სხ. ხე, ხეებისა და სხ. ხოლო დაბოლოებულნი ასოებზე ო და უ არათუ ამ საკვეცებს არ ისობენ არც. მხოლოდობითს რიცხვში, არამედ მრ. რიცხვში სახელობითს, ნათესაობითს და მოქმედებითს ბრუნვებში ირთავენ ი-ს, მაგ. კოლო-კოლოები-კოლოებისა-კოლოებითა. და სხ. ბუ-ბუები-ბუებისა, ბუებითა და სხ.

ეს არის ჩვეულებრივი სახელების მრავლობითად კანკლედობა, რომელიც ყოველად მიუცილებელია მეტადრე იმ სიტყვებისთვის, რომელთაც მხ. რიცხვში დაწყებითად აქვსთ-ნი, მაგ. დავითნი, ქაშნი, აკვანი, შროშანი, მგოსანი. მრავლობითად: მგოსნები, შროშნები და სხ., რათა ორი ერთნაირი ასო ნ ნ ერთად არ შეიყაროს და არითქოს; დავითნნი, მგოსანნი (რაც. ფონეტიკურად უმგებანობა).

102. სქემიდანვე ჩანს, რომ მრ. რიცხვის მეორე ნაირი საკვეცები სახელობითის ბრუნვისათვის არის ნ ი, ნათესაობითისთვის თა, მიცემითის და მოთხრობითის ეგ-

რეთვე-თა, მოქმედებითის და ცვალებითისთვი პირველი-სავე ფორმისამებრ და წოდებითისთვის ნო.

ამ საკეცებით კანკლედობენ მხოლოდ ის სიტყვები, რომელთაც პირველდაწყებითი ფორმა არის: ობა, ება და ბელი. ვინც სხვა სიტყვებს ამ მეორე ფორმაზე აკანკლედებს, იგი ეჯრება დიდთქვიაობას, (რაც ზოგ ძეგლს და ახალმწერლებს მოწონთ და რასაც დღევანდელი სწორ და მკვერმეტყველობა არ გულის). აი ამ ფორმაზე საკანკლედო სიტყვების მაგალითები: ა) კრება-კრებანი-კრებათა და სხ. მოძღვრება-მოძღვრებანი-მოძღვრებანი-მოძღვრებათა და სხ. ვარჯიშობა-ვარჯიშობანი-ვარჯიშობათა და სხ. ბ) მკადაგებელი, მასწავლებელი, მლაღადებელი-მასწავლებელთა, მლაღადებელთა-მლაღადებელთა-მლაღადებლობით-მლაღადებლობად-მლაღადებელნო. ასე უნდა კანკლედობდეს, რათა არ შეხედეს ერთად ზედანზედი ბ ა ე ბ-ბ ო ე ბ და ბ ლ ე-ბ ლ ე, რაც ყურთა სმენას ანაწყენებს.

შ. არის კიდევ სამი შემთხვევა. საცა ეს მეორე ნაირი ფულქსიები იხმარების: ა) ლექსთაქმნილებაში და მკერმეთქვეობას რასშიმე, როცა კაცთ აღმორცვლის მდგომარეობაშია, მაღალ საგნებზედ აქვს მსაჯულობა და სურს სხვებიც აღმაღლოს სუდით და გრძნობით; მაშინ მოღქესე და მკვერმეტყველი ჩვეულებრივ სიტყვებს და ფორმებს გვერდს უვლის და ხმარობს არა ჩვეულებრივს და განსაკუთრებულს აღნაქვისის სიფერადის გულისთვის. „შენნი მოთქმანი, კავშნის სმანი, სანცა ოსვრანი, სანცა ამოსკვანანი, წარსულთა დროთა მოგონებით სულს აიფიქრებენ“ ნ. ბ. „აღძრნა ბაგენი და სთქენა სიტყვანი,“ „ისმიან სმანი, ვით ცის ბეგრანი“, „განახანინა მტერნი და შეიმოსნა ძალნი“, „რტირთმამეთ და მაშვრალ მსსნელი“ და სხ.

ბ) თუმცა განუყენებთი სასკლებს, მრავლობითი რიცხვი სრულიად არ ეკუთვნის, გარნა მელექსენი ზოგჯერ ხმარობენ მათ მრავლობითად და უთუოდ მეორე ფორმაზე—„იტყვას: დმერთო სამართალნი შენნი ჩემთვის რათ ამრუდენ“, „გან-ბანებანი შენნი ჩემთვის განმარუდენ“, „სცან, ცნობანი მიაფერენ“ შ. რ.

გ) სატესნიკო, სამეცნიერო ტერმინების შესადგენათ მრ. რიცხვის ნათ. ბრუნვა საჭიროა, რათა ტერმინი განირჩეს ზოგადი სიტყვებისგან. პირველებში ორი სიტყვა (და ორი ცნება) ერთად არის ქცეული, მაგ. სიტყვათაწარმოება, ლექსთაქმნილება, ენათმეცნიერება, სტუმართმოყვარება, სახლთსუცესი, მეღვინეთსუცესი, ციცხლთამრქევეი, მწყემსმთავარი, კაცთმოყვარება, მმთმომუღება, სორაგთეფობა, ჭირნახუღთასიუსკე, სულთმობრძაობა და სს.

103. ეს მეორენაირი საკვეცები ერთი და იგივეა (თა) სამის ნათესაობითის, მიცემითის და მოთხრობითის—ბრუნვისთვის. პირველ შეხედებაზე თითქო ძნელი გასარჩევია, თუ რომელი სიტყვა რომლის ბრუნვისაა. მარამა ცოტა რომ დაუკვირდე, შეატყობ, რომ ამის გასარჩევად არსებობს სამგვარი ნიშნეულება: ა) კითხვა ნათესაობითი მოგვიგებს კითხვაზე: ვისი და რისი? მიცემითი ვისი? რასა? მოთხრობითი: ვინ და რამ (ან)? ბ) უნდა შეადარო ეს ფორმა პირველს ფორმასთან, მაგ. მოქმედებათა თუ არის მაგიერი მოქმედებებისა—ის, მაშინ ნათესაობითის ბრუნვისაა, თუ მოქმედებებსა—ის, მაშინ მიცემითის, თუ მოქმედებაებმან—ის, მოთხრობითისაა. გ) უნდა გაიხსენო, თუ გამოსაცნობი სიტყვა წინადადებისას რომელს წევრს შეადგენს.—თუ წარმოგვიდგენს განმსაზღვრელ სიტყვას და მაშასადამე სახელდართვითის მნიშვნელობა აქვს, მაშინ იგი ნათესაობითის

ბრუნვისა; თუ დამატებას-მიცემითისა და თუ საუბანს—მოთხრობითისა. ამას მაგალითები უფრო ცხადათ გვიჩვენებს.—„ამ კრებათა აზრი მოსაწონია“ „ეს აზრი კრებათა დაადგინეს“. —ვისი აზრია მოსაწონი? —კრებათა, ანუ კრებებისა, ანუ კრებებრივი; აზრი წარედგინა ვისა? კრებათა, ანუ კრებებსა; ვინ დაადგინა აზრი? —კრებათა, ანუ კრებებმა. აი კიდევ მაგალითები: „სტუმართა (ნათ.) სიყვარულითა მოძღვართა (მოთხ.) ხორცი კამიან“ ანდ. „უყიელა თუ: ძმანო ვინ ხართ, მეკობრეთა (მიც.) დაგამსგავსე“; „აქანამდის კირნახულთა (მოთხ.) ამას იქით გაიხარეს“ შ. რ.

შ. მრავლობითის რიცხვის გარკვევა, როგორც მრავალნი ჩადიან, სრული უგვანოა და არ ითქმის: კაცებსი, კაცებთა, ეკლესიებსი, — ეკლესიებთა, ქალაქებსი, — ქალაქებთა, მშენის — მშებთა და სს. არამედ უნდა ითქვას (ან კაცები — კაცების და ან): კაცნი — კაცთა, ეკლესიანი — ეკლესიათა, მძანი — მძათა და სს.

გარსა არის ერთათ ერთი შემთხვევა, საცა ორივე ფორმა ერთათ მიუყილებელია. ეს მაშინ, როცა სიტყვა ესების არა რამდენსამე ერთის დედამის შვილებს, არამედ სსკა და სსკისას და რამდენ რამდენსამე; არა ერთის გვარეულობის ერთს ოჯახს, არამედ მრავალს, არა ერთის ოჯახის შვილებს, არამედ რამდენისამე ოჯახის რამდენ-რამდენსამე. ამის გამო მშები (თუ ძმანი) სულ სსკაა და მძანები სსკა, დები სსკაა და დანები-სსკაა, ყმები სსკაა და ყმანები სსკა, გარდაფსაქენი და გარდაფსაქენები სულ სსკაა და გარდაფსაქენები სსკა. ვილც ჭკუის კოლოფს მშეენიერი გლასიგური ანდასა „ამირან გულში იმღერის: ყმებო ბანი მითხარითო“ ასე დაუსასიწრები: „ყმანო ბანი მითხარითო“. ცხადია ამირანს ყმანები ერთის ოჯახიდან არ ეყოლებოდა. როგორც სახელობითში ისე შემ-

დეგს ბრუნკუშიაც იცვების ეს ფორმა უმანებთა, უმანებად, უმანებო და სს,

104. მთელის, თუ მოკვეთილი ფლექსიების ხმარება მრ. რიცხვში ექვემდებარება მასვე ფონეტიკურს წესებს, რომელიც მხოლოდობითი რიცხვი (იხ. მ. 99). ამიტომ უმჯობესია ითქოს: კრებათა თაემჯდომარე და არა კრებათ თაემჯდომარე; მოწამების აღსარება და არა მოწამებისა აღსარება; ძმებმან ამცნეს და არა ძმებმა ამცნეს; ძმებმა ნახეს და არა ძმებმან ნახეს; ძმებსა სურს და არა ძმებს სურს და მისთ.

105. სახელწიარი სიტყვები თუმცა დასაწყისის ფორმაში არ ერჩევიან ერთმანერთს, მარამა მხ. რიცხვის: ნათესაობის, მოქმედებითს, გადაქმნითს და მრ. რიცხვის ყველა ბრუნვებში მათ შორის არის განსხვავება გარეთადაც: ე. ი. გადაკრულის მნიშვნელობით ნახმარ სიტყვებს შუაში ესპობათ ი. აი მაგალითები; ა) თვალი (მხედველობის ორგანო), თვალისა, თვალითა, თვალები, თვალებისა და სხ. თვალი (ქვა ძვირფასი, მზის თვალი, მარიხ-ის თვალი, ურმის თვალი), თვლისა, თვლითა, თვლად, თვლები, თვლებისა და სხ. ბ) კვალი (ფენის ნატერფალი), კვალისა, კვალითა, კვალად, კვალები და სხ. კვალი (ხნულისა, ბოტნისა) კვლისა, კვლად, კვლები და სხ. გ) მოწამე (რწმენისთვის ტანჯული), მოწამისა, მოწამითა, მოწამეები და სხ. მოწამე ანუ მოწმე (იქვის ამხსნელი ძიებაში), მოწმისა. მოწმესა, მოწმითა, მოწმეები და სხ. დ) მხარე (ქვეყანა, მიმართულება) მხარისა, მხარესა, მხარეები და სხ. მხარი (ხელის ნაწილი) მხრისა, მხარსა, მხრები, მხრებთა და სხ.

ე) წელი (დრო, თორმეტი თვე, წელიწადი) წლისა,

წლითა, წლები, წელი (შინაგანი სხეულის ნაწილი) წელითა, წლები.

ვ) მწერალი (ლიტერატორი)-მწერალისა, მწერალნი. მწერალი (კანცელარიის მწერლისა, მწერლები).

ზ) ღმერთი (კეშმარიტი, ერთი) ღეთისა, ღმერთსა, ღმერთმან, ღეთითა, ღეთად, ღმერთო, მრ. რიცხვი არ აქვს. ღმერთი (ცრუ, კერპი), ღმერთისა, -ღმერთითა, ღმერთად, ღმერთები და სხ.

106. აქამდე ჩამოწერილი წეს-კანონები ვერ გვისახევენ კანკლედობის ვითარებას, ისე ჩინებულათ, როგორც ეს შეუძლია ამას ქვემოთ ჩაყოლებულ მაგალითებს:

მაგ. ა)

მხ. რიც. ბრუნ.	მრ. რიც.
სახ. ჩიტი	ჩიტები
ნათ. ჩიტის (ა)	ჩიტების (ა)
მიც. ჩიტს (ა)	ჩიტებს (ა)
მოთ. ჩიტმა (ნ)	ჩიტებმა (ნ)
მოქ. ჩიტით (ა)	ჩიტებით (ა)
გად. ჩიტად	ჩიტებად
წოდ. ჩიტო.	ჩიტებო.

ეს მაგალითი გვამცნევს რომ სახელობითის დაბოლოება ი შემდეგს ბრუნებში ისპობის. ასე კანკლედობს ყველა სიტყვები ი-ზე დაბოლოებულნი.

მაგ. ბ)

ამბავი	ამბები
ამბის (ა)	ამბების (ა)
ამბავს (ა)	ამბებს (ა)

ამბავმა (ნ)	ამბებმა (ნ)
ამბით (ა)	ამბებით (ა)
ამბად	ამბებად
ამბავო	ამბებო.

აქ ის თვით ფესოს შემდეგი ნაბოლოვარის წინათ, მარცვალი-მთლათ ფონეტიკურათ ისპობის. ასე კანკლე-დობს სიტყვები: ხუცესი (ხუცისა და სხ.) და ყველა სიტყვები, რომელთაც აქვთ, ნაბოლოვრად: ანი, ალი. ელი, ორი, ოსი, მაგ. ძვალი-ძვლისა, მტერი-მტრისა, მეგობარი-მეგობრისა, მტვერი, ნიორი, რიონი, რძალი, ზამთარი, წყალი და სხ.

მაგ. გ).

ვალა	ვადები
ვალის (ა)	ვადების (ა)
ვალას (ა)	ვადებს (ა)
ვალამა (ნ)	ვადებმა (ნ)
ვალით (ა)	ვადებით (ა)
ვალად	ვადებად
ვალავ	ვადებო.

აქ საყურადღებო არის მხოლოდ ის, რომ მხ. რიცხვში მოთხრობითი ბრუნვა ორჯერ იკვეცება და წოდების ბრუნვაში ო-ს ნაცვლათ აქვს ე. ასე კანკლედობს ყოველი სახელი, რომელიც იწოდ არ არის დაბოლოვებული, არამედ რომელსამე სხვა ხმოვანზედ.

ამის ქვემოთი მაგალითები სულ ასეა.

მაგ. დ).

ბიძინა	„
ბიძინას (ი)	„

ბიძინას (ა)	
ბიძინამა (ნ)	„
ბიძინათი	„
ბიძინად	„
ბიძინაე.	„

ბქ ჩანს: ა) როგორც ადამიანის სახელს, არა იწით დაბოლოებულს, წათესაობითს და მოქმედებითს ბრუნვაში მეორენაირი საკვეცი უწისთ. ბ) როგორც განკუთვნილი სახელს, მას მრავლობითი რიცხვი არა აქვს. გ) თავისი დაბოლოება ა არ ესპობა არც ერთს ბრუნვაში, როგორც იწედ დაბოლოებულს სიტყვებს და ეწედ და აწედ დაბოლოებულ ზოგად სახელარსებითებს. ეს კანონი ვრცელდება ყველას ო-სა და უ-ზედ დაბოლოებულ სიტყვებზე.

მაგ. ე)

ციხე	ციხეები
ციხის (ა)	ციხეების (ა)
ციხეს (ა)	ციხეებს (ა)
ციხემ (ა) (ნ)	ციხეებმ (ა)
ციხით (ა)	ციხეებით (ა)
ციხედ	ციხეებად
ციხევ	ციხეებო.

ეს რაკი ზოგადი სახელია, წათ. და მოქ. ბრუნვაში ჩვეულებრივი საკვეცები უსხედსთ და ხოლოდ ამისთვის არის მოყვანილი.

მაგ. ე)

ცოტნე	„
ცოტნეს (ი)	„
ცოტნეს (ა)	„
ცოტნემ (ა) (ნ)	„
ცოტნეთი	„
ცოტნედ	„
ცოტნევ-	„

ეს მაგალითი მეოთხიდან არაფრით სხვაობს და მოყვანილია მხოლოდ იმიტომ რომ დაბოლოებული ე-ზედ.
მაგ. ზ)

ოქრო	ოქროები
ოქროს (ი)	ოქროების (ა)
ოქროს (ა)	ოქროებს (ა)
ოქრომ (ა) (ნ)	ოქროებმა (ნ)
ოქროთი	ოქროებით (ა)
ოქროდ	ოქროებად
ოქროვ	ოქროებო.

ასე კანკლედობს ყველა ო-სა და უ-ზედ დაბოლოებული არსებითი სახელები. ესენი არ ისპობენ სუფიქსებს, რომელთაზედაც ემატება ბრუნვათა ფლექსიები.

მაგ. ც)

ბლუ	ბლუები
ბლუს (ი)	ბლუების (ა)
ბლუს (ა)	ბლუებს (ა)
ბლუმ (ა) (ნ)	ბლუებმა (ნ)

ბლუთი

ბლულ

ბლუე

ბლუებით (ა)

ბლუებად

ბლუებო.

ეს ხომ პირწმინდათ მეშვიდე მაგალითისამებრი არის და ჩამოწერილია მხოლოდ ხმოვანის ასოების დასამთავრებლათ.

მაგ. თ)

საზოგადოება

საზოგადოების (ა)

საზოგადოებას (ა)

საზოგადოებამ (ა) (ნ)

საზოგადოებით (ა)

საზოგადოებად

საზოგადოებაე

საზოგადოებანი

საზოგადოებათ (ა)

საზოგადოებათ (ა)

საზოგადოებათ (ა)

საზოგადოებებით (ა)

საზოგადოებებად

საზოგადოებებო.

ასე იბრუნვის ყოველი სახელ არსებითი, დაბოლოებულინი ო ბ ა, ე ბ ა და ბ ე ლ ი-ზედ

მაგ. ი).

ყმა

ყმის (ა)

ყმას (ა)

ყმამ (ა) (ნ)

ყმით (ა)

ყმად

ყმაე

ყმები

ყმების (ა)

ყმებს (ა)

ყმებმა (ა)

ყმებით (ა)

ყმებად

ყმებო.

ეს მაგალითი არის ჩამოწერილი მისთვის რათა მისგან მკაცრათ გასაჩინოედეს შემდეგი მაგალითი, რომე-

ლიც აღნიშნავს ყმების ჯგუფებს სხედასხვა ოჯახილამ გასულებს, ძეინად პირველისა, რომელიც აღნიშნავს ერთის ოჯახილამ გასულის ყმებს.

მაგ. ია)

„	ყმანები
„	ყმანების (ა)
„	ყმანებს (ა)
„	ყმანებმა (ნ)
„	ყმანებით (ა)
„	ყმანებად
„	ყმანებო.

აქ, რათქმა უნდა, მხოლოდობითს რიცხეს ალაგი არ აქვს.

მაგ. იბ)

ჯორჯადე	ჯორჯადეები
ჯორჯადის (ა)	ჯორჯადეების (ა)
ჯორჯადეს (ა)	ჯორჯადეებს (ა)
ჯორჯადემ (ა) (ნ)	ჯორჯადეებმა (ა)
ჯორჯადით (ა)	ჯორჯადეებით (ა)
ჯორჯადედ	ჯორჯადეებად
ჯორჯადეე	ჯორჯადეებო.

ამის მრავლობითი რიცხვი ასეც კანკლედობს: ჯორჯადენი, ჯორჯადეთ(ა), ჯორჯადეთ(ა), ჯორჯადეთ(ა), ჯორჯადეებით(ა), ჯორჯადეებად, ჯორჯადენო. ეს ორივე ფორმა (მრავლობითის რიცხვის) აღნიშნავს რამდენსამე პირს.

მაგ. იგ)

„	ჯორჯადენები
„	ჯორჯადენების (ა)
„	ჯორჯადენებს (ა)

„	ჯორჯაძენებმა (6)
„	ჯორჯაძენებით (ა)
„	ჯორჯაძენებად
„	ჯორჯაძენებო.

ეს მაგალითი იგივეა, რაც მეთერთმეტე და მოყვანილია მხოლოდ ფერად სახეობისთვის.

მაგ. ილ)

„	ჯორჯაძიანნი
„	ჯორჯაძიანთ (ა)
„	ჯორჯაძიანთ (ა)
„	ჯორჯაძიანთი (ა)
„	ჯორჯაძიანნით (ა)
„	ჯორჯაძიანებად
„	ჯორჯაძიანებო.

107. ზოგს ენას აქვს ე. წ. გრამატიკური ნათესავი. ხედავ რომ მაგ. მუსა მამრანითის ნათესავისა, ცაცხვი-დედრობითისა, სე კი უმეშაობითისა; ფიცარი-დედრობითისა, სახლი-მამრანითისა, სარკე-უმეშაობითისა და სს. მეორე ენაში ხშირათ უგმოქცეპარის: სახლი-დედრობითისა, კარი-მამრანითისა და სს. ხედავ და კერ გავიგია, თუ რა საფუძველია და ან რა კანონები უნდა შეისწავლო, რომ ეს ნათესავები გაარჩიო ერთი მეორისგან. ენათმეცნიერები აქამოდე კერ მიმსგედარან თუ საიღამ გაჩენილან ენაში ეს უცნაურნი ნათესავნი. ჰგონებენ კია, რომ ეს ფორმები შერჩენია ზოგს ენას თავდაპირვანდელის დროითგან, როცა ერი გონებითად უდაბლესს ხარისხზე მდგარა და მას, ერს, უსულო საგნებიც სულდგმულად წარმოუდგენია. და სულდგმული საგანი სომ ან მამრ-

ბითის სქესისა უნდა იყოს ან დედრობითისა. ზოგს ენას, და მათ შორის ქართულსაც, ეს უხეიგობა არა სჭირთ, ე. ი. ან სულ არა ქონიათ, და თუ ქონიათ რდესმე, ადრითვე შემოუცლიათ ეს მეტი ზარგი. ენათმეცნიერებს დიდს ღირსებად მიაჩნიათ ენისათვის გრამატიკურის ნათესავის უქონელობა.

მაშასადამე ქართულს არსებითი სახელებს ეს მეოთხე თანამეოლი არ აქვთ. მამრის და დედრის სქესის აღსანიშნავათ სულდგმული საგნებისთვის კი აქვთ ცალცალკე სიტყვები, მაგ. ადამიანი ორსავე სქესს ქვია, ხოლო მამრობითისას მამაკაცი, ანუ უბრალოდ კაცი, მდედრობითისას დედაკაცი, ანუ ქალი; შვილი ორსავე სქესს ქვია. ვაჟი-შვილი-მამრს, ქალი-შვილი-დედრსა. ხოლო-მოზგერი და უშობულა (დეკიული) ცხვარი-ვერძი და ხრდალი. სარი და ძროხა, ხარ-ირეძი და ფურ-ირეძი, ხარ-კამეჩი და ფურ-კამეჩი, სვადი-ლომი და ძუ-ლომი, ღაფშა-ცხენი, ჭაკი (ფაშატი)-ცხენი და სხ. როდესაც ორი სქესის ადამიანზე არის ღაპარაკი, მაშინ დედრის სახელი ჰირველათ დაისხმის, ხოლო მამრის მეორედ, მაგ. ქალ-ვაჟი, დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-ქმარი და სხ. აქედამ ჩანს, რომ საქართველოში ქალს მკელიდამევე პატივდება ქონია (დ. ყ. და დ. ჩ.).

108. სახელარსებითს აქვს წინადადებაში შეილგეარი სათევარი. იგი (უფრო სერათარი) საუბნად, მაგ. ფრინველი ფრინავს; სახედომად, მაგ. იონჯა ნოყიერი ბაღაჩია. (აქ ყოველთვის ერთვის მწეობითი ზმნა); დამატებად, მაგ. ძალი ბოროტს კამს; მსაზღვრელათ, მაგ. „მამისა ტახტსა საჯდომათ თავი არ ეღირსებოდა (თინათინასა“. შ. რ.; ადგილის გარემოებად, მაგ. „მიეღივარ სანუბარათა წმინდა ეღემის ბაღშია“. ხ. ს.; ღროების გარემოებად, მაგ. „დღესა ერთსა მე და ფრიდონ ნადირობად გამოვედით“. შ. რ.; მიზნის გარემოებად, მაგ. ხოლო ერთი მოკვდა; სიმეტნედ, მაგ. „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან მოესმოდა რეკა“. ხ. ს.

ღართვისი სახელი.

109. ღართვისი (ანუ ზედშესრული). სახელი არი სამგვარი: ისრეთი, რომელიც ნიშნავს საგნის თვისებას თავისთავათ, მეორე საგნიდამ დამოუკიდებლათ და მოგვიგებს კითხვაზე: როგორი, ვითარი?—იწოდების ვითარებითა და, მაგ. შავი, თეთრი, მაღალი, თხელი.

110. თუ ერთი საგანი მეორისთვის არის დანიშნული, მისთვის მიჩენილი, ამას გვისახავს კუთვნილებითი სახელღართვისი, რომელიც იცნობების კითხვით საეისო? სარაო?, მაგ. სამწიგნობრო, სამო, სამეფო, სალხინო, სახნავი, სამუშაო, გასამრჯელო, საუდიერო, საბოქაულო, საოსტატო, სასოფლო, საყველიერო, სადიდმარხო, სახაზინო, სახელმწიფო, სამოსწავლო, სამასწავლელო, სასწავლო, საღეთო, საეკლესიო და სხ.

111. თუ ერთ საგანს თავისი არსებითი ვითარება მიუღია მეორე საგნისაგან, ანუ მისგან გაჩენილა—ამის გამომთქმელი არის დამოკიდებითი ღართვისი სახელი, რომელიც მოგვიგებს კითხვაზე: სადაური, ვისთაგანი, რისაგანი? მაგ. ქალაქური, სოფლოური, დედეული, ძმისეული, კაცთაგანი, მხეცთაგანი, რქისაგანი, გუშინდელი, ბუნებრივი და სხ.

112. რათგან დამოკიდებითი ღართვისი სახელები წარმოიპენ ჰიქდაჰიქ არსებით სახელთაგან, ამიტომ ამ უკანასკნელთ ემატებათ თვისების გამომხატველი სუფიქსები, რომელნიც არიან შემდეგნი:

ა) ური. ისმარების იქ, საცა ერთ საგანს მეორისგან მიუღია თავისი შინაგანი თვისება, მისგან არსებითად წარმოებს და თავისს სადაურობას გვიხატავს, მაგ. სოფელი-სოფელიური, ქალაქი-ქალაქური, კახეთი-კახური, ახსაზ-ური, მესხ-ური, ხევ-ური, ცი-ური, კაც-ური, ბოშ-ური, ბოშა-ური, კელ-ური, ქართლ-ური.

ბ) უღი—არის იგივე ური, ხოლოთ რ ფონეტიკურათ ცვალებულია იქ, საცა წინამარცვლებში თავისთავათაც რ ზის, მაგ, გურია-გურული, იმერეთი-იმერული, სპარსეთი-სპარსული. ბერძნული, ფრანგული, ბაზრული, მასხრული, მხატვრული, ბარული (ან ბარელი) და სს.

გ) ელი—აღნიშნავს პირადობის სადაურობას, სადაური კაცი?—კახეთი-კახელი, იმერელი, გურიელი, ჭანელი, ფშაველი, ჭავჭაველი, სვანელი, ინგლისელი, არგვეთელი, მთაშაველი, სერბიელი. ბულგარელი.

შ. გარნა, როცა რომლისაში ქვეუნი სახელს დაბოლოებად აქვს ეთი (ან ია) მაშინ მოხდების ორკეტი ფონეტიკური სპობა და რჩება მხოლოდ ფლექსია ი, რომელიც ემატება პირდაპირ სიტყვის ფესვს. ეს მომხდარა სშირის ხსენებისაგან.—მაგ. ივერი, კასი, მეგრი, (ეგრისი-მეეგრისელი-მეგრელი, მეგრი), იმერი, მესხი, ჯავახი, სპარსი, სვესური, ფშავი, სვანი, ჭანი, ახსაზი, სომეხი, რუსი, ფრანგი, ინგლისი, ბულგარი, სერბი, ჩეხი და სს.

დ) ეული—გვისასავს იმ გარემოებას, რომ ესა და ეს საგანი, ნივთი, თუ სასიათის ვითარება გადმოცემით დაკუთნებია ერთ საგანს, თუ პირს, მეორისგან, მაგ. ბატონისეული (ხარი, ცხენი, სიავე...), მმისეული, მამისეული, დედისეული, ყმისეული, მეფისეული, მამაპაპის-ეული, თავადის-ეული, ბიძის-ეული, ცოლის-ეული, ქმრის-ეული და სს.

ე) იერი—ეპმის განყენებითს არსებითი სახელებს, რო-

შელთაგან მოღებულ თვისება რამ ემისების მოკიდვითაჲს, მაგ. ცნობა-ცნობიერი, ცნება-ცნებიერი, ნიჭი-ნიჭიერი, მადლიერი, ხასიერი და ხნიერი, გონი-გონიერი, გონება-გონებიერი, ბუნება-ბუნებიერი, ჭკუა-ჭკუიერი, სინიღისიერი (სინიღისიანი არ შეიძლება არც-ნიჭიანი, სანდომიანი და სხ.), სანდომი-ერი, სხს-იერი, წუთ-იერი, სუღ-იერი, ზეც-იერი (ზეციური სსჯა), წადიერი და სხ.

შ. იელი — იგივე იერი არის და ფონეტიკურათ ცვლელბული ისე, როგორც ური-ულად, მაგ. სორცი-სორციელი.

ვ) განი — ების ა) მრ. რიცხვის და ნათესაობითის ბრუნვის მეორე ნაირს დაბოლოებას და გვიჩვენებს ესადაეს საგანი ამადაჲმ რიცხვში, კრებაში ურვეიაო, მაგ. კაცთა-განი, გირთა-განი, მსეტთა-განი, მწერალთა-განი, მოსწავლეთა-განი. ბ) როცა მხოლოაობითის რიცხვის ნათ. ბრუნვას ერთვის, მაშინ ამას გვიჩვენებს, რომ ერთი საგანი მეორისგან შექმნილა, გამოსასულა, მაგ. სისაგანი, რქისაგანი, რცხილაგანი, ოქროსაგანი, თხილაგანი და მისთ.

ზ) ებერი — ნიშნავს ერთი საგნის მეორესთან ცოტას რასმე მსგავსებას; როცა ერთის რომლისამე მხრით სადმე ჩამოგავს ერთი საგანი მეორესა, მაგ. (ჭცევა) მამებრი, (ბრწყენა) ვარსკლავებრი, მწყებრი, სეებრი, კაცებრი (ქონდა რამ მატალითად ღანდს) მსეტებრი, ავაზაკებრი და სხ.

წ) ებრივი და ობრივი — არიან იგივე ებრი, მხოლოდ იმ სსჯაობით, რომ უკანასკნელი აღნიშნავს უფრო მოკიდვითს საგნის გითარებას, ხოლო პირველნი აღნიშვენ უფრო განყენებითსა, ვთქოთ სულის თვისებას რასმე, მეტადრე სათნაებას და მსელათ თუ სადმე ბიწიერებას; ერთვიან ობასა და ებას-ზე დაბოლოებულ (განყენებითა) სასელებს, სპობენ რამ უკანასკნელთა დაბოლოებას, მაგ. დედობრივი, კაცობრივი, ზნეობრივი, ბუნებრივი.

თ) ებურჩი—არის იგივე ური და სხვა არა რა. იგი უზის მსოფოდ მრავლობითს რიცხვს და მაშინ გვეჩვენებს ცალკე სუფიქსად, თორემ ებ არის მრ. რიცხვის ფლექსია სახელობითს ბრუნვაში, მაგ. ყმა-ყმური, ყმები-ყმებური, ყმანი-ყმანებური; მამა-მამილი-მამაშვილური, მამაშვილები-მამაშვილებური; მძა-მძური, მძები-მძებური, მძანები-მძანებური. ებური თავისთავათ არის ნაცვალსახელის სუფიქსი, და იმიტომ არ ითქმის: გაცებური, ბუნებური, დრამატებური, აღმინისტრატებური, სურათებური, დიპლომატებური და სს. არამედ კაცური, კაცობრივი, კაცრიელი, საკაცობრიო (იხ. ამ სუფიქსების განმარტება—აზრის მისედვით); დრამული, ან უკეთ დრამატული, ან, კიდე უკეთ, დრამატეური, აღმინისტრაციული და სს.

ი) ითი —ამ სუფიქსს აქვს გუთნილებითის დართვითი სახელის მნიშვნელობა და აღნიშნავს, რომ ერთი საგანი რომელიმე მეორის წეობილებას, შეცულობას ეკუთნის, მაგ. ბუნებითი, უსეობითი (კანონი მაგალითად), გრძნობითი, განყენებითი, წართქმითი, უკუთქმითი, კრებითი, მკონობითი, საზოგადოებითი, მოთხრობითი, ნათესაობითი... ეს სუფიქსი რომ სხვებზე შევცვალოთ სულ სხვა ცნება გამოდის.

ია) ედი, ადი — გვისახავს იმა გარემოებას, რომ ერთი საგანი მეორის არსებითს ვითარებად ქცეულა, მაგ. გული-გულადი, ქმნა-ქმნადი, სრბა-მოარბედი, მუღება-მუღებადი, კაცი-კაცადი, მოთხი-მოთხედი, წვივი-წვივედი, კამათი-კამათედი, ცვალებ-ცვალებადი, მეოფედი და სს.

იბ) ა —ნიშნავს რომ ერთი საგნის რამ ნაწილი, თუ თვისება მეორის არსებითს ვითარებად გამოსდრავს, მაგ. ოთხფეხა, თავშეხა, გულწითელა, ცხვირდიდა, ენაჭარტალა და სს.

იგ) ოგანი, ევანი — გვიჩვენებს შინაგანს არსებითს ვითარებას და რომ ერთი საგანი მეორისაგან გაგვარებულა,

მაგ. . სახელი-სახელოვანი, ძალგუდი-ძალგულოვანი, მადეკლი-
მადეკლოვანი, არაკი-არაკოვანი, სასე-სასოვანი, აზროვანი, ნაკ-
ლი-ნაკლულევანი, ბალახოვანი, ტეე-ტეოვანი, მთა-მთოვანი,
ეკლოვანი, კლდოვანი.

იღ) იანი-გვისატავს შემთხვევითს რასმე და არა არსე-
ბითს ვითარებას, მაგ. ჯოხიანი (ჯოხი კაცის თვისებას არ
შეადგენს) ცხენიანი (თუ ზედ არაზის და ხელით მიეყვას) კა-
ლათიანი, ჩოხიანი (თუ ხელით მიაქვს და არ აცვია), მთიანი,
კლდიანი (თუ ერთიოდენ მთა, კლდე აქვს ადგილს), ფუღი-
ანი, ქრისტიანი, მასმადიანი, ნესტორიანი, ლოთრანიანი, გოლ-
ტერიანი, დარვინიანი, ვლადსტანიანი, -ეს უკანასკნელი სიტყვე-
ბიც ასე იხმარების იმიტომ, რომ შეიძლება დღეს მასმადიანი
იუოს კაცი და ხვალ ქრისტიანი გახდეს, (მაგრამ ისევე კაცი
დარჩეს). ეს ფორმა ზოგჯერ მეორენაირათაც იხმარების; სა-
ხელს თავსართი ემატება-მე და ფლექსია ე და გამოვა ხელო-
ბა კ, სიმე, მაგ. მედარვინე, მემონარქე, მეკლადსტონე; მეზურე,
მეღვინე და სხ.

იე) ოსნი-თითქმის იგივე იანი არის, ხოლოდ ოსნი
აღნიშნავს რომ ერთი საგანი მეორისთვის შეადგენს სამყაროს
რასმე, ან სამარჯულო გუთნილებას, მაგ. მანდილ-ოსანი, ჩოხ-
ოსანი, ცხენ-ოსანი, ჰატივ-ოსანი, ტაიჭ-ოსანი, ჯორ-ოსანი,
ქედ-ოსანი, ქურქ-ოსანი, გეფხისტყავ-ოსანი, პადახ-ოსანი, ქარ-
ქაშ-ოსანი, ქლამინდ-ოსანი, გვირგვინ-ოსანი, შავ-ოსანი, თე-
თი-ოსანი, წითელ-ოსანი, ჰორფიორ-ოსანი და სხ.

შ. რათგან არსებითს და დართვითი სახელებს ერთმა-
ნერთთან მჭიდრო კავშირი აქვთ, ამიტომ ეს უკანასკნელნი,
როცა აღნიშნენ ხოლმე მუდმივს საგნის ნიშანს-იხმარებთან
უსაგნის სახელოთ, მაგ. „აბოლო (კაცი) გაზრდას მოეღის,
ღარიბი (კაცი) გამდიდრებასა“. ანდ. ზოგიერთი დართვითი
სახელები ცალკე ხმარებისაგან თითონაც არსებითი სახელებად

გადაიქცენ, მაგ. სწავლული, მეცნიერი, მეკერვალი, მჭედელი, საუბნი, სახელომი, მოშაირე, სწავლული, სათეზაო და სს. აქ თავისთავით იგულისხმებს საგნის სახელი (სწავლული კაცი, სათეზაო ადგილი). რათგან თვისება და ვითარება არის მხოლოდ საგანში და მას გარეშე თავისთავით არ არსებობს, აგრეთვე სიტყვაშასუსში უარსებითისასეღათ დართვითი სახელის მნიშვნელობა არ აქვს.

113. საგნის თვისებანი სხედასხვა ხასიათისანი არიან. ავიღოთ, ვითარებანი: მაღალი, სხეილი, გრძელი, ესენი შეიძლება ამ ზომისაჲ იყონ საგანში, იმ ზომისაჲ; საგანი მაგ. შეიძლება იყოს მომადლოცა, ე. ი. ცოტათ მაღალი, ცოტა სხეილი, და მისთ. და საგანი შეიძლება იყოს ერთობ მაღალი, მეტათ სხეილი, ფრიად გრძელი...

მეორე შემთხვევაში საგნის თვისებაში არივითარი ხარისხი არ არის, მაგ. სიტყვაში ქალაქური, მამისული, სამმო მეტნაკლებობა არავითარიმე შეიძლება.

აქედამ ჩანს რომ ხარისხები აქვს მხოლოდ ვითარებითს დართვითი სახელებს. ამ ხარისხებს ქვია შედარების ხარისხები და არიან სამნი: დებულებითი, შეწონებითი და აღმატებითი.

114. დებულებითი ვითარების ხარისხი გვისახავს ერთი საგნის თვისებას შეუფარდებლათ მეორისასთან, მარტივათ, მაგ. „შავი მაუდი“ ნიშნავს, რომ მაუდის ფერი ისეთია, შავი არ დაარქო, არ შეიძლება.

შ. თუ საგანს რომელიმე თვისება სისრულით არ დაემისების, არამედ ნაკლულის, ოდნავ შესამჩნევის ზომით, მაშინ დებულებითს საჩისსს ემატება თავსართი მო (ან წა) და დაბოლოება ეცვლება ო ზედ, მაგ. მოშავო (ცოტათ შავი) მოყვითალო, მოდაბლო, მოამჰარტავნო, წაწითლო, წათეთრო, მობრწყინო, მოსუფელო.

115. შეწონებითი ხარისხი არის დებულებითის წინააღმდეგი, ე. ი. მაჩვენებელია მისი; რომ ერთი საგნის ვითარება დაედარება იმავე ვითარებას მეორე საგანში. აქ ორი შემთხვევაა: ეს ვითარებანი (ორსავე საგანში) ან თანასწორნი არიან, ან არა. პირველ შემთხვევაში გამოდის თანასწორობის, შეწონებითი ხარისხი ხოლო მეორეში უთანასწორობის. პირველ შემთხვევაში ვამბობთ, მაგ. წითელა იგრევე მაღალი და მაგარი, როგორც რცხილა. მეორე შემთხვევაში კი თავსართად უზის უ და დაბოლოებად ეს ი, მაგ. წითელა უდაბლესი და უმაგრესია რცხილან.

შ. ზოგჯერ სულმთლათ ესწინა და რჩება ე, მაგ. „რუ-უარეა (უარესია) მამაცსა რმშიგან ზირის მდმეკელსა“. შ. რ. უამე(სი), უკეთე(სი), უმავე(სი), უთეთრე(სი).

116. თუ საგანს მიემისების ისეთი რამ თვისება, რომელშიაც მას დამადარი არა ჰყავს მისს გვარ საგნებში და შესადარებელი თვისება უნდა გამოიხატოს უმაღლესი საესებით, ამას რომ გამოთქომს, იგი არის აღმატებითის ხარისხის ვითარებითი დართვითი სახელი, მაგ. უუგონიერესი, უუწარჩინებულესი და სხ.

შ. ეს სარისხი გამოითქმის სამრიგათ: ა) შეწონებითს ხარისხს მიემატების თავში კიდევ ერთი უ, ბ) შეწონებითს ხარისხს წინაუძღვის ნაცვალსასელი თვით, მაგ. თვით უკეთესი, თვით უმაღლესი, გ) დებულებითს ხარისხს წინაუძღვის ერთუძითი ამ წმნისწედთაგანი: ყოვლად, ყრბად, ძლიერ, ღია, მეტად, ერთობ, მაწკედ. ეს უკანასკნელი ფორმა უფრო მიღებულია და დაბიური.

117. მხოლოდ ვითარებითს დართვითი სახელს აქვს ეს ერთი განკერძოებული თანამყოლი-შედარების ხარისხები. თორემ დანარჩენნი თანამყოლნი ყველა დარ-

თვითი სახელებსაც აქვთ იგივენი, რაც არსებითი სახელებს, ე. ი. რიცხვი, ბრუნვები და კანკლედობა. რიცხვი აქვს ორი: მხოლოდობითი და მრავლობითი; ბრუნვაც შვიდი და კანკლედობაც ერთი. კანკლედობას არსებითი სახელივით-ასე; შავი, შავის(ა), შავს(ა), შავმა(ნ), შავით(ა), შავად, შავო; შავები, შავების(ა), შავებს(ა), შავებმა(ნ), შავებით(ა), შავებად, შავებო.

118. თუ არსებითი სახელს დართვითი წინაუძღვის (უფრო ხშირათ ეგრეთ), მაშინ შეთანხმება მათი მოხდების ბრუნვებში და არა რიცხვში, შემდეგის წესით.

მხ. რიც.

მარ. რიცხვი

სახ. ახალი წიგნი	ახალი წიგნები
ნათ. ახლის(ა) წიგნის(ა)	ახლის(ა) წიგნების(ა)
მიც. ახალს(ა) წიგნს(ა)	ახალს(ა) წიგნებს(ა)
მოთხ. ახალმა(ნ) წიგნმა(ნ)	ახალმა(ნ) წიგნებმა(ნ)
მოკ. ახლის(ა) წიგნით(ა)	ახლის(ა) წიგნებით(ა)
გად. ახალს(ა) წიგნად	ახალს(ა) წიგნებად
წოდ. ახალო წიგნო.	ახალო წიგნებო.

119. ამა მაგალიდამ ჩანს, რომ არსებითი სახელის მოქმედებითი ბრუნვა დართვითი სახელისას ნათესაობითს ბრუნვას თხოულობს და გადაქმნითი ბრუნვა პირველისა-მეორის მიცემითსა. აი მაგალითები: „მისი კითხვით წამოსულვარ არ მთერალი და არ მახმურად“. შ. რ. „კახურის ღვინით აღესილი აზარფეშაცა ხელს გვეპყრას“. გ. ო.; „ვეინც დაუდგრომლის ხელით...“ ე. ო.; „კარგს კაცად დავსახე“.

ასეთი წესია მაშინ, როცა დართვითი სახელი (ანუ ყოველი მსაზღვრელი სიტყვა) არსებითს (ანუ საზღრულ

სიტყვას) წინ უზის. ხოლო თუ პირველი მეორეს შემდეგ დგას, (რაც მეტად ხშირია საღეთო-საეკლესიო წიგნებში), მაშინკი ჩვეულებრივი შეთანხმებაა, მაგ. „ხელითა ძლიერითა და მკლავითა მაგრითა“, დავ. „ზოგი არწივსა ზეცას ფრინავს ისრითა მკვეთრით განუპოვს გულსა“, გ. ო.; „მისგან ტვირთი კაემნისა ტვირთად წარგად აეიკლა.“ შ. რ.

120. როცა სახელდართვითი დგას სახელარსებითს შემდეგ, მაშინ, არათუ ყოველს ბრუნვაში, რიცხვშიაც კი სრული თანახმობა, მაგ. „მთვარისა შუქზედ არაგვის წყალთა თავისუფლებით ჩამომჩრიალთა.“, „შუქითა ფრთები გარშემომწერები.“, „გაზაფხულმა თქვა: ვისმინე შენი სიტყვები თქმულები, შენც უგვარო ხარ და შენიც საქებრად გამოთქმულები.“ თ. I

121. თუ საგნის ერთერთს ვითარებაზე განსაკუთრებული ყურადღება აჩის მიქცეული, უფრო, ვინემ თვით საგანზე, მაშინ მრავლობითის რიცხვის გამოსახატავად სახელდართვითი ორკეცდების (თუნდა წინიუოს თუნდა უკან) როცა სახელარსებითი მრავლობითად ნასმარია, მაგ. შავ-შავი ცხენები (და არა სხვა ფერისანი), მალაღ-მალაღი ხეები, მაკე-მაკე ძროხები, ცალ-ცალკე პურისჭამა, ასლო-ასლო ღემურები და სს.

122. მრ. რიცხვის მეორენაირნი საკვეცნი (ნი, თა და სხ.) სახელდართვითს აქვს ორ შემთხვევაში: ა) როცა თვით არსებითი სახელი ხმარობს მათ-არითქმის „დიდნი საზოგადოებანი“, „კარგთა კაცთასა იქმოდეთ მუდამ ჩვენთანა ხლებასა.“ შ. რ., „მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?—რათ მომიხიბლენ, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?“, ნ. ბ., „შაენი შაშენი შავს გალიას შემსხდარნი, ტკბილათ მხმობნი მით ერთისა პირითა.“ ბ. გ. ბ) როცა რამდენიმე სიტყვა ზედისზედ ერთს ბრუნ-

ვაზე ღვას, მაშინ ფერადსახეობისთვის (რათა ხშირი სინი არ გამოვიდეს) ხან პირველნაირი ფლექსია იხმარების, ხან მეორენაირი, მაგ, არ ითქმის: „შენის მოქმედების შინაგანის მხარეების გასინჯვა“, არც: „შენთა მოქმედებათა შინაგანთა მხარეთა გასინჯვა“, არამედ ასე: „შენის მოქმედების შინაგანთ მხარეთა გასინჯვა“ და ან „შენთ(ა) მოქმედებათ(ა) შინაგანის მხარეების გასინჯვა“.

შ. ასეთი წესები გამოუმუშავებია ახალს ქართულ ენას, რომელიც მით კეთილხშიერდება. ძველში თითქმის ყოველგან სრული შეთანხმებაა მსაზღვრელის დასაზრული სიტყვების ბრუნვებშია და რიცხვშია. ამას გარდა ძველს ქართულს მოსწონდა მრ. რიცხვის მეორენაირი დაბოლოება (ნი, თა ..) და ბრუნვების სრული ფლექსიები. მოკვეთილი ფლექსიების სმა-რება, რაც დაფუძნულია ე. წ. ფონეტიკურ სპობაზე, უფრო ასალი საქმეა.

123. როდესაც რამდენიმე ერთ და იგივე (ანუ მონათესავეც) ასო თავისიყრის შეთანხმების ღროს, მაშინ მუშაობს ფონეტიკური სპობა და ბრუნვები იხმარების მოკვეთილის ფლექსიებით. ზოგჯერ სრულის ფლექსიების ხმარება მიუცილებელია. ამისთვის აქვს ოთხგვარი შეთანხმება ნათესაობითს, მიცემითს, მოთხრობითს და მოქმედებითს ბრუნვას, გადაქმნითს ორგვარი, ხოლო სახელობითს და წოდებითს თვითო გვარი, აი ასე: ა) სახ. შა-ვი ხარი; ნათ. შა-ვი ხარისა, შა-ვისა ხარის, შა-ვის ხარისა, შა-ვის ხარის; მიც. შა-ვის ხარსა, შა-ვის ხარს, შა-ვის ხარსა, შა-ვის ხარს; მოთხ. შა-ვმან ხარმან, შა-ვმან ხარმა, შა-ვმა ხარმან, შა-ვმა ხარმა, (ამ ბრუნვას ზოგჯერ მეხუთე გვარი შემოკლებაც აქვს: კარგმა ღელამ); მოქმ. შა-ვისა ხარი-თა, შა-ვისა ხარით, შა-ვის ხარი-თა, შა-ვის ხარით; გად. შა-ვისა ხარად, შა-ვის ხარად; წოდ. შა-ვო ხარო.

როდის რომელი უნდა იხმარო, ეს იმას გააჩნია, თუ შემდეგი სიტყვა რა ასოთი იწყება და წინა სიტყვა რითი თავდება, და სად ძეგს სიტყვა: ფრაზის ბოლოს, თუ შუაში.— ეყიდულობ შეეს ხარსა; შეეს ხარს ეყიდულობ: რომელს ხარს ყიდულობ? შეესა.

ბ) ახალი სიმინდი, ახალისა სიმინდისა, ახალი სიმინდის (ა), ახალ სიმინდსა, ახალი სიმინდებისა და სხ. ასე კანკლედობს იმიტომ, რომ თუ თქვი „ახალის სიმინდისა“ ან ახალს სიმინდსა, მაშინ ორი ერთგვარი ასო ს-ს ზედი ზედ ხედება, ენას უჭირს ამის გამოთქმა და იმიტომ ფონეტიკურათ ისპობის პირველი. ესევე ითქმის ს-ანის მონათესავე ასოებზე, რომელნიც არიან: ზ, შ, ჩ, ც, ამისთვის კანკლედობა ასეა: შავი ზღვა, შავი ზღვისა, შავ ზღვას; შავი შაშვი, შავი შაშვისა, შავ შაშვსა; კრელი ციცარი, კრელი ციცრისა, კრელ ციცარსა; გათლილი ჩარჩო, გათლილი ჩარჩოსი, გათლილ ჩარჩოს და სხ.

სხვა ასოებიც ამავე წესს ექვემდებარებიან, რის გამოც ასე კანკლედობენ შემდეგი სიტყვები: კარგმა ნათესაემა (ნ) და არა კარგმან ნათესაემა; თოხარიკმა ლაფშამ და არა თოხარიკმან ლაფშამ; ჩქარმა რიონმა და არა ჩქარმან რიონმა (ლ, ნ, რ, ხო მონათესავენი არიან). კარგმან ადამიანმა (ნ) და არა კარგმა ადამიანმა (ორი ა-ა ზედიზედ). მრავლობითის ფლექსიებიც ამავე წესს შეუდგებიან, მაგ. ახალნი თაობანი, ახალთა თაობათა და არა ახალთ თაობათ, რათგან ზედი ზედ ორი თანი დგება. არც ასე ითქმის: ახალთა თაობათ თათბირი, არამედ: ახალთა თაობათა თათბირი და სხ.

124. როცა რამდენიმე სახელდართვითი არსებითს წინაუძღვის, მაშინ კანკლედობს მხოლოდ პირველი მათგანი ამ წესს არ ექვემდებარებიან მოთხრობითი და წო-

დებითი ბრუნვა. თუ რომელიმე ამ შუაში მოქცეული სახელდართითთაგანი ი-ით ბოლოვდება, მაშინ იგი მიცემითს და გადაქმნითს ბრუნვაში ამ ი-ნსაც ისპობს თავის წინა ასოიანათ. — აი ამ გვარის კანკლედობის ნიმუში: სახ. გულადი, ღონიერი, შემმართებელი კაცი; ნათ. გულადის (ა), ღონიერი, შემმართებელი კაცის (ა); მიც. გულადს (ა) ღონიერ, შემმართებელ კაცს (ა); მოთხ. გულადმა (ნ) ღონიერმა, შემმართებელმა კაცმა (ნ); მოქ. გულადის (ა), ღონიერი, შემმართებელი კაცით (ა); ცვალ. გულადს (ა), ღონიერ, შემმართებელ კაცად; წოდ. გულადო, ღონიერო, შემმართებელო კაცო. მრავლობითს რიცხვში არსებითი სახელს ჩვეულებრივი საკვეცები აქვს და დართვითი სახელი ეგრევე რჩება.

ესრეთივე წესი საქმობს მაშინაც, როცა არსებითი სახელი სახელდართითებს წინაუძღვის, ე. ი. არსებითი თავისს რიგზე კანკლედობს და მას ეთანხმების მხოლოდ უკანასკნელი დართვითი სახელი, აი ასე: კაცი გულადი, ღონიერი და შემმართებელი; კაცის (ა) გულადი, ღონიერი და შემმართებელის (ა) და სხ.

შ. იშვითი დართვითი სახელი ბოლოვდების ასოებით ა, ე, ო და უ-თი, და რომელსაც ეს სმოვანები აქვთ ბოლოს და არა ჩვეულებრივი — ი, მაშინ ისინი აღარ კანკლედობენ, როცა წინაუძღვიან არსებითი სახელებს, მაგ. მოკლე ჯოხი, მოკლე ჯოხისა, მოკლე ჯოხსა; ურუ კაცი, ურუ კაცისა და სხ.

125. ზემორე ჩამოწერილს ფონეტიკურ წესებს და მათგან გამონაკლთა შეცთომასში შეეავს სამი ქართველი მწერლები, რომელთაც გონიათ, რომ დართვითი სახელი სრულიათ არ ეთანხმება არსებითსა რიცხვსა და ბრუნვებში. ამისაგამო სშირათ გერ გაგიგია, თუ რის თქმა უნდა მწერალს და რომელი რომელ სიტუვასა საზღვრავს, მეტადრე ვრცელს

წინადადებაში. მაგალითად ფრაზებში: „კარგი ნადირობის ამბავი საამოდ მოსასმენია“, „წვრილი სესილის ნაყოფი“, „ავი კაცის ნამოქმედარი“—რომელ სიტყვას უნდა საზღვრავდეს დართვითი სახელები: კარგი, წვრილი, ავი?—ოღონდაც რომ იმათ, რომელთანაც ბრუნვაშია შეთანხმებული, ე. ი. სიტყვებს: ამბავი, ნაყოფი, ნამოქმედარი და არა იმ სიტყვებს, რომელთაც ასლო უდგანან, ე. ი. ნადირობის, სესილის, კაცის. ამ უკანასკნელებს რომ ემისებოდეს, მაშინ ასე უნდა გვეთქო: კარგის ნადირობის, წვრილის სესილის, ავის კაცის. ასე არ ათანხმებენ ზოგნი და გამოდის ცნებათა ორჭოფობა. თუ ვთქვით, ისე როგორც ზოგნი სწერენ: ნადირობის კავი ამბავი, სესილის წვრილი ნაყოფი, კაცის ავი ნამოქმედარი-ო, მაშინ ეს სიტყვათა წეობილების გარემოცობა იქმნება და უკლები წინადადების წევრთა დალაგება და არ დაფუძნული მსჯელობის ზნისიურს კანონებზე (ის. წინადადების წევრთა გარჩევა სინტაქსში). ფაზაში „დიდი ღვთის ქმნილება“ სიტყვა „დიდი“ საზღვრავს—ქმნილებას და თუ გვინდა საზღვრავდეს სიტყვას „ღვთისა“, უსათუოდ უნდა შევუთანხმოთ მას ბრუნვაში და ვთქოთ: დიდის ღვთის ქმნილება“.

126. წინადადებაში დართვითი სახელი უფრო ხშირად არის მსაზღვრელად, მაგ. „ავი კაცი აღდგომასაც ავია“ ანდ. უფრო ძვირათ არის: ა) საუბნად, მაგ. „ავი შემნახავი ქურღხედ უარესია“, მჯობნის მჯობნე არ დაილევა“ ანდ. ბ) სახელომად, მაგ. „ავი შვილი დედამის მაგინებელია“ ანდ. (მაშინ უთუოდ მწეობით ზმნა არის-ა ერთვის) გ) დამატებად, მაგ. „აეს ნუ იზამ, ავის ნუ გეშინია“ ანდ. დ) მიმართობად: „ჰე არსისა შემოქმედო, შენგან არის ყოვლიფერი“, შენამც მრისხაე მოწყალეო, თუ ტყუილათ მოგეფერი“. თ. I. ე) სიმეტრიად, მაგ. „იგი, უებრო, ქუშათ ჯდა ელვისა მსგავსთ. შენოდა“, შ. რ.

რისხვითი სახელი.

127. თავიდათავი რიცხვითი სახელები არიან ოთხგვარნი და თუ მეორე ხარისხოვანთა ცვიგულებთ, მაშინ შეიღგვარნი.—საგნების ანგარიშს, რომ გვიხატავს მარტივათ, სათვალავ გარდაწყვეტილს ანგარიშს რომ გვეუბნება, ისეთი რიცხვითი სახელი იწოდების რაოდენობითად: ერთი, ორი, ოცი, ასი.

128. საგნების წესს და რიგს რომ გვიჩვენებს, თუ რომელ საგანს რომელი ალაგი უკავია სხვა მსგავს საგნებს შორის—ასეთს რიცხვითი სახელს ქვია წესებითი: პირველი, მეორე, მესამე, მეათესე.

129. მთელს თანასწორ ნაწილებს, ანუ დარიგებას რომ გვიჩვენებს, ისეთს რიცხვითი სახელს გვიქვია ზოგულებითი: ნახევარი, მესამედი, ოთხი მეოთხედი, სამი მეასედი და სხ.

130. არსებითი სახელის მსგავსად რომ ერთგვარი საგნების რაოდენობას გვიხატავს, ამისთანა რიცხვითი სახელს ქვია მკონობითი, მაგ. სამეული, ხუთეული, შვიდეული, ათეული, ათასეული, დუქუნი, უღელი, წყვილი, ლუწი, რყუბი, მარჩბივი, ბევრი, ცოტა, მეტი, ნაკლები, უღელცალი, ყვეარი.

131. უფრო გამოწვლილვით, რომ განვსიღოთ, რიცხვითი სახელები კიდევ არიან: ა) დაახლოებითი, მაგ. ორიოდე, ათიოდე, ასიოდე, ე. ი. ცოტათ ან მეტი ან ნაკლები: ბ) განწყაღვითი, მაგ. სასამაღი, სათაღი, სასაღი

(პროცენტი), ნათასალი. ესრეთი რიცხვითი სახელი მკაცრათ განიჩევის ზოგლებითისგან. განწალვითი გვიჩვენებს რამდენისამე მთელის ნაწილის მთელისგანვე შენადგენს, მაგ. ნათასალი ოცის ვაშლის იქმნება ორი (მთელი). იმერეთის მსარეში ამას მეორენაირათ ეტყვიან: ათისთავი, ხუთისთავი, ასისთავი, ე. ი. ხუთზე ერთი, ასზე ერთი, ათასზე ერთი და სხ. გ) განზომითნი: ერთიანი, ორიანი, სამიანი, ასიანი და მისთ.

132. როგორ გამოსახულა თვითეული რიცხვითი სახელი და როგორ განარსებულა, ამას თუ გავსინჯავთ, ენახავთ რომ ზოგი მათგანია ძირითადი: ერთი, ორი, ათი, ასი, და ზოგი მათგანი წარმოებული: მეორე, მესამე, ათეული, ასიანი, მეხუთედი და სხ.

ყველა წარმოებული რიცხვითი სახელები (გარდა „პირველი“ ისა და „ნახევარი“ ისა.) განარსებულან ძირითადთაგან თავსართის და ჩასართი საკვეცის მიმატებ-მომატებით, მაგ. ორი-მე-ორ-ე, ასი-ნა-ას-ალი...

133. თუ რიცხვითი სახელს შენადგენობის ნაწილები გაუსინჯე, ნახავ რომ ზოგი მათგანია მარტივი, ე. ი. ერთის მხოლოდ ფესვის მექონი, მაგ. ორი, მეორე, ასი, ნასალი; ხოლო ზოგი არის რთული, ე. ი. ორის ან მეტის ფესვის მექონი, მაგ. თერთმეტი (ათ-ერთ-მეტი), ათ-ცხრა-მეტი ანუ ცხრამეტი, მთელ ნახევარი, ე. ი. ერთი მთელი და მეორისა კიდე ნახევარიო და სხ.

134. რიცხვითი სახელს არ აქვს მხოლოდ, (ვითარებითი) დართვითი სახელივით, შედარების ხარისხები, თორემა დანარჩენნი თანამყოლნი ერთი და იგივე არის ორივესთვის.—რიცხვითი სახელი ექვემდებრება იმავე წესებს, რომელსაც დართვითი სახელი, ე. ი. იგივე კანკლედობა ცალკეც და სახელარსებითთან შეთანხმებით, იგივე გაორკეცება მრავლობითისთვის, იგივე გამოწკლნი

და იგივე ფონეტიკური სპობა ბრუნვათა ფლექსიებში. მაშასადამე, რიცხვითი სახელის კანკლედობისთვის ცალკე ნიმუშების მოყვანა განმეორება იქმნებოდა.

135. უსულო საგნების სახელებთან ან არც რიცხვითი სახელის და არც არსებითის მრავლობითად ხმარება საჭირო აღარ არის, მაგ. უნდა ითქვას: ორი წიგნი, ასი კაცი, ბევრი ფული, ცოტა პური, წყვილი დანა, ყვეარი ხარი, ასიოდე მსხალი... და არა: ბევრი ფულები, ასი კაცები და სხ, რადგანაც თავათ ჩანს რომ სიტყვა მრავალს ეხება.

როცაკი პიროვნებაზედ არის ლაპარაკი, მაშინ მრავლობითის-რიცხვის გამოსახატეად იხმარების მეორენაირი ფლექსიები, ე. ი. ნი, თა და სხ.—არ ითქმის; ორები, სამები, წყვილები, არამედ; ორნი სამნი, წყვილნი და სხ. აი მაგალითებიცა: *ორთა ძმათა წევროსანთა ძმა მოყვანდათ უწვერული.*“ „*ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია.*“ „*ორნი კაცი მიდიოდენ სადაურნი სადმე გზასა.*“ შ. რ. „*ვართ ბრძოლათ მათდა მოსრულნი, ზოგთაგან ოთხნი ძმანია.*“ გ. ფ.

136. წინადადებაშიაც რიცხვითი სახელი მასვე შერევა, რასაც დართებითი სახელი.-იგი შეიძლება იყოს, მაგ. *საუბნად: „ორი ერთზე ლაშქარია“ ანდ. სახედომად: მსაზღვრელად: „ერთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯეროცია.“* შ. რ. „*ათასს წელს ვერსით შეუვალთ, თუ ზე დაგვიხშან კარია.*“ შ. რ. *დამატებად-„კითხე ასსა, კმენ გულისა“ ანდ. და სხ.*

ნაცვალსახელები

137. ნაცვალსახელები არიან ცხრა გვარნი.-პირთა სახელების მაგივრათ იხმარებიან ნაცვალსახელები: მე, შენ, იგი, ჩვენ, თქვენ, იგინი. ამათ ეწოდებათ პიროვნებითი ნაცვალსახელები. როცა პირი ეინმე ლაპარაკობს თავისი სახელით, მაშინ ამბობს: მე, მრავლობითად: ჩვენ და ეს მოლაპარაკე პირი არის პირველი; მისი სახელის სამაგიერო ნაცვალსახელი იწოდება პირველის პირის პიროვნებითად: მე, ჩვენ.

რომლისადმი მიიმართვის საუბარი, ის იწოდება მეორე პირად და მეორის პირის სახელის სამაგიერო ნაცვალსახელი იწოდების მეორის პირის პიროვნებითად; შენ, თქვენ.

პირი (ან ნივთი), რომელზედაც ლაპარაკობენ იწოდების მესამე პირად და მესამის პირის სახელის სამაგიერო ნაცვალსახელს ქვია პიროვნებითი მესამის პირისა: იგი, იგინი.

138. ნაცვალსახელი. თავათ, თავისთვის ყველა სამსავე პირებს ეკუთნის და რათგან ეს ნაცვალსახელი გვიჩვენებს, რომ რომლისამე პირის მოქმედება მასვე უბრუნდება, ამიტომ იგი იწოდების უკუთქცევითად.

139. ნაცვალსახელები: ეს (ე), ეგ(ე); ის(ი), იხმარებიან საგნებზე მისათითებლად და არიან ჩვენებითნი.

შ. ჩვენებითი ნაცვალსახელი ეს და ეგ და ისი და

იგი (პიროვნებითი) თითქო ერთი და იგივენი არიან, მარამა ეგ შემცთარობაა და თვითეულს თავთავისი ალაგი აქვს. ესე (ამის, ამას, ამან) უნდა ისმარო მაშინ, როცა ამით ნაჩვენები საგანი უფრო ახლოა მოქმედთან, მინამ გამგონთან, მაგ. „ამა საქმეს დაფარულსა ბრძენი დივნოს განაცხადებს.“ მა საქმესა მიჯნურნი ნუ უხმობთ მიჯნურობასა.“ შ. რ.

ეგე (მაგის, მაგას) ისმარების წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ მით ნაჩვენები საგანი გამგონს უფრო ეახლოვება, მინამ მოქმედსა, მაგ. „ეგე (შენ რომ ამბობო) არ მიმიძის გეზირო, ესეა (მე რომ ვამბობო) რომე მწყენია.“, „ეგე ამბავი (შენ რომ გულში გაქვს) ცოცხალსა ენითა კერ მათქმევინო.“, „ესე (ახლა მე რომ ვთქვი) თქვა და დაასრულა, თამაშობა“ აღიდა, „ეგე სიტყვა (შენ რომ ასლა წარმოთქვიო) მოიგონე დია რამე უკეთესი.“, ესე ამბავი მართალი ჩანს ქვასა ზედან წერია: ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.“ შ. რ.

იგი და ისი აგრეთვე ისმარების სსკადასკა შემთხვევაში. პირველი მათგანი პიროვნებითი ნაცვალსახელია, სოლო მეორე ჩვენებითი. ამიტომაც ისი ისმარების იქ, საცა მისიერ სასიღრელი სიტყვა ან თანვე უზის, ან ერთობ აშკარაია განსაზღვრულ და მისასხედრელია, რომ ხელასლა არ გამოცდეს. აი მაგალითები: „შეხლტა ცხენი, შეჭისვინა: ისა კაცი ავი არი.“ ს. ს. „რას გეჭადდა ისი მოყმე, მესწრაფების მეტისმეტათ.“ „ისი (იქვე ნათქომა ავთანდილზე) მინდორს არონინებს ტანსა მჭევრსა, მემაჟანას.“ შ. რ.

იგი ისმარების მაშინ: 1) როცა ამის მიერ აღნიშნული პირი (და არა ნაჩვენები) ნაღდათ არ არის, მაგ. „იგი მივა თავმოადრეკით წყნარი არას მოუბარი.“, „იგი (ავთანდილი იგულსმების) რა ნასეს მესროლთა, სროლასა მოკშლუებიან.“. 2) როცა სასაზღვრი სიტყვა მეორე წინადადებაშია და შორს

დგას მისგან, მაგ. „რა კარდმან მისი ყვაილი გახსმოს, დაამ-
ჰენაროსა, იგი წავა და სსვა მოვა ტურფასა საბაღსაროსა.“
შ. რ. „კინტ მძას დაცემულს მიტა ხელი და აღადგინა, იგი
აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმინდასა.“ გ. ო. ვ) იგი ისმ-
რების იქ, საცა მას არსებითი სახელი თანსდევს, მაგრამ ისე
კიარა როგორც საზღრული სიტყვა, არამედ ისე, როგორც
სიმეტრე (რომელიც რასაკურელთა მძიმეებ შორის ზის),
მაგ. „იგი, უებრო, ქუშათ ჯდა.“ შ. რ. ზოგს მწერლებს,
როგორც პელებს, ისე ასლებსაც ამ წესისთვის ეურიარ უგ-
დიოთ, იგი და ისი გაუერთდაიგიებიათ და ამოხუენ: „იგი
დიდება, იგი ჰატივი, იგი კატი, იგი ჰზრი“ (ივერ.) აიკ ად-
გილი მდებარე აბისინიასა და მეწამულ ზღვას შუა.“ ამ-
ბოხს მემეტინე, თითქო აღნიშნული ადგილი წამგითხეულს
წინ ედოს. აქ არ ითქმის არც „იგი ადგილი“, არც „ეს ად-
გილი“, არამედ უნდა ითქოს ის ადგილი“.

სადვთო საეკლესიო წიგნებში ზემოთ აღნიშნული წესი
უკელაზე უფრო სშირათ არის დარღვეული. თუნდა ამ წესის
დარღვევაც არიოს, მის აღდგენას ასალი ენა კერ შიენწა-
რებს და ანაქრონიზმთა. ენის ბუნება წინაღმდეგია მისი, როცა
ჩვენებითის ნაცვალსახელის მაგიერ ხმარობ ჰირავსებითსა.

140. ნაცვალსახელები: ჩემი, შენი, მისი; ჩენი,
თქვენი, მათი და თ(ა)ვისი გვიხარვენ მფლობელობას
ანუ დამისებას და ემაგიერებიან მფლობელის პირის სა-
ხელს, ამიტომ იწოდებიან კუთნილებითად.

141. ნაცვალსახელები: ეინ, რა, როგორი, ვისი,
რამდენი, რომელი, თუ იხმარებიან საკითხავათ,
მაშინ ეწოდებათ მათ კითხვითნი (ვისი ხმა? რა წიგ-
ნი?), და თუ მათით ნაჩვენებია წინამძღოლი საგანი, რო-
მელთაც ისინი ემისებრან, მაშინ-კელავმოლებითნი,
მაგ. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა-დაკარგუ-

ლია.“ შ. რ. „მამაო ჩენო, რომელი ხარ ცათაშინა“.

142. ნაცვალსახელები: ვინემ, რა(ი)მე, რომელიმე, ვილა(ა), რალა(ა), იწოდებიან უმეშაობითებად, რათგან მათით აღნიშვნიან უცნობი პირები და ნივთები.

143. ერთი საგნის მეორისგან გამომავლობას, თუ მსგავსებას აღნიშნენ ნაცვალსახელები დამოკიდებითნი: ამათგანი, იმისგანი, ჩვენთაგანი, შენებური, ჩენებური, მისებური, ჩემებრი და სხ.

144. ნაცვალსახელები: არაეინ, არაფერი, არა-რა, არცრა, არაეითარი, არაეისი უარყოფენ სახელებს გადაჭრით და ამიტომ ისინი არიან უკუთქმითნი.

145. საგნის ვითარების სამაგიერო ნაცვალსახელები, როგორც მაგალითად: ყველა, თვითეული, ყოველი, ასეთი, ისეთი, თვითონ, ეგეთი, იგეთი, ჩემისთანა, ამრიგი, იმგვარი... იწოდებიან საზღვრებითად.

146. ნაცვალსახელებს აქეთ იგივე თანამყოლნი და წესები, რაც რიცხვითი სახელებსა. მხოლოდ ზოგიერთის ნაცვალსახელის კანკლედობა არის რიგ გვარეთი.

147. პიროვნებითი და უკუქცევითი ნაცვალსახელები სრულიად არ კანკლედობენ, ე. ი. ყველა ბრუნებებზე პირველდაწყებითი ბრუნვის ფორმა აქეთ, მაგ. მე მოვედი, მე მითხრეს, მე წამიყვანეს და სხ. აგრეთვე არის ჩენ, შენ, თქვენ, იგი. იგინი. მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს შემდეგი ბრუნვები: სხ. იგი, მიც. მას, მოთ. მან, მოქმ. მით, ცვ. მად. მრ. რიცხვი: სახ. იგინი, მიც. მით, მოთხ. მათ. მოქმ. მათით (ა). სხვა ბრუნვები არ აქვს.

148. ჩვენებითი ნაცვალსახელი, როცა ცალკე დგას ასე კანკლედობს: მხ. რიც. სახ. ეს (ე), ნათ. ამის (ა), მიც. ამას(ა), მოთ. ამან, მოქ. ამით (ა), ცვალ. ამად. (წოდ. არ აქვს). მრ. რიცხ. სახ. ესენი, ნათ. მიც. და მოთხ. ამათ

მოქმ. ამათით, ცვალ. ამაებად. (წოდ. არ აქვს). მხ. რ. სახ. ეგ (ე), ნათ. მაგის (ა), მიც. მავას (ა), მოთ. მაგან, მოქ. მაგით (ა), ცვალ. მაგად (წოდ. არ აქვს). მრ. რიც. სახ. ეგენი, ნათ. მიც. და მოთხ. მაგათ, მოქ. მაგეებით, ცვალ. მაგეებად (წოდ. არ აქვს).

ასე კანკლედობს ჩვენებითი ნაცვალსახელი, როცა ცალკე ან არსებითი სახელს შემდეგ დგას, ხოლო თუ ამ უკანასკნელს წინაუძღვის მაშინ მოკლედობს,—ასე: ეს კაცი ამ კაცისა, ამ კაცსა, ამ კაცმან, ამ კაცითა, ამ კაცად: ეს კაცები, ამ კაცებისა და სხ. ესრეთი შემოკლება ახალის ქართული ენის საქმეა, თორემ ძველათ სრული ფორმა იხმარებოდა და წერდნენ (თუ არა ამბობდნენ): „მის მეფისა წესი იყო.“, „მას დღეს აეთანდილ ხელმწიფედ ზის.“, „მან ქალმან შაოსანამან.“, „მით ერთითა მათრახითა...“, „ამას ღამეს ნუ მოხელო“ „სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად“, „ამა საქმესა მიჯნურნი ნუ უხმობთ მიჯნურობასა.“ შ. რ. (უნდა ყოფილიყო; „ამას საქმესა“ მარამა პირველი ს ფონეტიკურათ სპობილა) „ამან გლახკმან ხმაყო“ დაე. ახლა ეამბობთ: ამ გლახკმა, ამ კაცად და სხ. ესრეთი შემოკლება სრულიად კანონიერია, რათგან ჩვენებითი ნაცვალსახელები თავისთავათაც ჩანან ბრუნვათა ფლექსიებში, მაგალითად აეილოთ სიტყვა კაცი. ნათ. კაცისა,—ეს ისა არის იგივე შემოკლებული მისა; მიც. კაცსა—კაც—მასა, მოთ. კაცმან. აქ მთლათ ჩანს მან და სხ. ახალმა ქართულმა ენამ სრული ფორმები მეტ ბარგად იცნო და შეამოკლა იმ კაცის, ამ კაცსა და სხ.

შ. აქედამ ისიც შესამეცნებელია, რომ ნაცვალსახელები პირველყოფილს ენაში არ უნდა ყოფილიყვნენ და შემოსულან ენაში სხვა სამეტყველო ნაწილებზე გვიანრელე.

149. ძითხვითნი კანკლედობენ ასე: ა) ვინ, ვის, რას (ა), რამ (ან), რით (ა). რად. (წოდ. არ აქვს) მრ. რაები, რაების (ა), რაებს (ა), რაებმა (ნ); რაებით (ა). რაე-ბად. (წოდ. არ აქვს), ბ) ვინ, ვის, ვის (ა), ვინ, ვისით (ა) ვისად. (წოდ. ბრუნვა და მრავ. რიცხვ არ აქვს), ამის მრავლობითს რიცხვს, როცა აღამიანთ პირადობაზედ არის ლაპარაკი, გამოსთქომს ნაცვალსახელი რა, მრავ-ლობითად ხმარებული მეორე ნაირის ფლექსიებით, მაგ. რანი, რათა (ნათ. მიც. და მოთხ.), რანითა, რაებად, მაგ. „რანი ვიყავით გუშინ“. ი. გ. და არა რაები ვიყავით.

150. შემეშევობითნიც აგრევე კანკლედობენ, მაგ. ვინმე, რამე, რომელიმე; ნათ. ვისიმე, რისმე, რომელი-სამე; მიც. ვისიმე, რასმე, რომელსამე; მოთ. ვინმე, რა-მე, რომელმანმე; მოკ. ვისითმე, რითმე, რომელითამე; გად. ვისადმე, რადმე, რომლადმე, (წოდ. არ აქვს) მხ. რიც. პირველს სულ არ აქვს, ხოლო მეორენი ასე კანკლე-დობენ; როცა პირადობაზედ არის ლაპარაკი: რანიმე, რომელნიმე; რათამე, რომელთამე და სხ. ისე რომ თან-დებული ყოველთვის ბოლოს უზის და არც იხმარების ამ სახით: რომლები, რომლებისა და სხ.

151. უკუთქმითი ნაცვალსახელები ასევე კანკლე-დობენ: არავეინ და არა რა არავეის (ა) და არარისა, არა-ვისა და არარასა, არავეინ და არარამ (ან), არავეისით, არა-რით (ა), არავეისად, არარად. (წოდ. არ აქვს და არც მრავლობითი რიცხვი).

ღანარჩენი ნაცვალსახელები სრულიად ისე კანკლე-დობენ, როგორც ღართვითი და რიცხვითი სახელები და ურთიერთობაც არსებითი სახელთან მათებრივე აქეთ უოლაფერში. როცა რამდენიმე ნაცვალსახელი მოხედე-ბის არსებითთან, მაშინაც მხოლოდ პირველი მათგანი

კანკლედობს, მაგ. შენი და ჩემი საქმე, შენის (ა) და ჩემი საქმისა და სხ.

როცა სასაზღვრ სიტყვას თან სდევს რამდენიმე მსაზღვრელი და ზოგი მათგანი, დართვითი სახელია, ზოგი რიცხვითი და ზოგი ნაცვალსახელი, მაშინაც ისეთივე შეთანხმებაა, ვითომც რამდენიმე დართვითი სახელი ყოფილა, მაგ. ერთი, მისი, ძველი ქუდი, ერთის (ა), მისი ძველი ქუდისა, ერთს (ა), მისს ძველ ქუდსა და სხ.

152. ნაცვალსახელები წინადადებაში შეიძლება იყონ იმავე წევრებად, რაებადაც არსებითი და დართვითი სახელები, რაკი ნაცვალსახელი სხვა არა არის რა, თუ არ იმათი სამაგიერო. აი მაგალითები: „ისინი (საებნი) იყვნენ სამასი, სულ დარჩეული ვაჟკაცი“¹. ხ. ს.; „ეისია (სახედომი) ეს წიგნი; „მისი (მსაზღვრელად) დილა დაიბინდა“² ა. წ. „ჩემს (დამატება) აწ ცანით ყოველმან.“³ შ. რ., „ჩემი შენ გითხარიო გული მოგიკალიო“⁴ ანდ. და სხ.

153. ზმნა არის უველა სამეტვეელო ნაწილებზედ უსაპა-
ტიოესი ნაწილი და მხოლოდ მასთან აქვთ მნიშვნელობა დანარ-
ჩენ სამეტვეელო ნაწილებს. პეკელს ქართულ ენაში მეტვეელებ-
ზედ მარტოკა ზმნა იწოდებოდა. ეს სიტყვა მარტო აღნი-
შნავდა ენის მოქმედებას, მოძრაობას და სიტყვები: ღ ა ჰ ა რ ა-
კ ი, უ ბ ნ რ ბ ე, ზ რ ა ზ კ ე, თუმიცა მისივე სინონიმები იყვენ,
მარამა გვიანრელე შემოდებულნი, „იცინოდენ, ემაწილობდენ,
საუვარლათ და კარგა ზმიდენ.“ „ფატმან სათუჩ თვალათ
მარჯვე არ ემაწილი, მაგრამ მზემელი“; „ჭკრეტა ასელებს
(ტარიელის) მჭკრეტელსა უოფაქცევისა და ზმისა.“ შ. რ.
აქ სიტყვები, ზმიდენ, მზემელი და სხ. ნიშნავენ ღაპარაკს,
მჭკრემეტვეელებას, მასალათს. ერთი სიტყვით მეტვეელება
მარტოკა ზმნას ერქვა. და არათუ მეტვეელებს, თვით მოქმე-
დებაც საერთოთ ამ სიტყვის ძირით „ზმ“ აღნიშნოდა. „არა
მოვიდეს სასუფეველი ცათა ზმნით.“ ღ. ს. თ. 17. მ. 20.
აქ ნიშნავს გარეგანს რასმე მოქმედებას, ნიშნელობას. „ადრე
მოვად, არ დავდებო, არა დავზამ შინა სასსა.“; „არ
დავიწეება მოუვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა, გერ გეცრუვე-
ბი, გერ გეზამ მას სელმწიფეს სვიანსა.“; „რასაცა მიზამთ
თქვენ იცით...“; „ქება რათ უნდა მას, ვინცა თქვენთანა სან-
დაზმელია.“ შ. რ. აქაც უველგან ზმნა ნაქმრობას ნიშნავს,
თუმიცა არა მხოლოდ ენისას, არამედ საერთოთ, მოქმედების
გვარის დაუსასელებლად.

სიტყვა აზმნობა ნიშნავს გონების მოქმედებას რას-
მე; ვაზმნობ, ე. ი. ვიფიქრობ, ვაზრობ ისეთს რასმე, რაც
ნამდვილათ არ არსებობს, მაგ. აზმნობს ღმერთობას, ვაზმნობ
ხელმწიფობას; დედამიწის ღერძი არის სააზმნო საზი პო-
ლუსიდან პოლუსამდე გაღებული და სს. ვიაზმნე, იაზმნა,-
აქედან წარმომდინარეობს სიტყვა სიზმარი.

შემდეგს სანებში სიტყვა ზმა მისჩემებია უფრო კერძო,
ზედმიწვენილი მნიშვნელობა. ზმა გვიჩვენებს ერთს რასმე სიტ-
ყვიერ ნაწარმოებს, რომელსაც ევროპელები ეძახიან კალამ-
ბურს, თუ ჰარონამაზიას. ინმარების სამსლათოთ, ნა-
დილობაში „ამსანაგთა სართეველად“ და ძნელათ სადმე შესვ-
დები დაბრძნილ სიტყვიერს ნაწარმოებში. დაფუძნებულია ზმა:
ა) სახელზიართა ერთ ბგეროვნებაზე, როცა ერთ სიტყვას
მნიშვნელობა ორმაგი აქვს და თავისი სიუცხოვით და გო-
ნების სიმკვეთრით მწვე შთაბეჭდილებას გვრის გამგონსა. ბ)
წამოაყენებენ ერთს რასმე ფრაზას, თუ შაირს, საცა ერთი
სიტყვის ბოლო და მეორის დასაწყისი შეადგენს ერთს ახალ
გამოსატყობ სიტყვას. ძალი და სიმწკაცე თუმცა ამ ერთ სიტ-
ყვაშია, მარამა თქმულს ფრაზას, შაირს, თავისი საკუთარი
მნიშვნელობაც აქვს. მაგ. გაცს უნდა ზმაში გამოთქოს „ბრი-
ყვი“, იგი ვთქვით ასე იტყვის: „კობრი ყვირილის ჯო-
ბია, კალმასი შარისაო, თერგის ორგულს აქებენ ბიჭები გა-
დმა მხრისაო.“ ა. წ. ზმა აქ, რა თქმა უნდა, პირველს ორ
სიტყვაშია, თუმცა შაირიც თავისთავათ ტექმარტებას შეი-
ცავს. ბოლოს და ბოლოს, როცა ქართველები გრამატიკის და-
თხზვას შედგომიან, სიტყვაში ზმა ფონეტიკურათ ჩაურთავსთ
მტკბარი ასო ნ და მისთვის დაუმისებიათ გრამატიკური ცნე-
ბა-ზმნა, რომელიც დღეს ნიშნავს მხოლოდ საგნის მოქმე-
დებებს.

ჩვეულებრივი განმარტება ამ გრამატიკურის ცნებისა ეს-

რეთია: ზმნა არის სამეტყველო ნაწილი საგნის მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი. შიგა და შიგ რომ გასინჯო, ამ განსაზღვრებაში სრულიად მეტია სიტყვა „მდგომარეობისა“. მდგომარეობაც იგივე საგნის მოქმედებაა. საგანი ისე მდგომარეობაში ვერ ჩადგება (არ დევს, არ წევს, არ დგას, არ იწვის), თუ მასვე დროს იგი სსვა საგანს არ ესება და მით ორნივე თავიანთის ურთიერთის შემდეგ ნაწილებით სიმჭირნეს რასშიმე, (მასსადამე) მოქმედებაში არ არიან. ამიტომ საგმაოა, რომ ვთქვით: ზმნა ნიშნავს საგნის მოქმედებასაო, რაკი თითონ ეგ სიტყვა წარმოადინარებს მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვისაგან: მზემელი, ვიზამ და სს. საგნის მოქმედება სსვადასსვა-ნაირია: ზოგჯერ საგანი თავისთავათ მოქმედობს, ზოგჯერ სსვის გაკლენას ქვეშე არის, ზოგჯერ ერთის მდებარეობიამ მეორეში გადადის, - ამიტომაც ზმნანი არიან სსვადასსვა გა-რისანი.

154. ერთი საგნიდან მეორეზე გადასულს მოქმედებას რომ გეიხატავს, ამისთანა ზმნანი არიან შემოქმედებითის გეარისანი, ანუ მოკლეთ-შემოქმედებითნი, მაგ. ეაშენებ (მე სახლსა), კრის (ცულდიხესა).

155. შემოქმედებითის ცალკე ფორმას შეადგენენ კიდევ ორ გვარი სსვა ზმნა: ა) სსმით გადასკლითი, ე. ი. რომელიც ნიშნავს მოქმედებას მეორე საგნისაგან საწარმოებელს ჰირველის ზედგაგლენით, მაგ. ვაჭადი(ნ)ებ, აწავლები(ნ)ებ; ბ) ორსსმით გადასკლითი არის ზმნა მასის, როცა ერთი ჰირის განკარგულებით და მეორის საშვალებით მესამე ჰირი არის მოქმედებაში, მაგ. ვაჭადინები(ნ)ებ, აჭრენები(ნ)ებს; აქ სსმით გადასკლითის ნაბოლარი ინებ ორვეცდების.

156. რომელიც ზმნა გამოხატავს იმას, რომ საგანი

თავათ კი არ მოქმედებს, არამედ მიიღებს მოქმედებას სხვა საგნისაგან—იმას (ზმნას) ქვია ვნებითი. ასეთი სახელი დარქმევია იმიტომ, რომ როცა საგანი სხვისგან მოქმედებას იღებს, მაშინ თავათ უმოქმედლობაში, ვნებით მდგომარებაში არის მისგან, მაგ. ზეარაკი იკელის, ავი მთავარი ერისგან იკრულვის, ხოლო სათნო იკურთხევის და სხ.

157. თუ საგნის ვნებითი მოქმედება მისსავე ნება ყოფილობაზედ არის დამოკიდებული და თავათ ეძლევა სხვის მოქმედებას, ამას რომ ზმნა გამოხატავს იმას ქვია თვითვნებითი, ვეკვლინები, ვეჩაგვრინები, ვეჭმეინები.

158. ვნებითი და თვითვნებითი ზმნები გამომდინარეებენ შემოქმედებითისგან, (როცა წინადადებაში დამატება საუბნად იქცევა, მაგ. სახლს ვაშენებ; ანუ:—სახლი შენდება და სს.) ამიტომ მათაც აქვთ თავიანთი განკერძოებული ფორმები, რომელნიც არიან ზმნანი: სსმით გადამო სვლითი და ორსსმით გადამო სვლითი. პირველი მაგალითად: ვიჭრეინები (ვნებითი) და ვეჭრეინები (თვითვნებითი) ნიშნავს იმას რომ არა პირდაპირი მეორის პირისგან, არამედ მისის საშუალებით მესამისგან მეპარება (ან ვიპარებ) ამ საქმეს. მეორე, ე. ი. ორსსმით გადასვლითი ზმნა არის მაშინ, როცა ნაბოლარი ინებ ორკვედების და მით გამოითქმის ის გარემოება, რომ მესამა საგანი არის მოქმედების თავიდათვი მიზეზი, პირველი და მეორე მხოლოდ სვლის შემწყობნი, უჩინარნი მოსაშვალენი, მაგ. ვიჭრეინები-ნები და ვეჭრეინები ნები ვიწერინები-ნები და ვეწერინები ნები.

159. მესამე გვარის ზმნა გვიჩვენებს მოქმედებას ანუ მდგომარეობას, რომელიც არც ერთი საგნიდან მეორეზე გადადის და არც მეორის, თუ მესამისგან პირველზე მოიღების, არამედ ეს მოქმედება მასვე საგანში რჩება

და მას არ ეშვება. მით ასეთ ზმნას ქვია უმეშაეო-
ბითი, მაგ. ვიბრძეი, იცინის, კილიხარ და სხ.

უმეშევობითი ზმნა განიყოფის ორად: ხატუმეო-
ქმედებითად და ხატვნებითად, სახელწოდებიდანვე ჩანს,
რომ პირველი წაგავს შემოქმედებითს ზმნასა, ხოლო
მეორე ენებითსა. პირველში ჩანს მოქმედი და ენებული
არა, მაგ. ეხარობ, ელოცულობ, მიდის. მეორეში—პირ-
იქით—ენებული ჩანს და მოქმედი არა, მაგ. ვიწვი, ვკედე-
ბი, ვიტანჯები და სხ.

უმეშევობითს ზმნასა სხვანაირათ ქვია საშეალო,
იმიტომ რომ იგი არის არც თუ შემოქმედებითი, არც
თუ ენებითი—მესამე სახელსაც ეძახიან—მდგომარეო-
ბითი.

160. არის მეოთხე გვარის ზმნაცა, რომელსაც ქვია
მწეობითი ზმნა და რომლის დანიშნულება ის არის,
რომ სხვა ზმნებს წაეხმაროს და მით მათი სხვა და სხვა
საქცევები გამოხატოს. ეს არის; ვარ, ხარ, იყავი, ვიქნები,
მაგ. წევ-ხარ, დგომილ-ა(რს), დგე-ვარ და სხ.

ზოგჯერ ამ ზმნას ეწოდების არსებითი. ეს მა-
შინ, როცა მართლ დგას წინადადებაში სახედომად
და აღნიშნავს საგნის არსებობას, მაგ. „დღეს აქ ვარ,
ხვალ იქ ვიქმნები“. როცა ეგ ზმნა საკანკლედო
სიტყვასთან დგას მესამე პირზე, მაშინ მოკლდების ასე:
არის-ა, მაგ. „იგი კაცი აღდგომასაც ავი-ა.“ ანდ.
„თქმულა: სიწყნარე გმოხილი ჯობს სიჩქარესა ქებუ-
ლისა.“ შ. რ.

161. ესე ზემოდ აღწერილი სხვადასხვა გვარის
ზმნანი აღვიღათ გადადიან ერთი მეორედ ცოტაოდენის
თავ-ბოლოს შეცვლით.-ფრაზა „ჰმონადირემ ირემი მოკ-
ლა“ შეგვიძლია ასე გადავასხვაოთ: „ირემი მოიკლა მო-

ნადირისაგან.“ აზრი ერთი და იგივე არის, თუმცა პირველის ფრაზის შემოქმედებითი ზმნა მეორეში ენებითად იქცა. სხვაობა მხოლოდ წინადადების სინტაქსშია: პირველის წინადადების საუბნი მეორეში დამატებად იქცა. უმეშაობითი ზმნა დაედოვარ შემოქმედებითად ითქმის: ვარონინებ; ვეალ-ველინებ, ეწეარ-ეწვენ, ეკჭრი შემოქმედებითია, ეიკრები-ენებითი, ეიკრინები სხმით გადასვლითი ენებითი, ეეკრენები-სხმით გადასვლითი თვით ენებითი. ვარ-არსებითი, ვამყოფებ-შემოქმედებითი და სხ.

162. ზმნას აქვს ხუთნაირი ცვლილება, რომელთაც ეთქმის ზმნის თანამყოლნი ანუ საქცენი, რათგან ისინი აქცევენ ზმნის სხვადასხვა ფორმების მასალებად აზრის მიხედვით. ეს თანამყოლნი არიან: პირი, რიცხვი, დრო, სახარი, სახე და მიმოზრილობა.

163. მოქმედება შეეხების ან პირველს ან მეორეს და ან მესამე პირსა. ამიტომ ზმნას, ნაცვალსახელსავეთ, აქვს სამი პირი: პირველი, მეორე და მესამე: პირველი პირი არის იგი, რომელისაგან არის სიტყვა და მოქმედების წარმომდინარება: ეაშენებ, ეიწვი.

მეორე პირი არის იგი, რომელისადმი მიეიქცევით სიტყვით, როგორც მოქმედების მაწარმოებელისადმი: აშენებ, გრწამსთ.

მესამე პირიც არის მოქმედების მწარმოებელი, რომელზედაც ჩვენ ლაპარაკი გვაქვს: აშენებს, დაუწერია.

164. მოქმედებაში შეუძლია იყოს ანუ ერთი საგანი ანუ ბევრი. ამიტომ ზმნას აქვს ფორმები მხოლოდ ერთის და მრავლობითის რიცხვის განსავითარებლათ; მაგ. მერცხალი ჭიკჭიკობს. მერცხლები ჭიკჭიკობენ. როცა ერთი საგანი მოქმედებს, მაშინ ზმნა

მხოლოდითად იხმარების და როცა ბევრი-მრავლობითად.

165. უკანასკნელს კანონს აქვს რამდენიმე გამოწვევა, რომლის გამოცხადებით ერთი რიცხვი მეორის ნაცვლად იხმარების. ეს იმ შემთხვევაში: 1) როცა მეორეს ზირს მიმართვენ და მართებულობის და ჰატივდების გულისთვის, მისს მოქმედებას მრავლობითად ასხეუბენ, მაგ. „სელმწიფო, მიკვირს ქება რათ იკადრეთ ჩემი თქვენა!“, „ვეფხისტყაოსნის ბრძანებს: მეფეო, რათ სრძანეთ თქვენი პერსონა?“, „ადრე ცნობთ (ერთი კაცი, მეფეს ეუბნება) არის ისი ყმა შობილი, თუ უშობელი.“ შ. რ.

2) დიდის გისიმე ჰირისკან თუ სიტყვა გამოდის, მაშინაც მრავლობითი რიცხვი იხმარების, მაგ. „ჩვენ იმპერატორმან სრულიად რუსეთისამან ვბრძანეთ, ვინებეთ...“

გარსა თუ ღმერთსედ არის ღანჯარკი, მაშინ მხოლოდითი რიცხვი არ იცვლების, მაგ. „ჩემ ღმერთო ერთო შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა, შენ დამითარე ძლევა-მეც დათრგუნვად მე სატანისა.“ შ. რ.

3) როცა უსულო საგნებსა და ცხოველსედ არის ღანჯარკი, მაშინ მრავლობითის რიცხვის ნაცვლად მხოლოდითი იხმარების, თუ განსაკუთრებული ყურადღება არ არის მიქცეული თვითების მოქმედებაზე. ამიტომ არ შეიძლება ითქვას: „როს ერთგულება, სარწმუნოება ივერთ თვისებას შეადგინებდენ, ოდესაცა ბრძოლა და მამაცობა მათსა სახელსა განადიდებდენ.“ გ. ო., არამედ უნდა ითქვას: შეადგინებდა, განადიდებდა (მით უმეტეს რომ ცნებები: ერთგულება და სარწმუნოება, ბრძოლა და მამაცობა ასლომნიშნელთგანსნი-არის); „იქედან (ტახტსედაო) აწევია ვაშლები, ჯღვა და გოჭინაყია.“, „თოვლი ატირდა ღანჭერად, ადიდდა ჩვენი წყლები.“, „იქ ღანჯარკობს კელაპტრები, ნათელა და კაშკა-

შია.“ რ. ე. როცა კი მოქმედება აღამიანს ესება, ან თუნდ სხვა საკანი იყოს და რიცხვს მომეტებული მნიშვნელობა აქვს, მაშინ ზმნაჲ მრავლობითად ისმარების, მაგ. „ბაღდებს უხა-რისთ, დაბიან, ჰაჰას გაუთფა ძელებია.“ რ. ე. „ამა იმე-დით სოფელნი, მოთმინებიდან გასულნი, შეკრბენ, იუვირეს, აჩჩიეს..“ გ. ო.

166. ყოველი მოქმედება წარმოებს დროს განმე-ლობაში: ან ახლა, ან აღრე, ან შემდეგში, ამიტომაც ზმნას აქვს დრო სამი: აწმყო, ნამყო და მყოფადი. ნამ-დეილათ რომ გავსინჯოთ, ქართულ ზმნას აქვს შეიდი შემდეგი დრო: აწმყო, ნამყოუსრული, ნამყოსრულ, ნამ-ყოოდესუსრული, ნამყოოდესსრული, მყოფადი უსრული და მყოფადი სრული.

აწმყო დრო გვიხატავს მოქმედებას ახლანდელს, სიტყვის წარმოთქმისას რო სრულდება, მაგ. „მირბის, მიმაფრენს უგზო უკელოთ ჩემი მერანი, უკან მომ-ჩხაეის თვალბედითი შავი ყორანი.“ ნ. ბ. „გაუთლე-ლი ჯობს აღმასი გათლილსა ფირუზანასა.“ ანდ.

167. ნამყო (ანუ წარსული) დრო გვიხატავს მო-ქმედებას, ამას, თქმას, წინათ წარმოებულს და რადგანაც წარსულს დროდ იგულისხმების ახლოც და შორისიც, ამიტომ ეს დრო განიყოფის ოთხად. -ის დრო, რომელიც გვიჩვენებს მოქმედებას ახლარელე დაწყებულს და არკი შესრულებულს იწოდების ქმნილუსრულად, მაგ. „კაცი ბკობდა, ღმერთი იცინოდა.“ ანდ. „ერთმანერთსა, თუ მეგჯობო, სიცილით ეუბნებოდენ.“ უკუღმავე იხედვიდა, თვალთა რეტად აყოლებდა.“; ქოს-დაფ-დაფთა ცემისაგან ყურთა სიტყვა არ ისმოდა.“ შ. რ.

168. თუ ზმნა გვიხატავს მოქმედებას არა დიდხნით ამას წინათ დაწყებულის და შესრულებულის კიდევცა,

მაშინ იგი არის ქმნილ სრულის დროსი, მაგ.
„მგელს მგლობა დაერქო, ტურამ ქვეყანა ამოადლო.“;
„მგელი ცხვარში გაერია, ვაიერთის პატრონსაო.“ ანდ;
„მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამა-
წყლულა.“ შ. რ.

169. თუ მოქმედება აღრევ როდისღაც დაწყე-
ბულაკია და შესრულებულა თუ არა, ეგ არ ჩანს, ამას
გამოგვიხატავს დრო ქმნილობის სრული, მაგ.
„ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის არ სახმილის დები ა.“;
„ვიცი, რომე გაუწყვეტლივ თვალთა დაწვი გისეტ-
ყვია.“; „შენ ჯდომილ ხარ, სავაზიროთ, შენ რითუ-
ლა ამას ნება.“; „თვალთაგან ცრემლი სდენია.“ შ. რ.

170. აღრევ როდისღაც დაწყებულს და შესრულე-
ბულს მოქმედებას გვიხატავს ქმნილობის სრული
დრო, მაგ. „შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი
დაუტყვია.“; „გახსოვს, ოდეს შენ და როსტენს მინ-
დორს მხეცი და გეხოცათ? ყმა გენახათ უცხო ვინ-
მე, რომე ცრემლი მოეხოცა?“; „რომე ვეფხი შეენიერი
სახედ მისად (ნესტანდარეჯანისად) დამისახავს, ამაღ
მიყვარს ტყავი მისი-კაბად ჩემად მომინახავს და რათ-
გან თავი ვერ მომიკლავს. ხმალი ცუდათ მომიმახავს“
შ. რ. „ამბობენ, ვითამც ბევრჯერა კაცებშიაც მომ-
ხდარა, რომ ვინც ყოფილა მშვიდ-წყნარი, ის დამნა-
შავედ გამხდარა.“ გრ. ორ. „არცა ვისი ყმა ყოფილ-
ვარ, არცა ვინმე ყმად მყოლია, ძველი პური, ძველი
ღვინო წლის წლობამდე გამყოლია.“ ანდ.

შ. ნამყო ოდეს უსრულს და სრულს დროს ქველს ქარ-
თულ ენაში ნაცვლად ნაბოლარისა ია უზის ზოგან იეს,
მაგ. „შევივრიბი, სადა არა განმიბნევიეს“ სას. მათ. თ.
25 მ. 241; „რაოდენი ესე გისწავიეს ჩემგან“ სამოც. და

სხ. მარჯმს ეს ფორმა სამართლიანათ უარ უყვია ახალს ქართულ ენას.—ეს იმისთვის, რომ ეს ფორმა ხშირათ ირეკვა მისკე დროის სსმით გადასვლითს ზმნასთან, მაგ. რომ სთქვა ცალკე 'ხმისა' „დაგიმონიეს“—ქნელი გასაკება: შენ სხვა გაგისდია მონად, თუ შენ სხვებს გაუსდისა თვისდა მონად. ამიტომ კანონიერი თქმა: „ყოველი პირი ქვეყანისა შენ ხმლითა დაგიმონია.“ (და არა დაგიმონიეს); ოდეს ძღუნად თქვენსა ავთანდილ მე თქვენთვის მომიტანია“ (და არა მომიტანიეს) შ. რ.

171. მყოფადი დრო გვიხატავს მოქმედებას, ამას შემდეგ რომ უნდა შესრულდეს და რათგან შემდგომში მოქმედება შეიძლება დაიწყოს და არ გათავდეს, ან დაიწყოს კიდევ და გათავდეს კიდევ, ამიტომ ეს დრო ორნაირა: ქმნადი სრული და ქმნადი უსრული. პირველის მაგალითები: „გველსა ხვრელით აღმოიყვანს ენა ტბილათ მოუბარი.“; „ვერ დაიჭირავს სიკედილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი.“ შ. რ. „არ გათეთრდება ყორანი, რა გინდა ხეხო (ქმნადიუსრული) ქვიშითა, მტერნი არ შეგვიბრალებენ ტირილითა და ვიშითა.“ ხ. ს.

ქმნადი უსრული ვისწავლი, სთქვი. ამ დროის გამოსახატავათ აღებული ზმნა იქცევა განყენებითი სახელად და თან დაყვება ერთი ამ ზმნათაგანი: დავიწყებ, შეუდგები, ხელს მიეყოფ, მოვდგები, მაგ. წერას დავიწყებ, სწავლას შეუდგები და სხ.

172. ზმნისაგან გამოიხატვის საგნის მოქმედება, მისი ცვლილება სხვადასხვა საშუალებით. ზოგჯერ პირდაპირ, გადაჭრით, ყოვლის უარაზრათ (ძმა მოვიდა); ზოგჯერ, ყოყმობით, საპოაზრათ (ძმა მოვიდოდა); ზოგჯერკი, მოთხოვნილებით, რომელსაც შესწევს ასეთი თუ

ისეთი პირისა პირზე დამოკიდებულება (მოდიე ასეთს მოქმედების გადახრით გადმოხრილს გამოთქმას ქვია სახარი. სახარი აქვს ქართულ ზმნას სამი. რომელთაგან:

172. ჩინებითი სახარი არის ისეთი ზმნის ფორმა, რომლითაც გამოიხატვის უბრალო, პირდაპირი, წართქმა, ანუ უკუთქმა საგნის მოქმედებისა აწ მყოს, ნამყოს, გინა მყოფადს დროში. ჩინებითი ქვია ამ სახარს იმისთვის, რომ მასში პირდაპირ და ცხადად გამოთქმულია წართქმა თუ უკუთქმა და მეორე იმისთვისაც, რომ მისს ხმარებაში გამოჩენილი და გამოცხადებულია დროცა, რიცხიცა და პირიცა, მაგ. „ვენც მეტი ქმნა მას ეკითხა“. „ყებდს ეინ დაღალაეს?—მუნჯიო.“ ანდ.

174. მოქმედება დამოკიდებულია რომელსამე პირობაზე და შესრულებად—თუ გარემოება საიმისოთ მოერთო—ამას გამოგვიხატავს ზმნის საექვეი სახარი. მაგ. „ასეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო.“ „ელმერთი მწყალობდეს და ანგელოზები რას მიზმენო“ ანდ., „წყუროდეს წყალსა ეინ დაღერის კაცი უშმაგო ცნობილი“? „კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეკვ კმუნვასა ესე ჯობდეს“ „თუ უნდოდით გასაყრელათ, პირველ ერთგან არ შეგყრიდათ“ „რა გაეა თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკინოს.“ შ. რ.

175. საეჭვი სასარისა მისართავ ფორმას შეადგენს კიდევ ორი სსვა სასარი: საწადისი და სათუო. პირველი გამოსთქმოს ჩვენს სურვილს რომ ესა და ეს საქმე მოსდესო, ვნატრობთ ამას, და ამისთვის ზმნას ემატება საკროთმი: ნეტავი! მაგ. ნეტავი რათმე მაქცია, ბუღბუღათი გადმაქცია, ბუღბუღის ენა მასწავლა, ამ ბაღებს შემომანჩვია.“ ხ. ს.

მეორე სასარი სათუო, გვიხატავს იმ გარემოებას, რომ-

ცა ღაპარაკში ეოყმანობა და დაურწმუნებლობა; მაგ. „კარგი რამ მჭირდეს, მიკვირდეს, ავირა საკვირველია.“ „თუ ეოფილა ისი მოყმე სორცელი, სმელთა მკვლედად, მას ნასკიდა სსვაცა გინმე.“ შ. რ. სათუო ამ სახარს იმიტომ უფრო ქვია, რომ მისი არსებობა დამოკიდებულია მეორე უმთავრესს ზმნასკედ: თუ ისაა, ესეცაა, არა და არა.

საეკვი სახარის ზმნას წინ თუ არ უძღვის სიტყვა „რომ“ იგულისხმების მაინცა, მაგ. რომ ვწერდე—ვწერდე ეგ სულ ერთია.

176. როცა გვინდა მოქმედება წარმოებდეს ან ჩვენის ჩივეა-დარიგებით, ან თხოვნა-ვედრებით, ანუ კიდე ბრძანებით, ერთი სიტყვით ჩვენის ზედმოქმედებით რითმე-ამას გამოგვიხატავს ზმნის გავლენითი სახარი. იგი არის ორნაირი: წართქმითი და უკუთქმითი. წართქმითით გამოითქმის დამტკიცებითი მოქმედება; იგი მოღებულია ჩინებითი სახარისგან და მისგან განსხვავდების მხოლოდ გამოთქმის კილოთი. მაგ. „დაწერე წერილი“—ეს გავლენითი სახარია „შენ არკი დაწერე წერილი“—ეს ჩინებითი სახარია. „წადი უსტარო, იფრინე.“ შ. რ. „გასწი მერანო.“ ნ. ბ. „მომისხენე მე უფალო სახ.“ „ღმერთო წვიმა მოიყვანე მიწის დამალბობელიო!“ ა. წ. „დაე იცვალოს გარემოება თუნდ ხალხის ხმაც მოგცეს ზიანი!“, მ. გ.

უკუთქმითი გავლენითი სახარი გამოიხატვის სამ რიგად, სიტყვებით: არა, და ნუ. როცა არა ავითარებს უკუთქმითს გავლენითი სახარს, მაშინ ზმნა მოიღების საიჭვი სახარის დროთაგან; ხოლო როდესაც ნუ არის გავლენითი სახარის მავითარებელი, მაშინ დრონი მოღებულ არიან ჩინებითი სახარისაგან. აი პირველის მაგალითები: რა ევლარ მიხედე ქართულსა დაიწყოს

ლექსმან ძვირობა, არ შეამოკლო ქართული, არა ქმნა სიტყვაშეცირება.“ შ. რ. „არა კაცკლა, არა იპარო, არა იმრუშო.“ მოს. მცნ. მეორეს (ნუ-ს) მაგალითები: „ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ, ნუ თრთი.“ „აეისა კაი ნუ გინდა, ნურც მისი გამოსაგები.“ „ნუ იქმ აესა, აეის ნუ გეშინია.“ ანდ. „თვით ნუ იცვლები, მოვა დროება, გიცნობენ, რომ ხარ ადამიანი; ნუ დაეცემი, დასდეგ, გამაგრდი.“ მ. გ. ძნელათ თუ რომელსამე ენას აქვს მოვლენითი სახარში მეორისა და მესამე პირის მეტი: მაგ. წერე, წეროს, არ წერო, არ წეროს, ნუ წერ, ნუ წერს და სხ. ქართულს ენას კი გავლენით სახარში პირველი პირიც აქვს, (რადცა უნდა მოწმობდეს ძეგლის ქართველების ნების ძლიერებას და ხასიათის სიმტკიცეს) მაგ.: „განთიად აღესდგე და გეჩვენო შენ უფალო“ „დაესწე და დაეიძინო და განეიღვიძო, რამეთუ უფალი მწე მეყოს მე.“ „არა მოვედე, არამედ ეცხონდე და განესტქენე მე საქმენი უფლისანი დაე.“ ნუ დაეიმარხო ჩემსა მამულში ჩემთა წინაპართ საფლავებ შორის.“ ნ. ბ.

177. გრამატიკა იმ ენების, რომელთაც აქვთ ზმნის ფორმა ე. წ. უჩინო (ანუ განუსაზღვრებელ) სახარზე ასე საზღვრავს ამ უკანასკნელს ცნებას: ეს ის სახარი არის, რომლითაც საგნის მოქმედება ანუ მდგომარება წარმოითქმის განურჩევლათ და დაუსასკელბლათ დროისა, რიცხვის და პირისა.

ქართულ ზმნას კი ასეთი ფორმა არა აქვს. ქართულს ენას მოქმედება (ე. ი. იგივე ვითარება) საგანს გარეშე კერწარმოუდგენია, რომ კისმე ან რასმე არ, მიუჩინოს თუ მოქმედება, ანუ ვითარება საგანს გარეშე იასრების და წარმოიდგინების, მაშინ იგი მოქმედება კი აღარაა, არც ვითა-

რება — განუენებითი საგანის და განუენებითი სასელწოდება: მაგ. მუშაობა, წერა, ხემა, სითეთრე, სიწითლე, ღურგლობა და სს. მკელს ქართულ გრამატიკოსებს ამ ფორმისთვის დუ-რქმევიათ სასელზმნა (რათა არც ზმნა მოიმდურონ, არც სა-სელი არსებითი!) თითქო ზმნის კიდევლა იუოს რამე. სასელი რაკია, იგი აღარაა ზმნა, რომელიც უსათუოთ საგანს უნდა ემისებოდეს. უმართლოთ სასელზმნებად წოდებულნი: წერად, კითხვად, სამუშაოდ, თქმად, წასვლად არიან ზმნი ზედნი ეთიმოლოგიურათ, ხოლო სინტაქსურივ არიან მიზნის გარემოებანი.

არა მხოლოდ ე. წ. სასელზმნანი, არამედ თვითეული არსებითი სასელი შეიძლება ზმნად გადააქციო და პირიქით ზმნა სასელად (განუენებითად რასაგურელია) ეს არის ქართუ-ლის ენის სასიქადულო ღირსება შედარებით უცხო ენებთან. ეს ენებიც კი ცდილობენ, რომ ეოგელი საგანი და ეოგელი კითარება განუენებითადაც ქანდესთ წარმოდგენილი და ენითაც გამოთქმული, მარაჲ ევკლგან არ უხერხდებათ. მაგ. ასეთი ფორმები შეუძლებელია ევროპიულს ენებში: „მე გივარდე-ბა და შენ იე;“ „ფატმანს უსსნია ჩემი მზე დედებია და სა-დებია.“; „ხამს — თუ გაცმან გონიერძან ძმა, ანუ თუ დაცა იდოს.“ „იშკლოს, ითხოს...“ შ. რ. „კინ გვიზამს ერეკლო-ბასა?“ გ. ფ. — ვარდობა, იობა, დედება, დება (დად გახდა, ვარდად, იად, დედად, ძმად, თხად, შელად და სს.) ესენი სულ განუენებითი სასელეები არიან, (რომელთაც, რასაგურელია, მრავლობითი რიცხვი არ შეენისთ). მეცნიერებისაგან დამტკი-ცებულა, რომ პირველ და პირველ განარსებულან მოკიდვითი საგნების სასელეები, ხოლო მერე და მერე, როცა ადამიანის გონება აღორძინებულა განუენებითი სასელეებიც შემოუღიათ. მაშასადამე სიტყვები: მუშაობა, ჭამს, მინავს, ვარდი, გაცი, ია გვიტრია და მისთ. უწინ ეოფილან, კინემ: მუშაობა, ჭამა,

პილი, ვარდობა, იოზა, ჭრა, კაცობა და მისთ. ესეთი განუენებული სიტყვები მეორე სახას ეკუთნის, როცა ზმნები და მოკიდებითი სასკლები უკვე აღრეკ ზმანი იფენენ.

178. ზმნას აქვს ერთი ფორმა, რომლითაც მას შეუძლია ცხადათ გამოხატოს მოქმედების ხანგრძლიობა, თუ ხანმოკლეობა. ეს ფორმა არი სახე, რომელიც აქვს ქართულ ზმნას ოთხი, შემდეგი:

179. გაუთაებელი-გეხატავს მოქმედებას ხანგრძლივად სადმე წარმოებელს, თუ სწარმოებელს, შეუწყვეტილივკი, მაგ. ექადაგობდი, მუშაობდენ, მიშენებია, ზოგავს, მოელის.

180. გაუთაებლის მოპირისპირე სახე არის გამთავე, რომელიც გეაჩვენებს მას, რომე მოქმედება დაწყებულია კიდევ და შესრულებულია კიდევ, ან უწყველათ უნდა დაიწყოს და დამთავრდეს კიდევ: ა-ეაშენეთ, აღ-ორძნდა, წა-ეიკითხე, მო-ენახავთ და სხ. ჩანს რომ ამ ფორმის გამოხატველი არის წინამძღოლი თანდებულები.

181. თუ ზმნა აღნიშნავს ერთჯამიერს რასმე მოქმედებას, მაშინ იგი, არის ერთგზობითი სახისა: ვაშენე, ეწერე, ევძიე, ვილაპარაკე, ეჭამე, ვიარე, ვიხუმრე და მისთ. აქ არ ჩანს და არც საჭიროა-გათაეებულია, თუ გაუთაეებელი მოქმედება, ჩანს ხოლოდ, რომ იგი წარმოობდა წარსულს დროში და ამით ეს სახე ემსგავსების გამთავე სახეს.

182. თუ ზმნა გეხატავს არა ერთ გზობითათ არამედ, რამდენჯერმე გამეორებულს მოქმედებას (თუ მდგომარებას). მის წარმოებას არ განიადგებულს, არამედ ხანგამოშვებითს, მაშინ იგი, ზმნა, არის მრავალგზობითი სახისა.

ეს სახე უცხო ენებში მარტო წარსულის დროის ზმნებს აქვს, ხოლო ქართული ზმნა ხმარობს სამსავე დროში: წარსულშიაც, აწმყოშიაც და მყოფადშიაც.

ამ სახის გამოსახატავათ გამთავე სახის ზმნის ნაბოლარი, რომელიც უნდა იყოს, მხოლ. რიცხვში, პირველს და მეორე პირზე იცვლება ასოზე-ი და მრავლობითს რიცხვში მარცვალზე ით. მესამე პირზე მხოლოლობითში უზის მარცვალი ის და მრავლობითში იან, ანუ ინ. აი მაგალითები: „შუალამე აღვდგი აღსარებად შენდა.“; „მწე ჩემი ხარი შენ.“ დავ. „მოიმკი, სადა არა დათესი და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიც.“, სახ.; „ვისაც ვუჩვენე, უკერიდის, ღეთისა თქვის მან სასწაულად.“; „არსით ნავი მომავალი უნახავათ არ დავადი.“; „ზოგჯერ ზღვისკენ მივიხედი, წავდგომოდი ამა გორსა.“; „მის მეფისა წესი იყო, თავი თვისი ძვირათ ფიცის და თუ ფიცის, არ გატეხის, მასვე წამსა დაამტკიცის.“; „უხვად გასცემდი, (მომავალი დროა) ზღვათაცა შესდის და გაედინების.“ (აწმყო დროა); „დაბნედილსა მაპკურებდი (ესეც მომავალი მრავალგნობითია და არა წარსული გაუთავებელი), გული მითა გადამბანე“; „უშენოთ მყოფსა ღამე და ღლეცა მესალმოების.“ (ყოველთვისაო, მარტო ერთხელ ახლა რომ იყოს-იტყოდ: მესალამოებაო); „მისსა მნახესა ნახული აღარა მოეწონების.“; „მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიმართის დანასა.“ მ. რ.; „მის კაცისა წესი იყო: ეინცა მგზავრი ნახის, აბანის, ასეის, აჭამის, განუსვენის და ესრეთ განუტევის.“-ს.ს. ო. ეს სულ მხოლოლობითის რიცხვის მაგალითები იყო, აი მრავლობითისაცა: „სტუმართა სიყვარულითა მოძღვართაც ხორცი ჭამიან.“ ანდ.; „იღვიძებდით უკვე, რამეთუ არა

უწყით, რომელსა ჟამსა უფალი თქვენი მოვიდეს.“; „წარედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ.“ სახ. ეს ფორმა წარსულს დროს გავს, მარამა აზრით მიხედვები, რომ მომავალი მრავალგზობითია. წარსული დრო ამავე სახისა ეს არის: „ფარისეველთა და ყოველთა ურიათა, (უნდა იყოს: ფარისეველნი და ყოველნი ურიანი), უკეთუ არა იდაყვითგან დაიბანიან ხელნი, არა სჭამიან.“ სახ.; „ეხვეოდინან, კოცნიან ხმალსა და სალტე-კოტასა.“; „ეინც გზასა ნახის უცხონი (ავთანდილმაო),-მსახურებდინან, ყმობდინან, მოვიდოდინან საჭერეტლათ, მასზედა ტრფიალობდინან, გზის ყულაუზი მისციან, კითხის რა-უამბობდინან.“; „ერთგან სხდინან, უბნობდინან საუბარსა არა მქისსა.“ შ. რ. აქრომ რუსთველს დომოდა არა ხანგამოშვებითის მოქმედების დასახვა-იტყოდა: უბნობდენ, ტრფიალებდენ და სხ. ამა და ამდროსაო. ეს მრავლობითი რიცხვი საღეთო-საეკლესიო წიგნებში ასეა შემოკლებული: იტყოდინ, უამბობდინ, იყვინ, არნ, ჰამნ, ყვინ და სხ.

ზემოთხსენებული მაგალითები განძრავს არის ჩამომწერიელი. ამ ფორმას ახალი მწერლები ჰიკრსა-ვით ერიდებიან, თითქო ზოგჯერ უმისობა შეიძლებოდეს. გარნა აქა იქა ახალს მწერლებსაც უხმარიათ, მაგ. „გადაბრუნდის ჩვენი ციგა, კოტრიელა, კოტრიელა!“ რ. ე. „ხან მართულთ კუთხეთ მიაწყდის, ხან გამოხსნასა ცდილობდა.“ მ. გ.

ზოგ ზმნას ესრეთი ფორმა არ უხერხდება, მეტადრე აწმყოსა და მომავალ დროებში პირველსა და მესამე პირზე. ამის გამოსახატათ მაშინ ზმნას ერთეის საყურჯისი სიტყვა ხეაღმე, ანუ (ფონეტიკურათ გასახიერებული)

ხოლმე, მაგ. „მაგრამ გითხრობ პირველ, ხვალმე სენი მე მკირს რაცა კირად.“ შ. რ. (აქ ხვალმე ეკუთნის ზმნას „მკირს“). მოდი-ერთხელაო, მოდი ხოლმე-ხშირ ხშირად. ეასწავლი-აი ახლა. ეასწავლი ხოლმე-ხშირხშირათ, დრო გამოშვებით; არი-არის ხოლმე და სხ.

გარნა როდესაც წინადადებაში უკვე არის დროების გარემოება, ანუ რაც იგივეა-ზმნასთან ზის დროების აღმნიშვნელი ზმნიშედი, მაშინ ხოლმე საჭირო აღარაა, თავისთავათ ჩანს. მოქმედება ერთგზობითია, თუ მრავალგზობითი; მაგ. „მაგრამ ეს ხევი უჩინოთ ყოველ წელს აღელდებოდა და მაშინ ამა სოფელსა საშინლათ გააოხრებდა; ზოგისას ბალსა ახდენდა, ზოგსა სახლებსა უქცევდა, ზოგისა ცხვარი, ქათამი, ზოგის წისქვილი მიქონდა.“ გ. ო. აქ ყოველ ზმნასთან უნდა იჯდეს ხოლმე, რომ თავშივე არ იჯდეს „ყოველ წელს“ ი. „დილდილაობით მოდი“, „მეორე-მეორე საათზე ესადილობ“. „საღამოობით ეწერ“ და არა: „დილაობით მოდი ხოლმე“ და სხ. ამ კანონს თითქმის არავინ აქცევს ყურადღებას და წარამართ ხმარობენ „ხოლმეს“.

183. ზმნის თავ-ბოლოს ცვლილებას (პირის, რიცხვის, დროის და სახარის გამოსახატავათ) ქვია მიმოხრილობა. სხვადასხვა თანამყოლის საჩვენებლათ ზმნას აქვს თავში და ბოლოში მავითარებელი მარცვლები და ხმები, რომელთა შორის მიმოიხრების, მიიწევ მოიწევის ზმნის ფესვი და მით ამ ცვლილებას ეწოდების მიმოხრილობა.

184. ენათმეცნიერება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, როგორც თვითეულის ენის სამეტყველო ნაწილებს, აგრეთვე ქართულის ენისასაც თავდაპირველს მდგო-

მარეობაში შეადგინებდნენ მხოლოდ ფესვები. ოთხი სამეტყველო ნაწილი აქამდე იყო განხილული. აქ ლაპარაკია კერძოთ ზმნაზედ.

პირველყოფილის ქართველი კაცის სიტყვაპასუხში ზმნისა მარტოკა ფესვები არსებობდა და არ იყო გარკვეული არც პირი, არც რიცხვი, არც დრო მოქმედებისა. შემდეგ * ხანებში, როცა ერი თანდათან გონებითად აღორძინებულა, თანდათანავე გაურჩევია ეს მოქმედების გარემოებანი. პირი, თუ რომელი მოქმედებს, რიცხვი, თუ რამდენია მოქმედი, დრო, თუ როდის წარმოებს მოქმედება და სხ.

შ. საგულეულები, რომ ყველაზე ადრე გაიჩნდა პირველის პირის ზმნა, როგორც უფრო თანსაზღვრული, შემდეგ მეორის პირის და უკანასკნელად მესამისა, როგორც უფრო განყენებითი, შედარებით. სწავრათ მესამის პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი ნიშნავს მანძილს: იგი—იქი¹ ე. ი. შორს რომ არის ჩვენგანაო. შემდეგ, რაკი ერს გაუსასიურებია ზმნის ფორმები, თანისთან შეჩვევია განყენებითს მსჯელობას და საგნის მოქმედებას კი წარმოუდგენია განყენებითად, თითქმის საგანს. გარკვე და ამ წარმოდგენილებათათვის დაურქმევია განყენებითი არსებითი სახელები (ანუ, როგორც ზოგნი ეძახიან სახელ ზმნა). მუშაობა, შენება, ფარსავლობა, კარდაობა, ყვავილობა. აქ ყველგან მუშაობს სიტყვის ფესვი და ზმნა „არს“, რაც შემოკლებულათ ითქმის „არს“, მაგალითად „არსება“ *) (არს)—შენება. საიდგან უნდა მოელო ზმნას თვისთ

*) მინც დაუგვირდება ქართულის ენის ენასხმულებას: ჭანურს, მეგრულს და სვანურს, იგი ადვილათ მისხდება, თუ რანაირათ შემდგარა. მიმოხრა ნაცვალსახელებისაგან; ჭკმი ნაცვალსახელია, ქართულათ ნიშნავს: იმ; ჭიმუშა—მას; მა-მე, სი-შენ და სხ. ეს ძველი ფორმები ქართულს ენაში გაღუესილია ხშირათ, მის ენასხმულებში კი მრავალგან შენახულა ცხადათ.

გარემოებათა განმასახიერებელი ნიშნები, თუ არ სამეტყველო ნაწილების განკვე? — არც მომხდარა:

ზმნის მიმოხრის მავითარებელი ნიშნები არის იგივე ჩვენებითი, თუ პიროვნებითი ნაცვალსახელები, რაც კანკლედობაშია და კიდევ არსებითი ზმნა. პირველნი ჩანან მხოლოდ მიჩემებითს ზმნებში, ხოლო უკანასკნელი — ყველგან. აიღების რომლისამე ზმნის ფესვი და მას ან თავს ან ბოლოს მიუჯდების მწეობითი ზმნა და სადაც საჭიროა, ამათ შუაში ნაცვალსახელიცა. აი ამის მაგალითები: ვაშენებ. — ეს ზმნა შემდგარია ორი სიტყვისგან „ვარ“ და „შენება“; ე-უ-შენებ სამი სიტყვისგან. — ვარ მას, შენება; სიტყვა მიყვარს აგებულთა ოთხი სიტყვისგან: მე იგი, ყვარება არს; იწვის: იგი. წვა, არს; დგევარ: დგომა, ვარ; დგეხარ: დგომა ხარ; დგას: დგომა არს; უყვარს: უ(ჰუმ-მას), ყვარვა არს და სხ.

ზოგ ზმნაში სრულიადაც აღარ ჩანს არც ნაცვალსახელი და არც არსებითი ზმნა, ისე მთლათ ჩანთქმულან ისინი მიმოხრილი სიტყვისგან, მაგ. ზმნებში: კვირობ, წერ, ჰამ და სხ. მარამა, რომ ჩააკვირდე, აქაც ყოფილა არსებითი ზმნა ხარ, მით რომე თვითთულს ამ ზმნას თავში ჰქონია ჰ, რომელიც არის იგივე დანაზებული ხ, ე. ი. შემოკლებული ხარ; მაშასადამე გამოდის: ხარ კვირობა, ხარ ჰამა და სხ. ახლა კიდევ ამ ჰაითიც ენას თავი აღარ შეუწუხებია, ამოუჰამია იგიცა და დარჩენილა: ჰამ, წერ, სომ, ზი, ხეე, წევ და მისთ. ზმნებში: გვიყვარს, გრწამს, გეტყობა... ეს ჰ, თუ ხ, გადაქმნილა მათს მონათესავე ასოდ გ-დ (გ, ჰ, ხ, ყ, კ — ხომ მონათესავენი არიან). ამისათვის შეგვიძლია ეთქვით, რომ ისინიც შემდგარნი არიან ასე: ხარ ყვარება, ხარ — რწმენა და სხ. მჰწერ — მე, ხარ, წერ ე. ი. მწერ.

ზმნებში: იურვი, იწყლვი, იკელი და მისთ. უნდა მუშაობდეს თავში მეგრულ—სევანური ნაცვალსახელი „სი“, რომელიც ქართულად არის „შენ“... ასე რიგათ რომ ჩაუყვარდე დარწმუნდები, რომ არ არის ისეთი ზმნა, რომელშიაც ნაცვალსახელი და მწეობითი ზმნა არ მიიკვლეოდეს. თუ პირდაპირ არ ჩანს. მიმოხრა ქართულ ზმნას აქვს ერთად ერთი, რომელიც დამყარებულია ორს ფორმაზე. პირველის ფორმის მავითხარებელი ნიშანი არის უფრო მწეობითი ზმნა, ხოლო მეორისა—ნაცვალსახელი. პირველი ე-ის სახედ, ხოლო მეორე მ-ის სახედ.

როდესაც მწეობითი ზმნა წინუდგას ზმნის ფესვს, მაშინ იგი იხმარების შემოკლებით, ასე: ე(პ), ეა, ეი, მაგ. ე-წერ, ეა-წერ, ეი-წერ.

მს სამი პრეფიქსი არის მკვიდრი პრეფიქსი, რომელნიც, როცა შემოქმედებითი ზმნა გადადის: ა) უ.მ.ე. შაობითად,—იცვლებიან ასე: ეე, მაგ. ეეშენები და როცა ბ) მიჩემებითად, მაშინ ასე: ეუ, მაგ. ეუშენებ.

ამ სამს პრეფიქსში ერთი, ან ორი თვითეულ ზმნას მიუძღვის პირველს პირზე.

როდესაც პირველს პირს ავითარებს: ეპ, ეა, ეი და ეი-ები, ეი (ვილესები, ეიურვი), მაშინ მეორე პირის მავითარებელი ნიშნებია იგივე ასოები გარდა ე-ია: პ, ა, ი, ი-ები, ეი, მაგ. პწერ—წერ, აწერ, იწერ, ილალები, იწვი, გ არის ყველზე უფრო ხშირი მაპიროვნებელი, მეტადრე მიჩემებითს ზმნაში. მესამე პირს ამ დროს აქვს პრეფიქსებად იგივე: პ, ა, ი, განსხვავდება მესამე პირი მეორისგან მით, რომ მესამეს ავითარებს ნაბოლარები: ს, ის, ა, რომელნიც არიან შემოკლებული არსებითი ზმნა: არის, არს, ა, მაგ. თრთის, ატკობს,

იტკობს, ილესება, იწვის, იმყოფების, იმყოფება. მეორე ფორმის მიმოხერის მაპიროვნებელნი არიან იგივე სუფიქსები, რომელნიც იქცევიან მიჩემებითს ზმნაში შემდეგს ფორმებად: მ(ჰ), მა, მი, მე-ბი, ეი,—იმ განსხვავებით, რომა აქ ნაბოლაყარად ყოველს პირზედ აქეს მწეობითი ზმნა, რაკი მარტოკა ნაცვა ჟსახელი ეერ აპიროვნებს ზმნასა; მაგ. მინდა, მიყვარს, მრწამს, მნებაეს, მასწავლის, მექება. მძაგს, მეწყალვი (შენ, ის—მე). ეს არის პირველის პირის, ხოლო მეორე პირზედ ამ დროს სუფიქსებად აქეს: გა, გა, გი, გე-ბა, (რომელიც როგორც ზემოთ იყო ნათქომი, იგივე მწეობითი ზმნაა „ხარ“) მაგ. გრწამს, გაკანკალებს, გიყვარს, გეწყალება, გექება. მესამე პირის მავითარი ნიშნებია—სუფიქსები: ჰ, უ, ე, ეე. პირველი ამთგანი ფონეტიკურათ ისპობის და რჩება მხოლოდ დაბოლოება, მაგ. რწამს. ძულს, უყვარს, ეშიშვის, ეებრალვი.

ხატ შემოქმედებითს უმეშაობითი ზმნებს აწყო დროში თავსართნი სრულიად არა აქეთ (მხოლოდობითს რიცხეში) და მათნი ნაბოლარნი ცხადათ ჩანან: ღგე-ვარ, ზი-ხარ, ზი-ს, კიდი-ვარ, კიდი-ხარ, კიდი(არს).

შ. იქ სჯა ერთათ ერთი ზმნა მიმოხრის მავითარებელს ნიშნად, არ უნდა გაყოფილეს ეგ ნიშანი, ე. ი. თუ თავსართად არის, ნაბოლარად აღარ უნდა უკედეს ზმნას და პირიქით—თუ ნაბოლარად აქეს, თავსართად სამკიგნო აღარაა. ამის გამო არ ითქმის: „სადაც ვშობილვარ, გა-ვ-ზდი-ღვარ და მისროლია ისარი, სადაც სიურმითვე გჩეუღვარ და სს. არამედ ასე: სადაც შობილვარ, გაზდილვარ და მისროლია ისარი, სადაც სიურმითვე ჩეუღვარ, ჩემი სამშობლო ის არი“ რ. ე. არ ითქმის აგრეთვე: „რწამს, ჩეუარობს, სდგას, სწარმოებს, ან ჩწარმოებს, ვდგავარ, სდგესარ, გჰრწამს, გვეო-

ჯიგარ, კკიდივარ, კზივარ, ჰზისხარ, აღვიარებუ, არამედ უნდა ითქვას ასე: რწამს, უვარობს, დგას, წარმოებს, დგევარ, დგე-ხარ, გრწამს, კიდივარ, ზივარ, ზისხარ, გაუღივარ, აღვი-არებუ.

185. მრავლობითი რიცხვის მათათარებელი ნიშნები არიან: თ, გვ. ენ-ეს, იან, ნ.

თ...სამსავე პირს ასახიერებს: ეწერთ, წერთ, უწერიათ. გვ—პირველის პირის ნიშანია: გვრწამს, გვესმის, გავგიგონია, დავგვწრებია.

მნ და ეს არის მესამის პირის ნიშნები: მოვიდენ, გარეკეს, აღგენ, მოვხმარენ.

იან—მაშინ უნდა, როცა მხოლოდობითში აქვს ის, ა, მაგ. კეთდება...კეთდებიან, არის...არიან, მოდის. მოდიან.

186. მას შემდეგ, რაკი იცო, რამდენნაირი თავსართი და ნაბოლარი ეზაება ზმნასა, ადელი გასაწყობია თვითთელი ზმნის მიმოხრა. რომელსაც მარტო თავსართი აქვს, იმ ზმნის ფესვი ანუ ფუძე უნდა მოაბა პირველის პირის აწყო ღროის ნიშანს და დააყენო სხვა და სხვა პირზე, რიცხვზე, სახარზე, ღროზე და სახეზედ. როდესაც მარტო ნაბოლარი აქვს ზმნას, მაშინ ზმნის ფესო წინ უძღვის და ნაბოლარი ეცელების, როგორც საკეცი.

თუ ზმნას თავსართიც აქვს და საკეციცა, მაშინ ზმნის ფუძე მათ შორის უნდა ჩააყენო და ისე მიმოხარო.

თავსართი და ნაბოლარი ერთსა და მასვე ზმნას სულ სხვადასხვა მნიშვნელობას აძლევენ.—თუ რამდენი მნიშვნელობა შეიძლება მიეცეს ერთსა და მასვე ზმნას ეს არის დამოკიდებული მზედ, რამდენნაირი გავლენითი სახარი აქვს ზმნას და ამ სახარის პრეფიქსები. მაგ. ავი-

ლოთ ზმნის თემა „შენებ“.—ამაზე შეგვიძლია ავაგოთ შეზღუდვი გაელენითი სახარის ზმნები: იშენე. აიშენე, მოიშენე, გაიშენე, მიაშენე, დააშენე, წააშენე, ა(ლ)აშენე, შეაშენე, გააშენე და სხ. ესენი სულ სხვა და სხვა ცნების და მნიშვნელობის შემცველნი არიან, რაც დამოკიდებულია თავსართთა სხვა და სხვაობაზე, თორემ მიმოხრით ერთი და იგივენი არიან ყოველს თანამყოლში.

შ. მხოლოდ. საჭიროა კაი დაკვირვება მიმოსრის დროს, ხმაურებაში, რათა: ა) ერთი და იგივე მიმოსრის მაგითარებელი ნიშანი ორჯერ არ გამოვიდეს ზმნაში; ბ) ერთის დროის მაგითარებელი ნიშანი მეორის დროისად არ გამოდგეს, გ) ერთი ზმნებრივი ცნება მეორის შემცველ ცნებად არ გამოვიდეს, დ) მეტის ასოთი სიტყვა არ დაიტვირთოს და ე) ფონეტიკის წინააღმდეგი ასოთ ცვალება არ მოხდეს.

პირველის კანონის წინააღმდეგი მაგალითები მოუყვანილია 184-ის მუხლის შესწავებაში.—არ შეიძლება ითქვას: კადვიარებ, აღვიარებს, აღვიარებ (შენ) და სხ. ი. ვ.-სასელზმნა ამ სიტყვისა არინ აღსარება და არა ღვიარება. აქედან: მე აღვიარებ, შენ აღიარებ, იგი აღიარებს, ჩვენ აღვიარებთ (და არა კადვიარებთ, საცა შემოკლებულია მწეობითი ზმნა „კვ“ სულტუფილად ორკეცდება), თქვენ აღიარებთ, ისინი აღიარებენ და სხ.

არ შეიძლება ითქვას „ქქონიუო“ ივ. ეს იმიტომ, რომ მწეობითი ზმნა თავისის სრულობით ემატება ბოლოს გნებითს და უმეშაობითს ზმნას და არა შემოქმედებითს, ამბობენ: ქონოდა, მოსულიყო, ეთქო, ყოფილიყო, ეწერნა და არა ეწერიყო, ან ნაწერიყო და სხ.

მეორის დანადგენობის წინააღმდეგ ქვემო იმერელნი ამბობენ: დარეკენ, თქვენ, ილაპარაკენ, ნაცვლად იმისა, რომ თქონ: დარეკეს, თქვეს, ილაპარაკეს. აქ ესენი ურეკენ დროსაც: წარ-

სულის ნაცვლად მომავალს ამბობენ და ზმნის გვარსაც: უმე-
შაობითის ფორმას (მოვიდენ, ეკიდენ, ისხდენ) შემოქმედებითს
ამისებენ. კარგი აქ მხოლოდ ის არის, რომ ასე უმგვანოთ
ღაპარაკობენ მხოლოდ და (ვინც მწიგნობრია ასე მოღაპარაკე-
თაცან) წერით უოველთვის კანონიერათ წერს.

სულ სსკვა ქართველებში: იქ ზოგიერთს ზმნის
ფორმებს როგორც უკანონოთ სიტყვაზასუსში ხმარო-
ბენ, ისე უკანონოთვე წერენ. ისინი ამბობენ: „სკვას“ ულუ-
კმაპურთო დასკავდეს, უთქვავს, მოდენილა, „თუ გულის გუ-
ლობს, ჭდა ორივ სელით იჭმევს“ ივ. აღარ უგვირდებიან,
რომ აქ ზმნის ფესვები მოითხოვენ ითქოს: სკამს, ანუ (ფონე-
ტიკურათ გალესულათ) სომს, დასკამდენ, ანუ დასომდენ, უთ-
ქვამს ან უთქომს მონაკვალა, იჭმება და სს.

არ შეიძლება აგრეთვე მათებურათ ითქოს: „ამოვწყებ
კალამი“, „ვინც სამსახურში ჩირქს მოიცხობს“, „მცხეთაში
მირონცხობა იყო“, „წერა დაუწყვიათ“ ამის ღაპარაკში კაცი
სიტყვას ვერ ჩაურთობდა“ ივ. არამედ უნდა ამბობდენ:
ამოვწყე კალამი (ამოიწყება სსკვა, ამოწყება სსკვა), ჩირქს მოი-
ცხებს, მირონცხება (ცხობა სსკვა, ცხება სსკვა), წერა დაუწყ-
ვიათ (დაწყება, საქმის სელის მიყოლა, სულ სსკვა და დაწყობა,
ე. ი. დალაგება-სსკვა.) ჩაურთავდა (სასელსმნა არის ჩართვა,
ჩართობა-აგეთი სიტყვა არ გაგონილა).

მეთოსის დანადგენობის წინააღმდეგ ამბობენ და წერენ
იგივე ქართველნი: „გაისარჯენს, მოვიდნენ, წავიდნენ“ როცა
რომ აქ პირველი ნ სულ მეტია და უნდა ითქოს: მოვიდენ და
სს. აქ სო მეტია და საცა მიუცდილებულთ საჭიროა, იქ კი
აკლებენ და ცვლიან ასოსა, ამბობენ: „სჯობ, მოუგდამთ, კე-
წაფნეთ, გაისარჯენენ, გეტადნეთ“, „ედგა უღელ ხარს მინ-
დორში“, არ ასსოვთ, „ბრალდებულთ უნდა გარდასდეთ
მათმიერ გაფლანგული ფული“, „სანამ პირში სული მიდგა“, .

გატეობთ (იგი თქვენათ) „ეს იმიტომ კი არა, ვითომ უღელ-
ში უღონონი კუნენ“ ივ. ამით მაგივრათ აზრის მისხედვით
უნდა ეთქვით: ჯობს, მოუკლავსთ (არც „მოუკლავთ“ შეიძ-
ლება: გამოდის-თქვენგნით მოსდება ეგ მკვლელობათ, როცა
რომ უნდა თქვას: სხვებს მოუკლავსთ-კიდევცათ, - დრო ირეკვას);
კეწაფოთ, გვისარჯონ, კეცადოთ, გატეობსთ, უღვა სარებს
მინდოდაში, არ ახსოვსთ, უნდა გარდახდესთ; (თქვენ გარდა-
ხდეთ, შემდეგში-ეგ სულ სხვა) სინამ პირში სული მიდვასთ,
უღონონი კებან და სხ.

აგრეთვე არ შეიძლება ითქვას: მოუმკავ, მოუზიდავ, მოუ-
ხნავ, მოუწერავ, როცა გვინდა წარსული დრო გამოისატოს;
მოუმკავს, მოუზიდავს, მოუხნავს, მოუწერავს; თორემ გამო-
დის, რომ შენ მას მოუმკავა შემდეგში, მოუზიდავო, მოუ-
ხნავ, მოუწერავო შემდეგში.

187. რათგანაც ქართული ზმნის მიმოხრის მავითა-
რებელი ნიშანი არის ნაცვალსახელი, ამისთვის წინადა-
დებაში ეგ უკანასკნელი გამოიშვების, თუნდაც იგი უმ-
თაერესს წიერს (საუბნს) შეადგენდეს.-მაგალითი:-ქალო
სად იყავ?-მუზეუმშია.-ნეტა რა ნახე მუზეუმშია?-რა
არა ენახე, რა გითხრა, ქალო!“ რ. ე. აქ ნაცვალსახე-
ლები: შენ, მე გამოშვებულნი არიან, რაკი ზმნაშივე
ჩანს ვის მიეწერების მოქმედება. ეგ კიდეც ქართულის
ენის განსაკუთრებული თვისებაა მოკლ-სიტყვაობის მა-
ჩვენებელი, რასაც ბევრი სხვა ენა მოკლებულა: იქ პირ-
დაპირ უნდა დასახელდეს ნაცვალსახელები.

გარნა თუ საუბნ ზე საგანგებო ყურადღებაა მიქ-
ცეული, მაშინ იგი აღარ გამოიშვების, თუნდა ნაცვალ-
სახელიც იყოს, მაგ. ვინ მოვიდა?-იგი მოვიდა; შენ მო-
ხვედი, თუ ისა?-მე მოვედი.

188. ზმნის თვისებისა და მიმოხრისამებრ არიან

ორნაირნი: კანონიერნი და უკანონონი. პირველნი არიან ის ზმნები, მიმოხრის საერთო წესებს რომ შეუდგებიან და სიტყვის ფესვს არ იცვლიან, მაგ. ვაკეთებ, ვაშენებ, მრწამს, მიკეთებს და სხ.

უკანონო ზმნები არიან ისინი, რომელთაც მიმოხრის დროს ხშირათ ეცვლებათ ფესვი და არა ყველა საერთო მიმოხრის წესებს ექვემდებრებიან.

189. ავიღოთ ჯერ ზმნის მაგალითი და მიმოვხაროთ. კანონიერი ზმნის ძირი „კეთებ“ მიმოიხრების ასე: 1, ჩვენებითი სახარი, ა) აწმყო დრო, მხოლოდობითი რიცხვი: ვა-კეთებ, ა-კეთებ, ა-კეთებ-ს; მრავ. რიცხვი: ვა-კეთებ-თ, ა-კეთებ-თ, ა-კეთებ-ენ ბ) ნამყო უსრული დრო, გაუთავებელი სახე: ვა-კეთებ-დი, ა-კეთებ-დი, ა-კეთებ-და, მრ. რიც. ვა-აკეთებ-დით, ა-კეთებ-დით, ა-კეთებ-დენ; ერთგზობითი სახე: ვა-კეთ-ე, ა-კეთ-ე, ა-კეთ-ა, ვა-კეთ-ეთ, ა-კეთ-ეთ, ა-კეთ-ეს; მრავალ გზობითი სახე: ვა-კეთი, ა-კეთ-ი, ა-კეთ-ის, ვა-კეთ-ით, ა-კეთ-ით, ა-კეთ-ინ; (ანუ შეუძლებლად: ვა-კეთებ-დი, ა-კეთებ-დი; ა-კეთებ-დის, ვაკეთებდით, აკეთებდით, აკეთებდინ).

გ) ნამყო სრული დრო: გა (შენ, წა, მო, და, გადა, გადმო)-ვაკეთე, გა-კეთ-ე, გა-კეთ-ა, გა-ვაკეთ-ეთ, გა-აკეთე-თ, გა-კეთ-ეს, მრავალ გზობითი სახე: გა-ვაკეთ-ი, გა-კეთ-ი, გა-კეთ-ის; გა-ვაკეთ-ით, გა-აკეთ-ით, გა-აკეთ-ინ.

დ) ნამყო დღეს უსრული დრო: მი-კეთ-(ებ)-ია, გი-კეთ(ებ)-ია, უ-კეთ(ებ)-ია; გვი-კეთ(ებ)ია, გი-კეთ(ებ)-იათ, უ-კეთ(ებ)-იათ.

ე) ნამყო დღეს სრული დრო: გა-მი-კეთ(ებ)-ია, გა-გიკეთ(ებ)-ია და სხ.

ვ) მყოფადი სრული დრო: ვა-კეთებ, გა-კეთებ, გა-კეთებ-ს; გა-ვაკეთებ-თ, გა-აკეთებ-თ, გა-აკეთებ-ენ.

ზ) მყოფადი უსრული დრო: კეთებას დაიწყო, (მიედგები, ხელს მიეყოფ და სხ), კეთებას დაიწყო, კეთებას დაიწყო და სხ.

2) საიჭვეი სახარი: ა) აწმყო დრო: რომ ვა-კეთებ-დე, რომ ა-კეთებ-დე, ა-კეთებ-დეს; ვა-კეთებ-დე-თ, ა-კეთებ-დე-თ, ა-კეთებ-დე-ნ. ბ) ქმნილ უსრული დრო (და გაუთვებელი სახე): მე-კეთებ-ია, გე-კეთებ-ია, ე-კეთებ-ია; გე-ე-კეთებ-ია, გე-კეთებ-ია-თ, ე-კეთებ-ია-თ.

გ) ქმნილისრულ დრო: (და გამთავე სახე): გა-მე-კეთებ-ია, გა-გე-კეთებ-ია, გა-ე-კეთებ-ია; გა-გე-კეთებ-ია, გა-გე-კეთებ-ია-თ, გა-ე-კეთებ-ია-თ. ამისი შემოკლებაჲ შეიძლება: გამეკეთა, გაგეკეთათ და სხ.

სხვა სახე და წარსული დრო ამ სახარზე ზმნას არ აქვს.

დ) მყოფადი უსრული დრო: ვა-კეთ-ო, ა-კეთ-ო, ა-კეთ-ოს; ვა-კეთ-ოთ, ა-კეთ-ოთ, ა-კეთ-ონ.

ე) მყოფადი სრული დრო: (რომ)-გადაკეთო, გადაკეთო და სხ.

ვ) გავლენითი სახარი: ვაკეთო(მე), აკეთე(ბენ), აკეთოს (მან); ვაკეთოთ, აკეთეთ, აკეთონ; ნუ ვაკეთო, ნუ აკეთებ, ნუ აკეთებს; ნუ ვაკეთებთ, ნუ აკეთებთ, ნუ აკეთებენ. ეს არის აწმყო და, შესადამე, უსრული დრო, წარსული დრო ამ სახარს არ აქვს, მყოფადი კი ასე მიმოიხრების: გადაკეთო, გადაკეთე, გადაკეთოს; გადაკეთოთ, გადაკეთეთ, გადაკეთონ; ნუ გადაკეთებთ, ნუ გადაკეთებთ და სხ.

მსგავსად ამისა მიმოიხრების ყოველი კანონიერი ზმნა: მაგ. „ჰკრი“-ეჰკრი, ჰკრი, ჰკრის; ეჰკრით, ეჰკრით; ჰკრიან.

ეჭრიდი, გაეჭერი, ეჭერი, მიჭრია, მამიჭრია, გაეჭრი; გა-
ჭერ(ი), ჭერ(ი) და სხ.

მს იყო შემოქმედებითი ზმნა. ახლა ავიღოთ სხმით
გადასვლითი ზმნა: ეაშენები(ნ)ებ, აშენებიებ, აშენები-
ებს, ეაშენებიებთ, აშენებიებთ, აშენებიებენ; ეაშენები-
ებლი, აშენებიებლი, აშენებიებლა, ეაშენებიებლით, აშე-
ნებიებლით, აშენებიებლენ; გაეაშენებიე, გააშენებიე, გაა-
შენებია და სხ. ეაშენებიე, აშენებიე, აშენებია და სხ.
ეს არის ერთგზობითი. მრავალგზობითისთვის პირველსა
და მეორე პირს უნდა დაერთოს „ხოლმე“, რათგან უა-
მისოთ ეგვანება ნამყო უსრულს ღროს, მესამე პირიკი
ასეა: აშენებიებლის, გააშენებიებლის, აშენებიებლინ და
სხ. მყოფადი: გაეაშენები(ნ)ებ, შენებიინებას მიედგები და
სხ. საიჭვი სახარი: ეაშენებიებდე და სხ. გავლენითი: აშე-
ნებიე, გააშენებიე, ნუ აშენებიებ და სხ.

მრსხმით გადასვლითისათვის ემატების ბოლოს მხო-
ლოდ „ინებ“.

ავიღოთ ენებითი ზმნა, რომლის ფესო არის „წე“.
აწ მყო ღრო: ეიწვი, იწვი, იწვის და სხ. ნამყო უსრული
ეიწოდი, იწოდი, იწოდა და სხ. ქმნილისრული: დაეიწვი,
დაიწვი და სხ. ქმნილოდეს უსრული: წულევარ, წულხარ,
წულა, წულევართ, წულხართ, წულან. ქმნილოდეს სრუ-
ლი: დაწულევარ და სხ. მრავალგზობითი სახე: ეიწოდი-
(ხოლმე), იწოდი(ხოლმე), იწოდის, ეიწოდით(ხოლმე),
იწოდით(ხოლმე), იწოდინ და სხ.

საიჭვი სახარი: ეიწ(ე)ოდე, იწ(ე)ოდე, იწ(ე)ოდეს
და სხ. ქმნილუსრული: წულეიყა(ე), წულიყა(ე), წულ-
იყო, წულეიყა(ე)თ, წულიყა(ე)თ, წულიყონ. ქმნი-
ლოდესრული: დაწულეიყა(ე) და სხ. მყოფადი: დაეიწ(ე)
ოდე, დაიწ(ე)ოდენ და სხ.

ბავლენით სახარი: დაიწვი, ნუ დაიწვა, დაიწვი, არ დაიწვე, ნუ დაიწვი, დაიწოს, არ დაიწოს, ნუ დაიწვის, ნუ დაიწვებიან და სხ.

სხმით გადმოსვლით ზმნაში ემატების ერთი ი(ნ)ებ და ორსხმით გადმოსვლითში ორი ი(ნ)ებ, მაგ. ვეკლეინები, ვეკლევიანებოდი, მოვეკლევიანე; ვეკლევიანები(ნ)ები და სხ.

მეორე ხატ-ვნებითი ზმნა: ეშენდები, ეშენდებოდი, აეშენდი, შენებულვარ, აშენებულვარ; აეშენდები, ეშენდებოდე, შენებულვიყო, აშენებულვიყო, აშენდი და სხ.

პეილოთ უმეშაობითი ზმნა. ამ ზმნას აქვს აწმყო დროში ორი სახე: გამთავე და გაუთავებელი. „წ-ოლ“

1) საჩინო სახარი ა) აწმყო დრო, გაუთავებელი სახე: ეწეები, წეები, წეება: ეწეებით, წეებით, წეებიან (ფონეტიკურათ გადაქმნილი: ეწობი, წობი, წობა, ეწობით, წობით, წობიან). გამთავე სახე: წევარ, წევარ, წევს; წევართ, წევხართ, წევანან. (ფონეტიკურათ განსახიერებული—წონან). ბ) ქმნილუსრული დრო: ეწეებოდი (ანუ ეწობოდი), წეებოდი (წობოდი), წეებოდა (წობოდა); ეწეებოდით (ეწობოდით) წეებოდით (წობოდით) წეებოდენ (წობოდენ—ფონეტიკურათ გალესილი). გ) ქმნილი სრული დრო: დაეწევი, დაწევი, დაწეა; დაეწევით, დაწევით, დაწვენ (ანუ დაეწეჲ, დაწეჲ და სხ. დ) ქმნილოდეს უსრული დრო: წოლილვარ, წოლილხარ, წოლილა; წოლილვართ, წოლილხართ, წოლილან, ე) ქმნილოდეს სრული დრო: დაწოლილვარ, დაწოლილხარ და სხ. ერთგზობითი სახე: ეიწევ (ანუ ეიწეჲ), იწევი, (იწეჲ) იწეა. მრავალგზობითი სახე: ეწობოდი (ხოლმე), წობოდი (ხოლმე), წობოდის: ეწობოდით, წობოდით, წობოდინ. მყოფადი სრული: დაეწობი, დაწობი, დაწობა,

დაწობით, დაწობით, დაწობიან. მყოფადიუსრული: წო-
ლას დაეწეებ და სხ.

2) საიჭეი სახარი: ეწობოდე, წობოდე, წობო-
დეს; ეწობოდეთ, წობოდეთ, წობოდენ. ეს არის აწმყო-
დრო, გაუთავებელი სახე, ხოლო გამთავე სახე ასე არის
ვიწვე, იწვე, იწვეს; ვიწვეთ, იწვეთ, იწვენ. ქმნილუსრუ-
ლი დრო: წოლილიეყო, წოლილიეც(ე), წოლილიეყო;
წოლილიეც(ე)თ, წოლილიეც(ე)თ, წოლილიეყონ. ქმნი-
ლისრული დრო: და (მი, მო, ჩა), წოლილიეყო. დაწო-
ლილიეცა და სხ. ქმნილოდესმი დროებიც ასეთნივე
არიან. მყოფადი უსრული: ვიწოლებოდე, იწოლებოდე
და სხ. მყოფადი სრული: დაეწობოდე, დაწობოდე, და-
წობოდეს; დაეწობოდეთ, დაწობოდეთ, დაწობოდენ და
არა დაეწეებოდე და სხ.).

შ. საიჭეი სახარის ეოველს ფორმას წინაუძღვის სიტ-
ყვა „რომ“ და საწადისი სახარისას „ნეტა: რომ ვწობოდე,
ნეტა ვწობოდე, რომ დაწვეს, ნეტა წოლილიეყო და სხ.

ბავლენითი სახარი: დაეწვე, დაწვექ, დაწვეს; დაე-
წვეთ, დაწვეით, დაწვენ; არ დაეწვე, არ დაწვე, არ და-
წვეს; არა დაეწვე, არა დაწვე, არ დაწვეს; ნუ დაეწვე,
ნუ დაწობი, ნუ დაწობა და სხ.

190. მიმოხრის დროს რო მთლად ძირფესვიანათ
იცვლებოდეს, ე. ი. უკანონო ზმნები სულ ათამდე თუ
იქმნება ქართულს ენაში. ყველაზედ უფრო დახასიათე-
ბული უკანონო ზმნა არის. მწეობითი ზმნა. იგი ასე მი-
მოიხრების:

1) ჩინებითი სახარი, აწმყო დრო: ეარ, ხარ,
არ(ი)ს, ეართ, ხართ, არიან. ყოფნა, არსებობა რაკია,
იქ უმყოფობა, ან ნახევრობით, უსრულობით ყოფნა შეუ-
ძლებელია, ამიტომ ამ ზმნას არ აქვს ნამყო უსრული და

ნამყო ოდეს უსრული დრო. ხოლო ნამყო სრული ასეა: ვიყა(ვ)ი, იყა(ვ)ი, იყო; ვიყა(ვ)ით, იყა(ვ)ით, იყვენ და არა იყვენ. ნამყო ოდეს სრული: ყოფილ-ვარ, ყოფილ-ხარ, ყოფილ-ა; ყოფილ-ვართ, ყოფილ-ხართ, ყოფილ-ან. მყოფადი დრო სრული: ვიქმნები, იქმნები, იქმნება; ვიქმნებით, იქმნებით, იქმნებიან.

მრავლობითი სახე (რომელიც ყველადროებს ეკუთნის ზმნაში): ვარი(მე), ხარი(შენ) არის(ხოლმე); ვართ(ხოლმე) ხართ(ხოლმე), არნ (ძველებურათ, ახალ ქართულში: არიან ხოლმე).

2) საიკვი სახარი, აწ მყო დრო: (რომ) ვიყო, იყო, იყოს: ვიყოთ, იყოთ, იყონ. ნამყო დრო (ერთის მეტი არ აქვს—ქმნილი სრული): ყოფილვიყა(ვ), ყოფილიყა(ვ). ყოფილიყო; ყოფილვიყა(ვ)ით, ყოფილიყა(ვ)ით, ყოფილიყონ (და არა ყოფილიყენენ). მყოფადი დრო უსრული: ვიქმნებოდე, იქმნებოდე, იქმნებოდეს; ვიქმნებოდეთ, იქმნებოდეთ, იქმნებოდენ. მყოფადი სრული: ვიქმნე იქმნე და სხ.

3) გავლენითი სახარი, აწმყო დრო: ვიყო, იყავ, იყოს; ვიყოთ, იყა(ვ)ით, იყონ. ნუ ვარ, ნუ ხარ, ნუა(რს); ნუ ვართ, ნუ ხართ, ნუ არიან. მყოფადი (სრული): ნუ ვიქმნე(ბი), ნუ იქმნები, ნუ იქმნება; ნუ ვიქმნე(ბ)ით, ნუ იქმნე(ბ)ით, ნუ იქმნე(ბ)იან.

ამასთანავე სამკიენოა მიმოიხაროს მეორე ზმნა, რომელიც თითქო გავს ამ არსებითს ზმნასა, ნამდვილად კი სულ სხვაა და სხვებ მიმოიხრების. ამ მეორის ფესვი არის „ყოფ-ობ“. მიმოიხრების ეგრე: 1, ჩინებითი სახარი აწმყო დრო: ვიმყოფები, (ვიყოფები, ვიყოფვი სულ სხვა ცნების შემცველი ზმნაა) იმყოფები, იმყოფება; ვიმყოფებით, იმყოფებით, იმყოფებიან. ნამყოუსრული:

ვიმყოფებოდრი და სხ. ნამყოსრული: ვიმყოფე (ვიმყოფე სხვაა და ვიმყოფინე კიდევ სხვა), იმყოფე და სხ. ნამყო-
ოდეს უსრული: მიმყოფნია, გიმყოფნია და ე. სხ. ნამყო-
ოდესრული: და მიმყოფნია, (ხანი სადმე), დაგიმყოფნია,
და ე. სხ. მყოფადი (სრულ): იმყოფებ, იმყოფებ და ე. სხ.

2) საიკვეი სახარი, აწმყო ღრო: ვიმყოფებოდრე,
იმყოფებოდრე და ე. სხ. ნამყო (სრული): მიმყოფა გემყო-
ფა, ემყოფა, მყოფადი ღრო სრული: ვიმყოფო, იმყოფო,
იმყოფოს; ვიმყოფოთ, იმყოფოთ, იმყოფონ.

შ. საწადისი სახარი: (ნეტა) მაიმყოფა, გამყოფა, აიმყოფა;
კვამყოფა, აიმყოფათ, გამყოფათ. ეს არის აწმყოსი და მყო-
ფადის ღროსი, სსვა ღროს ფორმა არ აქვს ამ სახარს სი-
ჯვი სახარითგან განსხვავებული. ესრეთი ფორმა კი თვითეულ
ზმნას აქვს; მაგ. ნეტა მასწავლა, ნეტა მოძალა, ნეტავი გადა-
მაქცია, ნეტა დამსო, ნეტა მაჭაპა და ე. სხ.

3) გაელენითი სახარი: ვიმყოფო, იმყოფე, იმ-
ყოფოს; ვიმყოფოთ, იმყოფოთ, იმყოფონ: არ იმყოფო,
არ იმყოფოს; არ იმყოფათ, არ იმყოფონ; ნუ ვიმყოფო,
ნუ იმყოფი, ნუ იმყოფა, ანუ ნუ იმყოფის; ნუ ვიმყო-
ფოთ, ნუ იმყოფ(ებ)ით, ნუ იმყოფ(ებ)ინ.

სხვა უკანონო ზმნები რომ ავიღოთ, იმათში კიდევ
უფრო ნათლათ დაეინახათ ზმნის უკანონობას, ე. ი.
მთლათ, ძირფესვიანათ ცვალებას მიმოხრაში. მაგალითად:
ზივარ ხომ აწმყო ღროსაა, ვიჯექ, ან ვიჯედ(ი) წარსუ-
ლის; სხედვართ აწმყო მრავლობითი, სხედხართ, სხედან,
დაეჯდები, დაჯდები, დაჯდება-მხოლოლობითი მომავალო
ღრო; დაესხდებით, დასხდებით და სხ. მრავლობითი მო-
მავალო ღრო და სხ.

მეორე ზმნა: ვშერები, შერები და სხ. აწმყო; ექმენ,
ქმენ, ქმნა-წარსული; ეიზამ, იზამ და სხ. მომავალო და

სხ. მესამე ზმნა: დავდივარ, ვიარე, მივლია, ვიარ, მოვიარ, მეოთხე ზმნა: ვამბობ, ვთქვი, ვიტყვი-აწმყო-წარსული და მყოფადი დრო, და სხ.

191. ზმნას რომ თანამყოლნი გაუსინჯო, ნახა რომ არა ყოველ ზმნას აქვს თვითთელი მათგანი. არის ზმნები: სახარ ნაკლი, სახე ნაკლი, დრო ნაკლი, პირნაკლი, (მთლათ) უპიროო და უკანასკნელებთან შედარებით პიროვანნი.

192. სამისავე პირის მექონი ზმნა იწოდების პიროვანად, მაგ. ვაშენებ, ვწერ, იღვწის და სხ. ხოლო იგეთი ზმნა, რომელშიაც მოქმედი არ ჩანს და მოქმედება კი იწოდების უპიროვნოდ: წუმს, სეტყეს, გათენდა, ღამდება, იღრუბლება, ნათელია, ბნელია, ცივა, თფილა, ცხელა, თოვს (და არა „თოვლს“ იე.) და სხ.

შ. 1) ზმნანიც მოქმედის პირის დაუსასკლებლათ, უპიროვნოთ ითვლება: იტყვიან, თქმულა, აშობენ; აქ არც იგულისხმების მოქმედი.

შ. 2) წინადადებაც უპიროვნოდ იწოდების, თუ მასში უპიროვნო ზმნა ურევია, მაგ. „ნუ შესვალ. ნუ ეხანები, ნუ გამოსვალ, ნუ თრთიო“ ანდ. „ცხელა და ცხელა. ჰაჰანება.“ რ. ე. აქ არსად ჩანს საუბნი, თუ ვისსკედ ან რაჲედ არის ღაჰანება.

შ. 3) ამისთანა ზმნები და წინადადებანი ცაქენილან პირველყოფილს დროს, როცა კრი გონებითად უდაბლეს სარისსზე მდგარა, სრულიად გერ მინასკედარა ზოგიერთის მოვლენის მიზეზს და შეუგნებლათ, ბუნდეთ გამოუთქომს თავისი მაზედ, მოვლენაზედ, შესედულება და მისკან მოდებული აღბეჭდილება.

193. პირნაკლი ზმნა არის ისა, რომელსაც ერთი

რომელიმე პირი აკლია. ამ ზმნას ეს სახელი ქვია იმისთვის, რომ ორის პირისაგან წარმოებს მოქმედება სარგოთ, ერთის რომლისაზე პირისა, რომელიც ალარ ჩანს. მოქმედად, მაგ. მიწერ, მიწერს; გასწავლი, (მეშენ) გასწავლის (ის შენ); ევხმარები, (მე მას), ეხმარები (შენ მას), აქ პირველ ზმნაში აკლია პირველი პირი, მეორეში-მეორე, ხოლო მესამეში-მესამე.

შ. პირნაკლ ზმნებსაც იგივე თანამყოფნი აქვსთ, როგორნიც ჩვეულებრივთა. მხოლოდ ნამყოფადესურულს დროში და საიჭვი სახარის ეკელა ნამყო დროებში, უნდა დასახელდეს პირი, თუ ვისდა სარგოთ წარმოებს მოქმედება.-მაგ. ზმნაში „მიშენებდი“ ცხადია ვისგან ვის და სარგოთ წარმოებს მოქმედება, მაგრამა მეორე ზმნაში „გიშენებია“ უნდა დაემატოს პირი, თუ ვისთვის (ჩემთვის, მისთვის, თუ შენთვის). აგრეთვე თუ თქვი: „გეშენებიაო“-მაშინც საიჭვი სახარის პიროვანი ზმნა გამოვა და თანვე კითხვა გაიზრებს გონებაში: ვისთვისაო? რაკი პირნაკლის ფორმა გვსურს გამოვთქოთ, უნდა დაემატოს, სახელდობ ვისთვის?

194. არც ერთს წმინდა უპიროვნო ზმნას მრავლობითი რიცხვი არა აქვს.

დრო ბევრ ზმნას აკლია, მაგ. ზმნებს; მხს, მიეის, მიძს: ამათ მხოლოდ აწმდგომი დრო აქვსთ და არც წარსულის, არც მომავლის ფორმა.

სახეც ბევრ ზმნას აკლია და არ იხმარების მაგალითად გაუთავებელი სახით; არ შეიძლება ითქვას „ჩემზედ შთაბეჭდილებას ახდენს“ იე. და სხ. არამედ მოახდენს“, არც ის შეიძლება ითქვას „მითქვამსო“ იმ აზრით მითომ მპირდება, მიქადისო, არამედ აღმითქვამსო; ეს არის ფორმა მომავლისა და აწმყოფისა, გამოთავისა და გაუთავებლისა. ერთი უსრული სიტყვით ზმა-

ნას, რომელიც უთავსართოთ, ანუ უთანდებელოთ სამ-
კიენო ცნებას ვერ გამოთქომს, ერთი ფორმა აქვს აწ
მყოს და მომავალა დროსთვის, მაგ. აოხრება—აფაოხ-
რება, აღთქმა—აღუთქმამ, მოხდენა—მოახდენს, აღწე-
რა—აღწერს, შეწამებს, აწამებს მოიქრთამებს და სხ.

ზმნას „ვარ“ აქვს მხოლოდ ქმნილი სრული დრო
და ქმნილობის სრული; ქმნილობის სრული და ქმნილობის
უსრული არ აქვს.

ქმნადი უსრული დრო ხომ ბევრ ზმნას არ აქვს
(იხ. მ. 171).

195. არსებითი ზმნის და ნაცვალსახელების შემ-
წეობით აქვს ქართულ ზმნას საკურელი ფორმების სი-
უხვე, რითაც გამოითქმის თვით უწერილმანესი ნივთთა
შორის ურთიერთობა. ზოგჯერ ერთ ზმნაში მოთავსე-
ბულია და მოკლეთ გამოკვანძული რამდენიმე სამეტყვე-
ლო ნაწილი და ისეთი რთული აზრი, რომლის გამოსა-
თქმელათ სხვა ენები ოთხს-ხუთ სიტყვას იხმარდენ.
ზოგს ენებში ხშირათ შეხვედებით წინადადებაში, დაცალ-
ცალკეევებით ჩაყენებულს, სამეტყველო ნაწილაკებს, რაც
საქმის გამაძნელებელია და აზრის სიმკაცრისათვის მავნე-
ბელი. ქართულ ზმნებში ეს საყურისი სიტყვები ისე და-
ლესილან, რომ ისინი ერთ ზმნაში არიან მოქცეულნი.

შოველივე აქა თქმული მართლდება უმთავრესათ: ა)
დროთა სიმრავლით. რაკი ზმნა დაგვისხავს მოქმედებას
შვიდ სხვა და სხვა ქამიერს, ეს მოწმობს ენის მრავალ-
ფრად დამუშავებულობას. ბ) ზმნის გვართა სიმრავლე
და არსებობა ე. წ. სხმით გადასელ-გადმოსვლითი ფორ-
მებისა, მაგ. ზმნა „ვეცვლინები“ სხვა ენამ უნდა გა-
მოთქოს ხუთი-ექვსი სიტყვით: მე მას თავს ეუდებ ჩემდა
მოსაკლავათ; მაწერინებს-ოთხი სიტყვით: იგი მე წერას

მაქმნეივნებს; მაწერინებიებს—ექესი სიტყვით: იგი ამის საშეალებით (თუ პორჩენით) მე წერაში მამამს და სხ.

გ) მიჩემებითი ფორმა და პირნაკლი ზმნა რომლითაც გამოითქმის—ვისდა სარგოთ. წარმოებს მოქმედება მაგ. „ვიშენებ“ უცხო ენებმა უნდა გამოთქონ ამ ფრაზით: მე ჩემთვის ვაშენებ; გიშენებთ-ჩვენ შენთვის ვაშენებთ; მიშენებთ—თქვენ ჩემთვის აშენებთ; მიშენდება-ჩემთვის ვისგანღაც შენდება. ამ ფორმების მეოხებით აზრი მკვირცხლად გასაგებია და თან დრო და ძალა დაზოგული.

დ) ზმნის თანამყოლთა დამახასიათებელი სამეტყველო ნაწილაკები (თანდებელნი) და მარცვლები, რომელნიც არიან: ხოლომე, თურმე, ნა, ე, მეთქი, თქო, ო და ყე.

ხოლომე მრავლობითი სახის მავითარებელია. თურმე უკან მოსდევს ზმნას მშინ, როცა გვინდა გამოვსახოთ უკვე წარმოებული, ან საწარმოებელი მოქმედება რამ, რომელიც ჩვენ ასლარელე შევიტყვეთ. ან მივხვდით ბოლოს, მაგ. „რა ამირან კლდესა შევიდა, მან დიდი ღოღი კარსა მოატორა; ეს თურმე დევი იყო“ მ. ს. „დღისით არ ჩანს, დამლამობით მოდის თურმე“.

ნა—არის თურმეს მინაკვარი და ერთვის მსოფოდ წარსულს დროს: მონავლა (და არა, „მოდენილა“ ივ.), ნაწოლა ნაკითსავა, ნაზარმაცევა, ნაქონა, ნაჩაგრავა „ნაკლავა და იმ დროს მიუსწრიათ“ „ნამუშავარა და ვერას გამხდარა“. ეს ფორმაც ქართლელებს თითქო ძულთო-არ ხმარობენ.

ე-აქვს ზმნის თავსართათ ნამყო სრულს დროში: მშინ, როცა გვინდა გამოვსახოთ ისეთი მოქმედება, რომელიც უჩვენოთ შესრულებულა და ჩვენის თვალთ ვნასეთ. ეს ფორმა საიჭვი სახარის ნამყო დროს მათ ერჩევა, რომ საიჭვში ყოველთვის იგულისხმების „რომ“ აქ კი არა, მაგ. სხვა და სხვა: „რომ ემუშავნა კაი იქნებოდა“ და „ჩვენის თვალთ ვნასეთ—ემუშავნა“. „მეუფეს ეთქო ამისი დიდი მადლიერობა“ შ. რ., ესწავლა, ემაკა, ეწველ(ნ), ეთამაშნა,

ესკა და სს. ამ სახით „თურმე“ს ცვლიან „ნა“და „ე“ და ამიტომ ერთს ფრანგში ორივე „თურმე“ და, „ნა“ ან „ე“ არ შეიძლება იხმარებოდეს—არ შეიძლება ითქოს“ დაეკმუგნა თურმე და დაგლივია“ ივ, არამედ აქ უ „თურმე“ ოდ უნდა ითქოს.

მეთქი—არის ფონეტიკურათ გაღესილი „მე ვთქვი“ და მით გამოისატვის სიტყვის გამეორება შემოვლებულათ. მაგ. ნაცვლათ ფრანგისა: „მე შენ გეუბნები: შინ წადი“ უნდა ითქოს: „შინ წადი მეთქი“ „სუ მეთქი, თორემ გავიშვრე სახა“ რ. ე.

თქო—გვეც ფონეტიკურათ ცვალეული „თქვა“ არის. იგი ერთვის ზმნას მაშინ, როცა ვისმე სხვასთან სიტყვას გახარებთ, მაგ. „მიკითხოს, კადრე: იყო თქო აქა ერთისა წამისა. შ. რ.

იმერლები მწერალნიც კი ვერ არჩევენ: სად უნდა „მეთქი“ და სად „თქო“. ორსავე შემთხვევაში „თქოს“ ხმარობენ, მაგ. ერთი იმერელი მწერალი წერს „სამეგრელოში გოხტათ იგვამენ თქო, მოგასსენეთ“—უნდა იყოს „იგვამენ მეთქი...“.

ო—ეზოლოების ზმნას მაშინ, როცა დახარებული სიტყვა დანიშნულებისამებრ მიგვაქვს სხვასთან, მაგ. „უხიბ მოახსენა. (ამირანს): აქადგან ტალას დადგომა გკინდაო.“ მ. ხ. „მოასპარეზედ ვინ მჭობსო, ცუდილა უკუთქმანია“ შ. რ.

ეს საბოლარი ერთს წინადადებაში მხოლოდ ერთ ჯერ იხმარების და ისიც ზმნის (სახედომის) ბოლოს და არა სხვა სიტყვასთან. ამას არავინ უგდებს უურს და საუბარს აჭიანურებს, მაგ. არ ითქმის: დილაობითაო მოდიო ჩემთანაო, არამედ: დილაობით ჩემთან, მოდიო.

უე—გვეც მოძულეული სამეტყველო ნაწილაკი არის ჭარბელთაგან და მხოლოდ რასკლები ხმარობენ. იგი მიუცლებულია იქ, საცა მოქმედება მრავალს პირზე გადა-

დის.-გაწერინებ (მე ერთი ერთს), გაწერინებთ (ჩვენ ბევრი ერთს), გაწერინებუე (ჩვენ ბევრი ბევრსა“-ეს სომ სულ სსგადსხვას და თუ არ ეყუ“-თი, სხვით არა რით გამო-ითქმის). „რა ისარნი დილიენეს, მონანი ეე მოართმიდენ“- შ. რ. აქ რომ ჰროზა იუოს და არა შაირსიტუვა, მაშინ „ეე“ მიეზაგებოდა ზმნას, რომელსაც ეკუთნის და ითქ-მოდა „მოართმიდენუე“ ე. ი. მონანი მონადირეებს: როს-ტეკანს და ავთანდილსა.

შ. 1) ზმნის ფორმების საუხვის შესახებ ენათმეცნიერთა გამოკვლეებით დასკვნილია შემდეგი ტეშმარიტება: თუ რომე-ლიმე ენა, (თუ ზმნა) მდიდარია ფორმებით მოქმედების დრო-თა და სასიათთა გამოსათქმელათ და მეორე შემთსვევაში თუ ზოგიერთი ენა დარჩენილა გაუხსნელად ამ მხრით, ეს იმის უტუუგარი ნიშანია, რომ ჰირველის ერის გონებას მიმაღლე-ბული აქვს უმეტესი წინდი და იარადი განეუბულის მსჯელო-ბისათვის (რასაც მიესწრაფის კაცობრიობა) დამუშავებულ-გან-სახიერებულა ისტორიულის აღნაჭესისთვის, კინემ მეორისა.

შ. 2) ქართული ზმნები და საზოგადოთ ენა რომ ამ მხრით მაღალს ხარისხამდე არის აღსული, ამისთვის სელი შეუ-წყეია იმ გარემოებასაც, რომ გრამატიკას მაზედ თავისი მკა-ცრი ხელი არ სდებია, ამ ბოლო საუკუნეებამდე და ისე თავი-სუფლათ უვლია ენას და მწიგნობრობას თითქმის ათას-ხუთას წელს...

196. წინადადებაში ზედმიწევნითი დანიშნულება ზმნისა ის არის, რომ იგი (ზმნა) სახედომობას შერებო-დეს, რაკი ზმნა ხატავს საგნის მოქმედებას, ე. ი. მასეე ვითარებას. ეგრეც არის: წინადადებაში ზმნა ყოველთვის არის სახედომი, მაგ. „ცისკარმან აღმოსაელეთი ვარ-ლისა ფერათ შეღება“ გ. ო.

მ ი მ ლ ე ო ბ ა .

197. რათგან მიმღეობა წარმოებს ზმნისგან ამისათვის იგიც, მიმღეობა, იმღენისავე გვარისა არის, რამღენისაც თვით ზმნა, რომელის ფორმების განგრძობასაც იგი შეადგენს. შემოკმედებითი ზმნისაგან წარმოებს მიმღეობა შემოკმედებითი: ვაშენებ-მაშენებელი, ვიკმ-მკმნელი; სხვით გადასვლითი ზმნისგან გამოდის მიმღეობა სხვით გადასვლითი: ვაშენები(ნ)ებ-მაშენები(ნ)ებუ-ლი; ორსხვით გადასვლითი: მაშენებინებინებინებელი. ენებითი: საშენებელი. აშენებადი; უმეშაობითი: მდგომარე, მჯდომარე, მწოლარე; არსებითი: მყოფი, ყოფილი.

198. რათგან მიმღეობა არის ერთსა და მასვე დროს ზმნაცა და დართვითი სახელიცა, ამისთვის მას თანამყოლნი აქვს მოღებული ორთავე ამ უკანასკნელთაგან. ზიმნისაგან მიმღეობას აქვს მოღებული დრონი, დართვითი სახელისგან კი კანკლედობა.

რომელს დროზე დგას ესა. თუ ის მიმღეობა, ეს დამოკიდებულია მაზედ, თუ რომლის დროის ზმნისგან წარმომდინარებს იგი. შემოკმედებითს მიმღეობას აქვს სამი დრო: აწმყო: მ(ა)შენებელი; ნამყოსრული: ა(ლ)მშენებელი; მყოფადისრულიც ეგრევეა.

უმეშაობითს ზმნას აქვს სამი დრო: აწმყო: მჯდომარე; ნამყო: დამჯდარი, მჯდარი; მყოფადი: დამჯდომელი. ენებითს ზმნას არ აქვს: აწმყო: საშენებელი; ნამყო-

უსრული: შენებული; ნამყოსრული: აშენებული; ნამყო-
ოდეს უსრული: ნაშენები; ნამყოოდესსრული: ანაშენები;
ქმნადი უსრული: საშენებელი; ქმნადი სრული: ასაშენე-
ბელი. არსებითი ზმნას აქვს შემდეგნი დრონი: აწმყო-
მყოფარე, ქმნილსრული: ყოფილი, ქმნილოდესსრულ-
ნამყოფი. ქმნადი: მყოფადი.

შ. მაგალითებიდან ჩანს, რომ მიმღეობის ნაბოლარნი
არიან: ელი, ერი, არე, ული, ური. როცა მიმღეობა დაბოლდე-
ბული „ადი“ ზე, მაშინ იგი არის ვნებითი, აღნიშნავს ყო-
ველს დროს და აქვს მისებრივე მნიშვნელობა, როგორც ზმნა-
ში მრავალგზობითს სახეს: ჭამადი, სხნადი, შენებადი, ცვა-
ლებადი, ძვლებადი და სს.

199. თუ მიმღეობას აქვს განსაზღვრული დროე-
ბითი რამ მნიშვნელობა. მაშინ იგი შემოკლები, ე. ი.
ესაობა ჩასართი და ურჩება საკვეცი. აი ამის მაგალი-
თები: საყვარელი-საყვარი, სასურველი-სასური, საწადელი
-საწადი, სახმარებელი-სახმარი, ანაშენები-ანაშენი, მაშე-
ნებელი მაშენი, დასაჯდომელი-დასაჯდომი, მწერელი-
მწერი, დასატირებელი-დასატირი, მქმნელი-მექმი, ასაჩქა-
რებელი-ასაჩქარი, სამრუდებელი-სამრუდი, მასაზრდე-
ბელი-მასაზრდოე და მ. ამათგან პირველები ნიშნავს ხან-
გრძლივს რასმე ვითარებას აღნიშვენ, ხოლო მეო-
რენი წარმოგვიდგენენ ვითარებას წუთიერს სადმე და
კერძოსა.

200. მიმღეობის კანკლედობის ცალკე გასინჯვა
სამჭიენო აღარ არი, რათგან დართვითი სახელი და მიმ-
ღეობა, პირწმინდათ ერთნაირათ კანკლედობენ. შეთან-
ხმებაც არსებითი სახელთან მიმღეობას ისრეთივე აქვს,
როგორც დართვითი სახელსა, მაგ. წაქცეული ხე, წა-
ქცეულის(ა) ხის(ა) და სხ.

201. წინადადებაშიაც მიმღეობას აქვს ისეთივე სა-
თევარი, როგორიც დართვითი სახელსა. აი მაგალითე-
ბიცა: „მთქმელი ვერა“ იქმს, „მქმნელი ვერ იტყვის“ ანდ.
ყბათალებული-წყალწალებული“ ანდ. „უღლონიოთ არი
სადმე ჩემი ცეცხლთა მომდებარი“ შ. რ. აქ მიმღეო-
ბანი: მთქმელი, მქნელი, ყბათალებული, მომდებარი
შვრებიან საუბნობას.

„ჰე ჩემო ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები“,
„მას რომე ცრემლი დიოდა, ზღვათაცა შესართავია.“
შ. რ. აქაც მიმღეობანი: მონაღვაწები, შესართავი არიან
სახვდომნი.

„დაკარგული ძროხა კაი მეწველიაო“, „ნაჩუქარ
ცხენს კბილი არ გაესინჯვის“ ანდ.—აქ ორი მიმღეობაა:
დაკარგული და ნაჩუქარი და ორნივე არიან მსაზღე-
რელი სიტყვები.

„ნათხოვარი ათხოვე, მამის სული აცხოვნე“ ანდ
„მისსა მნახესა ნახული აღარა მოეწონების.—აქ ორი
მიმღეობაა: ნათხოვარი, ნახული—არიან დამტებითი
სიტყვები.

მიმართობადაც ხშირათ არის მიმღეობა, მაგ.
„ვეარდო ფურჩნილო, ცით განბანილო, ნერგო
სვიანო, დავითიანო“ ი. შ.

202. ზმნიზედანი არიან შეიღის გეარისანი: აღ გო-
ლო ბითნი, რომელნიც მოგვიგებენ კითხვაზე: სად,
სიდან, საითკენ? ესენი არიან: აქ, იქ, ძირს, ქვეშ, შიგ(ან),
მაღლა, ახლო, შორს; ქვეყნათ, სოფლათ, ქალაქათ, ტყე-
ტყე, სოფელ-სოფელ, პირ-პირ, უკან-უკან, წინ-წინ,
ზერე-ზერე, და სხ.

შ. თანამედროე მწერლობაში უურადლებას აჩვენს აქცეის
იმ გარემოებას, რომ ადგილობითი ზმნიზედანი, როცა სა-
ხელთან დგანან, ითხოვენ მიცემითს ბრუნვას და აჩვენათ სა-
ბითს.-არ ითქმის: „იცის ქვეშ“ „სტოლის ქვეშ“ „სასლის უკა-
ნა“, აჩამედ უნდა ითქოს: ცასქვეშ, სტოლს ქვეშ, სახლს
უკან და სხ. ნათესაობითი ბრუნვა უნდა მაშინ, როცა ზმნიზე-
დი წინდგას, ასე: ქვეშე ქვეყანისა, ახლო სსდისა და სხ.

203. ვითარებითი ზმნიზედანი გვიჩვენებენ მო-
ქმედების ასეთს, თუ ისეთობას და მოგვიგებენ კითხვა-
ზე: როგორ, ვითარ? ესენი არიან: ძლიერ, ფრიად, კარ-
გათ, ცუდათ, საღათ, ნაღდათ, თეთრათ, შავათ, მკვირ-
ცხლ, ცქვიტათ, მარჯვეთ, განგებ, განძრახ, ნამდვილ(ათ),
ანდებურათ, ვარაუდათ, ზომიერათ, საიასალოთ, იღუმაღ,
ეგრე, ასე, ისე და სხ.

შ. ვითარებითი ზმნიზედები წარმოდინავენ ვითარე-
ბითსავე დათვითი სახელებიდან და ამიტომ მათაც ამ უკა-
ნასკნელებივით აქვთ ხარისხები: უნამდვილესთ, უკეთესათ, უთუ-
თრესათ, ფრიად კარგათ და სხ.

204. დროებითი ზმნიზედანი მოგვიგებენ კითხვაზე: როდის? მაგ. აწ, დღეს, ხვალ, ზეგ, შარშან, წელს, წელან, ძოღან, დაის, გაის, გვიან, აღრე და სხ.

შ. რატა სასელებს ემისებთან, დროებითი ზმნიზელებიც ექვემდებრებიან იმავე წესს, რომელსაც ადგილობითნი. ამისთვის ითქმის: მას შემდეგ, შენს წინ მას იქით, შემდეგ მისსა.

205. განზრახვითი-გვიჩვენებენ მოქმედების მიზანს, დანიშნულებას და მოგვიგებენ კითხვებზე: რათ? რის გულისთვის? მაგ. საეპროთ, სასიკედილოთ, სამოთ, სასიმთელოთ, სადღეგრძელოთ, სახელმანკოთ, სადიდებლოთ, საპატიოთ, საკაიდლეოთ, საშავდლეოთ, საკურნებლოთ, სასურნებლოთ, სასცირნოთ, სადილოთ, ვახშმათ, საუზმეთ და სხ.

206. წართმითი ზმნიზელი გვიმტკიცებს რომლისაზე მოქმედების წარმოებას. ესენი არიან: დიახ, ჰო, კი, ოღონდაც, რასაკურელია, კი, უკვე, ქვე, ქე, და სხ.

207. უკუთქმითი ზმნიზედანი უარყოფენ რომელსაზე მოქმედებას, მაგ. არა, ვერა, ნუ სულაც არა და სხ.

შ. უკუთქმითი ზმნიზედანს „არ(ა)“ თანამედროე მწერლობაში უკუღმართათ სმარობენ, რისგამოც კერგაგიგია რისთქმა უნდა მწერალს. წერენ: „იმან არაფერი არ იცის“, „იქ არვინ არ იყო“, „იგი კერვინ კერ იცნო“. გამოდის; იმან თუ არაფერი არ იცის, მაშასადამე რაღაც იქ იცის, იქ არვინ თუ არ იყო, მაშასადამე ვინმე ქე იყო, იგი თუ კერვინ კერ იცნო, მაშასადამე, ვისმე უცნია, და ამის თქმა სომ არ უნდოდა მწერალს. ორგზობითი უკუთქმა წართქმას ნიშნავს და ამიტომ უნდა ითქვას: იმან არაფერი იცის, ან უკეთ: იმან არა იცის რა; იქ არვინ იყო, იგი კერვინ იცნო. ალბათ მწერალნი ფრანკებს რუსულითგან თარგმნიან ჰირწმინდათ და ავიწყლებათ,

რომ რუსულის ენის კანონი და ქართულის ენისა ამ შემთხვევაში სხვაობენ. „არავის არ შეუძლიან ეტყვი აიღოს“ ივ. უნდა ითქვას: არ ვის შეუძლიან ეტყვი აიღოს“. და სხ.

208. მიზეზები თნი ზმნიზედანი გვიჩვენებენ საქმის დასაბუთებას, მოქმედების საფუძველს: რათ, ამად, იმისთვის, ამიტომ, ამისგამო, ეინათგან, რათგან, მაშასადამე და სხ.

209. ზოგნი ადგილობითი, ვითარებითი და განზრახვითი ზმნიზედანი თითქო გვანანო სასკლეუბის ცვალეებით ბრუნვას. მარცხოტოფენი დაკვირება უნდა, რომ მათ შორის შენიშნო შემდეგი სხვაობა: ა) ცვალეებითი ბრუნვა ყოველთვის მოგვიგებს კითხვას: „რად?“-მეთუე, კანად, კარგად, ორად, შენად და სხ. სოლო ზმნიზედანი მოგვიგებენ კითხვებს: სად? როგორ? რისთვის?-ჩვენათ, სოფლათ; კარგათ, ავათ, სწრაფათ; სადილათ, კასშმათ, საკურნებლათ. გარეგნობითაც განიჩქევიან: ცვალეებითი ბრუნვა დონით ბოლოვდება, ზმნიზედი კი თანით. ტყულათ წერენ: „მეკვინიებს დაუძასა: ლურჯა მომგვარე ჩქარადა! გავაზე სელი გადუსო. ზე წამოასლტა მარდადა“ ი. გ. სალსი უფრო კარგათ ამბობს: ჩქარათა, მარდათა, შავათა. ბ) წინადადებაში ზმნიზედანი არიან ყოველთვის გარემოებად: ვითარებითი-სასკობისად, ადგილობითი-ადგილისად განზრახვითი-მიზნისად. ცვალეებით ბრუნვასე მდგარი სასელი კი არის წინადადებაში დამატებითი სიტყვად.

210. ზმნიზედანი არიან წინადადებაში ყოველთვის გარემოებითი სიტყვებად და სხვად არარად.



თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი

211. თანდებულნი არიან ორგეარნი: წინამძღოლნი და მიმყოლნი. წინამძღოლებად იწოდებიან ისინი, რომელნიც სიტყვას თავში მოეზაფებიან და გვიჩვენებენ მოქმედების მიმართულებას, ანუ კიდეც სახის სისრულეს ა(ლ), გა(ნ), ჩა, შე, აღმა, შემო, მიმო, გადა, უკე და სხ.

მიმყოლნი თანდებულნი სიტყვას ბოლოში მოესმიან. ესენი არიან: ში, ზე(დ), ურთ. ვით, გამო, ებრ, თვის, დმი, მდე, კენ, ვე და სხ. ესენი ემატებიან საკანკლედო სიტყვებს და გვიჩვენებენ საგნებ შორის სხვა და სხვა ურთიერთობას.

212. ამათგან: თან, ში, ზედ, ითხოვენ მიცემითს ბრუნვას: ქმასთან, სტოლზედ (უნდა იუოს სტოლზედ, მარა ს ფონეტიკურათ სპობილა, რათგან გვერდით მონათესავე ასო უზის ზ), სასლსში—სახლში.

გამო, ებრ, გან, თვის, მიერ, დმი, კენ მიმართ—ითხოვენ ნათესაობითს ბრუნვას: საქმისგამო, ნებისაებრ, ქმისთვის, ებრაელთამიმართ (ებრაელებისმიმართ) მამისმიერ დედისგან, ქმისადმი, სვანეთის(ა)კენ და სხ. გან ითხოვს მოქმედებითს ბრუნვას, როცა მოგვიგებს კითხვაზე: საითგან მაგ. ქუთაისითგან, სტამბოლითგან და სხ.

თანდებული მდე ითხოვს ცვალებითს ბრუნვას: ქალაქადმდე, იერუსალიმადმდე. მარამა რათგან ორის დ-დ-ს გამოთქმა ენისთვის სამწელოა, ამისთვის პირველი მათგანი ფონეტიკურათ სპობილა და გამობოთ: ქალაქადმდე, ქუთაისადმდე, რა-

ტი არ ეკელა სწორია: დიდი ქე კაცით კაცადე“ უ. რ. თან-
დებული ურთ ითხოვს მოქმედებითს ბრუნვას: ძმითურთ,
მეუღლითურთ. ამ თანდებულს არ გუბენ ახალი მწერლები,
მარტოკა მოქმედებითს ბრუნვას ვერდებიან და ერთი რამ უგვ-
ნობა გამოდის, მაგ. „ერთი მანდილოსანი პატარა ქალით
ბაღში მოდიოდა“, „გლადსტონი თავის მეუღლით ნოთინ-
გემში წავიდა“ ივ. თითქო პატარა ქალი, ან გლადსტონის
მეუღლე ეტლი იუოს ან ცხენი.

თანდებული ვით დროზე სასელობითს ბრუნვას ითხოვს,
დროზე მიცემითსა, თუ ამის წესი იუგულებელი აზრი გაუ-
გებარი რჩება. არ შეიძლება ითქვას: „ბოდავს თავში დაკრუ-
ლისავით“, „ფეჭავს მინდოკლებული წისქვილისავით“, „პირს
აღებს სვასავით“ ივ. „გამსვრელია ქონისავით, იგბინება ძაღ-
ლისავით“ ი. გ. არამედ აქ ეკელგან უნდა სასელობითი ბრუნ-
ვა: დაკრულივით, წისქვილივით, ქონივით და სს. ეს იმიტომ,
რომ თანდებული ვით არის შემოკლებული ზმნიზედი ვით არ-
ცა, იგი წინაჲ დაისხმის, მოლოდ სიტყვისგან გაცალკეებით
და მაშინ გამოვა: „ბოდავს ვით თავში დაკრულსა“ და სს.
ნამდვილათ ასე უნდა ითქვას: გაღობს ბუღბუღივით (ე. ი.
ვით ბუღბუღიო) ძინავს ბუღბუღისავით, (ე. ი. ვით ბუღ-
ბუღს ძინავსო) და სს.

ქ ა ვ შ ი რ ი.

213. ქავშირნი არიან: გადაბმითნი—რომელნიც ორს წინადადებას, ან ერთის წინადადების ორს წევრს აერთებს, მაგ. „გახსოვს ოდეს შენ და როსტენს მინდორს მხეცნი დაგვხრცათ“ შ. რ. „პური და გული სტუმარსა წაეა, შინ მოაგონდება“ ანდ.

214. პირობითნი ქავშირნი—აერთებენ ორს წინადადებას, მაგრამ ეს გაერთება საეჭვოა, პირობაზე რაზედმე არის დამოკიდებული, მაგ. „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“ შ. რ. რაკი, ოღონ, როცა, ვინაითგან, რათგან, ოდეს, რახან—ესენი სულ პირობითნი ქავშირნი არიან.

215. შედარებითნი—ამით ერთი საგანი მეორესთან შეფარდებულია, მაგ. როგორ, ეით(არცა). „როგორც ქუხს, ისე არ წვიმს“ ანდ. „ეითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ სახ.

216. მიდევნებითნი, მაგ. „ზოგჯერ თქმა ჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ შ. რ. ნაყოფთათვის სავარგისოთ ხან წუმა ჯობს, ხან დარიო“ ხ. ლ.

217. განმარტებითნი: ამისთვის, ამიტომ, ამაღ. „რათგან ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამისახავს, ამაღ მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“ შ. რ.

218. გარემოზომობითნი—გამოხატევენ ორის აზრის პირის პირობას.—ეს ქავშირნი არიან: მა(გ)რამ, კი, არამედ, ხოლო, თუნდ, თორე(მ), მაგ. „ნუ შეგვიყვანებ განსაღდელსა, არამედ გვიხსენ ბოროტისაგან“ სხ.

შ. წინადადებაში კავშირი, თანდებული და საკრთომი საეჭვო სიტყვებს შეადგენენ და წევრობა არ შეუძლიათ გასწიონ.

პ რ თ მ ა ი.

219. უკანასკნელი სამეტყველო ნაწილი-კრთომნი წარმო-
შობილან ამ გზით: როცა რომელიმე შინაგანი გრძნობა უე-
ცრათ აღიძრვის ადამიანის გულში, მაშინ იგი, ადამიანი გელარ
ასწრებს გულდასმით გამოსთქოს გარეგან მასედ მოღებუ-
ლი აღბეჭდილება გრძნობათა დელვისაცან. მაშინ ადამიანის
მკერდი აღმრცვილის მდგომარეობის გამო აღმოაგვეთებს, სამე-
ტყველო ორგანების წახმარებით, შესაბამს ბგერებს, რომელიც
შედგების ერთის, (შვირათ ორის) მარცვლისაცან. ამით ეძლე-
ვის საშვებელი წუთიერს მოზღვაკებულს გრძნობას. ადამიანი
ამ წუთს გამოსულია ჩვეულებრივის მდგომარეობითგან, ერთი
სიტყვით, ასე, თუ ისე, სამსიარულოთ, თუ საწუსათ შემკრ-
თაღია. თავისს დონეზე რომ იდგეს, მაშინ იგი თავისს
გრძნობას გამოსთქმიდა რამდენისამე სიტყვით, მარა ისე მტკერ-
მეტყველათ ვერა, როგორც გამკრთალს მდგომარეობაში. ავი-
დოთ რომელიმე კრთომი, მაგ. „ვიე“ ამას წარმოგსთქომთ
ხოლმე მაშინ, როცა რამე გვეზიზღება და გვინდა განკვიცხოთ.
გულდასმით რომ ეს გრძნობა გამოეთქოთ, ან სხვას ვუამბოთ
შემდეგში, ასე ვიტყვით: რა საძგალი რამ არის! „ვიე“-ამას
წარმოვითყვით მაშინ, როცა რამე ავთ შიგვზარავს. დინჯათ
ვითოდით: ძლიერ მეშინია, რა ძლიერ ვწუხვარო! და სს. მა-
გრამ ეს ისე მოკლე, ხელწამოსაკრავი და მკათიო ვერა, რო-
გორც თვითონ კრთომი, რომლითაც სასწრაფოთ გადმოიცე-
მის თვით არსებითი მსარე საგნისა, თუ მოვლინებისა.

220. კრთომნი იმდენისავე გვარისანი არიან, რამ-

დენიც შინაგანი გრძნობა ადამიანის გულში სუფევს. უმთავრესნი კრთომნი არიან: ა) ჳმუნვითნი: ვაი! ვაჰ! ვაგლახ! იჰ! გლახ!, ბ) შეგბითნი: სა!ხა! ჰო!ჰო! ჰო! გ) მრისხანებითნი: ო!ო! ჰმ!; დ) მოწოდებითნი: ღოი, ღოი! სოი! სოი! მარ, მარ! ჯუ, ჯუ, ჯუ! ცი! ცი! ცი! ტია! ტია! ტია! წი, წი, წი, რრრუ; ე) ლაღვითნი: ტა, ტა, ტა, გა, გა, გა! თა, თა, თა; ვ) მოღწონებითნი: ეაშა! ეაშა! ეიშ, ეიშ! ჯან! ბარაქალა! შაბა! შაბა! ამფეროზი; ზ) განკიცხვითნი: ფიე! ფიე! ეიე! ეიე, პლაჩ! იმჰას! ჰი!

ბ) განცეფრებითნი: ბა! ბა! ბაი! პაი! პაი. იიჰფ! თ) სურეგბითნი: ნეტა! ახ, ოჰ! ღა სხ.

221. პირუტყვების ჩეუელბრივი ენა აჩის სსეულის მოძრაობა, მიმიკა და მათი დონებრივი მდგომარებაჲ-უტყუობა, ღუმიღი. თუ პირუტყვი მკერდითგან ბგერა რამ აღმოი-ტყველვის, ეს მისის აღმრცვილი მდგომარების ნიშანია და უოგელბგარი ბგერაც მისი აჩის კრთომი. პირუტყვთაგან გა-მოღებულნი კრთომნი არიან: მუუ, ყვა, ყიპ, ყიპ, წი, წი, ჩხი, ჩხი, ყო, ყო! და სხ., რომელნიც, რათქმა უნდა, ნაწევ-როვანის ბგერით მსოღოდ მქრქლათ და მიახლოებით რითმე თუ გამოითქმიან და დაწერით სომ სულ არ დაიწერებინ.

222. უსულო საგნებსაც შეუძლიათ გაიღონ მსგავსნი რამ ბგერანი, როცა ისინი ჩეუელბრივის, ინერციულის მდგომარებათგან გამოდიან და მოძრაობაში შედიან, მაგ. წულის დენას გააქვს ბგერა რამ: უუუ, ჩქრრრ, ქუხილს-გრრრ; კარის ღებას-ჭრრრ და სხ. ესენიც კრთომთა ჳგუფს ემუთ-ნიან.

223. ამ კრთომებისაგან აღრევე გაჩენილან ე. წ. ხმაბაძვითი სიტყვები. ეს ის სახელობია და ის ჳმ-ნები, რომელნიც ადამიანს გამოუთქომს ბუნებაში განა-

გონ ბგერათა მიბაძვით. მაგალითად ადამიანს დაუ-
ნახავს ერთი სულდგმული, რომელსაც გაფრენის
დროს მოუხდენია ესრეთი ბგერა! „ფრრა“ და დაურქმე-
ვია მისთვის „ფრინველი“, ფრინველის ყოველ თვისება-
თა შორის ადამიანზე (ამ შემთხვევაში, პირიქედნად ქარ-
თველზე) უმკვეთრესი შთაბეჭდილება მოუხდენია ამ თვი-
სებას-ფრენას, რომელიც „ფრრა“ ით. გამოითქმოდა. ეს
დადებულია სიტყვის ფესვოდ და მასზედ აღმოცენებულან
სიტყვები: ნაფრენი, საფრენი, ფრთოვანი, აღფრთოვნება
და მ. ასეთივე წარმომდინარება აქვს შემდეგ სიტყვებს:
ტრელი (ტრრა-გაფრენის დროს) გვრიტი (გრუტუნი-ხმა)
ყვავი, ყოჩანი, ნაჯახი, ჯაყვა, ღორი, ყრიალი, გუგული,
ჩხიკი, ჭრიჭინა, ყოყოლი (ქათმის მამალი; ყო, ყო, ყო)
ბღღინეა, ბღერიალი, ბოყინი, კასკასი, ხარხარი, ჩურ-
ჩული, ცხიკება, კანკალი, ფხაკუნი, რახუნე, კაკუნი,
ხრიალი, ოფოფი, ფობინი, დუღილი, შვილი, ჩქრიალი,
ღმუილი, ზმუილი, პეტელი, კიკინი, ბლაფილი, ბღინეა;
ეაება (ეაი), ეიში, უში, ახი, ყიყინი, ყიპყიპი, დრუხუნი,
ბზუილი, კაკანი, ყივილი და მ.

224. კრთომებში ჩანს კვალები იმ ნახევრების და იმ წე-
სებისა, რომელნიც მოქმედებდნენ ენის განსახიერების დროს,
ის ჰარკელყოფილი მექმეობა, რომელითაც ადამიანმა გარეთათ-
გამოიგნო თავისი გულის მასუჩები.

ხმაბაძვითი სიტყვები გვიჩვენებენ იმ ერთ გზას, რომელ-
მეღმედაც წარმომდინარებულა ესა დუ ის ენა, მაგრამ ამით ის
გი არ უნდა გიგულოთ, ვითამც ყოფილიყოს ისეთი დრო,
როცა კაცობრობობა მუწვი იყო. ესრეთი დრო რომ არაოდეს
ყოფილა, ამას, სსკათა შორის, იმით მიგვხედვით, თუ დავა-
კვირდებით თოთოის ყრმის და გოჩების (ნადირკაცების) მდგო-
მარობას. ყრმას რომ მიდამოში სწამსარეული ენა არ სხედებო-

დეს, იგი ბუნებითაჲ შექმნის თავისებურს ენას (როგორც კი-
დეაც შეკრება შესასუბ ზოგიერთის საგნებისა, რომელთა სა-
ხელწოდების შეთვისება ჟერ ვერ მოუხწრია.) თანდათან სა-
მეტყველოს ორგანების დამაგრების დაგებათ. ეს ენა ბევრით
მიემსგავსება პირველყოფილს ენებს (და რავდენათმე ასლანდელ-
საც). ეს ენა იქმნება შესაბამისი გარესსკნელის ბუნებისა და შედგო-
იმ შთაბეჭდილებათა, რომელნიც ემაწვილს მიდამოსაგან მო-
უღია.

ყოველივე ეს ასე იქმნება იმიტომ, რომ მეტყველობის
ნიჭი იგუთივე ბუნებითი ნიჭია, როგორც ნიჭი მსუდველო-
ბისა, მსმენელობისა: არც ერთი და არც მეორე გარე გამო-
უგნებელი ვერ დარჩება. სიტყვა იგუთივე იარაღია, მეტყვე-
ლობის, როგორც თვალი მსუდველობის, ყური — მსმენელობის
და სხ. ადამიანი ბუნებითივე არის მეტყველი ისე, როგორც —
მოფიქრალი, მაგრძნობელი, მსუდველი, მჭამელი, მსმელი, მშვი-
ნავი.

ამ სახით ადამიანი იწყებს ღაპარაკს მანამდე, სანამ თა-
ვისს თავს ანგარიშს მიტეხდეს: შეუძლია, თუ არა ამ საქმის,
ამ პროცესის, შესრულება; მანამდე, სანამ შეიგნებდეს ღაპა-
რაკის მნიშვნელობას და მიზანს. ეს შეგნებული მოსწრაფება
დამოკიდებულია თვით სამეტყველო ორგანების აკრებულებზე-
დაც: მათ არ შეუძლიათ არ ილაპარაკონ, ისე არიან მოწყო-
ბილნი. საითგან დაიწყო პირველათ ადამიანმა ღაპარაკი? პირ-
ველი განარკვი მიუღია მას საერთო დედის-ბუნებისაგან, რო-
მელიც ყოველს ნაბიჯზე გამოიწვეოდა სმებადუთი სიტყვების
შესაქმნელათ. უნდა ვიგულოთ, რომ ეს ბუნებრივი ენა წინა-
უძღოდა მოფიქრებულს, ხელოვნურს ენასა. უნდა ვიგულოთ,
ისიცა, რომ პირველყოფილს ენაში ბევრით უმეტესი ადგილი ეკა-
ვ (სსეულის) მიმოძრეულობას, მიმიკას, ეინემ დღევანდელში...
ადამიანის მეტყველობის საფუძველს, სიტყვების ფესვებს

დღეს აქამოდე ვერ მიმსჯდარე მეტნიერება და ძნელი მისა-
გნებელიც არის. — ჩვენ ერთობ დაშორებულნი ვართ იმ ღრ-
ებზე, როცა ადამიანს ჰირველათ ენა ზუღგამს და უუსაჩირო-
ებს სიტყვა-პასუხს შეწვევია. მარამა ენათმეცნიერთ ცხადათ
გამოუკვლევათ რამდენისამე სიტყვის წარმომდინარეა, ხმა-
ბაძვითის კანონის ძალით.

ადამიანზე მრავალგვარათ უმოქმედნი ბუნებებს, სსკა და
სსკა მოვლინებს, ცხოველების ზნე-სასიათს; ასე რომ სში-
რათ სულდგმული და უსულთ. საგნები თავიანთის სასელწო-
დებით, როგორც ზევით იყო ნათქომი, თავისსავე დაშასნი-
თებელს მოქმედებს, ზნესა და თვისებას გვისატყენ...

ეს არის, ასე ვთქვით, ერთი გარეგანი საფუძველი, რომ-
ლისგნით წარმოშობილა მრავალი სიტყვა. უფრო ბევრი ზო-
გადი სიტყვები ეკუთნის ამ სმზამპითი სიტყვების კატეუსა.
საგნებისაგან გამოცემული ბგერება ადამიანს თავისებურათ დაუ-
ნაწევრება, დაურკვევია და მათთვისვე სასელათ დაურქმევია.
ამიტომაც ნამდვილი შენადგი სიტყვისა არის მარცვლი და
არა უხმო ბგერა; მარტო ფესვებისაგან აგებული ენა არაოდეს
ყოფილა და არც არის.

მეორე საფუძველი სიტყვების წარმოშობის ძეკს თვით
ადამიანის სულის ნიჭიერებებში. — როგორიც შთაბეჭდილება
რომელსამე მოვლინებას მიუღია ადამიანზე, როგორც დაწნე-
ვია ეს მოვლინება მის გულს, როგორც მდგომარებაში ჩამ-
დგარა ამ წუთს ადამიანი, იმისი შესაბამისი სახელი დაუ-
რქმევია მერე ამ მოვლინებისთვის, მაგ. ვაი — ვაება, ოხ — ოხ-
ვრა და შ.

ასე ამ გზით ენა არის ნაწარმოები და შედგები გაცის
სულისა და გარესგნელის ბუნების შეერთებულთა ძალითა, თვი-
თეულს ერს ისე მოუგებარება თავისი ენა-მეტყველობა, რო-
გორც მისთვის შთაუგონებია გარემო ბუნებას და მისს თვი-
თებითს ძალებს.

თვითეულს ერსა მასთანკე განმსოლუებით არ უცხადრია, მას მიმოხლა ქონია მეზობელ ხალხებთან. ამის გამო ნებით, თუ უნებურათ მათ ურთიერთისგან უკანსნიათ სიტყვები და თავანთი ენა შეუკნიათ.

საცა სიტყვები არ ჟოფნია ცნებების გამოხატქმელათ, იქ მეტაფორებიც მიუშველებია. შემდეგ განუენებითის ცნებების გამოთქმასე გადასულა და ამ ნაირათ განსასიერებულან ცალცალკე ენები.

ზემოთქმულიდან გამოდის, რომ სიტყვასა და წარმოდგენილებას შორის უმანლობელესი, მჭიდრო კავშირი უნდა სუფევდეს; უნდა სრული შესაბამისობა იყოს აზრსა, ანუ ცნებასა და შთაბეჭდილებას შორის, მარამა ჩვენ ვხედავთ, რომ სშირათ ასე არ არის. ამის მიზეზი არის: ა) ის გარემოება, რომ თვითეულს ერს შეუტანია სასელწოდებაში ის კი არა, რაც რეალურად საგნის არსებითი, უნამდვილესი რამ არის, არამედ ის რაც მისის შესედულებით იყო ნამდვილი, რაც მას არსებითი გონება; ამა თუ იმა სასელწოდებაში, მან გამოხატა თავისი ეროვნული მიმომხედველობა.

ბ) ღლეს ხშირათ სსკა და სსკანაირათ. გვესმის ის, რაც თავდაპირველათ ეგელასთვის ცხადი იყო და ერთნაირათ გასაგებო. თავდაპირველნი წარმოდგენილებანი შეუტვლია დრო-ჟამის; ცხოვრების წარმატება; მოქალაქობა და მიმოსუდველობათა ცვალება ამლევს მრავალ სიტყვას ასახლს, სსკა გონებითს შინაარსა. ამიტომაც ასში ერთსელ ვეღარ გავკვირავთ სიტყვების ერთმოდოგიური მნიშვნელობა.

ამიტომაც, თუმა მეტათ ძნელი მისასვედრელია ის გარემონია, რაც სიტყვასა და აზრს შორის ოდესმე არსებულა, მარამა ის კი აშკარაა, რომ ეს გარემონია, იქმნებოდა, რაკი ვიცით რომ სიტყვა არის აზრის, პუნქტივი, გარეგანი ნიშანი.

225. „ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია,—
ყმარწვილსა კაი სწავლითა სახლი გაუხარებია.“ ხ. ს.


სიტყვა ყაყაჩოსა არის ზოგადი არსებითი სახელი, მხოლოდითი რიცხვი, მიცემითი ბრუნვა, სრულის დაბოლოვებით.

სიწითლითა-ეგეც ზოგადი (და განყენებითი) არსებითი სახელით მხოლოდითი რიცხვი, მოკმედებითი ბრუნვა, სრულ საკვეთიანი.

ყანა-ეგეც ზოგადი არსებითი სხეულია, მხოლოდითი რიცხვი, სახელობითი ბრუნვა.

დაუმშვენებია-ეგ არის შემოკმედებითი ზმნა, ჩინებითი სახარი, კმნილოდესრული დრო, გამათავე სახე, მხოლოდითი რიცხვი, მესამე პირი, პირველის ფორმის მიმოხრა, და სხ.

*



შ. უმდეგს წიგნში იქმნება დაწვრილებით განხილული:

1, მარტივის წინადადების სინტაქსი.

2, რთულის წინადადების სინტაქსი. *

ხანა სხვადასხვა ფორმისა.

წინადადების წევრთა დალაგების წესები.

3. საყენებლის და საკილოვნე ნიშნების ხმარება.

დამატება: ა) ქართულის ასოების გამოხატულებანი.

შეხედულება მხედრულის ასოების გამოხატულებაზე თანამედროვეთა ქართულ კალიგრაფთა.

ბ) სხვაობა ქველსა და ახალ ქართულს ენას შორის. — დაბადების ენა და სხ.



„სწორმეტყველების“ წიგნებისთვის საჭირო, ერცე-
ლი წინასიტყვაობა გვიან მივიღეთ ავტორისაგან და ამ
პირველ წიგნთან ვეღარ იბეჭდება.